1557
1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

საენათმეცნიერო ძიებანი

IV

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საენათმეცნიერო ძიებანი

IV

საქართველოს რესპუბლიკა
ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
BESARION JORBENADZE SOCIETY
REPUBLIC OF GEORGIA

თბილისი
1995

4+499.962.1+499.962

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საენათმეცნიერო ძიებანის“ IV კრებულში იბეჭდება „ვესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების“ წევრთა შრომები. კრებული თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

26899

სარედაქციო კოლეგია: გ.ბურჭულაძე, კ.გაბუნია, მ.გიორგაძე, გ.გოგოლაშვილი (რედაქტორი), ქ.დათუკიშვილი, დ.თვალთვაძე, ვ.კვანტალიანი, ნ.ლოლაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ჭ.კირია, რ.ქურდაძე (რედაქტორის მოადგილე), ნ.შარაშენიძე, ნ.ჭუმბურიძე.

სპეგ-2000
შემოწმებულია

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

1974 წლის სექტემბრიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ინიციატივით ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სემინარი „საენათმეცნიერო საუბრები“, რომლის მუშაობასაც სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ხელმძღვანელობდა ბესარიონ ჯორბენაძე.

ბ. ჯორბენაძის გარდაცვალების შემდეგ „საენათმეცნიერო საუბრებს“ მისი დამაარსებლის სახელი ეწოდა და ბატონი ბესარიონის მეგობრები და მოწაფეები ვცდილობთ კარგად დაწყებული საჭირო საქმე შეძლებისდაგვარად გავაგრძელოთ. 1994 წელს დავაარსეთ ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება; 1995 წელს გამოვეცით ამ საზოგადოების გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“.

„ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“, „საენათმეცნიერო საუბრები“ და „ბურჯი ეროვნებისა“ ერთ მიზანს ემსახურება – ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის ინიციატივითა და ძალისხმევით დაწყებულ საქმეთა ღირსეულ გაგრძელებას.

წინამდებარე კრებულის გამოცემაც ამ მიზნის ერთ-ერთი ნაწილია.

დღემდე „საენათმეცნიერო საუბრების“ სამი კრებული გამოიცა: „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“ (1978), „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“ (1980) და „საენათმეცნიერო ძიებანი“ (1989). წინამდებარე კრებული რიგით მეოთხეა; ვიმეორებთ მესამე კრებულის სახელს და სურვილი გვაქვს პერიოდულ გამოცემად ვაქციოთ იგი სათაურის გამეორებითა და ნუმერაციის გაგრძელებით.

„საენათმეცნიერო ძიებანის“ IV კრებულში იბეჭდება ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების წევრთა შრომები, რომელთა უმეტესობა „საენათმეცნიერო საუბრების“ სხდომებზეა განხილული.

გ. გოგოლაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაალ კიკვიძე

De Linguistica Facultativa

1985 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები" ბესარიონ ჯორბენაძე ეხებოდა გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებებს ქართულში. ავტორის განუზომელი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მყარ მეცნიერულ საფუძველზე ჩამოყალიბებულია ფაკულტატიურობის ცნება ლინგვისტური თვალსაზრისით.

სპეციალისტები მიჩვეული არიან ტერმინ „ფაკულტატიურის" სულ სხვა გაგებით ხმარებას. აღნიშნულის ნათელსაყოფად გამოდგება ისეთი უნივერსალური ხასიათის გამოცემაც, როგორიცაა „ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი" (მოსკოვი, 1990). აქ ცალკე სტატიად არ არის შეტანილი ეს ტერმინი, მაგრამ გვხვდება სხვა სტატიებში.

მაგალითად,

1. ტრანსფორმაციული მეთოდი

„ტრანსფორმაციულ მეთოდს საფუძვლად უდევს შემდეგი დაშვებები: ... 3) ნებისმიერი რთული სინტაქსური ტიპი მიიღება ერთი ან რამდენიმე ბირთვული წინადადებისაგან მათ მიმართ სავალდებულო და ფაკულტატიური ტრანსფორმაციების მოწესრიგებული ნაკრების გამოყენებით" (ლელ, 1990, გვ. 519).

N.B. გვაქვს დაპირისპირება: სავალდებულო/არასავალდებულო (ფაკულტატიური).

2. რიცხვი

„რიცხვის გამოხატვის საშუალებები განისაზღვრება ენობრივი ტიპის თავისებურებებით; ამასთან, შეიმჩნევა რიცხვის როგორც სავალდებულო, ისე ფაკულტატიური გამოხატვაც" (ლელ, 1990, გვ. 584).

N.B. კვლავ – დაპირისპირება: სავალდებულო/არასავალდებულო (ფაკულტატიური).

3. პლეონაზმი

„თავისი ბუნებით პლეონაზმი შეიძლება იყოს: 1) სავალდებულო – სისტემით (...) ან ენობრივი ნორმით შეპირობებული, 2) ფაკულტატიური, სტილისტური – შეპირობებული გამონათქვამის ექსპრესიული მიზნებით" (ლელ, 1990, გვ. 379).

N.B. კვლავ – სავალდებულო vs. არასავალდებულო (ფაკულტატიური).

მოყვანილი თვალსაჩინო მასალა ადასტურებს, რომ „ფაკულტატიური" ნიშნავს „არასავალდებულოს". მისი საპირისპირო ცნებაა „სავალდებულო, ობლიგატორული". გამომდინარე, აქ „ფაკულტატიურობა" ნიშნავს ვარიანტულობას. ხსენებულ გაგებასაც უდავოდ აქვს არსებობის უფლება; თუმცა, საერთოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინი პირობის ხასიათს ატარებს, ეს არ ნიშნავს, რომ იგი აღსანიშნ მოვლენას არ უნდა შეესაბამებოდეს გარკვეული ზომით. ამ თვალსაზრისით იგი შეუფერებელი ტერმინია. მითუმეტეს, რომ ლათინური სიტყვა facultas ნიშნავს „შესაძლებლობას".

ბ.ჯორბენაძისეული „ფაკულტატიური" კი უპირისპირდება არა სავალდებულოს, არამედ ძირითადს. „მართალია, ფაკულტატიური ნიშნავს არაძირითადს, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არაკანონზომიერია, შემთხვევითია, რომ იგი ამორიდებულია ენის საერთო სისტემიდან" (ბ.ჯორბენაძე, 1985, გვ.2C).

როგორც ვხედავთ, ბ.ჯორბენაძისეული „ფაკულტატიური გრამატიკა" ენის „პოტენციალიტეტის" კვლევას ისახავს მიზნად, რაც ღრიად სერიოზული ამოცანაა; მითუმეტეს, რომ „ფაკულტატიურად გამოყენებულ ელემენტთა ერთი ნაწილი ფაკულტატიურადვე რჩება, სხვა - დროთა განმავლობაში ძირითადი ინვენტარის სტატუსს იძენს" (ბ.ჯორბენაძე, I985, გვ.9). მაშასადამე, მოცემული ენის სრულფასოვანი შესწავლა, მისი ინტერიერ-ექსტერიერის მიახლოებით სრული აღწერაც კი შეუძლებლად ჩანს ფაკულტატიურ ენობრივ საშუალებათა ყურადღების გარეშე დატოვებით. ფ ა კ უ ლ ტ ა ტ ი ვ ე ბ ი (ასე შეიძლება ვუწოდოთ ფაკულტატიურ ენობრივ საშუალებებს) ენის არსებობის ერთ მონაკვეთზე შესაძლოა ნაკლები გამომსახველობის მქონე ლინგვისტურ სინამდვილეს წარმოადგენდნენ, მაგრამ განვითარების შემდგომ ეტაპზე ბევრი მათგანი ენობრივი ორგანიზმის სრულფასოვანი არტერია ხდება. სწორედ აქ უნდა გავიხსენოთ ფრანგი ლინგვისტის ანტუან მეიეს სიტყვები, რომ ენის ისტორიის ყველა გამოვლენილი კანონი არ წარმოადგენს იმაზე მეტს, ვიდრე შესაძლებლობებია. „... ჩვენ ჯერ კიდევ გამოსავლინებელი გვაქვს ის ველადები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ამ შესაძლებლობებს გამოვლინდნენ, ხელს უწყობენ მათ რეალიზაციას" (ა.მეიე, I92I, გვ.I6).

ფაკულტატიურობის თვალსაზრისით საინტერესოა გრამატიკული ევფემიზმის მოვლენა (ზ.კიკვიძე, I993). განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: გვაქვს გრამემები: ი ხ ი ლ ე - ი ხ ი ლ ე თ, რომლებიც, ერთის მხრივ, რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გრამემებად შეიძლება იყოს განხილული, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც -თ სუფიქსიანი ფორმა ერთი პირის მისამართით არის ნათქვამი, ფაქტია, რომ იგი მრავლობითი რიცხვი აღარ არის, იგი ევფემაა (გრამატიკული ევფემიზმია). ქართულში ზმნის რიცხვის კატეგორიალური ნიშნისათვის ამ ფუნქციის მინიჭება შედარებით გვიანდელია. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ, მართალია, -თ-ს ხმარება ამ ფუნქციით თავდაპირველად ჭეშმარიტად ფაკულტატიური ხასიათისა იყო, მაგრამ თანდათან მოიკიდა ფეხი და დღესდღეობით ჩვეულებრივ ენობრივ მოვლენად იქცა; უფრო მეტიც, მრავლობითისაგან არა მარტო კონტექსტი განასხვავებს - საკუთარი სტრუქტურული მახასიათებლებიც გააჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირში მონაცვლე ზმნების განხილვისას აკაკი შანიძეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: „აშოტ კურაპალატი ეკითხება ფებრონიას: „უწყი-მეა, დედაო, რაჲსათჳს მ ო ვ ე დ აწ?“ ფებრონია უპასუხებს: „უფალმან იცის, რაჲსათჳს ჰ ბ რ ძ ა ნ ე აქა?“ (ხანძთ., <u>55</u>, 65-66). აქ ორი სხვადასხვა ზმნაა ნახმარი ერთი და იმავე მნიშვნელობით, მაგრამ სხვადასხვა პირის ფორმით: მ ო ვ ე დ (= მოვედი, I-ლი პირის ფორმა) და ჰ ბ რ ძ ა ნ ე (= მოჰბრძანდი, მე-2 პირის ფორმა). რატომ არა მ ო ხ უ ე დ (ე.ი. მოხვედი), არამედ ჰ ბ რ ძ ა ნ ე (ე.ი. მოჰბრძანდი)? – იმიტომ, რომ მიმართვაა უფროსისადმი და მორიდებით არის ნათქვამი“ (აკ.შანიძე, 1980, გვ.515). შეუნიერის მიერ მოყვანილი მაგალითი და შესაბამისი დასკვნა ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩამნაცვლებელი ფორმა არ საჭიროებს დამატებით გრამატიკულ გაფორმებას (ევფემატურობის <u>-თ</u> სუფიქსის დართვას), რადგან ძირი, რომლითაც ეს სიტყვა იწარმოება, თავის თავში შეიცავს თავაზიანობის სემას. მაგრამ თანამედროვე ქართულისათვის ოდენ ძირი აღარაა საკმარისი; ვლებულობთ ისეთ ტრიადას, სადაც ცალ-ცალკეა მრავლობითში მდგომი ზმნები და ევფემები:

მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი		ევფემა
ხარ	–	ხართ	–	ბრძანდებით
თქვი	–	თქვით	–	ბრძანეთ
მოდი	–	მოდით	–	მობრძანდით
დაჯექი	–	დასხედით	–	დაბრძანდით

რა თქმა უნდა, ენაში არსებული ყველა პირში მონაცვლე ფორმა აქ არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფორმები ტიპურია და თან მათ აერთიანებს ის, რომ სხვადასხვა შინაარსის ევფემებს აქვთ ერთი და იგივე ძირი ბ რ ძ ა ნ, რაც ამ უკანასკნელის სპეციფიკურ დანიშნულებაზე მიგვითითებს; თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მისთვის დღესდღეობით აუცილებლობას წარმოადგენს -თ სუფიქსის დართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბ რ ძ ა ნ-დ ე ბ ი ტიპის ფორმა შეიძლება ირონიული ელფერის მატერებელი აღმოჩნდეს, რაც, ცხადია, აღარ ნიშნავს თავაზიანობისგამოხატვას, ე.ი. სათანადო აფიქსაციის შედეგად ისინი გვევლინებიან როგორც თავაზიანობის მრავლობითები (pluralis honorificus). თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ეს აღარ წარმოადგენს ფაკულტატიურ მოვლენას; იგი სრულად გამოვლენილი შესაძლებლობაა. მიშელ ვან ესბროკი ამბობს, რომ „ყველა სალიტერატურო ფორმა სათავეს იღებს წინამავალი ან თავდაპირველი გამონათქვამიდან, რომელიც ცოცხლად ფუნქციონირებდა მოცემული საზოგადოების გამოცდილებაში (მ.ვან ესბროკი, 1988, გვ.221). რაც შეეხება -თ-ს ფაკულტატიურ დართვას, მგვარი მაგალითი შესაძლებელია დაიძებნოს მოცემული სინქრონული მდგომარეობისათვის: ანალოგიის პრინციპით ეს სუფიქსი ზეპირმეტყველებაში დაერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის ისეთ სიტყვებსაც (არაზმნებს), სადაც მისი ადგილი არ არის. მაგალითად, გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა თ! ბ ო დ ი შ ი თ! თ ქ ვ ე ნ ი ჭ ი რ ი მ ე თ! და ა.შ. დასახელებული ნიმუშები ფაკულტატივებს წარმოადგენენ. -თ სუფიქსის ამგვარი ჰიპერ-დისტრიბუცია არ უნდა იწვევდეს გაოცებას, რადგან ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენები საკმაოდაა დადასტურებული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბ.ჯორბენაძის ერთი გამონათქვამი: „მუდმივი იარლიყები ენაში არ არსებობს და საჭიროების დროს ნებისმიერი ფორმობრივი ელემენტი ნებისმიერი დანიშნულებით შეიძლება გამოიყენოს ენამ, სავსებით განსხვავებულ სისტემებში შეიყვანოს და ამით სავსებით განსხვავებულ ელემენტებს ამოუყენოს გვერდით. ყოველ შემთხვევაში ენას აქვს ამის პოტენცია, თუმცა კონკრეტული რეალიზაცია, შესაძლოა, არც ისე ხშირად ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ნებისმიერობა არ ნიშნავს განუკითხაობას, ამ ნებისმიერობას თავისი კანონზომიერება აქვს" (ბ.ჯორბენაძე, 1980, გვ. 261). ჩვენს შემთხვევაშიც გვაქვს ერთი შეხედვით ნებისმიერი, მაგრამ სინამდვილეში სავსებით ახსნადი, თუმცა არაძირითადი მოვლენა, სწორედ ამგვარი მოვლენების შესწავლა „წარმოაჩენს ენის „დაფარულ", ჯერ გამოუვლენელ შესაძლებლობებს, ენის პოტენციას, შეპირობებულს თვით მისი შინაგანი ბუნებით" (ბ.ჯორბენაძე, 1985, გვ.20).

რახან ფაკულტატიური გრამატიკა (resp. ფაკულტატიური ლინგვისტიკა) დაინტერესებულია დინამიკური ხასიათის ენობრივი მოვლენებით, მის სფეროში შემავალი მასალისადმი თავის ინტერესებს ავლენენ ფსიქოლინგვისტიკა და სოციოლინგვისტიკა. უილიამ ლაბოვი ვარაუდობდა, რომ ყველა ფართომასშტაბიანი ენობრივი ცვლილება წარსულში ხორციელდებოდა იმავე მექანიზმების ხელშეწყობით, როგორც მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც ჩვენს ირგვლივ ხდება (უ.ლაბოვი, 1975, გვ.201). უ.ლაბოვის ვარაუდი მის მიერ გამოკვლეული ენობრივი მასალის საშუალებით დადასტურდა, თუმცა, ბუნებრივია, რომ იქ არ ყოფილა გამოყენებული ფაკულტატიურობის ცნება. არადა, ფაკულტატიური ლინგვისტიკის პრინციპების მომარჯვება სხვადასხვა სისტემის ენების მიმართ საინტერესო სურათის მომცემი იქნება. ფაკულტატიურობის (შესაძლებლობითობის) ცნების გამოყენება იძლევა ზოგიერთი ენობრივი მოვლენისათვის ადეკვატური კვალიფიკაციის მიცემის საშუალებას. პრაქტიკული თვალსაზრისით ამის საჭიროება დიდი ხანია იგრძნობა, მაგრამ ამ მხრივ, ალბათ, გარკვეულ დაბრკოლებას ქმნიდა თეორიული ბაზის არარსებობა და ცნებითი აპარატის ჩამოუყალიბებლობა. ბესარიონ ჯორბენაძის აღნიშნულ ნაშრომში განხილულ საკითხთა წრე კი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ასპექტით ნათელჰყოფს, რომ აქ მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა არა მარტო ფაკულტატიურ გრამატიკას, არამედ, საერთოდ, ფაკულტატიურ ლინგვისტიკას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამოწმებული ლიტერატურა

მ.ვან ესბროკი, 1988 – M. van Esbroeck, La vision de Vakhtang Gorgasali et sa signification // პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1988.

ზ.კიკვიძე, 1993 – ზ.კიკვიძე, გრამატიკული ევფემიზმის გამოყოფის საკითხისათვის // ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1993, №2.

უ.ლაბოვი, 1975 – У.Лабов, О механизмах языковых изменений // НЛ, вып.7, Социолингвистика, М., 1975.

ლეს, 1990 – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ა.მეიე, 1921 – A.Meillet, Linguistique historique et linguistique générale. P., 1921.

აკ.შანიძე, 1990 – აკ.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები // თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ.III, თბ., 1980.

ბ.ჯორბენაძე, 1980 – ბ.ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ბ.ჯორბენაძე, 1985 – ბ.ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მახარობლიძე

ვექტორიალობის თეორიისა და ლინგვისტური ვექტორის შესახებ

ენა სისტემაა, ენის იერარქიის სხვადასხვა დონეებზე სტრუქტურის ერთეულები კანონზომიერად ურთიერთმიემართებიან – რაც გვაძლევს ლინგვისტურ ვექტორულ სიდიდეებს. ლინგვისტურ ვექტორს, ტერმინის გარდა, არაფერი აქვს საერთო მათემატიკურ ვექტორთან.

ლინგვისტური ვექტორის ფენომენი ძირითადად ღირებულია ტიპოლოგიისათვის. ვექტორი შეიძლება იყოს: დონეთაშორისი – A. მორფო-ფონოლოგიური – B. მორფო-სინტაქსური – C. მორფო-სემანტიკური და შიდა ვექტორი – A. ფონემათაშორისი (ფონოლოგიური) – B. მორფემათაშორისი (მორფოლოგიური) – C. სინტაგმათაშორისი (სინტაქსური) – D. ლექსემათაშორისი (ლექსიკური) – E. სემათაშორისი (სემანტიკური).

ვექტორი შეიძლება იყოს ცალმხრივი მიმართების ან ორმხრივი. ცალმხრივი მიმართების ვექტორი შესაბამისად იქნება პროგრესული ან რეგრესული (მაგალითად, ცალმხრივი მიმართების ვექტორით შეიძლება გადმოვცეთ პროგრესული და რეგრესული ასიმილაცია, დისიმილაცია ან სხვა ფონოლოგიური მოვლენები, ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში და ა.შ.). ფონოლოგიაში ვექტორის სიდიდე განისაზღვრება შუალედური ერთეულებით (დისტანციური და კონტაქტური პროცესები). ორმხრივი ვექტორული სიდიდეებია პირისა და ქცევის კატეგორიათა ურთიერთმიმართებები როგორც სემანტიკურ, ისე რეფერენციალურ (ე.ი. მორფო-სემანტიკურ) დონეზე.

განსხვავებით ფონოლოგიური ვექტორისაგან მორფო-სინტაქსში და მორფო-სემანტიკაში ურთიერთმიმართებათა ფუნქციონალური ვექტორები გამოიყოფა.

ტიპოლოგიური კვლევისას ღირებულია ასეთი ტიპის ვექტორთა დაფიქსირება რომელიმე A და B ენების სტრუქტურათა ერთეულების ურთიერთმიმართებათა ტიპოლოგიური ანალიზისათვის. მაგალითად, ქართულ ენაში რიცხვითი სახელი განსაზღვრებად განაპირობებს ქვემდებარე მსაზღვრელის და შემდგომ შემასმენლის მხოლობით რიცხვს, ე.ი. რიცხვის მორფო-სემანტიკური შინაარსი მთლიანად თავსდება ქვემდებარის განსაზღვრებაში. ინდოევროპულ ენებში მაგალითად, რუსულში, ინგლისურსა და ესპანურში – პირიქით – ასეთ შემთხვევაში სემანტური ღირებულების ვექტორი მიემართება მსაზღვრელისაკენ და შემდგომ შემასმენლისკენ უკვე მორფოლოგიურად რეფერენცირებული სახით. ეს გახლავთ ცალმხრივი მორფო-სემანტური (უმეტესწილად პროგრესული ვექტორი). პარალელურად ეს ვექტორი ნულოვანია ქართულში. ეს არის კატეგორიალურ დონეზე ტიპოლოგიური შედარების მაგალითი.

ცალკე აღსანიშნავია სივრცითი განზომილებების გრამატიკულ ვექტორთა სიდიდეები. ზემოთ საუბარი იყო თეორიული სახის ვექტორზე, რომელსაც მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიპოლოგიური ღირებულება შეიძლება გააჩნდეს, სივრცითი გრამატიკული ვექტორი კი რეალური, კონკრეტული მიმართულებითი ფენომენია, რაც ქმნის ამა თუ იმ ენაში სხვადასხვა ტიპის მორფემულ აფიქსთა (ძირი, ზმნისწინი, თანდებული) და მორფო-სემანტური კატეგორიების კანონზომიერ სტრუქტურას.

ქართული ენის მორფოლოგიაში სივრცითი ვექტორი დასტურდება ნაცვალსახელებში, თანდებულებში, ზმნისწინებში, ადგილის ზმნიზედებში და ნაწარმოებ სახელებში. ქართულ მორფოლოგიაში სივრცითი ვექტორი იძლევა შესაბამის სპეციფიკურ სტრუქტურას, რომლის პირველი პარამეტრი არის მეტყველების სუბიექტის – ე.ი. პირველი პირის მდებარეობის განსაზღვრა სიშორე-სიახლოვის თვალსაზრისით. აქ, ერთის მხრივ, გამოიყოფა ნაცვალსახელური სისტემა ეს – ეგ – ის (იგი) მესამე პირის ნაცვალსახელები (შესაბამისად, ჩვენებითი ნაცვალსახელების იდენტური სისტემა). მეორეს მხრივ, გვაქვს ზმნიზედური ფორმები აქ-იქ, აქეთ-იქით და აქედან ნაწარმოები სახელები: სააქაო, საიქიო, აქაური, იქაური, სააქეთო, საიქეთო და ა.შ. ზმნაში ზმნისწინით გადმოცემული ორიენტაციის კატეგორია გვიჩვენებს მეტყველების სუბიექტთან სივრცით მიმართებებს, რაც ქართულში მო- ზმნისწინის დართვით და მარტივი ზმნისწინის გართულებით მიიღება.

ყველაზე უფრო სრულყოფილი სახით სივრცითი გრამატიკული ვექტორი ასახულია ზმნისწინთა და თანდებულთა სისტემაში. აქ კონკრეტული მიმართულებებია განსაზღვრული, რასაც ჩვენ აღარ განვიხილავთ დეტალურად. მხოლოდ აღვნიშნავთ, იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში მორფოლოგიურად რეფერენცირებულია ყველა ტიპის მიმართულება (ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ, გარედან შიგნით, შიგნიდან გარეთ, ბარიერს იქით და ა.შ.). რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ასეთი ტიპის ვექტორული რეფერენტები გარკვეულ კოორდინაციაში არიან სახელთა ბრუნების სისტემასთან და ზმნათა უღლების პარადიგმატიკასთან (მაგალითად, როდესაც ზმნისწინს ასპექტის დასრულების ფუნქცია აკისრია, მიმართულების გამოხატვის ფუნქცია ან საერთოდ იკარგება ან სუსტდება).

აგრეთვე ცალკე უნდა გამოიყოს დროის ვექტორიალური სიდიდე – ძირითადი სამგანზომილებიანი მოდელით. აქაც აღინიშნება შესაბამისი მორფო-სემანტური სტრუქტურების არსებობა. გრაფიკულად ეს შეიძლება შემდეგნაირად გადმოიცეს:



სადაც 0 იქნება ახლა, ამჟამად, დღეს, წელს, ამ მომენტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

-1. გუშინ, წეღან, შარშან
-2. გუშინწინ, შარშანწინ
-3. გუშინწინის წინ, შარშანწინის წინ

1. ხვალ, გაისად, მომავალ წელს
2. ზეგ, ერთი წლის შემდეგ
3. მაზეგ და ა.შ.

ნათელია საუბრის მომენტთან შეფარდებაში კვირის დღეებისა, თვეებისა და სეზონთა განლაგებაც დროის გრაფიკზე.

გვინდა, გამოვყოთ დესტანატური ვექტორის არსებობა ქართულ ენაში. ის დანიშნულებითი მიმართებები, რომლებიც ქცევის ინტრო და ექსტრავერტული ფორმებით გადმოიცემა თავისი შესაბამისი მორფოლოგიური მარკირებით, შესაძლოა შემდეგნაირად იქნეს ასახული:



$\overrightarrow{S_1 O_2}$ დესტინატური ვექტორი რეფერენცირდება *i* პრეფიქსით.
$\overrightarrow{S_1 O_3}$ ვექტორი რეფერენცირებულია *u* პრეფიქსით და ა.შ.

დესტანატური ვექტორი ქართულ ენაში გვაძლევს განსაკუთრებულ მორფოლოგიურ სისტემას (მეტყველების ცვალებად და ფორმაუცვლელ ნაწილებში).

მორფოლოგიაში ვექტორი შეიძლება მხოლოდ რეფერენტების დონეზე გავიაზროთ, რაც ძირის და აფიქსის ფორმალურ ურთიერთობებს ასახავს (პრეფიქსი, სუფიქსი, ცირკუმფიქსი, ინფიქსი) მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო მართებული იქნება მორფო-სემანტიკის პოზიციიდან მიდგომა, რამდენადაც მორფოლოგიური რეფერენტები სემანტიკური ღირებულების მქონენი არიან და ენის ეს ორი დონე მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ამიტომ ჩვენ გამოვყოფთ მორფო-სემანტიკურ და მორფო-სინტაქსურ ვექტორებს.

საერთოდ, ამჟამად ვექტორიალობის თეორია ძიების სტადიაშია და მოითხოვს შემდგომ კვლევას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

ვ.ბანარუ, 1980 -Банару В.И., Типы предикации в английском языке. Кишинев. Штиниа. 1980.

ი.ვეშაპიძე, 1967 - ი.ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.

ვ.თოფურია, 1979 - ვ.თოფურია, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში, შრომები, III, თბ., 1979.

ა.მარტიროსოვი, 1946 - ა.მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე, ტ.I, თბ., 1946.

ა.მარტიროსოვი, 1964 - ა.მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

მ.მაჭავარიანი, 1987 - მ.მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

ა.შანიძე, 1980 - ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

ა.ჩიქობავა, 1961 - არნ.ჩიქობავა თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში, ქართულ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა იმნაძე

წაკვეთილ სონორთა აღქმისათვის სალიტერატურო ქართულში

შესწავლილ იქნა ა ხმოვანთან წარმოთქმული სონორების წაკვეთის შედეგები (პოზიციები SV და VS). ა ხმოვანი ავირჩიეთ იმდენად, რამდენადაც იგი არ ტვირთავს სონორებისათვის საჭირო აქტიურ ორგანოს. ამასთან, სხვა ხმოვნებთან შედარებით, ნეიტრალურია. ამ პოზიციაში წარმოთქმულ სონორებს თანდათანობით (5-10 მსეკ-ის გრძლივობით) ვაკვეთდით საწყის და ბოლო ნაწილებს, დარჩენილ მონაკვეთებს კი არეული რიგით ვასმენინებდით აუდიტორებს. მოვიწვიეთ 20 აუდიტორი, განათლებით ენათმეცნიერი. მათ ევალებოდათ ქართველური ენების ანბანით ან სხვა ფონეტიკური ნიშნებით ჩაეწერათ აღქმული ბგერები.

სწორი აღქმა

ავაგეთ ორივე ტიპის მონაკვეთების აღქმადობის მრუდები [მრავალსიტყვაობის თავიდან ასაცილებლად (I ტიპის მონაკვეთებით აღვნიშნავთ თავწაკვეთილ მონაკვეთებს (პოზიცია VS), II ტიპისათი – ბოლოწაკვეთილ მონაკვეთებს (პოზიცია SV)]. მათმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი და იმავე გრძლივობის სტიმულებში კარგ აღქმადობას ამჟღავნებენ ბოლოწაკვეთილი სონორები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინიმალური გრძლივობა, რომლის დროსაც დადასტურდა სწორი აღქმა, ბოლოწაკვეთილებს უფრო მცირე აქვთ.

როგორც ჩანს, როცა სონორს (სპირანტის მსგავსად) შენარჩუნებული აქვს შემართვა, მისი გამოცნობა უფრო ადვილია, ვიდრე ამ ფაზის გარეშე წარმოდგენილი მონაკვეთისა. თანაც რაც უფრო ემატება გრძლივობა სონორულ მონაკვეთებს, მით უფრო უმჯობესდება მათი აღქმა, რადგან მათ თანდათან ეძლევათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახე. რაც შეეხება თავიდან წაკვეთილ სონორს, მას სჭირდება საკმაოდ დიდი გრძლივობის სტაციონარული ნაწილი, რომ სწორად იქნას აღქმული. როგორც ჩანს, აღქმადობა გააუმჯობესა შემართვის ქონამ.

ორივე ტიპის სტიმულთა მიწოდებისას უკეთესი გამოცნობადობა დაუდასტურდათ რ და მ სონორებს, მათ ჩამორჩება ნ, ხოლო ყველაზე ცუდი გამოცნობადობა გვაქვს ლ და ვ სონორების შემთხვევაში.

რ ბგერის სწორ აღქმადობას, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს მკაფიოდ გამოხატული ვიბრანტობა, რაც ამ ბგერის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა, თანაც ეს თვისება არც ერთ სხვა სონორს არ ახასიათებს. ამიტომაც არ გაუჭირდათ მსმენელებს მისი სწორად აღქმა.

რაც შეეხება მ-ს, იგი სონორთა შორის ყველაზე წინ იწარმოება და თანაც ახასიათებს ნაზალურობა. სავარაუდოა, რომ ეს ორი მხარე (დაბრკოლების ძირითადი ადგილის ექსტრემალურობა და ნაზალურობა) გვაძლევს მისი სწორად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცნობის საშუალებას.

შევუდაროთ ერთმანეთს სხვადასხვაგვარად წაკვეთილი სხვადასხვა სონორების აღქმა. ისინი ქმნიან თეორიულად შესაძლებელ 20 წყვილს: მ$_I$ნ$_2$, მ$_I$რ$_2$, მ$_I$ლ$_2$, მ$_I$ვ$_2$, რ$_I$ნ$_2$, ნ$_I$ლ$_2$, ნ$_I$ვ$_2$, რ$_I$ლ$_2$, რ$_I$ვ$_2$, ლ$_I$ვ$_2$, მ$_2$ნ$_I$, მ$_2$რ$_I$, მ$_2$ლ$_I$, მ$_2$ვ$_I$, რ$_2$ნ$_I$, რ$_2$ლ$_I$, ნ$_2$ვ$_I$, ნ$_2$ლ$_I$, რ$_2$ვ$_I$, ლ$_2$ვ$_I$.

მხოლოდ ორი შემთხვევა აღინიშნა, როცა სხვადასხვა ტიპის სტიმულებს დაახლოებით ერთნაირი აღქმადობა ახასიათებთ (ნ$_2$რ$_I$, ვ$_2$რ$_I$). დანარჩენ 18 შემთხვევაში II ტიპის მონაკვეთების აღქმადობის ხარისხი უკეთესია I ტიპისაზე.

მაშასადამე, სხვადასხვა ტიპის სხვადასხვა სონორთა შედარებისას უკეთესი აღქმადობა უდასტურდებათ მონაკვეთებს, რომელთაც წაკვეთილი აქვთ ბოლო ნაწილი და შენარჩუნებული აქვთ შემართვა. ამ შემთხვევაშიც იგივე შედეგი მივიღეთ, როგორიც გვქონდა სხვადასხვა ტიპის ერთი და იმავე სონორთა შედარებისას. ამის მიზეზზე კი ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

თანხმლები („პარაზიტული") ბგერების აღქმა

სწორ აღქმასთან ერთად, შეინიშნება სონორთა აღქმა თანხმლებ („პარაზიტულ") ბგერებთან ერთად. II ტიპის სტიმულთა მოსმენისას აუდიტორები თანხმლებ ბგერებს აღიქვამენ წაკვეთილ მონაკვეთთა ბოლოს, როგორც წაკვეთის მიხედვითაა მოსალოდნელი. გვაქვს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა სონორის (მ, რ, ვ) თავში თანხმლები ბგერის აღქმისა.

თანხმლებ ბგერებად აუდიტორები უმრავლეს შემთხვევაში აღიქვამენ ჭ, ჭყ, ყ ბგერებს. როცა თანხმლებებად ჭ ან ჭყ-ს აღიქვამენ მსმენელები, ამ შემთხვევაში სავარაუდია, ვლინდება მათი (მსმენელების) მისწრაფება მარცვლოვანი აღქმისაკენ, ხოლო, როცა ყ-ს აღიქვამენ, ეს უნდა უკავშირდებოდეს წაკვეთის შედეგად ბგერითი ენერგიის მკვეთრ ზრდას, რაც ყ-ს ეფექტს იძლევა.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ზემოთ ხსენებულ „პარაზიტულ" ბგერებს გარდა რ, ვ სონორების თანხმლებებად თავში აღიქმება ბ (რ-ს შემთხვევაში), ღ, ზ (ვ-ს შემთხვევაში). ეს სავსებით კანონზომიერი ჩანს: რ სონორი მკაფიოდ გამოხატული ვიბრანტია. მისი წარმოთქმისას ენის წინა ნაწილი ხან უახლოვდება (ზოგჯერ შეიძლება შეეხოს კიდეც), ხან კი შორდება ნუნებს. თუ იმ მომენტშია რ წაკვეთილი, როცა გვაქვს საარტიკულაციო ორგანოების მაქსიმალური მიახლოება (ან შეხება) ერთმანეთთან, სრულიად ბუნებრივია ასეთი მონაკვეთის აღქმა ბ ხშულის თანხლებით: წაკვეთისას მიღებული ეფექტი - სიჩუმიდან ბგერაზე მკვეთრი გადასვლა - ყველაზე მეტად მოგვაგონებს მაქსიმალურად მეყსეული ბაგისმიერი ხშულის სკდომას. ხოლო რ-ს პერიოდული რხევები განაპირობებს სწორედ მჟღერი ფონემის (ბ-ს) აღქმას და არა ყრუ ბგერისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ვ-ს, იგი სონორობით ჩამორჩება დანარჩენებს და საკმაოდ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს მჟღერ სპირანტებთან (ამიტომაც განიხილავს ბევრი მკვლევარი მას სპირანტებთან ერთად). ამიტომ სავსებით მოსალოდნელია ვ-ს თანმხლებებად ზ-ს ან ღ-ს აღქმა.

I ტიპის სონორულ მონაკვეთთა მოსმენის შედეგად აუდიტორები თანმხლებებად ბგერებს ყოველთვის თავში აღიქვამენ, როგორც წაკვეთის მიხედვითაა მოსალოდნელი. არც ერთი შემთხვევა არაა, რომ თანხმლები ბოლოკიდურად იქნას აღქმული.

თანმხლებ ბგერებად წარმოდგენილია გ, გყ, ყ ბგერები, როგორც II ტიპის მონაკვეთების მოსმენისას გვქონდა. ამ ბგერების აღქმის მიზეზად იგივე უნდა დავასახელოთ, რაც II ტიპის სტიმულების მოსმენის შედეგების ანალიზისას გვქონდა – მისწრაფება მარცვლის აღქმისაკენ.

სხვა ბგერების აღქმა

თანმხლები („პარაზიტული“) ბგერების გარდა შეინიშნება სონორული მონაკვეთების მოსმენის შედეგად სხვა ბგერების აღქმა.

I ტიპის სონორული მონაკვეთების მოსმენისას შეინიშნება ერთი, ორი, ხანდახან სამი ბგერის აღქმა. როცა ერთი ბგერაა აღქმული, იგი, უმეტესად, არის გ ან უ ხმოვანი, სხვა სონორი, ყ ბგერა. ორი ბგერიდან ერთ-ერთი, ჩვეულებრივ, არის გ ან უ ხმოვანი, მეორე კი – სხვა სონორი, ყ ან უ ბგერა. სამი ბგერიდან ერთ-ერთი არის გ ან უ ბგერა, დანარჩენები – სხვა სონორები ან ხმოვანი + ყ ბგერა. ვ-ს მონაკვეთების მოსმენისას, ზემოთ ჩამოთვლილი ბგერების გარდა, აღიქმება ღ სპირანტიც.

I ტიპის მონაკვეთების მოსმენისას სტიმულის გრძლივობის მომატებასთან ერთად არ მცირდება სხვა ბგერების აღქმა. ეს არ იყო მოსალოდნელი, რადგან გრძლივობის მომატებასთან ერთად იზრდება სტაციონარული ნაწილი, რასაც უნდა გაეადვილებინა სონორების სწორი გამოცნობა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში სხვა ბგერების აღქმა შედეგია სონორის წარმოთქმისა ხმოვნის შემდეგ: რაც უფრო ემატება სონორს გრძლივობა, მით უფრო გამოიკვეთება წინ წარმოთქმული ა ხმოვნის კოარტიკულაციური გავლენა, რაც იწვევს სხვა ბგერის აღქმას.

II ტიპის მონაკვეთების მოსმენისას აუდიტორები აღიქვამენ ერთ, ორ, იშვიათად სამ ბგერასაც.

როცა სონორული მონაკვეთი აღქმაში ერთი ბგერით იცვლება, იგი არის, ჩვეულებრივ, სხვა სონორი, დახურული ხმოვნები (გ, უ), უმარცვლო უ, ყ ბგერა. ვ-ს შემთხვევაში კი ამ ბგერის გარდა, წარმოდგენილია ჩქამიერი თანხმოვნები ზ, ღ. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგივე ზ, ღ სპირანტები აღიქმებოდა თანმხლებ („პარაზიტულ“) ბგერებად. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც (არა თანმხლებ, არამედ შემცვლელ ბგერებად აღქმისას) დადასტურდა ვ-ს სიახლოვე მჟღერ სპირანტებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი შემცველი ბგერიდან ერთი არის დახურული ხმოვანი (ჷ ან უ), მეორე კი – ან სონორი ან ყ ბგერა.

სამი შემცველი ბგერიდან ერთი არის ჷ ხმოვანი, რომელიც, უმეტესად, ჩართულია სხვა სონორსა და ყ-ს შორის. როგორც ვხედავთ, სონორული მონაკვეთების შეცვლა სხვა ბგერებით კანონზომიერ სურათს იძლევა: შემცველი ბგერები აკუსტიკურად ახლოს არიან სონორებთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მ სონორი აღქმისას ძალიან იშვიათად გადადის ნ-ში, საპირისპირო სურათი კი ჩვეულებრივია: ნ ძალიან ხშირად გადადის მ-ში. ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა მ ბგერის მეტი „სიძლიერე" ნ-სთან შედარებით.

მ-ის მაღალი გამოცნობადობა დადასტურდა იმითაც, რომ იგი ძალიან იშვიათად გადადის სხვა ბგერებში. ამ მხრივ მას ემსგავსება რ სონორი. ამ უკანასკნელის დიდი „სიძლიერე" უკავშირდება მის ინტენსიურ ვიბრანტობას, რითაც იგი გამოირჩევა სხვა სონორებისაგან.

I ტიპის მონაკვეთებისაგან განსხვავებით, რაც უფრო იზრდება II ტიპის მონაკვეთთა გრძლიობა, მით უფრო მცირდება აღქმის მრავალფეროვნება და იზრდება აღქმის სიზუსტე, რაც სავსებით კანონზომიერია: როცა სონორულ მონაკვეთებს შენარჩუნებული აქვთ შემართვაც და სტაციონარული უბანიც ემატებათ, მცირდება მათი აღქმა სხვა ბგერებად.

ჩატარებული ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. სხვადასხვანაირი წაკვეთა აღქმის განსხვავებულ სურათს იძლევა, კერძოდ, თავიდან წაკვეთა აფერხებს სონორთა სწორ აღქმას, ვიდრე ბოლოდან წაკვეთა. თუ სონორს შენარჩუნებული აქვს შემართვა, შედარებით ნაკლები გრძლივობაა საჭირო მის სწორად აღსაქმელად. შემართვის გარეშე კი საჭიროა დიდი გრძლივობის სტაციონარული ნაწილი. ანალოგიური შედეგი გვქონდა ხმოვანთა და სპირანტთა მონაკვეთების ანალიზის შემთხვევაში. როგორც ჩანს, მყოვარი ბგერების სწორი აღქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემართვას.

2. არაზუსტი აღქმის შემთხვევაში გვაქვს სონორთა გადასვლა ისევ სონორებში ან ხმოვნებში, რაც სავსებით კანონზომიერია. გამონაკლისია ვ, რომელიც ხანდახან ჩქამიერებად (ზ, ღ) აღიქმება. ამ შემთხვევაში გამოჩნდა მისი ერთგვარი სიახლოვე სპირანტებთან. ამდენად, არაა მოულოდნელი, რომ ზოგი მკვლევარი მას სპირანტად თვლის.

3. „გამძლეობის" თვალსაზრისით, გამოირჩევიან მ, რ სონორები, რომლებსაც ჩამორჩებიან ნ, ლ, ვ სონორები. როგორც ჩანს, აქ იმოქმედა მ, რ სონორთა გამორჩეულმა არტიკულაციამ: მ არის ყველაზე წინა წარმოების ნაზალური სონორი, რ კი – მკაფიოდ გამოხატული ვიბრანტი. წარმოების ასეთმა ექსტრემალურობამ განაპირობა მათი კარგი გამოცნობადობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია გულედანი

ə ფონემის დისტრიბუციისათვის სვანურში (ანდაზების ენისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების მიხედვით)

ə ფონემას, ჩვეულებრივ, ირაციონალურ, ანუ გაურკვეველ, ანაპტიქსურ ან ნეიტრალურ ხმოვანს (და არავითარ შემთხვევაში „ნახევარხმოვანს") უწოდებენ (გ.ახვლედიანი, 1938 გვ.158-159). ის, როგორც წესი, მეორეული წარმოებისაა (ქ.ლომთათიძე, 1976, გვ.45; ს.ჟღენტი, 1949, გვ.66; მ.ქალდანი, 1969, გვ.126) და ხშირად გვევლინება თანხმოვანთგამყარი ბგერის როლში (გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.100). ə შესაძლოა იყოს: მახვილიანიც, გრძელიც, ნარედუქციალიც, დელაბიალიზებულიც, ნაუმლაუტარიც...

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების (მ.ქალდანი, 1955, გვ.14-178) მიხედვით, თანხმოვანთგამყარი ბგერის ჩართვა ə-ს სვანურში მეტწილად მ, ნ, რ, ლ სონანტებთან მეზობლობაში აკისრია. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ განსახილველი ფონემის პოზიცია სხვა თანხმოვნებთანაც სვანური ანდაზების მიხედვით და რაკიღა ეს უკანასკნელი გამოცემულია ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავზე, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი მასალა შევუდარეთ თანამედროვე ლახამულურ მეტყველებას. მეორეული ფონემის ამოსავლის ძიებისას, ცხადია, დაგვჭირდა ბალსზემოური და ქვემოსვანური დიალექტების მონაცემებიც.

გარდა სათანადო პუბლიკაციებისა, გამოვიყენეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავა სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაცული სვანური ლექსიკონი (კორექტირებული და გამოსაცემად გამზადებული) და ჩვენ მიერ ზემო სვანეთში შეკრებილი მასალაც:

I – ანდაზები

1. ლə:რყს ბəდოშვ ესერ აკვეპურეხ – არაყს ვეხლის მოკიდებით სინჯავენო (14,94 (ა.დავითიანი, 1973), ბəდა (ლხმ), ლი-ბდ-ი-ე (ბზ.) „მოკიდება (ვეხლისა)", ხ-ე-ბიდ-და „ეკიდა", და-ხ-ბიდ-ნე „მოუკიდა". ბალსზემოური დიალექტის ჩვენება გვიდასტურებს, რომ ə ფონემა ი ხმოვნის ბგერინაცვალი უნდა იყოს.

2. დəჯს კუნ მəგვე ნაცყვერუნდ ესერ ახკედა – დევს ხარი კბილის საცობად მოუნდაო (კბილებში გაეჩხირაო) (31,36);

ინჯარს მəგქმი ლედავი ესერ ოხყვიდა – ჯავრს ძირი კბილი ამოუძვრიათ (44,18) შდრ. მდიქ (სახ.პრ.).

3. მალვან ჩəშხრუქა ლოს ესერ ხოზ – ქონება ფეხქვეშ არავის უდევსო (81, 217).

წორუნდვე ჩəშხვე ლოგნა დემეგ ესერ ესხეს ეშე, ეჯდი ჩიჩოვ გვი ხოსდ – სისხლის ზღვის (სამლაურის გადახდის) შემდეგ ფეხის დასადგამიც რომ არ დარჩეს, მაინც კარგ ბუნებაზე იდგაო (17,30). ჩəშხ (შდრ. ქართ. კუნწუხლ, ნეგრ კეჩხ-).

26899
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულად წყვილბაგისმიერ უ-ს შეიყავდა ფუძეში, რომლის გავლენით მიცემითი ბრუნვის ფორმანტი -ჰ დაკარგულა. შემდეგ თვით ფუძის უ-ც შეუცვლია ი-დ, რომელიც სახელობითშია ამჟამად დაცული, მიც.ბრუნვაში კი მას ვ ენაცვლება: ჭიშხ < ჭვ^შხ – ი* < ჭუშხ-ი (თ.შარაძენიძე, 1955, გვ.129). ჭვშხ, შდვძ ლექსემებს გვერდით უდგას შიყ/შვყ (ვ.თოფურია, 1946, გვ.84). ანდაზებში ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ: როცა შიყ კომპოზიტის შემადგენელი ნაწილია, თუნდაც მეორე კომპონენტი ძირში ვ ფონემას შეიცავდეს, მაინც არ იცვლება: შიყლაჰვდ – „მისაყრდენი ზურგი" (162,60). ბალსქვემოურ ის თავრარულ კილოკავში გვხვდება შვყ- ძირი ტოპონიმის სახით: ღლი აშხვ შვყ ოდგის ჩოლზიგელი – ამ სოფლის ერქანლვე შვყ-ერ ათვახენა – ეს ერთ ამაღლებულ ადგილას დასახლებულა. ამ სოფელს შემდეგ შვყერი დარქმევია (სვ.ენ.ქრესტ., 1978, გვ.195).

3.გვირკს ზვსყი ესერ ხვლად ოდგენა – იცლისს ნედლი ხმელად უქცევიათ (27, 52. ბზ. ზვსყი = ნედლი. სვანური ენის ლექსიკონში ვკითხულობთ: ზვსყი (ხოზვსყა, მ·ჰზვსყე ზსვ., ხოზვსყა, ზვსყარა ‖ ზვსყიარა ქსვ.) „ნედლი". ბზ. ზვსყი ზექს ხოლშმე ხებდინი – ნედლ შეშას ცუდად ეკიდება. ბქ. ბეფშვს უჟხრიშ ზვსყი ფაჩს ხასგვრეხ – ბავშვს მსხლის ნედლ ჯოხზე შესვამენ. ლშხ. ალ ბალახს ზვსყის მოჰთვშ ჟაგარდ იკმარიხ – ამ ბალახს, ნედლს, სიცხის წამლად ხმარობენ. ლნტ. ზვსყიში მორკილ ლისყეჲს მოდ ხაყა – ნედლი მასალისგან (ნედლზე) მარხილის გაკეთება არ შეიძლება. ხოზვსყა ფიცარ ჩულეფრე ლი – უფრო ნედლი ფიცარი გასახმობიათ. ზვსყის ლენტეხურში მიუღია საპირისპირო სემანტიკური გადასვლა („მშრალი") და მკვეთრ ფონემათა სუბსტიტუციის საფუძველზე წარმოდგენილია ზვსკი'ს სახით. სვანურ ლექსიკონში ეს ფორმა შესაბამისი ხარისხებით (ხოგვსკა, მაზვსკე) ზემოსვანურად ითვლება, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ის ვერ დავადასტურეთ ვერც ცოცხალ მეტყველებაში და ვერც ანდაზების ენაში, სადაც გვხვდება ლექსემა ფიკვი („მშრალი").

ჩვენი ყურადღება მიიქცია ბალსზემოურმა მასდარმა ლი-ზუსყვ-ონ-ე (ხის გამომშრალ კასრში ერთი კვირის მანძილზე შეუშვებენ გამდინარე წყალს; კასრი თანდათანობით ივსება, რომ მასში ცხელი საარყე მასალის ჩასხმისას ნაჩვრეტებში არ გაჟონოს სითხე) – „დალბობა, განედლება". აწმყ.: ო-ზუსყვ-ონე „ანედლებს", „ალბობს"; აორისტ.: ად-ზუსყვ-ნ-ე „დაანედლა", „დაალბო" შესაძლოა, ზუსყვი ‖ ზვსყი ფუძეშიც უ/ვ მონაცვლეობა ვივარაუდოთ.

4.ტყვ..რიხენ ნეყირ ხანჯარ დემ ესერ ქვიცე, ეჯგვარ ლვშერე მე ირი – ბრტყლად დარტყმული ხანჯალი არ ჭრის, რაც კარგი მოლესილი უნდა იყოს (135,26). შდრ. ბზ. ტაფ და ქართ. ბრტყ-ელ-ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II – ინლაუტი

I. ესკჷრია მინდერილისგა დეშ ესერ ათსკჷდა – ვაჟმაძღარი მინდორში ვერ დატეულაო (I39,65). ეჯაბჟასდოშ ლასკჷდს დეჲ ესერ იშგდელ – საიქიოში ფასაჸევს (ადგილს) არავინ კითხულობსო (38,31); შდრ. ბზ.: ლი-სკჷდ-ე „დატევა". შესაძლებელია, ეს ძირი უკავშირდებოდეს ზედსართავ სახელს სკოდი „ღრმა".

2. ქვინ ლიქწიელდი ძღჷს ესერ ხაჸბჷნე: „ამზჷქა მიჩ ესერ ხოთრინალა" – სული ამისდომისას ხორცს აფურთხებს: „ამდენხანს რას გათრევდიო" (I50,74); შდრ. ბზ. ამზჷმქა. მას შემდეგ, რაც დაიკარგა აუსლაუტის -მ თანხმოვანი, ჷ ბგერა აღმოჩნდა ზ და ქ ფონემათა გამყარი. აქაც ჷ გვევლინება უ-ს ბგერინაცვლად (ბზ. ამზუმ „ამდენი").

3. ხოლა ქირთელისგა ჰასვიშ აშკარ ესერ ლეშჷგვები ლი – ცუდ ოჯახში გათხოვილი ქალი ყოველთვის დასახმარებელი არისო (I84,I0I). შდრ. ბზ.: ლე-შობდგი ლი – „საზრუნავია, გასაფუფუნებელია". აგრეთვე: ისგვშ ლა-შობდგს ქამეყრე ხვარ – „შენზე ზრუნვა შეწყვეტილი მაქვს". თუ გავითვალისწინებთ, რომ მასდარი ლი-შობდგი და ზმნური ფორმები: ა-შობაგი „აფუფუნებს", ად-შობაგე „გააფუფუნა" აღნიშნული ვითარების გამომხატველნი არიან, ვინემ ლახამულური ლე-შჷგვებ-ი ფორმა, მაშინ, შეგვიძლია იმის თქმა, რომ ჷ ო ფონემის ბგერინაცვალია; საყურადღებოა რომ ანდაზაში დადასტურებულ ფორმაში მიმხდარა მეტათეზისი: ბზ. ლე-შობდგ-ი > ლხმ. ლე-შჷგვებ-ი.

III – აუსლაუტი

I. ანდაზაში არ არის, მაგრამ ერთ ლახამულურ ტექსტში ჩვენ დავადასტურეთ იქეიფჷდს (სვ.ენ.ქრესტ., 1978, გვ.I88) ფორმაც: ტაბღბს ეჩეჩუ როქვ ლჷმვემნელიხ, იქეიფჷდხ როქვ ი ხაჯღავახ ჩვიბშოჲს – ტაბლას იქვე დადგამდნენ თურმე, ქეიფობდნენ და დასცინოდნენ ქვემოურებს; შდრ. ბზ.: იქეიფხჷდ, სადაც მრავალგზისი მოქმედების აღმნიშვნელი -ჷდ ნაწილაკი გარკვეულ გრამატიკულ მონაცემს ბოლოში დაერთვის. რაც შეეხება ლახამულურ ი-ქეიფ-ჷდ-ხ ფორმას, აქ -ჷდ ბალსქვემოური დიალექტისათვის დამახასიათებელი მორფემაა ნამყო უსრულში (ვ.თოფურია, I967, გვ.I58).

ზოგჯერ სიტყვის ორსავე ნაწილში (როგორც ანლაუტში, ისე აუსლაუტში) შეიძლება შევხვდეთ თანხმოვანთგამყარ ჷ, რომელიც სრული ხმოვნისაგან მომდინარეობს: კჷღჷნ ესერი მავინ ლი მიჩანაზიმჟი – კოლოც მავნეაო თავის კვალობაზე (47,26); შდრ. ბზ. კუღვინ II კუღენ; ბქ. კჷღჷნ; ლშხ. კოლონ; ლნტ. კოლონ „კოლო". აქ ჷ აშკარად ო ხმოვნის ბგერინაცვალია.

ყურადღებას იქცევს ჩჷდ ძირი, სადაც განურჩევლად პოზიციისა (ანლაუტი, ინლაუტი, აუსლაუტი) ყოველთვის გვხვდება ჷ ჩ-დ ფონემებს შორის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ჩgდურ ქანჭშ თოკვ ლემ ესერ იშდრხნი – სართავის ჩაურთავად კანაფის თოკი არ დაიგრიხებათ (170,39). 2. ამახვ ესეროვ ლი, ლიმერჩ – ლიღვაუდ დემთე ჩgდა – მერისას ისეთი, ვინც სიბერე-სიყრმეში საქმეში არ ჩარეულათ (9,18). 3. ჲორვ ჲახვემ ჭაშვ ლარჩgდალ ესერ ლემესგ ხოშვ – ორი ცოლის ქმარს საზიარო ვედრო უნთიათ (120,11). 4. ლაზობს მეჩgდოლ ლაჩომსოვი ლოჲჩgდალ – ჭამის მოზიარე მუშაობაშიც შეეზიაროსო (48,19). 5. მიჩემურ მთ ჩუ იმყოდილეს, ეჯის ნეჲოვ ლოხჩgდ – რაც უშენოდ გაკეთდება, იმაში ნუ ჩაერევიო (100,488). შდრ. გზ. ლg-ჩოდ „ნარევი პური“, რაც გვავარაუდებინებს -ი ამოსავალ ფორმას, რომლის გერინავალიც უნდა იყოს -g ფონემა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

1. g ფონემა სვანურში გვხვდება როგორც ანლაუტში, ისე ინლაუტსა და აუსლაუტში შემდეგი თანხმოვანთკომპლექსების გამყარად: ბgდ, ფgდ, ფgთ; დgბ, დgდ, დgპ, დgთ, დgხ; ზgს, ზgქ; კgდ, კgლ, კgჩ, პgდ; სgპ; სgპ; პgხ, ტgპ; ლgბ, ლgფ, სცgფ; შgდ, შgმ; ჩgდ, ჩgჩ; ცgპ, ცgხ; წgხ, ხgდ, ხgპ, ხgპ; მgდ; ჯgჯ; ქgდ... ზოგჯერ პირველი კომპონენტი ჰარმონიული კომპლექსია (ჩხgპ, სცgფ...). 2. ზემოაღნიშნული პოზიციები უმთავრესად ერთი მორფემის ფარგლებს გულისხმობს, თუმცა იშვიათად მიღწეული იყო მორფემათა ზღვარის შესაბამისი მასალაც. 3. g ნეიტრალური ფონემაა სვანურში, ძირითადად მეორეული წარმომავლობისა. სტატიაში მოცემულია ყვა ამოსავალი ვითარების შეძლებისდაგვარად სწორი გააზრებისა. 4. g ფონემის დისტრიბუციის შესწავლა კვლავაც გაგრძელდება.

ლიტერატურა

გ.ახვლედიანი, 1938 – გ.ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1938.

ა.დავითიანი, 1973 – ა.დავითიანი, სვანური ანდაზები, 1973.

ვ.თოფურია, 1946 – ვ.თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, 1946.

ვ.თოფურია, 1967 – ვ.თოფურია, სვანური ენა, ზმნა, 1967.

ქ.ლომთათიძე, 1976 – ქ.ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, 1976.

დგ.მაჭავარიანი, 1965 – გ.მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, 1965.

ს.ჟღენტი, 1949 – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949.

სვანური ენის ქრესტომათია, 1978.

მ.ქალდანი, 1955 – მ.ქალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, 1955.

თ.შარაძენიძე, 1955 – თ.შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, 1955.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ჭუმბურიძე

უქონლობის სახელები ქართულში

უქონლობის სახელები ქართულში ძირითადად ორი კონფიქსით იწარმოება: უ – ო და უ – ურ. მარტოოდენ უ- პრეფიქსი გამოიყენება ზმნური ფუძისაგან უარყოფის გამომხატველ მიმღეობათა წარმოებისას. ამ შემთხვევაში ზმნური ფუძე ზოგჯერ მარტივი სახით არის წარმოდგენილი (უ-წერ-ი, უ-ტეხ-ი, უ-კლებ-ი), უფრო ხშირად კი გართულებულია მიმღეობის მაწარმოებელი -ელ, -არ სუფიქსებით (და-უ-წერ-ელ-ი, გა-უ-ტეხ-ელ-ი, უ-ჩინ-არ-ი, უ-წყინ-არ-ი...) (ბ.ჯორბენაძე, 1984, გვ.136-137). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, საკუთრივ უქონლობის შინაარსი დაკავშირებული უ- პრეფიქსთან, რომელიც თ. გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით, მომდინარეობს ვე (<- უე) უარყოფითი ნაწილაკისაგან. ამ ნაწილაკის ნულსაფეხურიანი ვარიანტი უარყოფის უ- პრეფიქსის სახით დასტურდება ყველა ქართველურ ენაში: ქართ. უ-ჭმ-ელ-ი, მეგრ. უ-ჭკომ-ურ-ი, ჭან. უ-გუბ-ე, სვან. უ-მჩ-ა (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1964, გვ.323). ი.ყიფშიძის აზრით, უ- იგივე წარმოშობის ფორმანტია, რაც უფროობითი ხარისხის ფორმებში (ი.ყიფშიძე, 1994, გვ.25,536).

რაც შეეხება უქონლობის სახელებში წარმოდგენილ -ო, -ურ სუფიქსებს, ისინი, როგორც ჩანს, ისტორიულად სახელის ფუძის მაწარმოებელი ფორმანტებია (ბ.ჯორბენაძე, 1984, გვ.138-139).

უ – ო, უ- ურ კონფიქსების შესახებ ა.შანიძე აღნიშნავს: „ესენი ერთნია წარმოშობით, მაგრამ მათი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოლოგიურად: უფრო ძველია უ – ურ, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული. სამაგიეროდ დღესაც მკვიდრია უ – ო, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა ახალ სიტყვათა ფუძეებისაგან" (ა.შანიძე, 1980, გვ.126).

მ.ტუსკიას აზრით, უ – ო კონფიქსიანი მოდელი ძველთაგანვე უფრო მოქმედი და გავრცელებული იყო, უ – ურ კი ვერ აწარმოებდა უქონლობის აღმნიშვნელ ყველა სახელს (მ.ტუსკია, 1993, გვ.130).

უ – ურ დაერთვის მეტწილად არსებით სახელთა ფუძეებს, იშვიათად – ზედსართავებს. თვით წარმოქმნილი სახელები კი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ზედსართავებია: უ-ბედ-ურ-ი, უ-წიგნ-ურ-ი, უ-წმინდ-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, უ,საქმ-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი, უ-ძუძ-ურ-ი...

წარმოშობით ზედსართავია, მაგრამ არსებითად არის ქცეული უ-ჟმ-ურ-ი, უ-ფსკრ-ულ-ი (ა.შანიძე, 1980, გვ.126).

უ- ურ კონფიქსის დართვა იწვევს ფუძისეული ხმოვნის ამოვარდნას: უ-ძლ-ურ-ი, უ-ფსკრ-ულ-ი. ზოგჯერ რედუცირებული და არარედუცირებული ფორმები ერთმანეთის პარალელურად გვაქვს ენაში: უჟმური || უჟამური, უგნური || უგუნური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ფუძეში რაე გვაქვს, -ურ სუფიქსში ხდება დისიმილაცია: ურ > ულ. ასეთი გზით არის მიღებული: უ-ფსკრ-ულ-ი, უ-ფერ-ულ-ი, უ-წვერ-ულ-ი, უ-ხერხ-ულ-ი...

დისიმილაციით და ბგერის გაჩენით არის მიღებული ძვ.ქართული უ-კაც-რ-ულ-ი, შდრ. უ-კაც-ურ-ი.

უ- ურ კონფიქსის დართვისას იკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი: უ-დაბ-ურ-ი, უ-წმინდ-ურ-ი, უ-საქმ-ურ-ი, უ-სახ-ურ-ი, უ-ამ-ურ-ი, უ-სუს-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი. უ-ძუძ-ურ-ში ძნელი სათქმელია, ბოლო უ ფუძისეულია თუ სუფიქსისეული, მაგრამ სხვა ბოლოხმოვნიან სახელთა ანალოგიით აქაც ფუძისეული უ ივარაუდება მოკვეცილად.

უნდა აღინიშნოს, რომ როცა უ - ურ ერთმარცვლიან ფუძეებს დაერთვის, ბოლოკიდური ე შენარჩუნებულია: უ-ღლე-ურ-ი, უ-ზნე-ურ-ი.

უ - ურ-ის დართვისას იკარგება ბოლოკიდური ლ თანხმოვანიც: მადლ-ი - უ-მად-ურ-ი, ხამლ-ი - უ-ხამ-ურ-ი, კეთილ-ი - უ-კეთ-ურ-ი; იკარგება აგრეთვე ბოლოკიდური ვ, როცა მას წინ ხმოვანი უძღვის: უ-თავ-ურ-ი -> უ-თა-ურ-ი.

უ- ო კონფიქსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაცილებით უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე უ- ურ. ის უქონლობის სახელებს აწარმოებს არსებითი სახელებისაგან (უ-იმედ-ო, უ-იარაღ-ო, უ-ბინა-ო, უ-რქ-ო, უ-ეკლ-ო, უ-მზე-ო...), ზედსართავისაგან (უ-ლამაზ-ო, უ-ბოროტ-ო, უ-მხნე-ო, უ-სწორ-ო...), კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან (უ-ჩემ-ო, უ-შენ-ო, უ-იმის-ო) და უდეტრებისაგანაც კი (უ-თუ-ო, უ-ებრ-ო).

უ - ო-თი უქონლობის სახელები იწარმოება ენაში ახალშემოსული, უცხო წარმომავლობის ფუძეებისაგანაც: უ-კონტაქტ-ო, უ-პრეტენზი-ო, უ-პასტერიზაცი-ო...

ფუძედ შესაძლოა გამოყენებული იქნეს თხზული სახელიც (უ-თვისტომ-ო, უ-დედმამ-ო, უ-ხელფეხ-ო...) და სინტაგმაც (უ-ამსიმღერ-ო, ულამაზქალ-ო, უ-დედისაღერს-ო...) (ბ.ჯორბენაძე, 1984, გვ.139). ამგვარი ორშემადგენლიანი უარყოფითი ფორმის ვითარებით ბრუნვაში დასმით იწარმოება უარყოფითი ზმნისართები: უმიწაწყლოდ, უშვილძიროდ, უთავშესაფროდ, უამვარსკვლავოდ... როგორც მ.სუხიშვილი აღნიშნავს, ამგვარი წარმოება სალიტერატურო ქართულისათვის უჩვეულო და მოულოდნელი არ ჩანს. ის გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, „რუსუდანიანში“, საშუალო საუკუნეების იურიდიული დოკუმენტების ენაში... (მ.სუხიშვილი, 1984, გვ.179).

უ - ო კონფიქსის დართვა იწვევს ფუძის რედუქციას როგორც ერთმარცვლიან, ისე ორ-სამმარცვლიან ფუძეებში: უ-კბლ-ო, უ-მტრ-ო (|| უ-მტერ-ო), უ-მტვრ-ო (|| უ-მტვერ-ო), უ-ღვთ-ო (|| უ-ღმრთ-ო || უ-ღმერთ-ო), უ-მხრ-ო, უ-ქმრ-ო, უ-სიზმრ-ო, უ-მეგობრ-ო, უ-ხერხემლ-ო, უ-წვნ-ო, უ-ბეჭდ-ო, უ-ღრუბლ-ო, უ-სარგებლ-ო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შედარებით იშვიათად გვხვდება ო ხმოვნის რედუქციაც: უ-მაწვნ-ო, უ-ფოთლ-ო, უ-საპნ-ო.

უ ხმოვნის რედუქციის იშვიათი შემთხვევაა უ-პატივცემლ-ო (|| უ-პატივცემულ-ო).

ხმოვანფუძიან სახელები უ – ო კონფიქსის დართვისას უმეტესწილად კარგავენ ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს: უ-ძმ-ო, უ-ხმ-ო, უ-მად-ო, უ-დედმამ-ო, უ-ენერგი-ო, უ-პრეტენზი-ო, უ-კიდ-ო, უ-ზღუდ-ო, უ-საქმ-ო, უ-საფრთხ-ო, უ-მემკვიდრ-ო...

გამონაკლისის სახით, ზოგ ფუძეში ა შენარჩუნებულია: უ-სუფთა-ო, უ-ბინა-ო; დაცულია ფუძის ბოლოკიდური ე ხმოვანიც, ოღონდ მხოლოდ ერთმარცვლიან ფუძეებში: უ-მზე-ო, უ-ღლე-ო, უ-ზნე-ო, უ-ტყე-ო...

თავისებური ვითარება გვაქვს ო-ბოლოხმოვნიან სახელებთან. მათგან ნაწარმოები ზოგი უქონლობის სახელი ბოლოში მხოლოდ ერთ ო-ს გვიჩვენებს: უ-შნო (ბ.ჯორბენაძე, 1984, გვ.139; შდრ.: ა.შანიძე, 1980, გვ.127), უ-ღვინო, უ-სამშობლო, უ-თავბოლო. თუ არ ჩავთვლით, რომ აქ ფუძისეული ო არის მოკვეცილი, მაშინ ეს სახელები ოდენპრეფიქსული წარმოების იშვიათ ნიმუშებს უნდა მივაკუთვნოთ (შდრ.: უ-რიცხვ-ი, უ-მსგავს-ი...).

ზემოხსენებულთა გვერდით გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც ბოლოში ორივე ო დაცულია – ფუძისეულიც და სუფიქსისეულიც: უ-დრო-ო, უ-ალო-ო, უ-ბოლო-ო, უ-პალტო-ო... ერთმანეთის პარალელურად გვაქვს: უ-სასო და უ-სასო-ო. ეს ორი ო ცოცხალ მეტყველებაში ხშირად ვ თანხმოვნით არის გამიჯნული (უდროვო, უპალტოვო...), მაგრამ ასეთი ფორმები დღეს არალიტერატურულად მიიჩნევა. მაშინ კი, როცა უ – ო ერთვის ვ-ზე დაბოლოებულ სახელებს, ო-ს წინ ფუძისეული ვ-ს დაცვა სავალდებულოდ ითვლება: უ-თავ-ო, უ-დავ-ო, უ-ეჭვ-ო... თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც: უ-პატი-ო, უ-მოძრა-ო...

უ – ო და უ – ურ წარმოება გვხვდება ერთი და იმავე ფუძეებთან: უ-ბედ-ო || უ-ბედ-ურ-ი, უ-ღლე-ო || უ-ღლე-ურ-ი, უ-ზნე-ო || უ-ზნე-ურ-ი, უ-ფერ-ო || უ-ფერ-ულ-ი, უ-გონ-ო || უ-გნ-ურ-ი... როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ასეთი პარალელური წარმოება მნიშვნელობის მიხედვით განსხვავების ტენდენციას ქმნის (ა.შანიძე, 1980, გვ.127; ვ.თოფურია, 1979, გვ.77-78; ბ.ჯორბენაძე, 1984, გვ.139; მ.ტუსკია, 1993, გვ.131).

უ – ო კონფიქსით ნაწარმოები ზოგი უქონლობის სახელის ფუძე დადებითი მნიშვნელობით, ამ კონფიქსის გარეშე, დღეს ჩვეულებრივ აღარ იხმარება, მაგრამ გვხვდება ძველ ქართულში ან დიალექტებში თუ სხვა ქართველურ ენებში. ზოგჯერ . ეს ფუძე სხვა ენიდან არის ნასესხები. ერთი სიტყვით, მათი ეტიმოლოგიის დადგენა შესაძლებელია.

ძველი ქართულიდან ცნობილი სოციალური ტერმინია უაზნო, რომელიც ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში" გვხვდება:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მსგავსადვე მისვე სახისა... აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (შუშ. XVII,7).

უ-აზნ-ო ნიშნავს არათავისუფალს, დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომს. მის საპირისპიროდ ზემოთ მოყვანილ კონტექსტში წარმოდგენილია დღესაც კარგად ცნობილი და ხშირად ხმარებული სიტყვა აზნაური, ნაწარმოები -ურ სუფიქსით ცალაური სიტყვისაგან აზნა, რომელიც ცნობილს, წარჩინებულს, კეთილშობილს ნიშნავს. ეს სიტყვა ძველ ქართულში უსუფიქსოდაც დასტურდება: „უკეთუ აზნა იყოს, ვიპყრა იგი ჩემდა ყოლად, და უკეთუ მკევალი იყოს, მივსცე სასყიდელი მისი და იყოს იგი ჩემდა ხარჭად“ (Sin II,78 V).

სწორედ ამ ფორმისაგან (ბოლო ხმოვნის მოკვეცით) არის ნაწარმოები უ-აზნ-ო. ძველ ქართულში გვხვდება აგრეთვე მისგანვე ნაწარმოები აზნ-ებ-ა და სი-აზნ-ე.

ნასესხები სიტყვისაგან არის წარმოქმნილი აგრეთვე უქონლობის სახელი უბელო, რომელიც ნიშნავს შეუკაზმავს, უუნაგირო ცხენს ან ჯორს. ამ სიტყვას განიხილავს ი.აბულაძე გამოკვლევაში „სომხურისა და ქართულის ზოგიერთი საერთო ხმარების სიტყვის წარმოშობისათვის“ (ი.აბულაძე, გვ. 256-259), სადაც აღნიშნავს, რომ ქართული უ-ბელ-ო და სომხური ტრმულ (< მულ) აღნაგობით ერთნაირი სიტყვებია, ერთ შემთხვევაში გამოიყოფა უ – ო, მეორეში – ~ლ მაწარმოებელი. შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს: „მგონია, არც უბელ და [illegible] უნდა იყვნენ ერთმანეთს დაცილებულნი, მაგრამ აქ, შესაძლოა, ერთიმეორისაგან უბრალო სესხებასთან კი არ გვქონდეს საქმე, არამედ შედარებით უფრო რთული პროცესი იყოს“ (ი.აბულაძე, 1976, გვ.256).

ქ.ლომთათიძის მოსაზრებით, უბელო უნდა იყოს უკეხო (უუნაგირო); მას უნდა უკავშირდებოდეს ბელ-ის ის მნიშვნელობა, რომელიც ძეგლ-ში წარმოდგენილია როგორც „ხის კუნძი“. იგივე ძირი დაცულია ზმნაში „ბელავს“ – ტოტებს აჭრის (ხეს), კაფავს. მკვლევარის თვალსაზრისით, ბელი თავისი ფორმისა და მასალობრივი ერთიანობის გამო გამოიყენებოდა უნაგირის ხის მნიშვნელობით და იგი დაივიწყებას მიეცა ამ გაგებით კეხის გავრცელების შედეგად, ენამ კი შემოგვინახა „უ-ბელ-ო“ სიტყვის ფუძეში (ქ.ლომთათიძე, 1981, გვ.83).

ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო ჩანს ლ.რუხაძის მოსაზრება, რომ ბელ თურქულიდან ნასესხები სიტყვაა და ნიშნავს „წელს“, ე.ი. უ-ბელ-ო ნიშნავს „უწელოს“, „წელ-შეუკაზმავს“, „წელ-შიშველს“. ლ.რუხაძის აზრით, ეს თურქული ომონიმი სხვა მნიშვნელობით („ბარი“) დაცულია დაბელვა, გადაბელვა ფორმებში (ლ.რუხაძე, 1990, გვ.121-122). ჩვენი აზრით კი, ეს ფორმებიც ბელ-ის პირველ („წელი“) მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული: დაბელვა, გადაბელვა სწორედ ხის წელში გადაჭრას, წელს ზემოთ გადასხეპვას ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოშობით უარყოფით მიმღეობებს უნდა წარმოადგენდნენ ისეთი ქონლობის სახელები, როგორიცაა უ-გბ-ილ-ი, უ-ზმ-ო, უ-ხეშ-ი.

გბ-ობ-ა („ხარშვა“) საერთოქართველური ზმნური ფუძეა, წარმოდგენილი რედუცირებული ფორმით (შდრ. სვ. ლი-ჯაბ, ჭან. უ-გუბ-ე). მისგან ნაწარმოებია ვნებითი გვარის მიმღეობა მ-გბ-არ-ი („მოხარშული“), ხოლო უ- პრეფიქსისა და -ილ სუფიქსის დართვით – უ-გბ-ილ-ი („თუს ჭკუაზედ დაყინებული, გინა შეუმგბარი“, საბა). გაბ ძირზე მხოლოდ უ- პრეფიქსის დართვით არის ნაწარმოები უ-გაბ-ი. ეს ფორმა სხვადასხვა დიალექტში გვხვდება რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობებით, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება სავსებით შესაძლებელია: გურულში: უგაბი – უშნო მიხვრა-მოხვრის ადამიანი (ი.ჭყონია,1910), უხეში, მოურიდებელი, ცუდი ქცევის ადამიანი (ა.ღლონტი,1984); ლეჩხუმურში: უგაბი – დაუმწიფებელი, მკვახე ხილი (მ.ალავიძე,1955); რაჭულში: უგაბი – უმარილო საჭმელი (მ.რეხვიაშვილი).

მხოლოდ უ- პრეფიქსით არის ნაწარმოები უ-ხეშ-ი, რომელიც, ჩვენი აზრით, უკუთქმითი მიმღეობაა ზმნისა მოხეშვა. ეს ზმნა სალიტერატურო ენისათვის უცნობია, გვხვდება მხოლოდ დიალექტებში, ისიც იშვიათად და რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობებით, რომელთაგანაც ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „მოთელვა“, „მოდრეკა“.

დამოწმებული ლიტერატურა

ი.აბულაძე, 1976 – ი.აბულაძე, შრომები, II, თბ., 1976.

მ.ალავიძე, 1955 – მ.ალავიძე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, ა.წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.

თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1964 – თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

ვ.თოფურია, 1979 – ვ.თოფურია, შრომები, III, თბ., 1979.

ქ.ლომთათიძე, 1981 – ქ.ლომთათიძე, ქართული „უბელო“ და ერთი ფონეტიკური პროცესის საკითხი აფხაზურში: აკაკი შანიძეს, თბ., 1981.

ლ.რუხაძე, 1990 – ლ.რუხაძე, რამდენიმე თურქული ნასესხობისათვის ქართულ სალიტერატურო ენაში: მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, №4,1990.

მ.სუხიშვილი, 1984 – მ.სუხიშვილი, ორშემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.

მ.ტუსკია, 1993 – მ.ტუსკია, სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციური და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეათე, თბ., 1993.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა.ღლონტი, 1984 – ა.ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, მეორე გამოცემა, თბ., 1984.

ი.ყიფშიძე, 1994 – ი.ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

ი.ჭყონია, 1910 – ი.ჭყონია, სიტყვის კონა, 1910.

გ.ჯორბენაძე, 1984 – გ.ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია კობიაშვილი

შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ქართული ენის მთის დიალექტებში

გვარი მოიცავს სისხლით ნათესავთა ერთ ჯგუფს, რომლის წევრებიც თავიანთ წარმომავლობას დედის ან მამის მხრიდან ერთ საერთო წინაპარს უკავშირებენ და აქედან გამომდინარე სახელწოდება – გვარიც ერთი აქვთ. გვარის განაყარია შტო-გვარი, რომელიც თვით გვარში ბუნებრივად რაოდენობრივი ზრდის შედეგად ჩნდება და რომლის დართვა „ძირითად გვარ-სახელზე აკონტროლებს და აზუსტებს დასახელებულ პირს“ (ზ. ფურცხვანიძე, იკე, XXXII). ერთი გვარი შეიძლება რამდენიმე, ზოგჯერ კი რამდენიმე ათეულ შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელს მოიცავდეს, რომელთა სახელწოდებანიც ასევე საკუთარ ან მეტსახელს ეყრდნობა, ხოლო საწარმოებელ ფუძეთა მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთის ყველა დიალექტში. ჩვეულებრივ, საწარმოებელ ფუძედ აღებულია ოჯახის უფროსი წინაპრის, ძირითადად მამაკაცის საკუთარი სახელი. მაგალითად: მოხეური:

გოჩა-გოჩ-იან-თ: „გოჩიანთ ლევანი კითხული კაცი იყო“ (რ. ხარაძე, IV, გვ. 171).

ვანა (<– ივანე)-ვან-ეთ: ვანეთ ბიძაი ჯინჯიბახი კაცია“ (ივ. ქავთარაძე, 1985, გვ. 329).

ხევსურული:

გოგიტა-გოგიტა-თ: „გოგიტათ ბეწინასთან ვიყავ“ (გ. დოლიძე, 1976, გვ. 32).

მარტია-მარტია-თ: „გიორგიმ მარტიათამა ძმობილს დახურნა ჯანია“ (აკ. შანიძე, I, გვ. 607).

მთიულურ-გუდამაყრული:

თორღვა-თორღვა-თ: „ჭალაში წისქვილს უდგავარ, თორღვათ ნანაის ქალიო“ (ელ. ვირსალაძე, 1958, გვ. 122).

ქავთარა-ქავთარა-თ: „ერთი თუმანი აილე, ქავთარათ კარის ფულია“ (ელ. ვირსალაძე, 1958, გვ. 180).

ფშაური:

გაბრიელ-გაბრიელ-თ: „გაბრიელთ ნინო იქნება“ (გ. ცოცანიძე, 1978, გვ. 53).

ბასილ-ბასილ-თ: „ერთი ხევსურიც მოვიდა, ეს ბასილთ თათარაი“ (გ. ცოცანიძე, 1978, გვ. 152).

მთა-რაჭული:

თანდილა-თანდილე-თანდილე-ეთ: „ი თანდილეეთ დამავალეს, რომ საქმე გაგვიკეთეო“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 528).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიადი-ზვიად-ე-ზვიადე-ეთ: „ზვიადეეთა ხუცესი გორაზე იდგამს სახსაო" (შ.ძიძიგური, 1974, გვ.210).

თუშური:

ზურა-ზურაყ-ეთ: „დოჲუს ზურაყეთ ჳიხეო, შიშით გაქანებს ქარიო" (თ.უთურგაიძე, 1960, გვ.137).

კოზმან-კოზმან-იან-თ: „წყალს გაყრილიყვნესა'დ კოზმანიანთ ბადლებში ჩასადრებულიყვნეს" (თ.უთურგაიძე, 1960, გვ.38).

შტო-გვარის სახელად შეიძლება იქცეს ოჯახისადმი ან თვით უხუცესი წევრისადმი შერქმეული მეტსახელი.

მეტსახელი შეიძლება მიუთითებდეს: ა) პიროვნების ფიზიკურ გარეგნობაზე: „კაჳი(ჳ) მაგიკალთავ, ბრუჯათ ჩალხია ვარივ მიავ" (გ.დოლიძე, 1975, გვ.51). „ბატარიანთას რო ჩამოვდივარ, სულ ორთქლი არ ადსდის" (ლ.კაიშაური, 1978, გვ.189). „გაგემაკათ კუზათ ქალი, არ დაარჩვას უშველეთა" (ალ.ოჩიაური, 1970, გვ.268).

ბ) გონებრივ განვითარებაზე ან სიმხდალე-მამაცობაზე:

„უჭკუათ სულხანეური დაბლით უწვერავს ლიშანსა" (აკ.შანიძე, I, გვ.260)

„ერთ დროს ელოშვილებს ზედმეტ სახელს ვაშკაჳეთ ვეძახდით" (ივ.ქავთარაძე, 1985, გვ.113).

გ) ამა თუ იმ პიროვნებისა თუ ოჯახისათვის დამახასიათებელ რაიმე თვისებაზე:

„ჩალხიამ არ დაიჯერა, – დათვიაი ორ მთვრალათი" (ალ.ოჩიაური, 1970, გვ.129).

„ჳოდვიანთ შიოს ეძახოდნენ მაგას, მეჯოგეებს დაშჭრა თავი" (ლ.კაიშაური, 1978, გვ.84).

დ) ოჯახის საქმიანობაზე, პროფესიასა თუ თანამდებობაზე, მაგალითად:

„ცოჳვენ ხუციანთ ლეკვანი: არა ბრალია ჩვენიო" (აკ.შანიძე, I, გვ.161)

„გათხოვდი მღვდლიანთ ქალაო, ფეხში ნუ იყრი ბორკილსა" (ელ.ვირსალაძე, 1958, გვ.328).

ე) შეიძლება მიუთითებდეს პიროვნების წარმომავლობაზე:

„შავო, ნუ მახლავ, სიკვდილო, მეგრელათ ფუნჩიასაო" (აკ.შანიძე, I, გვ.216).

„– არა, არა, ლეკიანთ ბასილი ბეჟანის შვილი" (გ.ჯოჯანიძე, 1978, გვ.183).

არაიშვიათად ადამიანს მეტსახელად ენიჭება ცხოველის, იშვიათად ფრინველის, მწერის ან მღრღნელის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც მოგვიანებით შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელად გვევლინება:

„კოღოანთ თამარა ზო იყო, ეგა ზიდავდა ფოშტას" (ლ.კაიშაური, 1978, გვ.122).

„ერთი ფოცხვერათ კაჳი ყოფილა, გიორგი ქვივნილა" (გ.ჯოჯანიძე, 1978, გვ.151).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა ძირითად მაწარმოებლებად გამოიყო-ფა ერთი მხრივ -ენ/-ეთ, მეორე მხრივ -ნ/-თ სუფიქსები.

მოხეურში აღნიშნული სახელები ძირითადად იწარმოება -ენ/-ეთ სუფიქ-სით: „ერთხელაის წყალფერდზე სთიბდა ჯართიეთ კაცი, ნიკოლაზაი“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.34).

„ემაგ ოთხ ძმათაგანი არიან ეგ ჩოფიკენი“ (ივ.ქავთარაძე, 1985, გვ.135).

-ნ/-თ სუფიქსი გვხვდება უშუალოდ უკვე გვარად დაფიქსირებული სახე-ლისაგან ნაწარმოებ შტო-გვარის სახელებთან, როგორიცაა: ფადიაურნი, ყამა-რაულნი, სისოურნი...; ამა თუ იმ ოჯახის საბინადრო ადგილისაგან ნაწარმო-ები სახელებისაგან: ლულელნი, ქუსელნი...; ასევე საკუთარი სახელების ფუ-ძეზე, თუ ასეთი სახელები „ა“ ხმოვანზე ბოლოვდებიან, მაგრამ ბოლოკიდური ა არ იკვეცება (ირიბ ბრუნვებში): კობანი, კობათი; ამ შემთხვევაში შეიძ-ლება პარალელური წარმოება დადასტურდეს: შიოლა||შიოლათი||შიოლეთი; მაგრამ მხოლოდ შიოლენი (სახელობითში) და არავითარ შემთხვევაში შიოლანი. მაგ.: „იმ დროს შიოლენიც მიუახლოვდნენ და გაიქცა მთრეხელი“ (რ.ხარაძე, IV, გვ.177); „თემმა შიოლენიც გაამწყუნა და თავსისხლი არ აალებინა“ (ივ.ქავ-თარაძე, 1985, გვ.342). ყველა სხვა შემთხვევაში ა-ზე დაბოლოებულ სახე-ლებთან -ენ/-ეთ სუფიქსი გვექნება: „მაში პეტიეთ გორმა სოფელს მოდმართა“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.35).

ბესია-ბესი-ეთ-ი: „ბეჩაც, ბესიეთ ბალღი მაინახა იმ უბედურმა“ (ივ.ქავ-თარაძე, 1985, გვ.268).

გახა-გახ-ენ-ი: „სათიბზე ყოფილა გახეთ კაცი“ (ივ.ქავთარაძე, 1985, გვ.124).

მთა-რაჭულში შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოების მხრივ დამ-თხვევა გვაქვს მოხეურთან. განსაკუთრებით ეს ითქმის გლოლურზე, სადაც მსგავს სახელთა მაწარმოებლად -ენ/-ეთ სუფიქსი გვევლინება, თუმცა მსგავ-სი წარმოება არც ლებურ-ჭიორულისათვის არის უცხო: „ბახეთ მანიჯა რქვიანო“ (რ.ლანდია, 1991). „ი თანდილეეთ დამავალეს, რომ საქმე გაგვიკეთეო“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.528). „ბუბაეთი კილობანი წამოვიდა“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.537).

გლოლურში -ეთ მაწარმოებელთან სახელობით ბრუნვაში, ჩვეულებრივ, „ნ“ მრავლობითი რიცხვის ნიშანი იჩენს თავს, ხოლო ოდენ -ნ ან -ენ სუფიქ-სიანი წარმოება ჩვენს მიერ შესწავლილ მასალაში არ შეგვხვედრია. ზოგჯერ სახელობითშივე იჩენს თავს მხოლოდ -ეთ სუფიქსიანი წარმოება (ნ-ს ჩავარდ-ნით - ბაჭილაეთნი||ბაჭილაეთი...). „მოდიან სვანაეთნი და თედიეთნი“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.537). ბიძიეთნი, გოჩიეთნი...

ლებურ-ჭიორულში თუ შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებლად -ენ/-ეთ სუფიქსი გვევლინება საჭიროა განირჩეს წყობა: პრეპოზიციურია იგი თუ პოსტპოზიციური, ვინაიდან პოსტპოზიციის დროს ჩვეულებრივია ამ ტიპის:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე აბრამეეთი, მაგრამ პრეპოზიციის დროს იკარგება -თ სუფიქსი და ცილებთ: „აბრამეე პავლე“ ფორმას: „ეძახიან: პავლე აბრამეეთი, ბიჭია კაპელეეთი, ისმაილ ხოშიტიანთი, ნენა შალიკიანთი, მაგრამ: „აბრამეე პავლე, კაპელეე ბიჭია...“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.527).

გლოლურში, ისევე როგორც ღებურ-ჭიორულში, -ენ სუფიქსი შეიძლება გართულდეს -თ სუფიქსით. მაგ.: სვანეენთი, გოტოენთი... მსგავსი სახელების მსაზღვრელებად გამოყენებისას უნდა გავარჩიოთ წყობა, ცინაიდან პოსტპოზიციის დროს გართულებული სუფიქსი -ენ-თ სრული სახითაა წარმოდგენილი, ხოლო პრეპოზიციის დროს იკარგება -თ და გვაქვს მხოლოდ -ენ დაბოლოება: „ან კიდევ: პეტრე სვანეენთი, შალვა ლაშხეენთი, გიორგი გოტოენთი, მაგრამ: სვანეენ პეტრე, ლაშხეენ შალვა“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.527
„რასაკა მთხოვ, შემსრულებელი ვარო, წამოსულა და გორგიენ გიორგა წაუყვანია“ (რ.ლანდია, 1991, გვ.160).

ყველა დანარჩენი დიალექტისათვის შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელების ძირითად მაწარმოებლებად გამოიყოფა -ნ/-თ სუფიქსი. მაგ.: ხევსურული: „ჩემ დედულთა’ ბიგრატაულთ უშულავ“ (ალ.ჭინჭარაული, 1960, გვ.362).
„ახლის მადეით, მიგრულნო, ბებერმ გაველესი კმალია“ (ბ.გაბუური, გვ.240).

მთიულურ-გუდამაყრული:

„მთელი ზაქანი ჩვენი ახლოა“(ლ.კაიშაური, 1978, გვ.170).
„ამირთ ასტეხეს დევობა მთისა მა ნაზაკრისაო“ (აკ.შანიძე, I, გვ.180).

ფშაური:

„ავაქოთენ ბერუანი ჭიას ნაჭამ კბილივითა“ (აკ.შანიძე, I, გვ.124).
„იმან თორღვათ კაკზე გამათხოვა“ (გ.კოკანიძე, 1978, გვ.208).

თუშური:

„პოკალთ გუყვო, რო ყოყმათ უკვენ, გასავალ, ვხენებ მუყდიოდ ქისტებს, გამოზდევნებიყვნეს ხულანტელნი, ხქონიყუ დიდ ომი“ (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ.110).

იშვიათად, მაგრამ მაინც ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყრულსა და თუშურში შეიძლება შევხვდეს -ენ/-ეთ სუფიქსი: ხევსურული:
„კიკოლეთ ვაჟას რად მახკლავ, მასკვლავს მასწილავს პასაო“ (ალ.ოჩიაური, 1970, გვ.143).
„ძველ ათერივით გაითქვა თათარეთ აშექალიო“ (ალ.ოჩიაური, 1970, გვ.125).

მთიულურ-გუდამაყრული:

„შე ლომო კაიშაურო, გაგიეთისა მჭირნეო“ (შ.ძიძიგური, 1974, გვ.368).

თუშური:

„დოჭუს ზურაყეთ კიხეო, შიშით გაქანებს ქარიო“ (თ.უთურგაიძე, 1960, გვ.137).

თუ შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები -იან სუფიქსით იწარმოება, მრავლობითი რიცხვის სუფიქსად -ნ/-თ დაბოლოება მოუდის. ამგვარი წარმოება კი მთის დიალექტებისათვის არცთუ იშვიათობას წარმოადგენს: მაგ.:

მოხეური:

„გოჩიანთ ლეგაი კითხული კაცი იყო" (რ.ხარაძე, IV, გვ.171).

„ციხიანთ ივანეს უთქვამს სნოველთათვის" (აკ.შანიძე, I, გვ.213).

ხევსურული:

„უთხარით გოცირიანთა: „მეხი დაგეცათ ცისაო" (აკ.შანიძე, I, გვ.178).

მთიულურ-გუდამაყრული:

„ვის ეკუთვნით თქვენ ბარამიანთ, თუ გამახარიანთ?" (ლ.კაიშაური, 1978, გვ.82).

ფშაური:

„სალდათში წასვლას ამბობენ მაგ მაჩურიანთ შვილთასა" (ალ.ოჩიაური, 1970, გვ.271).

მთარაჭული:

„თამარიკიანთ ბაღათა ყმაწვილებს პარცავს თავსაო" (შ.ძიძიგური, 1974, გვ.210).

თუშური:

„ერთ ფსიკიანთა ყოლილიყო, ფსიკი ჰქვიენებიყო, კაი მონადირე ყოფილიყო" (თ.უთურგაიძე, 1960, გვ.96).

-იან სუფიქსით ნაწარმოები სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმები შეიძლება გასუბსტანტივდეს და ადგილის სახელად იქცეს: ბროლიანთი (საძოვარი სოფელ ხურთისში), პაპიანთები (სათიბი გაიბოტენში -ებ სუფიქსით გართულებული).

მთის დიალექტთა ერთი წყებისათვის შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად არც -ან სუფიქსია უცხო და იშვიათი. ამ შემთხვევაშიც მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად გვაქვს -ნ/-თ დაბოლოება. ამას ვერ ვიტყვით მოხეურის შესახებ, სადაც -ან სუფიქსი იმდენად იშვიათია, რომ შეიძლება გამონაკლისადაც კი ჩავთვალოთ მსგავსი ფორმები: „ერთი მოჯევის ჩიბაანთ ქალი იყო გათხოვილი, იმ ქალს ეძახოდეს ლაბაკასა" (ქართული დიალექტოლოგია).

მთიულურ-გუდამაყრული:

„მამის მკრიდან სვიანაანთ დისწულისშვილია მამაჩემი" (ლ.კაიშაური, 1978, გვ.180).

„ჩვენმა სოფელმა მოილაპარაკა, რო ისინი დაკოცონ, ის მიყორაანი" (ლ.კაიშაური, 1978, გვ.98).

ფშაური:

„მამაკაცობა აისითა უნდა, დათვიანთ რძალსა და ქალს რო უქნავ" (გ.ცოცანიძე, 1978).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ი ჩექურაანთ გორშიაც ი ნათესავმ წაიყვანა მერე ი კაციც" (გ.ცოცანიძე, 1978, გვ.200

თუშური:

„ბეროსა ხელაანთასა ჩაეხვივნესა ცხრანიო" (აკ.შანიძე, I, გვ.236).

„იქითა ეპასუხება ბაცაცანთ პანტოს ცოლია" (თ.უთურგაიძე, 1960, გვ.161).

შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელების გამოყენება მსაზღვრელად ჩვეულებრივია როგორც სულიერი (პიროვნების), ისე უსულო სახელებთან. ამ დროს გვხვდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა, და ხშირია მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა (უმთავრესად ზმნით), თუ ხდება დასახელება, მითითება, წარდგენა-გაცნობა...

განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა ძირითად მაწარმოებლებად გამოიყოფა სუფიქსები -ენ/-ეთ და -ნ/-თ.

დამოწმებული ლიტერატურისა და შემოკლებათა სია

ბ.გაბუური, 1923-24,- ბ.გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული ხელოვნათ-მეცნიერო საზოგადოების „წელიწდეული", I-II, 1923-24.

გ.დოლიძე, 1975 - გ.დოლიძე, ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ), 1975.

ელ.ვირსალაძე, 1958 - ელ.ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, თბ., 1958.

ლ.კაიშაური, 1978 - ლ.კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978.

რ.ლანდია, 1991 - რ.ლანდია, რაჭული (გლოლური) ტექსტები, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991, გვ.157-176.

ალ.ოჩიაური, 1970 - ალ.ოჩიაური, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970.

თ.უთურგაიძე, 1960 - თ.უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.

ზ.ფურცხვანიძე, XXXII - ზ.ფურცხვანიძე, შტო-გვარის სახელთა საგნობრივ-ლოგიკური კლასიფიკაციის ცდა ქართული ენის იმერული დიალექტის მასალაზე, იკე XXXII, თბ. (იბეჭდება).

ივ.ქავთარაძე, 1985 - ივ.ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

ქართული დიალექტოლოგია, I - ქართული დიალექტოლოგია, I.

აკ.შანიძე, I - აკ.შანიძე, ტექსტები, თხზულებანი, I, 1982.

გ.ცოცანიძე, 1978 - გ.ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978.

შ.ძიძიგური, 1974 - შ.ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური მასალები, თბ., 1974.

ალ.ჭინჭარაული, 1960 - ალ.ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი თბ., 1960.

რ.ხარაძე, IV - რ.ხარაძე, ძეგლი მმართველობის გადმონაშთები ხევში, საქ.მეცნ.აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.IV, ნაკვ.II, თბ., 1959.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა კობაიძე

ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში

ვითარებითბრუნვიანი მასდარი და მისი ფუნქციები ძველ ქართულში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ამ საკითხს მიეძღვნა რამდენიმე გამოკვლევა; მათ შორის ჩვენ დავასახელებთ დ.ჩხუბიანიშვილის ნაშრომს „ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში" (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972), სადაც გარდა მნიშვნელოვანი დასკვნებისა თვითონ ამ საკითხის შესახებ, ვრცლად არის განხილული საკითხის შესწავლის ისტორიაც.

ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, აღნიშნავს, რომ ვითარებითბრუნვიანი მასდარის გატოლება ინფინიტივთან მხოლოდ პირობითად შეიძლება, ხოლო დ.ჩხუბიანიშვილმა თავის გამოკვლევაში აჩვენა, რომ „ინფინიტივთან" დაკავში რებული დამატების ბრუნვა განსაზღვრულია არა ინფინიტივის მიერ, არამედ მთლიანი წინადადების პირიანი ზმნა-შემასმენლის მიერ, თუმცა ამ დამოკიდებულებას იგი უწოდებს არა მართვას, არამედ ბრუნვის არჩევანის განსაზღვრას. კერძოდ, თუ ვითარებითბრუნვიანი მასდარის შემცველი წინადადების შემასმენელი გარდამავალი ზმნაა და I სერიაში დგას, მაშინ მასთან დაკავშირებული „ინფინიტივის" დამატება მიცემით ბრუნვაში იქნება (უბრძანებს იგი მას შენებად სახლს), ხოლო თუ ზმნა-შემასმენელი II სერიაში დგას, მაშინ ეს დამატება სახელობითში აღმოჩნდება (უბრძანა მან მას შენებად სახლი) (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972, გვ.81).

იქნებ შესაძლებელი იყოს იმისი დაშვება, რომ აქ უბრძანა ზმნა ვითარებითში დასმულ მასდართან დაკავშირებული დამატების ბრუნვის არჩევანს კი არ განსაზღვრავს, არამედ თვითონ მართავს ამ დამატებას - მასდარის მონაწილეობის გარეშე. მაშინ შეიძლებოდა ეს დამ ტება, რომელიც სემანტიკურად მასდართან არის დაკავშირებული, ხოლო მორ ლოგიურად პირიან ზმნასთან, ვითარებითბრუნვიან მასდართან ერთად ჩაგვეთვალა შედგენილ დამატებად-უბრძანა შენებად სახლი, ხოლო თვითონ ვითარებითბრუნვიანი მასდარი, რომელსაც ქვემოთ ჩვენ -ად-იან ფორმად მოვიხსენიებთ (მართალია, აქ ბრუნვის ნიშანი არის -დ, მაგრამ ჩვენ სახელწოდებად ვიღებთ მის მარცვლოვან ნაირსახეობას), პირდაპირი დამატების როლში მხოლოდ მაშინ გამოდის, თუ მასთან არ არის წარმოდგენილი მისი სემანტიკური დამატება (უბრძანა შენებად). თვით ამ შედგენილ დამატებაში (შენებად სახლი) -ად-იანი ფორმა (შენებად) ასრულებს მიზნის გარემოების თუ სუპინუმის ფუნქციას. სუპინუმთან მას აკავშირებდა შ.ძიძიგური. ბოლოდროინდელი გამოკვლევებიდან ვითარებითბრუნვიანი მასდარის და სუპინუმის მსგავსება მითითებულია თამაზ გაგუას მიერ წიგნში „ლათინური ენა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენად შეუძლია თვითონ მასდარს, კერძოდ, ვითარებითის ფორმით „გაქვავებულ" მასდარს – გამოიჩინოს ზმნური მართვის უნარი თავისი სემანტიკური დამატების მიმართ და წინადადების რომელ წევრს მიემართება მორფოლოგიურად ეს დამატება? ამის გამოსარკვევად „გაქვავებული" მასდარის შემცველ წინადადებებს (სადაც ამ მასდარს პირმიმართი დამატების ფუნქცია მიეწერება) ჩვენ ვყოფთ ორ ჯგუფად:

(I) წინადადებები, სადაც ად-იან ფორმას ვერ შემოჰყავს ახალი წევრი და ყველა წევრი თავსდება პირიანი ზმნა-შემასმენლის ვალენტობის ფარგლებში: უბრძანა მან მას შენებად იგი.

და (2) წინადადებები, სადაც ად-იან ფორმას შემოჰყავს საკუთრივ თავისი დამატება, რომელიც არ თავსდება პირიანი ზმნა-შემასმენლის ვალენტობის ფარგლებში: განვიდა იგი განმზადებად უფალსა ერი განმზადებული.

განვიდა იგი განმზადებად მას იგი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ად-იანი ფორმის ზმნური მართვის უნარი შედარებით ნათლად ამ მეორე ჯგუფის წინადადებებში ჩანს, თუმცა ამ შემთხვევაშიც იგი შეზღუდულია და პირიანი ზმნის უნარს ვერ უტოლდება, ეს კარგად ჩანს I და II პირის ნაცვალსახელების ქცევით. ამ მხრივ -ად-იანი ფორმა (2) ჯგუფის წინადადებებში ისევე უძლურია ზმნური მართვის უნარის მიხედვით, როგორც (I) ჯგუფის წინადადებებში. კერძოდ, პირდაპირი ან ირიბი დამატების ფუნქციით I და II პირის ნაცვალსახელები ბრუნვაუცვლელნი არიან (მიპყრობს ის მე || შენ), რაც შეეხება -ად-იან ფორმას, მასთან ეს ნაცვალსახელები ფორმას იცვლიან: გამოხუედით შეპყრობად ჩემდა.

„არასდროს არ გვხვდება: გამოხუედით შეპყრობად მე... არც ერთი შემთხვევა არ შეგვხვდა ისეთი, რომ ინფინიტივის პირდაპირ ან ირიბ დამატებად გვქონდეს მე, შენ, ჩუენ, თქუენ" (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972, გვ.78).

ეს დასკვნა თანაბრად ვრცელდება ჩვენი დაყოფის მიხედვით როგორც (I), ისე (2) ჯგუფის წინადადებებზე. მაგრამ (I) ჯგუფში შესაძლებელია -ად-იან ფორმასთან დაკავშირებული დამატება – I ან II პირის ნაცვალსახელი – აღმოჩნდეს ფორმაუცვლელიც (ისევე, როგორც პირიან ზმნასთან: მიბრძანებს ის მე, შემიპყრობს ის მე – შეპყრობად მე || ჩუენ...). ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანი წინადადების ზმნა-შემასმენლის მიერ ნებადართულია I ან II პირი ირიბ ან პირდაპირ დამატებად: მუნ ვერ შემიძლონ ჩუენ შეპყრობად მთავართა მათ ბნელისათა (მამ. სწავ. 23C.IC); არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა (რომაელთა მიმართ. 8,39, ახალი აღთქმა, 1963)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება (2) ჯგუფს, აქ -ად-იან ფორმასთან სემანტიკურად დაკავშირებული დამატება დგას პირიანი ზმნის ვალენტობის გარეთ და -ად-იანი ფორმის გავლენას ემორჩილება, ხოლო -ად-იანი ფორმა უძლური აღმოჩნდა, I ან II პირის ნაცვალსახელი ემართა ირიბ ან პირდაპირ დამატებად; აქ, რა თქმა უნდა, თვითონ ამ ნაცვალსახელთა ბუნებაც ასრულებს თავის როლს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ამ ნაცვალსახელთა ფორმაუცვლელობის კომპენსაცია ხდება პირიან ზმნაში მათი პირების მორფოლოგიური გამოხატვით (ბ.ჯორბენაძე, 1995), ხოლო -ად-იან ფორმას ასეთი კომპენსაციის საშუალება არ გააჩნია. რაც შეეხება ამ (2) ჯგუფში -ად-იან ფორმასთანვე სემანტიკურად დაკავშირებულ მიცემითბრუნვიან დამატებას (წარვიდა იგი სმენად სიბრძნესა სოლომონისსა), ეს მიცემითი თავისი სემანტიკით ვერ გაუტოლდება პირმიმართი დამატების მიცემითს, იგი უფრო სხვა სემანტიკის მიცემითია (ლოკატივის მსგავსი), რომელიც შეიძლება თანდებულიანმა ფორმამ ან ნათესაობითმა ბრუნვამ შეცვალოს. ამას გვიჩვენებს I და II პირის ნაცვალსახელთა ქცევა ანალოგიურ კონსტრუქციაში (წარვიდა იგი სმენად შენდა და არა სმენად შენ). ასეთივე მიცემითის მსგავსი ჩანს თავისი ბუნებით ძველი ქართულიდან ცნობილი მიცემითი მასდართან (რიდება ნებასა ჴორცთასა), მიმღეობებთან (მომპოვნებელ ბჯრბჯინსა), ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის ფორმებთან (უმჯობეს კაცსა), III სერიის ზმნებთან (ეცყორცა ისარი მას ხელსა), ასევე – მიცემითი ლოკატივის ფუნქციით (წავიდა ქალაქს). მართალია, გარდა ლოკატივის მიცემითისა სხვა დანარჩენ ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში მისი არსებობა ახსნილია ამ ფორმათა (მასდარის, მიმღეობის, შედარ.ხარ. ფორმების) ზმნური წარმოშობით, მაგრამ ეს ნიშანი მაინც არ აღმოჩნდა ზმნისთვის სპეციფიკური, იგი აღმოჩნდა საერთო ნიშანი ზმნისთვის და ბრუნებადი სიტყვისთვის (უნარი – მართონ თავიანთი დამატება მიცემით ბრუნვაში). ეს მიცემითი რომ თავისი სემანტიკით განსხვავდება პირმიმართი დამატების მიცემითისგან, ეს ჩანს არა მარტო I და II პირის ნაცვალსახელთა ქცევით, არამედ განვითარების იმ ორი სხვადასხვა გზითაც, რაც ამ სხვადასხვა სემანტიკის მიცემითმა გაიარა – თანდებულიანი ფორმებით ან ნათესაობითით შენაცვლება შემთხვევათა პირველ ჯგუფში და წმინდა მიცემითად დარჩენა პირმიმართი დამატებისათვის.

რაც შეეხება (2) ჯგუფის წინადადებებში -ად-იან ფორმასთან დაკავშირებულ სახელობითს (პირიანი ზმნის ვალენტობის ფარგლებს გარეთ) აქ უკვე შეიძლება ნამდვილ ინფინიტივზე ლაპარაკი: „წარვიდა იგი მოყვანებად თავისა თჳსისა ჳოლი“ ანდა „ამან ანგელოზნი წარმოადგინნა აღმოფხურად წყევა და დანერგვად კურთხევა“.

ამგვარი ინფინიტივი ძველ ქართულში ძალიან იშვიათია. ცალკე მსჯელობის საკითხია, როგორია მისი წარმოშობა.

-ად-იან ფორმასთან დაკავშირებული დამატება (I) ჯგუფისათვისაც და (2) ჯგუფისათვისაც სემანტიკურად -ად ფორმას უკავშირდება, მორფოლოგიურად (I) ჯგუფში - პირიან ზმნას, (2) ჯგუფში, თუ ის მიცემითში დგას, ინარჩუნებს გარკვეულ კავშირს პირიან ზმნასთან, ხოლო თუ სახელობითში, მაშინ ის უკვე -ად-იან ფორმას მიემართება. თანამედროვე ქართულში წინადადების ეს წევრები მორფოლოგიურადაც იმ წევრებს დაუკავშირდნენ, რომლებსაც სემანტიკურად მიემართებოდნენ. შესაბამისად, ად-იანმა ფორმამ სხვადასხვა ფუნქცია შეიძინა (I) და (2) ჯგუფის წინადადებებში:

უბრძანა მან მას შენებად სახლი → უბრძანა მან მას სახლის აშენება

წავიდა იგი მოყვანებად ცოლი → წავიდა იგი ცოლის მოსაყვანად.

ეს განსხვავება (I) და)2) ჯგუფის წინადადებებს შორის რომ კავშირის განაწილებაშიც გამოვლინდა: (I) ჯგუფის წინადადებებში ქვეწყობილ წინადადებად დაშლის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შეერთება (უბრძანა, რომ სახლი აეშენებინა - უბრძანა, სახლი აეშენებინა), ხოლო (2) ჯგუფის წინადადებებში მხოლოდ კავშირიანი შეერთებაა შესაძლებელი: წავიდა, რომ ცოლი მოეყვანა.

დამოწმებული ლიტერატურა

ი.გაგუა, 1987 - ი.გაგუა, ლათინური ენა, 1987.

დ.ჩხუბიანიშვილი, 1972 - დ.ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972.

ბ.ჯორბენაძე, 1995 - ბ.ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია (პროსპექტი), თბ., 1995.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია მელიქიძე

მიცემით ბრუნვაში მდგარი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა საშუალ ქართულში

როგორც ცნობილია, ძველ ქართულ სამწერლობო ენაში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში არ ჩანდა (გამონაკლისია I პირი, რომლის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება გუ- პრეფიქსით).

საშუალ ქართულში უკვე აშკარად იგრძნობა მიცემითი ბრუნვის სინტაქსური ძალის გაძლიერება, მის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის თანდათანობითი მოპოვება. ეს ხდება, უპირველეს ყოვლისა, ინვერსიულ ზმნებთან, სადაც მიცემითი მოგვევლინა რეალური სუბიექტის ბრუნვად. ობიექტის მრავლობითობის ჩვენება სუბიექტის მრავლობითობის -თ ფორმანტს დაეკისრა.

მართალია, საშ. ქართულში აშკარაა ტენდენცია მიცემითში მდგარი სახელის ზმნასთან რიცხვში შეთანხმებისა, მაგრამ ენობრივი ტრადიციით სუსტად, მაგრამ მაინც მოქმედებს ძველი ქართულის ნორმა, კერძოდ, მიცემით ბრუნვაში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ზმნას არ ითანხმებს რიცხვში.

MO დგას II პირში:

„თქვენ მოგცე ლარი ყველაი..." ვეფხ., 1315,4 [შდრ.: მოგცეთ I'].
„... რაჲ ამ ქარავნისდა შენ და შენთა ლაშქართა გიყოფია, მასვე თქუენ გიზამ!" ამირანდ., 491, 6-7 [შდრ.: გიყოფიათ G, გიზამთ GG].
„თქუენ დილანდლითგან დია ჭაბუკობა და ომი გარდაგიხდია" ვისრამ., 50,31 [შდრ.: ... გარდაგიხდიათ L].
„და კუალად გევედრები და გვედრებ თქუენ, ძეთა ჩუენთა..." სამ.ძეგ., II, 127.
„აწ ვითარ გნებავს თქუენ ქალაქისა ამის საქმე..." ქარ.ცხ., ტ.I, 169,8.
„ვითარცა გაუწყო თქუენ სასწაული ერთისა ქვისათჳს..." აბუს.ტბელი,59,64.
„... თქვენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ" ექვ.თაყაიშ., Археол.,I,75.
„ვინცა მამასახლისი ბრძანდებოდეთ, გარდაიჴდიდეთ-თუ არა ღმერთმან მოგკა-დოს, ამენ" ლაპ.წარწ., 29.
„და არა შეგეცვალოს დაწერილი ესე თქუენ..." ქისკ., 138.

MO დგას III პირში:

„ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწვერული" ვეფხ., 198,2 [შდრ.: მოჰყვანდათ HRR' გრ].
„... მათ თქუენგან ავი არ წაეკიდების..." ვისრამ., 46,6.
„იმათ კაცთა ჩემი სიკვდილი ჰგონია..." ამირანდ., 508,2 [შდრ.: გონიათ HM, ჰგონიათ NO].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„... აბა, შეუძლია იმათ ამისთანა საქმის მოჴსენება კელმწიფისა..."
სამ.ძეგ., ტ.I, 247.
„ესმა ესე მეფეთა და ერსა..." ქართ.ცხ., ტ.II, 86,4.
„... თითოთა დაეპყრა ესე სამეფო და ყოველი ციხეყანაჲ" ექვ.თაყაიშ., Археол. экск., вып.II,I8.
„... ყოველივე, რაჲ მათ ჰქონებოდა მის სოფლისთანა, კანონხესაგან ვიყიდე..." ქისკ., I75.

III ირიბ ობიექტური პირის მრავლობითობა არც მაშინ აისახება ზმნა-ში, თუ ქვემდებარეც III პირის მრ.რიცხვშია წარმოდგენილი.

[ისინი მათ]:
„აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი წვანი" ვეფხ., I024,2 [შდრ.: გაუახლდათ K].
„მას ომსა შიგან ეგეთი ჭაბუკები იყვნეს, რომელ სახელისათჳს ტკბილნი სულნი გაეწირნეს..." ვისრამ., 49,I9.
„მიესმა ესე ყოველსა არაბეთსა, ვითა კაცთა ვიეთმე დევნი დაუჴოვიანო..." ამირანდ., I09,5.
„... იმათ ვინცავინ შეკრებულნი ერნი ახლავან, მათთვისცა ჯერ არს..." სამ.ძეგ., ტ.I, 2I4.

მიცემითი ბრუნვის სინტაქსური ძალის გააქტიურებასთან დაკავშირებით საინტერესოა ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობის აღნიშვნა ზმნაში -თ სუფიქსით (ს-თ). საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნაში ერთ-დროულადაა გამოვლენილი S-ის მხ.რიცხვის -ს და O-ის მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ სუფიქსები.

-სთ კომპლექსის ხმარება არაერთგვაროვანია. ხმარების განსაკუთრე-ბული სიხშირით გამოირჩევა ქართული სამართლის ძეგლები, კერძოდ, XVI-XVIII სს-ებით დათარიღებული ძეგლები, ზოგიერთში თითო-ოროლა ფორმა დას-ტურდება (მაგ.: „ვისრამიანში"), ზოგი კი საერთოდ არ იცნობს ამ გრამა-ტიკულ მოვლენას (მაგ.: აბუსერისძე ტბელი, ექვთიმე თაყაიშვილის „Архео-логическiя экскур.", вып.I, II, III, მისივე „I9I7 წლის არქეოლოგიური მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში" და სხვა).

ჩვენი მასალის მიხედვით -სთ კომპლექსი პირველად ჩნდება XV ს-იდან, კერძოდ, I430 წლით დათარიღებულ ავთანდილ ზევდგინისძისადმი ალექსანდრე მეფის წყალობის სიგელში, სადაც გუ- პრეფიქსთან ერთად მაჩვენებელია I ობ. პირის მრავლობითობისა ობიექტური წყობის ზმნებში, მაგალითად:

„და თუ რამე ასეთი რამე საქმე შეგუჴდოსთ, რომე მოურავობისა წაღე-ბა გუმართებდეს,... მოურაობა არცა მაშინ წაგიღიათ" სამ.ძეგ., ტ.II,I22.

ანალოგიური ფორმა დასტურდება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრე-ბულშიც, რომელიც შედგენილია XVIII ს-ის დასაწყისში, კერძოდ, I705-I708 წლებში:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„... რომელიცა შეგვიძლოსთ სინანულად მოუწოდოთ დამნაშავეთ კაცთა“ სამ.ძეგ., ტ.I, 213.

რაც შეეხება II ობიექტური პირის მრავლობითობის აღნიშვნას, -სთ კომპლექსი პირველად ჩნდება XVI ს. II ნახევარში, კერძოდ, 1562 წლით დათარიღებულ „ალექსანდრე მეფის მცხეთის სასაძლოს განწესების წიგნში“:

„... ნადირობას თქუენი ყმა ნუ გაგეყრების, თქუენ ბრძანდებოდეთ, თქუენ გაახლოსთ“ სამ.ძეგ., ტ.II, 191.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ XVI–XVIII სს-ის ხელნაწერებში ასეთი -სთ მიმდევრობა საძებარი არ არის, თუნდაც დედანი ადრეული (XII ს.) ხანისა იყოს. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს.

MO დგას II პირში:

„ვინცა გებრძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დაავცთების“ ვეფხ. 1035,4 [შდრ.: გებრძვისთ I'R'].

„... კვლავცა მოგხვდებისთ შემმართ და შემმართ ტილისმანი არა ერთი და ორი...“ ამირანდ., 796, 38-39.

„ღმერთმან თქუენთა წადილთაებრ გყოს...“ ვისრამ., 180,8 [შდრ.: გყოსთ G].

„თქვენ იცით, თუ კაცი დაგაკლდესთ, აცათ მოეპყარით...“ სამ.ძეგ., ტ.II, 426.

„... ნურცა რა ფიქრი გაქუსთ, თქუენი საქმე მე დამადევითო...“ ქარ.ცხ., ტ.II, 405,11.

MO დგას III პირში:

მიცემითში დასმულ II ობიექტურ პირთან შედარებით არც ისე ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნაში ერთდროულადაა გამოვლენილი S-ის მხ. რიცხვის -ს და O_3-ის მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ სუფიქსები. ასეთი ნიმუშები ჩვენი მასალის მიხედვით პირველად ჩნდება XVI ს-ის დასაწყისში:

„შვილად სახელისდებასა ჰყოფენ ვიეთნიმე, რომელთაცა არა ჰყავსთ შვილი, ზოგნი ვიეთნიმე უშვილონი არიან და ბერწ, და ზოგთა ვიეთთამე ეშვისთ, მაგრა მოუკუდებისთ...“ სამ.ძეგ., ტ.II, 159.

ხშირია შემთხვევები, როცა მიცემითში დასმული ირიბი ობიექტი ზმნას ვერ ითანხმებს რიცხვში. ეს განპირობებულია იმით, რომ III პირთან საერთოდ ზმნის წყობა (ე.ი. სუბიექტურია თუ ობიექტური ზმნა) მიჩქმალულია. ზმნა სუბიექტური წყობისად არის გაგებული:

„იმათ ამისათვის ნება ჰქონდათ და ვერც არავინ უსაყვედურებდა“ სამ.ძეგ., ტ.II, 583.

ინვერსიულ ზმნებთან კი მიცემითში დასმული სახელის აქტიურობა მკვეთრია და მის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ტენდენციაც აშკარაა:

„მეფეო, დაუმალავსთ ესე საქმე შენთვის“ ამირანდ., Q 694,7 [შდრ.: დაუმალავთ R].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„... თუ გაყრა მოუკვდებისთ, ერთმანეთს უანგარიშებენ და ვუდად არ შერჩებისთ“ სამ.ძეგ., ტ.I, 507.

„... თუ მოხვალ გურიას, ღალატი ნებავსთ შენი„ ქარ.ცხ., ტ.II, 502,15.

უკვე საშუალ ქართულშივე ჩანს სწაფვა ამ კომპლექსის გამარტივებისაკენ. როგორც არნ.ჩიქობავა მიუთითებს, -ს-ს დაკარგვა ამ შემთხვევაში ფონეტიკური მიზეზებით ჩანს გამოწვეული; -ს ვერ ძლებს წინა თანხმოვანსა და მომდევნო თ-ს შორის (არნ.ჩიქობავა,1933 წ. გვ.8), თუმცა ეს არ არის ერთადერთი პოზიცია, -ს-ს წინ ხშირად ხმოვანიაა:

„აწე გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან...“ სამ.ძეგ., ტ.II,197.

ვფიქრობთ, რომ -სთ კომპლექსის გამარტივება დაწყებულა CLC პოზიციაში და მერე განზოგადებულა, გავრცელებულა VLC პოზიციაშიც. ფონოტაქტიკის დაწოლით გამარტივებულა მორფოლოგიური სტრუქტურა.

შესაძლოა, როგორც მიუთითებენ, -ს-ს დაკარგვას სხვა გარემოებაც უწყობდა ხელს, კერძოდ, მრავლობითში მდგარი სახელის მიერ (რომელიც შედარებით უფრო ძლიერია, ვიდრე -ს სუფიქსით წარმოდგენილი სახელის როლი ზმნაში) სუსტი სახელის დაჩრდილვა (არნ.ჩიქობავა, 1933 წ. გვ.8).

-სთ კომპლექსის გამარტივების ტენდენცია, რომელიც ცოცხალი მეტყველებისათვის ადრიდანვე იყო დამახასიათებელი, სალიტერატურო ნორმად დგინდება 1936 წლიდან (თან.ქართ.სალიტ.ენის ნორმები, 1970 წ. გვ.181-184). გამარტივებული წარმოება ჩვენს მიერ გამოკვლეულ ტექსტებში იშვიათობას არ წარმოადგენს. მსგავსი შემთხვევები მოხშირებულია XV-XVI საუკუნეების ხელნაწერებში, თუმცა ეს პროცესი ცოცხალ მეტყველებაში დაწყებული უნდა იყოს უფრო ადრე, მაგალითად:

MO დგას მეორე პირში:

„თქვენ გიჭვრეტდეთ საჭვრეტელსა შვენიერსა, სატურფალსა“ ვეფხ., 655,3.

„დაგიტევებიათ ლაშქარი ჩემი და აგიწყვეტიათ სამეფო ჩემი...“ ამირანდ. 228,8-229,I.

„თქუენ ორნივე მინახავთ მიჯნურნი...“ ვისრამ., 83,15 [შდრ.: გინახავთ FK].

„... წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ...“ სამ.ძეგ., ტ.II, 221.

„ესე როგორ გეკადრებათ ქართველთა...“ ქარ.ცხ., ტ.II, 379,I.

„და მოგაკმართო ჩემი სახლი გულმართლად...“ ქისკ., 193 [შდრ.: მოგაკმართოთ].

MO III პირისაა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვითა აუჩნდათ ერთმანეთი, დაიწყეს მიგებება თავადთა...“ ამირანდ., 784,12.

„ყარა და შარო უძეობისათვის ზრუნვიდეს, სხვა საჭურნავი არა ჰქონდათ რა...“ ვისრამ., 37,4.

„... როგორც ყმათ სლოკებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ“ სამ.ძეგ., ტ.I, 479.

„... და თანა ახლდათ ყაენის გაგზავნილი კაცი...“ ქართ.ცხ., ტ.II, 393,21.

მიცემითში დასმული მორფოლოგიური ობიექტის (რეალური სუბიექტის) მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში მაშინაც გვაქვს, როდესაც მორფოლოგიური სუბიექტიც და მორფოლოგიური ობიექტიც მრ. რიცხვშია:

„... და ცინცა კელისუფალნი სამოყიმელოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან“ სამ.ძეგ., ტ.II, 96.

„... ქმრისაგან ნარჩუქებისა რაც რომ ექნებოდა, ისინი მათვე მიეცემოდათ“ სამ.ძეგ., ტ.II, 578.

თუ შესიტყვებაში წარმოდგენილია ერთობლივ მრავლობით რიცხვში I S-ური პირისა და II O-ური პირის ურთიერთობა, მაშინ ზმნაში არსებული -თ ნიშანი S-ის მრ. რიცხვის მაჩვენებელია I პირის მკვეთრად გამოხატული აქტიურობის გამო:

„თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით“ ვეფხ., 391,3.

„აწ ჩუენ ამას ვეპკადრებთ მეფობასა თქუენსა“ ვისრამ., 33,11 [შდრ.: ვკადრებთ ACDKQ].

„მოაჴსენა: ვაწჳად მოხუედ, ნოსარ ნისრელო! უწინარე მოგეგებოდენით“ ამირანდ., 37.

„და უკეთუ კუალად ვისმე მიღმართ ჰბრძოდით, ათას-ათასითა მჴედრითა ჰშრილითა შეგეწეოდით“ ქართ.ცხ., ტ.I, 49,17.

„ესე... შესაწირავი შეგვწირეთ ჩუენ... თქუენ, რკონის ღმრთისმშობელსა...“ სამ.ძეგ. ტ.II, 68. ამ მაგალითში გარდა იმისა, რომ არ ჩანს II O-ური პირის რიცხვი, არ ჩანს არც მისი, ე.ი. „თქვენ“-ის პირის ნიშანი.

„... სამისა დღისაჲ მიწაჲ იყო ეკლესიისაჲ და მისითა სამართლითა სააკუმევლისათა თქუენვე მოგეცით“ ქისკ., 90.

II ობიექტური პირის მრ. რიცხვის -თ სუფიქსი არ ჩანს მაშინაც, როდესაც ზმნასთან დაკავშირებული მეორე სახელი, ანუ სუბიექტი III პირისა მრავლობითშია. ამგვარ კომბინაციაში II ობიექტური პირის მრ. რიცხვის -თ სუფიქსის უგულებელყოფას იმანაც შეუწყო ხელი, რომ III პირის S-ის მრ. რიცხვის ნიშნები (-ეს, -ენ, -ან, -ნ) ბოლოსართებია, რომლებიც ზმნის შემადგენლობაში [illegible] ადგილს იკავებენ (არნ. ჩიქობავა, 1930, 63-72)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ქართული ენის დიალექტების ერთ ჯგუფში ამ შემთხვევაშიც გამოხატა ობიექტის მრავლობითობა (ივ.ქავთარაძე, 1974, გვ.229-230). ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაშიც დადასტურდა მსგავსი შემთხვევა:

„... ისინიც მათ გრძნეულთანი იყვნეს და იმად მით გარდაგეკიდნესთ..." ამირანდ., 796,36.

„თუმცა წინას მტრინველნი დაგეკოცნეს, მშვიდობით დარჩებოდითო" ამირანდ., 588, 8-9 [შდრ.: დაგეხოცნესთ OP].

II ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობა არ აღინიშნება არც მაშინ, როცა შესიტყვებაში გვაქვს მრ.რიცხვში მდგარი III S -ური პირისა და II ირ. O-ური პირის ურთიერთობა:

„არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგხდით, ტურფად გშვენიან" ვეფხ., 489,2.

„... რომელნი თქვენ გარდაგეკიდნეს და დაჰხოცენით..." ამირანდ., 796,35.

„თქუენ ზოგნი დამპლობით გიყივიან, ზოგნი მოაბადყოფილობით" ვისრამ. 46,12.

„... ამ რიგად გემსახურონ და ვერა-რამან ჩუენმან ნათესავმან ვერ შეგიშალოს" სამ.ძეგ., ტ.II, 68.

„და ამისსა გასრულებასა შინა გ<ა>ქონდეს შუებანი თქუენ..." ქისკ., 178.

ორპირიან ზმნასთან -ებ ნიშნით გაფორმებული სახ. ბრუნვის მრავლობითობა შეიძლება არ იყოს აღნიშნული და მაშინ „თქვენ" სახელის მრავლობითობა ზმნაში აუცილებლად გამოჩნდება:

„... იმაზე ყარაულები უნდა გყვანდესთ დაყენებული" სამ.ძეგ., ტ.II, 492.

„... რომელსაც წინაპართა ჩუენთა მეფეთაგან ბოძებულნი წყალობის წერილები გიჳხადებსთ" სამ.ძეგ., ტ.II, 548.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძირითადსა და ვარიანტულ იკითხვისებში ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე ა დ გ ი ლ ი ს ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა მ გ ვ ა რ ა დ ა ა გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი: 1. ძველი წესით (აქუს იგი მათ), 2. გარდამავალით (აქვსთ იგი მათ), 3. ახალი წესით (აქვთ იგი მათ):

„მათ კაცთა შიში არავისი აქუს გულსა" ამირანდ., 649,4 [შდრ.: აქვსთ ABFNOQS, აქვთ R].

„... თუცა ექუსნი ხართ, გაგიძნელდების ომიო" ამირანდ., 609, 1-2 [შდრ.: გაგიძნელდებათ FI, გაგიძნელდებისთო R, გაგიძნელდებისთ ომი L ...]

ჩვენ ვეცადეთ შეძლებისდაგვარად დაგვედგინა ასეთი ცვლის მიახლოებითი ქრონოლოგიის ჩარჩოები. ჩვენი მასალის მიხედვით, -თ სუფიქსი პირველად

ჩანს XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში, კერძოდ „[1200 წ. ახლო] დაწერილი მღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი“:

„... კ(ჳრიკ)ე კახთა მეფისა სამწირველო გქონდათ“ ქისკ. ამ სუფიქსის პარალელურად XV ს-ის I ნახევრიდან სამწერლობო ენაში მიცემითში მდგარი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად ჩნდება -სთ კომპლექსი, რომლის ხმარება განსაკუთრებით მოხშირებულია XVI-XVIII სს-ებით დათარიღებულ ხელნაწერებში, თუნდაც დედანი ადრეული (XII ს.) ხანისა იყოს. საშუალ ქართულშივე ჩანს სწრაფვა ამ კომპლექსის გამარტივებისაკენ და ეს -თ სუფიქსი თანდათან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს ახალ ქართულში.

როგორც ვხედავთ, მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ირიბი ობიექტის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმება საშუალ ქართულში არაერთგვაროვანია, თუმცა აშკარაა მიცემითის სინტაქსური ძალის გაძლიერება, მის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის თანდათანობითი მოპოვება.

ლიტერატურა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970.

ა.კიზირია, 1985 - ა.კიზირია, ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმება მრავლობით რიცხვში თანამედროვე ქართულში, იკე, ტ.24, 1985.

ზ.სარჯველაძე, 1984 - ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ივ.ქავთარაძე, 1974 - ივ.ქავთარაძე, მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის გამოხატვის ისტორიისათვის ზმნაში, საიუბილეო კრებული, ეძღვნება ა.ბარამიძეს, 1974.

არნ.ჩიქობავა, 1933 - არნ.ჩიქობავა, -ის -ს C-ის მრავლობითობის -თ-ს წინ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, ნაკვეთი V, 1933.

არნ.ჩიქობავა, 1930 - არნ.ჩიქობავა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, №7/8.

შემოკლებათა განმარტება

ვეფხ. - „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, აკაკი შანიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით, I, თბ., 1966.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისრამ. – „ვისრამიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962.

ამირანდ. – „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967.

აბუს. ტბელი – აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წ. ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

ქარ. ცხ. – „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით, ტ. I, თბ., 1955, ტ. II, თბ., 1959.

სამ. ძეგ. – „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.

სამ. ძეგ. – „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

ქისკ. – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

ლაპ. წარწ. – ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დას. საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

ექვ. თაყაიშ. – ექვთიმე თაყაიშვილი, Археологическiя экскурсiи, разысканiя и заметки, вып. I, Тфл., тип. К.П.Козловского, 1905. Археологическiя экскурсiи, вып. III, 1907. Археологическiя экскурсiи, вып. II, Тфл., 1906.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ ქურდაძე

-ევ/-ივ, -ენ/-ინ სუფიქსები ხმოვანმონაცვლე ზმნებსა და კაუზატივში

ცნობილია, რომ კაუზატივის -ევ და -ინ სუფიქსები გვხვდება მოქმედებითი გვარის ფორმებშიც. მოქმედებითი გვარის და კაუზატივის ფორმებში ამ სუფიქსთა გამოყენებისას ერთი თავისებურება იჩენს თავს, რაზედაც მიუთითებდა ბ.ჯორბენაძე. კერძოდ, იგი წერდა „მოქმედებითი გვარის ფორმებში ეს სუფიქსები პარადიგმების მიხედვით მონაცვლე არიან: -ევ > -ივ (ძლევს – სძლია < *სძლივა); -ენ > -ინ (დენს – დადინა), კაუზატიურ ფორმებში კი გაქვავებული სახით არიან წარმოდგენილი (გარდა -ევ ფორმანტისა, რომელიც ზოგ დიალექტში იცვლება): ათლევინებს – გაათლევინა; აწერინებს – დააწერინა. გარდა ამისა: -ევ კაუზატიურ ფორმებში წარმოდგენილია ისე, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ფორმებისათვისაა აწმყოში დამახასიათებელი (ხ-ევ-ს), ხოლო -ინ მოქმედებითი გვარის ზმნებში მხოლოდ II სერიის ფორმებში დასტურდება“ (ბ.ჯორბენაძე, 1975, გვ.105).

ჩვენი აზრით, აღნიშნული სუფიქსები მოქმედებითი გვარის ზმნებში უღლების პარადიგმების მიხედვით მონაცვლენი არიან (-ევ > -ივ, -ენ > -ინ) მაშინ, როდესაც ეს ზმნები უთემისნიშნოა ე.ი. I სერიაში ამ ზმნებთან არ არის ხმოვნიანი სუფიქსი და ამიტომ არ არსებობს -ენ > -ინ, -ევ> -ივ გადასვლის ფონეტიკური საფუძველი. ასეთია -ევ-იანი ზმნები (ძლევს ტიპისა), რომლებთანაც თემის ნიშანი ჩვეულებრივ არ გვხვდება და ის -ენ-იანი ზმნები, რომლებიც თემის ნიშნის გარეშეა (დენს, ფრენს ტიპისა).

ხოლო თუ -ენ-იან ხმოვანმონაცვლე მოქმედებითი გვარის ზმნებში თემის ნიშანი გაჩნდება, მაშინ უნდა განირჩეს ორი შემთხვევა:

ა) ხმოვანმონაცვლე ზმნები ა- პრეფიქსით და -ებ თემის ნიშნით, რომელთაც უღლების პარადიგმების ცვლილებისას ყოველთვის -ინ (< -ენ) ექნებათ: ა-დინ-ებ-ს – ა-დინ-ა; ა-ვლინ-ებ-ს – ა-ვლინ-ა; ა-ჩინ-ებ-ს – ა-ჩინ-ა და სხვ. რა თქმა უნდა ამ ზმნათა თემისნიშნიან აწმყოს მოეპოვება უთემისნიშნო პარალელური ვარიანტებიც: ა-დენ-ს, ა-ვლენ-ს, ა-ჩენ-ს, და სხვ., რომლებიც თემის ნიშნის, ე.ი. ხმოვნიანი სუფიქსის უქონლობის გამო -ენ სუფიქსს უცვლელად წარმოგვიდგენენ.

ბ) -ენ-იანი ზმნები -ავ თემის ნიშნით, რომელთაც I სერიაში ძირით უთემისნიშნო ფორმასთან ერთად მოეპოვებათ პარალელური თემისნიშნიანი ვარიანტები: ერთი ურედუქციო ფუძით, მეორე რედუცირებული ფუძით: ფრენ-ს | ფრენ-ავ-ს || ფრინ-ავ-ს – ი-ფრინ-ა; ღრენ-ს || ღრენ-ავ-ს || ღრინ-ავ-ს – ი-ღრინ-ა; ხვრენ-ს || ხვრენ-ავ-ს || ხვრინ-ავ-ს – ი-ხვრინ-ა. ასეთივე ზმნებია: დვრენს, კრენს, კსენს, ფშვენს და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრენ-ავ-ს ტიპი იშვიათია, მაგრამ საერთოდ მის არსებობას განაპირობებს სალიტერატურო ენის ფაქტორი. თუ ამ ტიპს გამოვრიცხავთ, აღნიშნული ზმნების -ავ თემისნიშნიან ფორმებში (ფრინ-ავ-ს – ი-ფრინ-ა და მისთანა) გვრჩება მხოლოდ -ინ სუფიქსი.

მაშასადამე, თუ მოქმედებითი გვარის ხმოვანმონაცვლე ზმნები თემისნიშნიანია, მაშინ მუდამ -ინ (< -ენ) სუფიქსი გვაქნება[I].

კაუზატიურ ფორმებში კი, როგორც ბ.ჯორბენაძე შენიშნავს ეს სუფიქსები გაქვავებული სახით არიან წარმოდგენილი (ათლევინებს – გაათლევინა; აწერინებს – დააწერინა).

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კაუზატიურ ფორმებში ეს სუფიქსები სხვადასხვა სახითაა გაქვავებული. მიზეზი იმისა, რომ -ევ კაუზატიურ ფორმებში წარმოდგენილია ისევე, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ფორმებისათვისაა აწმყოში დამახასიათებელი (ხ-ევ-ს), ხოლო -ინ მოქმედებითი გვარის ზმნებში მხოლოდ II სერიის ფორმებში დასტურდება, ხმოვნიანი სუფიქსის ქონა-არქონაში უნდა ვეძიოთ. ამ შემთხვევაში ასეთ სუფიქსებად -ებ და -ა გვევლინება.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კაუზატივის სუფიქსებად ქართულში გამოიყოფა -ევ/-ივ და -ენ/-ინ, რომლებიც კაუზატივის მორფემათა სრულ და რედუქციის საფეხურებს წარმოგვიდგენენ (გ.დეეტერსი, 1930, გვ.207; თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.276).

-ევ (> -ი(ვ)), -ინ და მათი შერწყმით მიღებული -ევინ სუფიქსები ჩვეულებრივ გვხვდება კაუზატიურ ფორმებში ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს -ენ.

ალ.ჭინჭარაულის აზრით, კაუზატივის -ინ სუფიქსს სისტემატურად უნდა ჰქონოდა -ენ სუფიქსიც. „ამაზე მიუთითებენ ზმნები, რომლებსაც ხევსურულში -ენ, -ინ სუფიქსები აქვთ, მაგრამ კაუზატივი მათში მკრთალად არის გამოხატული: არგ-ენ-ს – არგ-ინ-ა... აკლ-ენ-ს – აკლ-ინ-ა..." (ალ.ჭინჭარაული, 1960, გვ.148).

თ.გამყრელიძე და გ.მაჭავარიანი აღნიშნავენ, რომ „სრულსაფეხურიანი -ენ სუფიქსით გაფორმებულ ზოგ ზმნას დაკარგული აქვს პირვანდელი კაუზატიური მნიშვნელობა: ვ-ი-სმ-ენ – აორ. ვ-ი-სმ-ინ-ე, ვ-ი-თმ-ენ – აორ. ვ-ი-თმ-ინ-ე და სხვ." (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.276).

ავტორები ვარაუდობენ, რომ კაუზატიური წარმოშობისა უნდა იყოს -ენ/-ინ ფორმანტი ისეთ ზმნებში, როგორიცაა ვადხ-ენ – ვადხ-ინ-ე, ვიბრძოლ-ენ

I ფრენ-ავ-ს ტიპი, როგორც მივუთითეთ, სალიტერატურო ენის გავლენით აიხსნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიბრძლუ-ინ-ე და სხვ.

თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით, „*-ეჷ სუფიქსი დადასტურებულია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში გახმოვანების ნორმალურ (ქართ. -ევ) რედუქციის (ქართ. -ივ) და ნულოვან (მეგრ.-ჭან. -უ) საფეხურებზე; *-ენ სუფიქსი დადასტურებულია ნორმალურ (ქართ. და სვან. -ენ), რედუქციის (ქართ., მეგრ.-ჭან. და სვან. -ინ) და ნულოვან (-უ-ნ სუფიქსის შემადგენლობაში) საფეხურზე. საერთო ქართველურისათვის შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნეს კაუზატივის მაწარმოებელი *-ენ/*-ინ/*-ნ და *-ეჷ/*-იჷ/*-ჷ სუფიქსები წარმოდგენილი გახმოვანების ნორმალურ, რედუქციის და ნულოვან საფეხურებზე" (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.277).

ამ მოსაზრების გათვალისწინებით კაუზატიურ ფორმებში უნდა გვქონოდა *ათლევენ-ებ-ს - *გაათლევენ-ა; *აწერენებ-ს - *დააწერენ-ა და აქ -ებ, -ა სუფიქსების გავლენით მივიღეთ: ათლევინებს - გაათლევინა, აწერინებს - დააწერინა.

მაშასადამე, კაუზატივის -ინ I და II სერიაში რედუქციის საფეხურს გვიჩვენებს. ეს ეხება როგორც -ინ, ასევე -ევინ სუფიქსსაც. ხოლო -ევინ სუფიქსიანი ფორმების შესახებ დამატებით უნდა ითქვას, რომ -ევინ რთული სუფიქსის პირველ ნაწილს -ევ-ს რედუქცია ამ შემთხვევაში არ ეხება. ეს პროცესი მომდევნო -ინ (< -ენ) სუფიქსმა განიცადა.

სწორედ ამიტომ კაუზატიურ ფორმებში -ევ გაქვავებულია იმ სახით, რა სახითაც გვხვდება შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნების აწმყოში (ხ-ევ-ს), ხოლო -ინ რედუქციის საფეხურს გვიჩვენებს, ისევე როგორც თემატურ აწმყოში (ა-ლხინ-ებ-ს, ფრინ-ავ-ს) და ასევე ამავე ზმნათა II სერიის ფორმებში (ა-ლხინ-ა, ი-ფრინ-ა; ა-ლხინ-ო-ს, ი-ფრინ-ო-ს).

თავის მხრივ შესაძლებელია -ევ სუფიქსი ხმოვნიანი სუფიქსის გავლენით გადაკეთდეს -ი(ვ)-ად. ამის შესახებ ა.შანიძე წერდა: „-ევ-იან ზმნათა თავისებურება ის არის, რომ ეს -ევ მეორე სერიაში -ივ-ად იქცევა (თანახმად ხმოვანთა მონაცვლეობის წესისა), მაგრამ ამასთანავე ერთად მისი თანხმოვანი იკარგება და რჩება მარტო ხმოვანი ი: წავა-ქც-ევ - წავა-ქც-ი(ვ)-ე, წავა-ქც-ი(ვ)-ო" (ა.შანიძე, 1980, გვ.403).

-ივ (< -ევ) შესაძლებელია I სერიის ფორმებთანაც შეგვხვდეს კაუზატივის წარმოების დროს, ოღონდ ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც ევ-ს სხვა ხმოვნიანი სუფიქსი მოსდევს. ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია დავასახელოთ გურულის ნიმუშები.

როგორც ცნობილია, კაუზატივის მაწარმოებელი ფორმანტი -ინ გურულში წარმოდგენილია -ი-ს სახით; კაუზატივს აწარმოებს -ივ სუფიქსიც, რომელიც

ასევე წარმოდგენილია -ი-ს სახით (გ.კვერენჩხილაძე, 1941, გვ.205)[I].

აღნიშნულ სუფიქსებს გ.კვერენჩხილაძის მიერ წარმოდგენილ მაგალითებში ვხვდებით როგორც I სერიის, ასევე II სერიის ფორმებში. ნიმუშად დავასახელებთ შემდეგს:

-ინ > -ი:	თავს აგდებიებდა	I სერია,
	გადააგდებია	II სერია,
-ივ > -ი:	აწვიებს შიშას	I სერია,
	გოჭი შიაწვია	II სერია.

კაუზატივის -ინ I და II სერიაში გვხვდება სალიტერატურო ქართულში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი -ენ-ისაგან უნდა მომდინარეობდეს.

ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა -ევ სუფიქსის -ი(ვ) სახეობა I სერიაში.

გ.კვერენჩხილაძე გურულის კაუზატივის -ივ მაწარმოებელს ხევსურული კაუზატივის -ევ სუფიქსს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ „-ევ კაუზატივის მაწარმოებელი ხევსურულში გამოყენებულია მხოლოდ პირველ სერიაში, გურულში კი სერიებისდა განურჩევლად ვხვდებით -ივ -> -ი სუფიქსს" (გ.კვერენჩხილაძე, 1941, გვ.209).

გ.კვერენჩხილაძის აზრით, -ი (< -ივ) სუფიქსიანი კაუზატიური ფორმები გურულში I სერიაში II სერიის ანალოგიით უნდა აიხსნას, ისევე როგორც ფუძედრეკად ზმნათა ი ხმოვნიანი ფუძე I სერიის მწკრივებში (გ.კვერენჩხილაძე, 1941, გვ.209-210).

როგორც ცნობილია, პირველ სერიაში ფუძედრეკად ზმნათა ი ხმოვნიანი ფუძის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, ფუძედრეკად ზმნებში პირველ სერიაში ე > ი მონაცვლეობის გამომწვევ მიზეზად მიჩნეულია რედუქცია, რომელსაც -ავ და -ებ თემის ნიშნები ახდენენ (ვ.თოფურია, 1942, გვ.492; ი.ქავთარაძე, 1954, გვ.118-120; არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ.87; ა.თაყაიშვილი, 1974, გვ.16-18; ლ.ნოზაძე, 1993, გვ. 18-19). ჩვენც ამ მოსაზრებას ვიზიარებთ (რ.ქურდაძე, 1994, გვ.11-12).

აქვე აღვნიშნავთ, რომ გურულის გარდა კაუზატივის -ევ > -ივ > -ი I სერიის ფორმებში დასტურდება ხევსურულშიც: ...კელ-პირსამც აბანიებ, უწყროსადამც ხყავიხარ! (გაბ., 137,32); ...აქუმბიებენ, რომ მოვდითავ

I გურულ კილოში -ი(ვ) კაუზატივის სუფიქსის ხმარების შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებაც. ა.შანიძის აზრით, „ეს სუფიქსი მარტივია და ინ-ის ნაცვლად დაერთვის ზმნათა დიდ უმეტესობას ზოგ კილოში (მაგ., გურულში) წერ-ს - აწერ-ი-ებ-ს, ტეხ-ს - ატეხ-ი-ებს, გრეხ-ს - აგრეხ-ი-ებს, ხატ-ავ-ს - ახატვ-ი-ებს, აკეთებ-ს - აკეთებ-ი-ებს და მისთ. ევ-ინ-ის ნაცვლად აქ გვაქვს: ევ-ი(ვ): ათლ-ევ-ი-ებს, ათხრ-ევ-ი-ებს, აკლ-ევ-ი-ებს, ათქმ-ევ-ი-ებს და სხვ." (ა.შანიძე, 1953, გვ.362; [illegible], 1966, გვ.264).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(გამ., II 26); შაატყობიებს ჯვარიონთ (გამ., I21,26); ...წინაე გაა-გებიებს (გამ., I21,23) და სხვ.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, ხევსურულში კაუზატივი -ევ, -ივ და რთული (-ევ-ივ >) -ევი სუფიქსებით იწარმოება.

ალ.ჭინჭარაული აღნიშნავს, რომ -ევ სუფიქსი დასტურდება ან -ავ, -ამ სუფიქსიან ზმნებში (იქამს – აქნევს; კლავს – აკვლევს) ანდა -ი სუფიქსიან ზმნებში: (ყრის – აყრევს). რთული (-ევ-ივ) სუფიქსიც მარტო ამ ზმნებში დასტურდება: ათქმევი(ვ)ებს, აყრევი(ვ)ებს... დანარჩენ შემთხვევებში -ივ სუფიქსი გვხვდება (ალ. ჭინჭარაული, 1960, გვ.145-146).

ჩვენი ვარაუდით, კაუზატივის სუფიქსის ცვლილებას (-ევ > -ივ) I სერიის ფორმებში გურულსა და ხევსურულში ისეთივე საფუძველი უნდა ჰქონდეს, როგორც -ევ > -ივ ცვლილებას II სერიაში. კერძოდ, აღნიშნულ ფორმებში I სერიაში რედუქციას უნდა იწვევდეს -ებ სუფიქსი და ამდენად ე > ი გადასვლა I სერიაშიც რედუქციით აიხსნება. -ებ სუფიქსის ძალა მოქმედებს -ევ > -ივ სუფიქსის თანხმოვნით ელემენტზეც. როგორც ცნობილია ინტერვოკალურ პოზიციაში ვ ბგერა იკარგება (მით უფრო – ბაგისმიერის მეზობლად) და ამ შემთხვევაში -ევ სუფიქსიდან გვრჩება მხოლოდ -ი.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც, კერძოდ, ა.თაყაიშვილი -ინ სუფიქსთან დაკავშირებით წერდა „ა-წვ-ინ-ებ-ს < *ა-წვ-ენ-ებ-ს დასაშვებია იმიტომ, რომ ენაში არსებობს ა-წვ-ენ-ს ფორმა (ისევე როგორც დრიკ-ე < დრეკ-ე პროცესისათვის აუცილებელია დრეკ-ს ფორმის დასტური). მაგრამ, როგორც გავარკვიეთ, ენაში არ დასტურდება *ა-წერ-ენ-ს ტიპის წარმოების კვალი (-ენ/-ევ ფორმანტები შეუთავსებელია მარცვლოვან ფუძეებთან“).

გ.მაჭავარიანის მიერ აღდგენილი *ა-წერ-ენ-ს (> *ა-წერ-ენ-ებ-ს > ა-წერ-ინ-ებ-ს) წმინდა ვარსკვლავიან ფორმას წარმოადგენს და, ამდენად ა-წერ-ინ-ებ-ს < *ა-წერ-ენ-ებ-ს პროცესს რეალურად ვერ მივიჩნევთ (ა.თაყაიშვილი, 1974, გვ.19-20).

ა.თაყაიშვილის აზრით, ა-წვ-ინ-ებ-ს ~ ა-წვ-ინ-ა ტიპის ანალოგიით -ინ განზოგადდა ფუძეკუმშველი ზმნების კაუზატივის ნიშნად: ა-წერ-ინ-ებ-ს ~ ა-წერ-ინ-ა.

მკვლევარი ასევე ფიქრობდა -ივ სუფიქსის შესახებაც: „-ივ ელემენტი მარცვლოვან ფუძეებში ანალოგიით უნდა იყოს გადმოსული ა-თქმ-ი(ვ)-ა ტიპის ფორმებიდან, ისევე როგორც თავის დროზე ა-წერ-ინ-ა-ს -ინ ჩაენაცვლა ა-წვ-ინ-ა-ს -ინ ფორმანტის ანალოგიურად. ასეთ ზმნებში -ივ < -ევ ([illegible]რმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დასტურია საჭირო, რომელიც ენაში არ ჩანს (შდრ. ძვ. ა-რბ-ევ-ს ॥ ა-რბ-ენ-ს)" (ა.თაყაიშვილი, 1974, გვ.23).

თვით ა-თქმ-ი(ვ)-ებ-ს მიღებულია *ა-თქმ-ევ-ებ-ს ფორმიდან (ა.თაყაიშვილი, 1974, გვ.23).

ჩვენი აზრით, აღნიშნულ შემთხვევებში ანალოგიაზე ლაპარაკი უადგილოა, რადგანაც ა-წერ-ინ-ებ-ს - ა-წერ-ინ-ა და ა-წერ-ი(ვ)-ებ-ს - ა-წერ-ი-(ვ)-ა ფორმებში -ინ და -ივ სუფიქსები ისეთ პოზიციაშია, სადაც აშკარად შეგვიძლია ვივარაუდოთ ენ, -ევ სუფიქსების რედუქცია.

-ინ, -ივ სუფიქსები რომ ანალოგიით ყოფილიყო გაჩენილი, I სერიაში უნდა გვქონოდა *ა-წერ-ინ-ს, *ა-წერ-ივ-ს.

მკვლევარი ვარაუდობს, რომ -ინ სუფიქსი განზოგადდა, მაგრამ არაფერს ამბობს I სერიაში -ებ სუფიქსზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ I სერიაში, სადაც დასტურდება -ი(ვ) (გურულში, ხევსურულში) და -ი(ნ) (გურულში), ყველგან მის მომდევნოდ არის ხმოვნიანი სუფიქსი (კერძოდ, -ებ), უამისოდ -ი(ვ) და -ი(ნ) ფორმანტთა არსებობა შეუძლებელია.

სწორედ I სერიაში -ებ და II სერიაში -ა წარმოადგენს -ევ და -ენ სუფიქსთა რედუქციის საფუძველს როგორც უმარცვლო, ასევე მარცვლოვან ფუძეებში.

აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია გ.მაჭავარიანის ვარაუდი: *ა-წერ-ენ-ს > *ა-წერ-ენ-ებ-ს > ა-წერ-ინ-ებ-ს (გ.მაჭავარიანი, 1988, გვ.89). აქ ნათლად ჩანს, რომ -ებ სუფიქსის გავლენით -ენ > -ინ, ხოლო -ინ - რედუცირებული საფეხური კი ვეღარ ახდენს გავლენას ფუძისეულ ხმოვანზე[I].

ამრიგად, -ევ > -ივ, -ენ > -ინ სუფიქსთა ცვლილებანი როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, ასევე კაუზატიურ ფორმებში ხმოვნიანი სუფიქსის გავლენით აიხსნება.

დამოწმებული ლიტერატურა

თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965 - თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ.,1965.
გ.დეეტერსი, 1930 - გ.დეეტერსი, ქართული ზმნა, ლაიპციგი, 1930 (გერმანულ ენაზე).

I -ინ რომ ვერ ახდენს ფუძისეულ ხმოვანზე გავლენას და იგი რედუქციის მიზეზი კი არაა, არამედ თვითონაა ნაწილობრივი რედუქციის შედეგი, ამას ა.თაყაიშვილიც აღნიშნავს (ა.თაყაიშვილი, 1974, გვ.20).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა.თაყაიშვილი, 1974 – ა.თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ.IV, თბ., 1874.

ვ.თოფურია, 1942 – ვ.თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, აკად. მოამბე, ტ.III, №5, თბ., 1942.

გრ.იმნაიშვილი, 1966 – გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ, „მაცნე", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, №6, თბ., 1966.

გ.კვერენჩხილაძე, 1841 – გ.კვერენჩხილაძე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, თბ., 1941.

არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956 – არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

გ.მაჭავარიანი, 1988 – გ.მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.XXVII თბ., 1988.

ლ.ნოზაძე, 1993 – ლ.ნოზაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების შესახებ ქართულში, არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1993.

ი.ქავთარაძე, 1954 – ი.ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიები ძველ ქართულში, თბ., 1954.

რ.ქურდაძე, 1994 – რ.ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის ფუძის შესახებ, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1994.

ა.შანიძე, 1980 – ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ.III, თბ., 1980.

ალ.ჭინჭარაული, 1960 – ალ.ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

ბ.ჯორბენაძე, 1975 – ბ.ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენე ბაბუნაშვილი

II თურმეობითის სემანტიკასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში

დრო-კილოთა III სერიის ფორმების გამოყენების თვალსაზრისით ძველსა და ახალ ქართულს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: ძველ ქართულში ეს ფორმები შედარებით იშვიათად იხმარება, მაშინ, როდესაც ახალ ქართულში I და II თურმეობითების გამოყენების ხვედრითი წონა შესამჩნევად გაიზარდა და ეს გარემოება არაერთხელ აღინიშნა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ივ. იმნაიშვილისა და სხვების ცნობილ შრომებში).

როგორც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული მასალა ცხადყოფს, II თურმეობითის ერთადერთი და ძირითადი ფუნქცია „ნამყო პერფექტის" ანუ შედეგობითი ნამყოს (resp. პლუსკვამპერფექტის) გამოხატვაა და ეს მნიშვნელობა ყველაზე ნათლად ერთპირიან გარდაუვალ ზმნებში ჩანს, მაგ.:

<u>შეშინებულ ხიყვნეს</u> და დახედრიკნეს პირნი მათნი ქუეყანად (ლ., 24,5).

აფთუ არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე ვანად <u>მისრულ იყო</u> კითხვად რაჲსამე სიტყჳსა (შუშ., 147,27).

დამოწმებულ მაგალითებში II თურმეობით შედეგობითი ნამყოს მნიშვნელობა აქვს, რასაც, გარდა შინაარსისა, მხარს უჭერს ამ ფორმათა წარმოებაც: წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა მოქმედებას დასრულებულად წარმოგვიდგენს, უკვე მომხდარად, ხოლო მეშველი ზმნა წყვეტილის ფორმით მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედების შედეგი ჩანს არა აწმყოში, როგორც ეს I თურმეობითის შემთხვევაში გვაქვს, არამედ ნამყოში. სწორედ ეს არის II თურმეობითის ძირითადი მნიშვნელობა ძველ ქართულში. ძნელი გასაზიარებელი უნდა იყოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფორმები „უწყებულ იყო", „მოცემულ იყო" და სხვ. „არის...წყვეტილის ჩვეულებრივი ფორმები, წინადადებებში შედგენილი შემასმენლის სახით წარმოდგენილი, რომლის მსგავსიც დღესაც ხშირად გვესმის ხ ემე: საკლავი დაკლული იყო, ღვინო ჩამოსხმული იყო" (ი. იმნაიშვილი, 1971, 351). საქმე ისაა, რომ ძველი ქართულის ის ფორმები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტია წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა,

ვფიქრობთ, არ შეიძლება მივიჩნიოთ შედგენილ შემასმენლად, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს თითქოს ერთნაირი ოდენობებია (სახელი წრფელობით ბრუნვაში + მეშველი ზმნა აწმყოში). იმ ფორმებს, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი მიმღეობაა, არ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ აწმყოს ან მხოლოდ წყვეტილის მნიშვნელობა: მიმღეობას დროზე მითითების, კერძოდ, ამ შემთხვევაში შესრუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებული მოქმედების შედეგის აღნიშვნის უნარი აქვს, ამიტომ ძველი ქართულის მიმღეობიანი ფორმები რთულ დროებს – აწმყო ან ნამყო შედეგობითს გამოხატავენ. ახალ ქართულში შედგენილი შემასმენლისა და I ან II თურმეობითების ფორმების ერთმანეთისაგან გარჩევის სხვა კრიტერიუმი გაჩნდა: ჯერ ერთი, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (იქნება ეს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, საწყისი თუ მიმღეობა) ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, მეორეცაა და, I და II თურმეობითების აღწერითი ფორმები ამჟღავნებენ სინთეზურ წარმოებაზე გადასვლის ტენდენციას, რამაც კიდევ უფრო გამიჯნა ეს ფორმები შედგენილი შემასმენლისაგან. ამიტომ „დაკარგულია“ და „დაკარგულა“ ფორმები ახალ ქართულში სხვადასხვა შინაარსის მქონე სხვადასხვა ოდენობებია და მათი ერთმანეთში აღრევა არ ხდება (ერთი კია, რომ „დაკარგულია“ მაინც განსხვავდება „დიდია“-საგან, რადგანაც პირველი, მიმღეობიან ფორმას ახალ ქართულშიც აქვს შედეგობითი მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც სახელიან ფორმას მხოლოდ აწმყოს მნიშვნელობა აქვს). ახალი ქართულის ეს ვითარება გახდა ამოსავალი, როგორც ჩანს, იმ დებულებისათვის, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში ერთსა და იმავე ოდენობად არის მიჩნეული შედგენილი შემასმენელი და I და II თურმეობითები იმის გამო, რომ სახელადი ნაწილი ყველა ამ ფორმაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი: „არა ყოველი „მოსრულ არს“, „მოსრულ იყო“, „მოსრულ იყოს“ და მსგავსი ფორმები უნდა გავიგოთ პირველ თურმეობითად, მეორე თურმეობითად და მესამე კავშირებითად. ამ აღწერით ფორმებს შინაარსიც უნდა [illegible] პირველი და მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითისა. ეს კი ძალზე იშვიათად (ვიმეორებ, ძალზე იშვიათად) გვხვდება. ჩვეულებრივ კი მათ აწმყოს, წყვეტილისა და მეორე კავშირებითის ფორმა და გაგება აქვთ და სწორედ ამ მწკრივებადაც გვესმის“ (ი. იმნაიშვილი, 1971, 352). როგორც ჩანს, ამ მწკრივების „შინაარსში“ ავტორი თურმეობითის, უნახაობის ფუნქციას გულისხმობს, რომელიც ამ ფორმებს მართლაც არა აქვთ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ეს ფორმები ძველ ქართულში აწმყო ან ნამყო შედეგობითს ან შედეგობით [illegible] გამოხატავდნენ. მიმღეობის მონაწილეობა არის განმსაზღვრელი ნიშანი პერფექტული ფორმებისათვის ყველა ენაში და ასეა ქართულშიც (ამ კონტექსტში არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგ ენაში, მაგალითად, სომხურში, შემასმენლად ხშირად არის გამოყენებული სწორედ ნამყო დროის მიმღეობა და არა ზმნის პირიანი ფორმა).

ნამყო შედეგობითის მნიშვნელობა აქვთ ძველ ქართულში ორპირიანი გარდაუვალი და ორ- და სამპირიანი გარდამავალი ზმნების II თურმეობითის ფორმებსაც, მაგ.:

ხოლო ვოლსა მისსა (წუთისა) სასწაული იგი პატრიაქისა არა დაეწვინწყებოდა, არამედ ცნობასა მისსა აქუნდა ჴსენება მისი

(ანტიოქ. IC5, 35, ეტ., 1961, 369).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცითარჳა შევიდა, პოვა, რამეთუ ჳოლსა მისსა წარელო ყოველი მონაგები თჳსი... (კიმ., 1918, 327).

საშუალ ქართულში II თურმეობითის ძირითად მნიშვნელობას – შედეგობითი ნამყოს აღნიშვნას ემატება კიდევ ერთი ფუნქცია: უნახავი, ე.ი. ისეთი მოქმედებისგამოხატვა, რომელიც მოუბარს არ უნახავს და რომლის შესახებაც შედეგის, რეზულტატის მიხედვით მსჯელობს. თურმეობითების და, კერძოდ, II თურმეობითის ეს ფუნქცია დაკავშირებული უნდა იყოს მის პირველად და ძირითად ფუნქციასთან – შედეგის გამოხატვასთან ნამყოში და ამ ფუნქციის ჩასახვა იწყება უკვე საშუალ ქართულში, მაგ.:

მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა, ებრძანა...

(ვეფხ.ტყ., 144).

ჳოტანი თათარნი მოსრულიყვნეს და ქალაქი მისი დაეწვათ და წარეტყვევნათ (ამირანდარ., 531).

ამრიგად, ამ ორი ფუნქციით გამოიყენება II თურმეობითი საშუალ ქართულში იმ შემთხვევაში, როცა მას მხოლოდ თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ II თურმეობითი ახალ ქართულში კავშირებითი კილოს ფუნქციასაც იძენს და, როგორც ეს არაერთხელ არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ეს ფუნქცია ამ მწკრივის ფორმებს მას შემდეგ დაეკისრა, რაც ენაში გაქრა „მცა" ნაწილაკი, რომელიც ძველ ქართულში თხრობითი კილოს ყველა მწკრივს კავშირებითის მნიშვნელობას ანიჭებდა (ა.შანიძე, 1976, 166; შ.ძიძიგური, 1956, 262-277; ფ.ერთელიშვილი, 1963, 225-228; ც.ფეიქრიშვილი, 1974, 58). „მცა" ნაწილაკის ეს ფუნქცია პირველად ა.შანიძემ შეამჩნია და სპეციალური წერილი უძღვნა მას (ა.შანიძე, 1918). ამ ნაწილაკის ხმარებასთან დაკავშირებული ზოგი სხვა საკითხი დამატებით შემდგომაც იქცა მსჯელობის საგნად, სახელდობრ, გამოითქვა მოსაზრება, რომ „მცა" ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები თავის დროზე ქართულში შედარებით გვიან წარმოქმნილი კავშირებითის საკომპენსაციო საშუალება იყო (პ.გაჩეჩილაძე, 1960, 248) და, როგორც ჩანს, ამიტომ არის, რომ უკვე ძველ ქართულში კავშირებითის ორგანული ფორმები გაცილებით ხშირად გამოიყენება, ვიდრე იმავე კავშირებითის გამომხატველი აღწერითი წარმოება – შესაბამისი თხრობითი კილოს ფორმები „მცა" ნაწილაკთან ერთობლიობაში (პ.გაჩეჩილაძე, 1960, 248).

იმის შემდეგ, რაც ასპექტის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით ქართულში გაჩნდა მყოფადის აღმნიშვნელი ცალკე მწკრივი, „შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ მომავლის საწარმოებლად თხრობითი კილოს გაგებით აწმყოს მწკრივიც ყოფილიყო გამოსავალი და II კავშირებითს საშუალება მიეცა თხრობითი კილოს გამოხატვაზე ხელი აეღო და მარტო კავშირებითობა აღენიშნა" (ა.შანიძე, 1973, 270). ეს დებულება თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს პირველ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავშირებითზეც. ამრიგად, XI საუკუნიდან დასაბამი მიეცა „მცა“ ნაწილაკიანი ფორმების გაქრობას, თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეხება მხოლოდ I და II სერიების „მცა“ ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმებს, II თურმეობითის „მცა“ ნაწილაკიანი ფორმები კი, პირიქით, მატულობს ძველ ქართულთან შედარებით.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, II თურმეობითთან „მცა“ ნაწილაკის გამოყენების სიხშირე აიხსნება იმით, რომ უკვე „ძველ ქართულში -მცა ნაწილაკიან ფორმებს II თურმეობითის გაგებაც (ხაზი ჩვენია. ე.ბ.) ჰქონდა ხოლმე“ (პ.გაჩეჩილაძე, 1960, 249) და „II თურმეობითთან გამოყენებული -მცა ნაწილაკი ხშირად კავშირებითის გაგებას აღარ იძლევა და ასეთი II თურმეობითი ისევ თურმეობითის შინაარსს (ხაზი ჩვენია. ე.ბ.) უფრო გადმოსცემს“ (პ.გაჩეჩილაძე, 1960, 250). ვფიქრობთ, რომ „მცა“ ნაწილაკიანი II თურმეობითის ფორმების ხშირი ხმარების ასეთი ახსნა არც დამაჯერებელია და საკმაოდ ბუნდოვანიც არის, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ნათელი არ არის, რას გულისხმობს ავტორი „თურმეობითის შინაარსში“, უნახაობის აღნიშვნას, შედეგობითი ნამყოს ფუნქციას თუ კავშირებითი კილოს გამოხატვას. დებულება კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება ავტორის მიერ სათანადო საილუსტრაციო მაგალითების დამოწმების შემდეგ. ამ მაგალითებიდან ორში II თურმეობითს ნამდვილად კავშირებითის ფუნქციას აქვს, რადგანაც „რაჲთა“ კავშირიან დამოკიდებულ წინადადებაშია გამოყენებული.

საფიქრებელია, რომ „მცა“ ნაწილაკიანი II თურმეობითის ფორმების გახშირება საშუალ ქართულში ისევ III სერიის მწკრივების გამოყენებისა და წარმოების თავისებურებით უნდა აიხსნას. ცნობილია, რომ III სერიის მწკრივები გვიან ჩამოყალიბებული მეორეული წარმოშობის მწკრივებია (არნ.ჩიქობავა, 1948,5) და სწორედ ამით აიხსნება, როგორც ჩანს, ამ მწკრივების შედარებით იშვიათი გამოყენება ძველ ქართულში. ამასთან, იმავე ძველ ქართულში თვით ეს მწკრივებიც სხვადასხვანაირი სიხშირით იხმარება: ყველაზე ხშირად I თურმეობითი, შემდეგ II თურმეობითი, ხოლო III კავშირებითის გამოყენების შემთხვევები თითო-ოროლა მაგალითით ამოიწურება (ნ.ნათაძე, 1955, 98; ლ.ბარამიძე, 1964, 106; ც.ქურციკიძე, 1963, 242; ი.იმნაიშვილი, 1971, 348). ამრიგად,იმ დროისათვის, როდესაც I და II კავშირებითების ფორმები უკვე საკუთრივ კავშირებითობას გამოხატავდნენ და ამის გამო შეიქმნა I და II სერიების თხრობითი კილოს „მცა“ ნაწილაკიანი მწკრივების კავშირებითი კილოს ფუნქციის გამოყენების სიჭარბე, III კავშირებითის – შედეგობითი მომავალი დროის გამოყენება კვლავ მცირე იყო და სპორადულ ხასიათს ატარებდა. მდგომარეობა, წინააღმდეგ მოლოდინისა, არ შეიცვალა არც შემდეგდროინდელ ქართულში: III კავშირებითის ფორმები თითზე ჩამოსათვლელია როგორც საშუალ, ასევე ახალ ქართულშიც. ამრიგად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III სერია ფაქტიურად კავშირებითი კილოს ფორმების გარეშე დარჩა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ განაპირობა ენის განვითარების ამ ეტაპზე „მცა" ნაწილაკის გამოყენების სიხშირე II თურმეობითის ფორმებთან, ხოლო შემდეგ, როცა შეიქმნა რთული ქვეწყობილი წინადადების მყარი მოდელები, სადაც „მცა" ნაწილაკიან II თურმეობითს პირობითი (ზესპ· კავშირებითი) კილოს მნიშვნელობა ჰქონდა და ამავე ნაწილაკის სინტაქსური ძალის დასუსტების გამო სხვა სერიებში, „მცა" ნაწილაკი დაიკარგა II თურმეობითთანაც, ამ უკანასკნელმა შეინარჩუნა კავშირებითის მნიშვნელობა გარკვეულ შემთხვევებში. საშუალ ქართულში უკვე არის ისეთი მაგალითები, სადაც II თურმეობითი „მცა" ნაწილაკის დამოუკიდებლადაც აღნიშნავს კავშირებითობას, თუმცა, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ ხშირია „მცა" ნაწილაკის გამოყენება იმავე II თურმეობითთან კავშირებითი კილოს აღსანიშნავად.

ახალ ქართულში II თურმეობითი კვლავ გამოიყენება თავისი ძირითადი - შედეგობითი ნამყოს ფუნქციით. ხშირია აგრეთვე II თურმეობითის ხმარება უნახაობის აღსანიშნავად და კავშირებითი კილოს გამოსახატავად. ახალ ქართულშივე II თურმეობითი გამოიყენება მიმავალი დროის ფუნქციითაც, რაც, სავარაუდებელია, დაკავშირებულია II თურმეობითის მიერ კავშირებითი კილოს აღნიშვნასთან.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ II თურმეობითის ასეთი მრავალი ფუნქციით გამოყენება უნდა ჩავთვალოთ იმის მიზეზად, რომ II თურმეობითი ასე ფართოდ გამოიყენება ახალ ქართულში. მსოფლიოს ბევრ ენაში, რომლებშიც განვითარების ადრეულ საფეხურებზე დასტურდებოდა წარსული დროის ოთხი ფორმა - იმპერფექტი, პერფექტი, აორისტი და პლუსკვამპერფექტი, ამჟამად მხოლოდ პერფექტია შემორჩენილი. ეს გარემოება სათანადო სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია პერფექტის უნივერსალური მნიშვნელობით (ვ.სერებრენიკოვი, ი.ბიირიუკოვიჩი, 1981, 4-5): რადგანაც პერფექტული ფორმები, ჩვეულებრივ, ენათა უმრავლესობაში იმპერფექტისა და აორისტის მნიშვნელობით გამოიყენება, იქმნება იმპერფექტისა და აორისტის გამოყენების სიჭარბე. აშკარაა, რომ განსხვავებული ვითარება, სახელდობრ, ოთხივე ნამყო დროის შენარჩუნება ახალ ქართულში გამოწვეული უნდა იყოს შემდეგი გარემოებით: I თურმეობითმა (ზესპ პერფექტმა) ახალ ქართულში იტვირთა ორი ახალი - უნახაობისა და მრავალგზისობის ფუნქცია, ამიტომ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო წყვეტილის მნიშვნელობის გამოხატვა კითხვითსა და უარყოფით წინადადებებში (დ.ფხაკაძე, 1984, 140-146). ამიტომ ახალ ქართულში აღარ დგას უწყვეტლისა და წყვეტილის გამოყენების სიჭარბის საკითხი. რაც შეეხება II თურმეობითს (ზესპ პლუსკვამპერფექტს), მას, უნახაობის ფუნქციის გარდა, ახალ ქართულში დაეკისრა III კავშირებითის ფუნქციის აღნიშვნაც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაც, ბუნებრივია, განსაზღვრა II თურმეობითის გამოყენების სიხშირე ახალ ქართულში (ასეთივე ვითარება დასტურდება თურქულ ენებშიც, სადაც პერფექტული ფორმები იხმარება უნახაობის მნიშვნელობით და ამიტომ სხვა ნამყო დროები განაგრძობენ ფუნქციონირებას [ბ.სერებრენიკოვი, რ.ბირიუკოვიჩი, 1981, II]).

დამოწმებული ლიტერატურის სია

ამირანდარ. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსცა ლ.ათანელიშვილმა, თბ., 1967.

ანტიოქ., 1960 – ჳხორებაჲ და მოქალაქობაჲ ტიმოთე ანტიოქელისაჲ, კ.კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960.

ლ.ბარამიძე, 1964 – ლ.ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ.9, თბ., 1964.

პ.გაჩეჩილაძე, 1960 – პ.გაჩეჩილაძე, კვლავ -მცა ნაწილაკისათვის, იკე, XII, თბ., 1960.

ფ.ერთელიშვილი, 1963 – ფ.ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1963.

ვეფხ.ტყ. – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951.

ი.იმნაიშვილი, 1971 – ი.იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ.I, ნაწ.II, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ.14, თბ., 1971.

კიმ., 1918 – კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტ.I, თბ., 1918.

ლუკა – ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა.შანიძემ, თბ., 1945.

ნ.ნათაძე, 1955 – ნ.ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VII, თბ., 1955.

ბ.სერებრენიკოვი, რ.ბირიუკოვიჩი, 1981 – Б.А.Серебренников, Р.Г.Бирюкович, Некоторые особенности исторического развития перфекта в различных языках, Советская тюркология, №2, Баку, 1981.

ე.ფეიქრიშვილი, 1974 – ე.ფეიქრიშვილი, თურმეობითების მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

დ.ფხაკაძე, 1984 – დ.ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბ., 1984.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ც.ქურციკიძე, 1963 – ც.ქურციკიძე, ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ.XXX, №2, თბ., 1963.

ა.შანიძე, 1918 – ა.შანიძე, „მცა" ნაწილაკი ძველ ქართულში, ჟურნ. „პრომეთე", №I, თბ., 1918.

ა.შანიძე, 1973 – ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973.

ა.შანიძე, 1976 – ა.შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შუშ. – იაკობ ცურტაველი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი, გამოსცა ილ.აბულაძემ, თბ., 1938.

არნ.ჩიქობავა, 1948 – არნ.ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.

შ.ძიძიგური, 1956 – შ.ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბ., 1956.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა ლოლაძე

მდგომარეობის ზმნათა ჩამოყალიბებისათვის ქართულში

მდგომარეობის სემანტიკის ე.წ. ფიზიკური მდგომარეობის ზმნები მრავალი თავისებურებით გამოირჩევა. ასეთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ნამყო დროის წარმოების საკითხი. კერძოდ, აღნიშნულ ზმნებს არ ეწარმოება დიფერენცირებული ნამყო. ნამყო დროის გადმოსაცემად ნამყო სრულის (წყვეტილის) ფორმა გამოიყენება როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში, მიუხედავად ამ ფორმებს შორის არსებული სხვაობისა (იგულისხმება თანამედროვე ქართულში ამ ზმნათა მედიოპასიურობა). მაგრამ ეს ფორმები არც სრულობას და არც წყვეტილობას არ გამოხატავენ. რის გამოც მათი შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობაა ქართველოლოგიაში.

ნ.მარი ამ ფორმებს ნამყო უსრულის არქაულ ფორმებად მიიჩნევს [ნ.მარი, 1925, გვ.144], გ.დეეტერსი ახასიათებს როგორც იმპერფექტულ (უსრულ) აორისტს [გ.დეეტერსი, 1930, გვ.139]. არნ.ჩიქობავა და აკ.შანიძე ამ ფორმებს ნასესხებად თვლიან [არნ.ჩიქობავა, 1950, გვ.074; აკ.შანიძე, 1980, გვ.485]. ივ.ქავთარაძე ამ ზმნათა ნამყოს განუსაზღვრელ ფორმად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს: ეს ფორმა „ნამყო წყვეტილიცაა და უწყვეტლის ფუნქციაც შეუძლია იტვირთოს. მაშასადამე, ეს არის საერთო ნამყო“ [ივ.ქავთარაძე, 1954, გვ.22]. მ.მაჭავარიანის აზრით, ეს ზმნები უწყვეტობას გამოხატავენ. რაც შეეხება უსრულის მნიშვნელობას, ისინი იძენენ მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში, სხვა ზმნათა ანალოგიით [მ.მაჭავარიანი, 1981, გვ.51]. ჩვენი აზრით,ეს ფორმები გამოხატავს განგრძობითობას, რაც სტატიკურობის ფუნქციის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად მიგვაჩნია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზანურსა და სვანურში ეს ზმნები ნამყოს გადმოსაცემად ნამყო უსრულის (უწყვეტლის) ფორმებს იყენებს, რაც ფორმისა და ფუნქციის გათანაბრების ტენდენციით უნდა აიხსნას.

რა განაპირობებს აორისტის არჩევას ქართულში. ბ.ჯორბენაძე ვარაუდობს რომ ამოსავალში აღნიშნულ ზმნათა ფუძეები ე ხმოვნიანი უნდა ყოფილიყო. იგი ასეთ სურათს აღადგენს

წამყო:	*ვ-დეგ	*ვ-ჯედ	ვ-წევ
	*ს-დეგ	*ს-ჯედ	ს-წევ
	*დეგ-ს	*ჯედ-ს	წევ-ს
ნამყო ძირ.			
	ვ-დეგ	ვ-ჯედ	ვ-წევ
	ს-დეგ	ს-ჯედ	ს-წევ
	დგ-ა	ჯდ-ა	წვ-ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსხვავება აწმყოსა და ნამყო ძირითადს შორის, უფრო ზუსტად, იმ პარადიგმებს შორის, რომელიც ახლა აწმყოდ და ნამყო ძირითადად გაიგება, მინიმალურია. მათ შორის განსხვავების წარმოჩენის ტენდენცია მეშველი ზმნის დართვისა და ი- პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბით აორისტის წარმოების მეშვეობით გვიანდელია. მას ამ დასკვნის საშუალებას აძლევს აგრეთვე ადგს, უდგს ფორმათა არსებობა. კერძოდ, ეს ფორმები მიღებული უნდა იყოს *ა-დეგ-ს, *უ-დეგ-ს და არა ა-დგ-ა-ს, უ-დგ-ა-ს ფორმებისაგან, რადგან ა- პრეფიქსის დართვა ვერ იწვევს -ა სუფიქსის რედუქციას, იგი უშუალოდ ფუძეს კუმშავს [ბ.ჯორბენაძე, 1980, გვ.176].

რაც შეეხება დგ-ა-ს ფორმას, როგორც აკ.შანიძე მიუთითებს, მიღებული უნდა იყოს *დგ-ან-ს ფორმისაგან, რაც მრავლობითობის დგ-ან-ან ფორმაში დასტურდება. -ნ უნდა დაკარგულიყო ბოლოკიდურ პოზიციაში. შდრ.: ჩან-ს -> ჩა-ს. როგორც ბ.ჯორბენაძე აღნიშნავს, ამ ფორმათა რეალურობას დიალექტური დგ-ან-ა, ჯდ-ან-ა ზმნები ადასტურებენ [ბ.ჯორბენაძე, 1980, გვ.175].

მნიშვნელოვანია დეგ-, ჯედ-, წევ- ფუძეთა მიმართება ე.წ. „უნიშნო" ვნებითებთან: დეგ- -> დგ-ებ-ი-ს, ჯედ- -> ჯდ-ებ-ი-ს, წევს -> წვ-ებ-ი-ს

აღსანიშნავია, რომ აორისტის დგა ფორმას ივ.ქავთარაძე ვნებითის ფორმად მიიჩნევს დგ-ებ-ი-ს -> დგა და თვლის, რომ დგას ზმნა ძველ ქართულშიც მედიოპასიურია. მართალია, მკვლევრის დასკვნა მისაღები არ არის, ეს მოსაზრება აღნიშნულ ზმნათა საგულისხმო კავშირით აიხსნება.

ბ.ჯორბენაძის აზრით, დეგ- ტიპის ფუძეები სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ ისეთ ფუძეებთან, როგორიცაა, ქერ-, ჰეთ-, ჭედ-, ტეფ- და მისთ... მკვლევარი დინამიკური გარდაუვალი ფორმისა და სტატიკური ფორმის შემდეგი დაწყვილების შესაძლებლობას ვარაუდობს:

ტფ-ებ-ი-ს – *ტეფ-ს (<- ნამყ.ძირ.: გან-ტეფ)

სადაც პირველი რიგი „უნიშნო ვნებითების" აწმყოა, მეორე რიგი სტატიკურ ზმნათა აწმყო, ამოსავლად დინამიკურ ნამყოს რომ იღებს" [ბ.ჯორბენაძე, 1980, გვ.177]. ამდენად, *დეგ-ს (-> დგ-ა-ს), *ჯედ-ს, წევს ფორმები ასევე დინამიკური ნამყოდან მომდინარე ჩანს.

ჩვენი აზრით, ამით უნდა აიხსნას აღნიშნულ ზმნათა ნამყო დროის გადმოსაცემად ნამყო სრულის (წყვეტილის) გამოყენება.

ფიზიკური მდგომარეობის ზმნათა და ე.წ. „უნიშნო ვნებითთა" მიმართების საკითხი სხვამხრივაცაა საყურადღებო. არნ.ჩიქობავა ჭან. ტუბ-უ-ნ, ღურ-უ-ნ; მეგრ. ტიბ-უ-(ნ), ღურ-უ-(ნ) შესახებ საუბრისას აღნიშნავს: „-უ ტიპი ვარაუდობს ქართულში -ა ტიპის არსებობას, მაგრამ ასეთი ვ ნ ე ბ ი თ ი (დაყოფა ჩვენია – ნ.ღ.) ქართულში ნაშთების სახით თუა შემონახული, ისიც ფუნქციის ცვლით. ვგულისხმობს დგ-ა-ს ზმნას და ზოგს სხვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც -ა- მრავლობითში უჩნდება: წვ-ან-ან, გვ-ან-ან... ეს ზმნები საშუალო გვარისადაა მიჩნეული, მაგრამ საშუალოს და ვნებითი გვარის გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება ახლაც კი, მით უფრო ძნელია ეს წინა პერიოდისათვის" [არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.II5].

ყოველივე ზემოთქმული ფაქტობრივად ე.წ. უნიშნო ვნებითთა და მდგომარეობის ზმნათა საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს. მაგრამ როგორ უნდა შეფასდეს საერთო წარმომავლობა, სტატიკური ზმნები ივარაუდება ამოსავლად, თუ დინამიკური?

აღნიშნულ ზმნათა მიმართების სურათი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია. უნდა ვივარაუდოთ ენაში გარდაუვალ ზმნურ ფუძეთა გარკვეული ტიპის არსებობა, რომელიც ფორმობრივად არ განირჩეოდა დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით. ეს შეიძლება კონტექსტის მეშვეობით ხერხდებოდა (საგულისხმოა, რომ ლაბილურობა ქართულისათვის სხვა ტიპის ზმნებთანაც ივარაუდება). გვარის ჩამოყალიბების შემდეგ, როდესაც პასივის სისტემა შეიქმნა, საჭირო გახდა პასივთან ფუნქციურად გათანაბრებული ტიპის ფორმობრივი დიფერენციაცია, ე.ი. რომელიმე

დეგ - დგ-ებ დინამიკ.

დეგ <

დეგ - დგ-ან სტატიკ.

აღსანიშნავია, რომ დიალექტებში ეს პროცესი უფრო შორსაა წასული, კერძოდ, დინამიკური ფორმა აქტიურ შინაარსს იძენს და „კაცმა დგა"-ს გვაძლევს. სტატიკური კი უთანაბრდება ე.წ. სტატიკურ ვნებითებს და „დგია" ფორმით გვხვდება.

დებულება ამ ორი ტიპის ზმნათა საერთო წარმოშობის შესახებ მისაღებიც რომ არ იყოს, აშკარაა, რომ ამ ზმნათა სიახლოვე ძალზე ხელშესახებია მათში მომხდარი ცვლილების მიუხედავად.

ლიტერატურა

გ.დეეტერსი, I930 - G.Deebers, Das khartwelische Verbum, Leipzig,1990.

ნ.მარი, I925 - Н.Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., I925.

მ.მაჭავარიანი, I98I - მ.მაჭავარიანი, მოქმედების, პროცესის და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბ., I98I.

ივ.ქავთარაძე, I954 - ივ.ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ., I954.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ.შანიძე, 1980 – აკ.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველი, თხზ., ტ.III, თბ., 1980.

არნ.ჩიქობავა, 1936 – არნ.ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

არნ.ჩიქობავა, 1950 – არნ.ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, ტ.I, თბ., 1950.

ბ.ჯორბენაძე, 1980 – ბ.ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის საკითხები, თბ., 1980.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუქია აფრიდონიძე

ბრძანებითი როგორც მიმართვის ზმნური ფორმა

„მიმართვის" ცნება შეიძლება გავიგოთ როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობით. ეს ტერმინი ტრადიციულად (ჩვენშიც და სხვაგანაც) ერთად-ერთი, ვიწრო მნიშვნელობით იხმარება და გულისხმობს სახელის წოდებითის, ვოკატივის ფორმას, - იმისდა მიუხედავად, ეს ფორმა მიჩნეულია ბრუნვად (ა.შანიძე, 1956: 48-55), თუ - არა (არნ.ჩიქობავა, 1950: 036; ვ.თოფურია, 1956: 36-47).

მაგრამ, თუ მიმართვას უფრო ფართოდ გავიგებთ - როგორც მოწოდებას არა მხოლოდ სახელით გამოხატული სუბიექტისადმი (ან მასთან გათანაბრებული უსულო საგნისადმი), არამედ როგორც მოწოდებას მოქმედებისაკენ, - მაშინ არ გვექნება საფუძველი, ბრძანებითის ფორმები ამოვრიცხოთ მიმართვების რიგიდან: რაც ვოკატივია სახელისათვის, ის იმპერატივია ზმნისათვის. ორივე ერთნაირად გამოეყოფა წინადადებას ინტონაციით და, განსაკუთრებით - პაუზით. ორივეს შეიძლება ახლდეს განმსაზღვრელი სიტყვები (შდრ. ჩემო კარგო მეგობარო! და: აქ მოდი! მოდი მალე! წინ გასწი!).

მაგრამ მიმართვებს შორის ივარაუდება კითხვითი მიმართვებიც - იქნება ისინი ცნობისწადილისმიერი თუ რიტორიკული. თავად კითხვა კი სტრუქტურულად შეიძლება იყოს ე.წ. „სპეციალურიც" (ანუ კითხვითსიტყვიანი) და „ზოგადიც" (ანუ კითხვები, რომლებიც პასუხად ჰო/არა=ს გულისხმობენ. ასეთ კითხვებად სრულიად სხვადასხვა მეტყველების ნაწილები შეიძლება გამოდგეს).

მაშასადამე, გამოიყოფა სამი სახის მიმართვები: I. ვოკატიური, ანუ სახელური მიმართვები; 2. იმპერატიული, ანუ ზმნური მიმართვები და 3. ინტეროგატიული, ანუ კითხვითი მიმართვები, სხვადასხვა მეტყველების ნაწილით გამოხატული.

ამჯერად შევჩერდებით ზმნურ მიმართვებზე - იმპერატივებზე.

ცნობილია, რომ ბრძანებითს თანამედროვე ქართულში ცალკე, სპეციალური ფორმა არ გააჩნია: იგი ემთხვევა აორისტის მეორე პირის ფორმას და სხვაობა მხოლოდ ინტონაციური ხასიათისაა. თუ რატომ იყენებს ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს, დამაჯერებლად აქვს ახსნილი ფ.ერთელიშვილს (1956:307-3[illegible]) და ამაზე სიტყვას აქ აღარ გავაგრძელებთ. ცნობილია ისიც, რომ ძველ ქართულში აორისტი და იმპერატივი სუბიექტური მეორე პირის ნიშნის ქონა-უქონლობით განემსგავსებოდნენ ერთმანეთს: მოჰკალ (აორისტი) - მოკალ (იმპერატივი). სუბიექტური II პირის ნიშნის მოშლამ ამ, დროის მიხედვით დაპირისპირებული და ასპექტობრივად დამსგავსებული, ნაკვთების ომოფორმულობა გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესდღეობით ერთადერთი დამოუკიდებელი იმპერატივის ფორმა აქვს ვედ ზმნას. შდრ.: მოხვედი (აორისტი) და მოდი! (იმპერატივი); ზმნისწინთა ველა სურათს არ ცვლის. ამ ზმნურ ფორმათა შეფარდება სიგრძის თვალსაზრისით არ არღვევს საერთო, უნივერსალურ ენობრივ შეფარდებას: იმპერატივი უმოკლესი ნაკვთია ზმნურ ფორმებს შორის და, თუ იგი ემთხვევა რომელიმე მათგანს, ეს მასდარ=ინფინიტივია (შდრ. რუს. ИДИ!- ИДТИ (ინფინიტ.), идешь, идет... ანდა: спи!- спать (ინფინიტ.), сплю, спишь, спит...; გერმ. gehe! - gehen (ინფინიტ.); ინგლის.: go! - to go(ინფინიტ.)goes gone,goingანდა: do! - to do (ინფინიტ.), does, done, doing...

ქართულში იმპერატიული მოდი ფორმის მიღების გზად მიჩნეულია შემდეგი გადასვლა: მოვედ > (*მოედ > *მოედი >) მოდი!

იმპერატივებისათვის სპეციფიკური ინტონაციისა და ინტენსიური მახვილის გამო ერთნაირად მოკლდება სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ზმნები ბრძანებითში - როგორც ე, ისე ი ფუძეხმოვნიანი: ადე(ქი)! დაჯე(ქი)! მოიტა(ნე)! მოიყვა(ნე)! დაიცა(დე)! მოიცა(დე)! მომე(ცი)! დადე(ვი)! გამო(დი)! წამო(დი)!.. დახე(დე)! შეხე(დე)! გაიქე(ცი)! გასწი(ე)! დაჰკა(რი)!..

წარმოშობით მიმართვის ზმნური ფორმებია აგრეთვე გეთაყვანე და გენაცვალე, რომლებმაც აღნიშნული ინტონაციურ=აქცენტუაციის ფაქტორების წყალობით რედუცირებული სახე მიიღეს: გეთაყვა, გენაცვა! (კახეთში: გენაj).

ამ პროცესის ანალოგიურია ზოგ დიალექტში მთელი კომპლექსების მოკვეცა სახელურ მიმართვებშიც: ქა(ლო)! გო(გო)! (ბი)ჭო (< ბიჭო)! (ძი)ძა (ძ)!

ისევ მოდი ფორმას რომ დავუბრუნდეთ: ამ უნიკალური იმპერატივის მიღებისათვის ხელი უნდა შეეწყო სხვა პროცესებსაც, კერძოდ: =ავ და =ამ თემისნიშნიანმა თანხმოვანფუძიანმა კუმშვადმა ზმნებმა აორისტში განივითარეს ი დაბოლოება და, ამრიგად, ახალ ქართულში ყველა ზმნა ბოლოხმოვნიანი გახდა აორისტის I და II პირის ფორმებში: ე=ხმოვნიანებს დაემატა ი=ხმოვნიანები, - ნაცვლად ნულოვანი დაბოლოებისა, - და დღეს თანაარსებობენ: გააკეთე, გატეხე და: მოკალი, მოხანი... ძველ ქართულში აორისტის I და II პირის ფორმებში დაბოლოების გაჩენას ხსნიან მრავლობითი რიცხვის თ ნიშნის დართვისას თანხმოვანთა თავმოყრის თავიდან აცილების საჭიროებით. მხოლობითში ამ ს გადმოსვლა კი ანალოგიის წესით არის ნავარაუდევი.

აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ცხადია, ანალოგიების არსებობას ვერ უარვყოფთ, მაგრამ არა გვგონია, ანალოგია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ იყოს შეპირობებული გარკვეული ფაქტორებით, ქვესისტემებში მოქმედი წესებით და ა.შ. (მაგ., აღმართის ანალოგიით დაღმართის მიღება, ანდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიდექი-ს ანალოგიით ვიჯექი და ვიწექი ფორმების მიღება შესაძლებელი ხდება მხოლოდ სათანადო სემანტიკური ველების ფარგლებში).

როცა ლაპარაკია იმავე მოვლენაზე ძველი ქართულის უწყვეტელის (ნამყო უსრულის) სათანადო პარადიგმებში, სურათი უფრო ნათელია: ი-ს გაჩენა ჰომოგენური თანხმოვნების გამყარად კანონზომიერია: ვწერდ-თ > ვწერდით, ვაკეთებდ-თ > ვაკეთებდით და ა.შ.

რაც შეეხება აორისტის ზემოაღნიშნულ ვკლავ, ვაბამ ტიპის ფორმებს, ძირისეული თანხმოვანი და მრავლობითის ნიშანი თ შეუთავსებელ კომპლექსებს არ ქმნიან (მაგ., აწმყო-მყოფადში -ებ/-ობ-ზე ფუძეგათავებული ზმნები თ-ს დაუბრკოლებლად ირთავენ. თავად აორისტშიც ლთ, რთ, ნთ და მისთ. არა მარტო შესაძლო, შეთავსებად კომპლექსებს გვაძლევენ, არამედ რეალურსაც (შდრ.: მოვკალთ – მოვალთ, დაეხართ – ხართ, მოეხანთ – მოეღხანთ...).

ვფიქრობთ, ი-ს გაჩენის გასაღები სხვა მოვლენებშია საძიებელი. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ძველი ქართულიდან ახალზე გადასვლის თანმხლები (თუ შემაპირობებელი) რამდენიმე ცვლილება:

1. ხ-/ჰ-/ს- პირის პრეფიქსების დაკარგვა ბრძანებითში და დიფერენციაციის მოშლა აორისტსა და იმპერატივს შორის; 2. კითხვითი -ა ნაწილაკის მოშლა, რაც გარკვეულ შემთხვევებში – ერთმარცვლიან სიტყვებში – საკომპენსაციო დაგრძელებას იწვევს (შდრ.: გაქვსა? > გააქვს? შდრ. აგრეთვე: კიი? ჰოო?); 3. ხოლმეობითის მოშლა, რის შედეგადაც II ხოლმეობითის ი სუფიქსი გამოთავისუფლდა და ახალი ფუნქციის შესრულების პოტენცია გაუჩნდა.

ჩვენი აზრით, ი ხმოვნის გაჩენა უნიფიკაციის პროცესის ერთ-ერთი გამოვლენაა. ერთი მხრივ, ე-ზე გათავებულ აორისტებთან გათანაბრების მიმართულებით (გავიხსენოთ, რომ ე-ც და ი-ც წინა რიგის ხმოვნებია). სხვა ხმოვანი ვერ განვითარდებოდა, ვინაიდან ისინი – სხვა ხმოვნები – „დაბმული" იყო აორისტსა და II კავშირებითს შორის შედარების დასაცავად (შესაბამისად: აორ. ე – კავშ. ო, ან აორ. Ø > ი – კავშ. ა). რჩებოდა უ, რომელიც ყველაზე იშვიათია ფუნქციონალურ ხმოვნებს შორის: იგი ერთადერთ – სასხვისო ქცევის ფუნქციას ასრულებს, ისიც – პრეფიქსად ყოფნისას. უ სუფიქსს თანამედროვე ქართული არ იცნობს.

უშუალო წყარო ი-დაბოლოებიანი აორისტებისა უნდა ყოფილიყო არაინდიკატიური (არათხრობითი) – კითხვითი ან ბრძანებითი ფორმები კითხვით-თხოვნითი იერით. მაშასადამე, ამოსავალია ზეპირი მეტყველება (დააბი? ან: დააბი[რა]!). საგულისხმოა, რომ ამჟამად ასეთი თხოვნით-ბრძანებითობის გამოსახატავად იმპერატივს ერთვის კითხვითი რა ელემენტი (დააბი რა!), ე.ი. ბრძანების დარბილება თხოვნამდე ხორციელდება ინტეროგატიულობის გზით და მისი გავლით

9

ეროვნული ბიბლიოთეკა

არანაკლებ მნიშვნელოვნად და ერთ სისტემაში განსახილველად მიგვაჩნია ეს უნიფიკაცია ფუძეთანხმოვნიანი ვოკატივების ხალხურ ფორმებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით (ოთარი! ჯემალი!.. ანდა: თამარა! არსენა!..) ფორმებთან.

შემოკლებათა განმარტებანი

ფ.ერთელიშვილი, 1956 – ფ.ერთელიშვილი, რატომ იყენებს მეორე ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს? თსუ შრომები, 61, 1956.

ვ.თოფურია, 1956 – ვ.თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ.36–47.

ა.შანიძე, 1956 – ა.შანიძე, წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ.48–55.

არნ.ჩიქობავა, 1950 – არნ.ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ.036.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო შარაშენიძე

წევე კავშირიანი ერთი თავისებური სახის წინადადებისათვის ქვემოიმერულში

ქვემოიმერული კილოს მეტყველებაში არაიშვიათად გვხვდება ფრაზები, რომლებშიც გამოიყენება წევე ერთეული და ამით წინადადებას ერთგვარად თავისებური შინაარსი ეძლევა. ამგვარსიტყვიანი წინადადებით გამოხატული აზრი, რა თქმა უნდა, ნათელია, თუმც კი ის აქცენტი, რომელსაც წევე-ს ხმარება განაპირობებს, სპეციალური განმარტების გარეშე სრული ვერ იქნება. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი ახსნითურთ: „ნაჯახს მომიტეხავს ტარს, წევე ქე მაქ მეტი". აზრის სინათლისათვის წინადადება ორ ნაწილად გავყოთ. პირველი ნაწილით მთქმელი ერთგვარ შიშს, შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ შესაძლებელია ნაჯახს ტარი მოტყდეს, წინადადების მეორე ნაწილი კი ხსნის, აზუსტებს იმას, თუ რატომაა ასე შესაშფოთებელი მისთვის ნაჯახის ტარის მოტეხვა: იმიტომ, რომ მას მეტი არა აქვს. იმ აზრს, რაც ჩვენ აღწერითად ასე ვრცლად გადმოვეცით, ქვემო იმერულის მეტყველებაში ლაკონურად და ძალზედ გასაგებად გამოხატავს წევე ერთეული. ვნახოთ მეორე მაგალითიც: „რაი მეიცთის აქანე ერ თვეს, წევე კაი ამიდებია". ეს წინადადებაც უეჭველად ორ შემადგენელ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველ ნაწილში გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ მას აქ მოუხდა მთელი ერთი თვის მანძილზე ძნელად, გაუსაძლისად მიაჩნია, მეორე ნაწილით კი ახსნილია თუ რატომ: იმიტომ, რომ ცუდი ამინდებია (ანუ კარგი ამინდები არ არის), ეს მის მდგომარეობას უფრო ართულებს.

სალიტერატურო ქართულს ამ წინადადებათა გადმოცემა უფრო ლაკონურად და ყველაზე მეტად მიახლოებულად შეუძლია მხოლოდ „მაინც" ნაწილაკის მეშვეობით, თუმც კი ამგვარ შემთხვევაში რამდენიმე მომენტი უნდა გამოვკვეთოთ: პირველი, მაინც ნაწილაკის ხმარება ამგვარ კონტექსტში უეჭველად მოითხოვს კავშირებითი კილოს ფორმას, სხვაგვარად შინაარსი დაიკარგება (ნაჯახს მომიტეხ(ავ)ს ტარს, მეტი მაინც მქონდეს. რა გამაძლებინებს აქ (მთელ) ერთ თვეს, კარგი ამინდები მაინც იყოს). მეორეც: ის ნიუანსი, რასაც დიალექტურმა ფორმამ მოგვცა, სრულად გადმოტანილი ვერ იქნება იმდენად, რამდენადაც მთქმელი იმას კი არ ნატრობს, რომ სხვა ჰქონდეს ან კარგი ამინდები იყოს (რაც მაინც ნაწილაკის ხმარების შემთხვევაში უფრო წინაა წამოწეული, მით უფრო, ამას აძლიერებს კავშირებითი კილოს ფორმის ხმარებაც), არამედ ის აწუხებს, რომ მეტი არა აქვს ან კარგი ამინდები რომ არაა, აქ უფრო ესაა აქცენტირებული.

აქვე შეიძლება გამოვკვეთოთ ისიც, რომ წევე-ს ხმარება ერთგვარად შეიცავს იმის არქონას, არყოლობას, არარსებობას, რაც მომყოლი სიტყვითაა მოცემული. განხილულ კონტექსტებში („წევე კაი ამიდებია, წევე ქე მ ქ მეტი" ისე იგულისხმება კარგი ამინდების არარსებობა ან სხვა ნაჯახის არქონა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ წინადადებაში არც კია გამოყენებული უარყოფითობის გამომხატველი რაიმე ფორმალური საშუალება, ამას თავად წევე-ს გამოყენება გულისხმობს, რასაც სრულიად ვერ გადმოგვცემს მაინც ნაწილაკის ხმარება ფრაზაში. მაგრამ, რა თქმა უნდა, გვხვდება კონტექსტები, რომლებშიც არ ნაწილაკია გამოყენებული. ვნახოთ, რა ვითარებაა ამგვარ შემთხვევებში: „გამოართვიმა დანა ხელში ბალანას, წევე ფათერაკიანი არა(ა)“. ავხსნათ ეს წინადადებაც: ბავშვს უცილობლად უნდა გამოვართვათ ხელიდან დანა, იმიტომ რომ იგი საერთოდ ფათერაკიანია და შესაძლოა რაიმე მოუვიდეს. სალიტერატურო ქართულით, მაინც ნაწილაკის გამოყენებით ეს წინადადება ამგვარი იქნება: გამოართვი ბავშვს ხელიდან დანა, ფათერაკიანი მაინც არ იყოს. შევადაროთ ეს ორი წინადადება ერთმანეთს და ავხსნათ შინაარსობრივი განსხვავება მათ შორის: წევე ფათერაკიანი არაა – ფათერაკიანი მაინც არ იყოს. დიალექტური ფორმა წევეს მეშვეობით და ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ფრაზაში არ ნაწილაკია გამოყენებული, გულისხმობს, რომ ბავშვი დიახაც ფათერაკიანია და მას ამიტომ არ უნდა ეჭიროს დანა ხელში. ხოლო მაინც ნაწილაკიანი ფრაზა კი ამას გადმოგვცემს: ფათერაკიანი რომ არ იყოს ბავშვი, მაშინ შეიძლება ხელში ეჭიროს დანა. ამდენად, შევაჯამოთ ზემოთქმული და დავასკვნათ: წევე-ს ხმარება ფრაზაში ხაზს უსვამს, აძლიერებს, აქცენტირებას უკეთებს იმის საპირისპირო აზრს, რაც ფორმალურადაა ფრაზით გადმოცემული. სწორედ ეს განასხვავებს მას მაინც ნაწილაკიანი კონსტრუქციისაგან და ეგევე აძლევს მას თავისებურ და თავისთავად ნიშანს. უნდა აღვნიშნოთ, რომ „მაინც“, „ქემაინც“ ნაწილაკები გვხვდება კიდევ დიალექტში, მაგრამ ამ ფორმებსგამოყენების თავ-თავისი არეალი აქვთ. ამიტომაცაა, რომ თუმცა დიალექტში ორივე საშუალება არსებობს, მთქმელი ნიუანსობრივი აქცენტირების მიხედვით არჩევს მისაღებ ფორმას.

წევე-ს აზრობრივ-შინაარსობრივი ფუნქციის გარკვევის შემდეგ უნდა დაისვას საკითხი,თუ რომელი მეტყველების ნაწილს ეკუთვნის იგი. ამისთვის კი ჯერ ამ ერთეულის აღნუსხვის ისტორიას მივადევნოთ თვალი. პირველად სიტყვა ჩაუწერია და გაზეთ „ივერიისათვის“ მიუწოდებია პეტრე მირიანაშვილს: „წევე, ნეტა, მაინც. იმერ“. (ივერია, 1900), შემდგომ ეს ერთეული თავის ლექსიკონში შეუტანია ილია ჭყონიას: „წევე – ნეტა მაინც, ქე მაინც“ (ი.ჭყონია, 1910). გარდა იმერულისა ეს ერთეული, როგორც ჩანს, დასტურდება აჭარულშიც იმავე მნიშვნელობით „წევე – ნეტავ., მაინც, თითქოს“ (ი.მეგრელიძე, 1974). ამ ლექსიკონთა მონაცემების გათვალისწინებით ეს სიტყვა მოხვდა ალ.ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, რომელშიც მისი გავრცელების არეალად იმერული და აჭარულია მიჩნეული: „წევე (იმერ.აჭარ.) ნაწილაკი ნეტა მაინც, ქე მაინც“ (ა.ღლონტი, 1984). სიტყვა ქვემოიმერულის კუთვნილებადაა მიჩნეული განმარტებით ლექსიკონში: „წევე კუთხ. (ქვ.იმერ.) ნაწილაკი ნეტავ მაინც“(ქეგლ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა ეს მონაცემი წევე ერთეულის ნაწილაკურ ფუნქციას აღნიშნავს. მაგრამ, ვფიქრობთ, ნაწილაკად მისი მიჩნევა შედეგი უნდა იყოს იმ მიახლოებითი აზრობრივი მსგავსებისა, რაც წევე ერთეულიან წინადადებას აქვს მაინც ნაწილაკიან წინადადებასთან. ამის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მაგრამ როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს მართლაც მხოლოდ მიახლოებითი მსგავსებაა და მათ შორის განსხვავება უფრო მეტია და უფრო მნიშვნელოვანიც.

ნაწილაკი დამოუკიდებლობის არმქონე მეტყველების ნაწილია, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა მხოლოდ სხვა სიტყვებთან ანუ წინადადების წევრებთან მიმართებაში გამოიკვეთება (ა.შანიძე, 1980, გვ.607-616; არნ.ჩიქობავა, 1952, გვ.253). ამასთანავე ნაწილაკის განმარტებისას ა.შანიძე სპეციალურად მიანიშნებს, რომ „ნაწილაკი არ აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას, ამით ის განსხვავდება კავშირისაგან“ (ა.შანიძე, 1980, გვ.608). „სწორედ ეს, ორი წევრის ან ორი წინადადების დაკავშირება არის კავშირის უმთავრესი ფუნქცია“ (ა.შანიძე, 1980, გვ.605). ამ განმარტებებზე დაყრდნობით და წევე ერთეულის შემცველი წინადადებების მხოლოდ ზოგადი განხილვითაც კი ჩანს, რომ მეტი საფუძველი იქმნება წევე მივიჩნიოთ კავშირად, ვიდრე ნაწილაკად, რამდენადაც იგი გარკვეულ აზრობრივ მიმართებას ამყარებს წინადადების ორ ნაწილს შორის. ჩვენი მსჯელობა რომ უფრო სარწმუნო გახდეს, მივყვეთ იმ არგუმენტთა ჩამოთვლასა და დასაბუთებას, რაც წევე ერთეულის კავშირად გამოყენების ფუნქციას აჩვენებს.

I. წევე კავშირი თავად იგუებს ნაწილაკებს (ქე, არ).

წევე კავშირთან ხშირად გვხვდება ქე ნაწილაკი, რომელსაც გამაძლიერებითი ფუნქცია ეკისრება (ქე < კი (ზ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, 1988, გვ.409). ქე ნაწილაკი თავისუფლად იხმარება. შესაძლოა იყოს ფრაზაში და შესაძლებელია არა. მისი გამოყენებით გამკვეთრებულია მთქმელის დამოკიდებულება მოვლენასთან, ხოლო გამოუყენებლობა კი, რა თქმა უნდა, არ ცვლის ფრაზის წართქმითობას: „კ'არ დაიჯერეფს რამეს, წევე ჭკუიანია || წევე ქეა ჭკუიანი“. ქე ნაწილაკი ყოველთვის უშუალოდ მოსდევს წევე-ს, სხვაგვარი ვითარება არ დასტურდება. არს ზმნის შემკვეცილი ფორმა ა, თუ კი ქე ნაწილაკია ფრაზაში, სწორედ მას დაერთვის.

რაც შეეხება არ ნაწილაკს, იგი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ფრაზაში და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წევე კავშირთან ერთად საპირისპირო შინაარსის აქცენტირებას უწყობს ხელს. „კიდო გაცივდება ახლა ე ბაღანე, წევე ავათ არ იყოს“ (ე.ი. საშიშია, რომ ბავშვი გაცივდება, იმიტომ, რომ იგი ავად არის, საერთოდ სუსტია ან ავადმყოფია).

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ; სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ისეთი კონსტრუქცია, როცა არ ნაწილაკის ხმარების შემთხვევაში ფრაზას დადებითი ანუ წართქმითი მნიშვნელობა აქვს (ა.შანიძე, 1980, გვ.209, ლ.კვაჭაძე, 1966, გვ.4-7, ბ.ჯორბენაძე, 1984, გვ.165). მაგრამ წევე კავში-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიანი წინადადება ფრაზის საპირისპირო აზრს გამოთქვამს არა მხოლოდ <u>არ</u> ნაწილაკის ხმარებისას (შდრ. მე რომ არ მივშველებოდი, ძაღლი დაგლეჯდა), არამედ საპირისპირო აზრს გამოხატავს ფრაზის წართქმითობის დროსაც და უფრო მეტიც, დადასტურებითი (ქე < კი) ნაწილაკის არსებობის შემთხვევაშიც. და კიდევ ერთი რამ: სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულ კონსტრუქციაში <u>არ</u> ნაწილაკის გვერდით რაიმე სხვა საშუალება არ ჩანს, რომელიც ფრაზის წართქმითობას გვაგულისხმევინებდეს, არამედ მითითებულია, რომ როცა „მოქმედება, რომელიც პირობას წარმოადგენს შესრულებულია, ის ზმნის უკუთქმითი ფორმით უნდა იყოს გადმოცემული“ (ა.შანიძე, 1980, გვ.209). ამას <u>არ</u> ნაწილაკთან ერთად მხოლოდ გარკვეულ მწკრივთა ფორმების ხმარება განაპირობებს (II თურმეობითი და I ხოლმეობითი), ხოლო ქვემოიმერულში კი ამისთვის ცალკე კონსტრუქცია ჩანს, ე.ი. ფრაზით გამოხატულის საპირისპირო აზრს <u>არ</u> ნაწილაკის ხმარება-უხმარებლობა კი არ განაპირობებს, არამედ <u>წევე</u> კავშირის გამოყენება და იგი ყველა შემთხვევაში საპირისპირო შინაარსს გულისხმობს.

II. <u>წევე</u> კავშირი წინადადებას ფორმალურადაც და აზრობრივადაც ორ ნაწილად ჰყოფს. <u>წევე</u> კავშირის ადგილი მუდამ განსაზღვრულია — ყოველთვის გვხვდება მთლიანი წინადადების მეორე ნაწილში. ამდენად იგი ფორმალურადაც და აზრობრივადაც აშკარად ორ ნაწილად ჰყოფს წინადადებას. წინადადების ნაწილები იშვიათად მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან და ერთი შეხედვით ცალკე წინადადებებს ქმნის, მაგრამ მათ შორის ლოგიკური კავშირი უთუოდ არსებობს, რაც საშუალებას გვაძლევს მაინც ერთ მთლად განვიხილოთ იგი. „რა, არ დამემოწმება თუ? წევე რამე გამომირთმოვია სწავლებაში“. წინადადების პირველი ნაწილი თითქოს დამოუკიდებელ კითხვით წინადადებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ მას ისევე ხსნის მეორე ნაწილი და ისეთივე მიმართებაა ამ ნაწილებს შორის, როგორც ამგვარად წარმოდგენილ ნიმუშში: „რავა არ დამემოწმება, წევე რამე გამომირთმოვია სწავლებაში“.

წინადადების თითოეული ნაწილი გარკვეულ აზრს, მოქმედის დამოკიდებულებას გამოხატავს მოვლენისადმი: პირველ ნაწილში გამოთქმულია წუხილი, შიში, შეშფოთება, დანანება, ვარაუდი, ზოგჯერ ბრძანება. მეორე ნაწილი კი <u>წევე</u> კავშირით იწყება და ამით ერთგვარად ხსნის პირველ ნაწილში გამოთქმულ განცდას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ წინადადების ამ ორ შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად ახსნა-განმარტებითი მიმართებაა, უფრო კონკრეტულად, ამ კავშირის მეშვეობით <u>ახსნითი</u> ტიპის კონსტრუქცია იქმნება, რომლის ადეკვატური რამ სალიტერატურო ქართულში არც დასტურდება. მოვიტანით სათანადო ნიმუშები, რომლებშიც გამოხატულია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წუხილი: „უნა გარავაქვით ახლა ე წყალი, წევე ქეა წყალი“. -
შიში: „წამოი, ბიჭო, აქით, მომიტეხავ მა კრანს, წევე ქე იშონება რამე“.
შეშფოთება: „რაცხა არ მოუდის ი ბალანას იქინე, წევე ქე ყავს მის პატრონს მეტი“.
დანანება: „საჭმელი ქე იყო ბევრი, წევე ქე ვჭამე“.
ვარაუდი: „ეყულა ქპირდებოდა, წევე ქე გააკეთებდა რამეს“.
ბრძანება: „დეიძინე, გო, დეიძინე, წევე აკეთებდე რამეს“.
„კაი, ბიჭო, დაანებე თავი, წევე უბედური ყვირილი არ იყოდეს“.

III. წევე კავშირი მიემართება არა რომელიმე სიტყვას, არამედ განსაზღვრავს წინადადების მთლიან აზრს.

აღნიშნული ტიპის წინადადება თავისი აზრობრივი ერთიანობის გამო მარტივ წინადადებად ვერ ჩაითვლება, იგი რთულ წინადადებად უნდა მივიჩნიოთ. ამ აზრს მხარს უჭერს ყოველივე ზემოთქმული: წინადადების აზრობრივად ორ ნაწილად გაყოფა და გარკვეული შინაარსობლივი მიმართება მათ შორის. მაგრამ აქვე დგება საკითხი: როგორია სინტაქსური მიმართება წინადადების პირველსა და მეორე ნაწილს შორის, რა არის აქ – თანწყობა თუ ქვეწყობა?

თუ ჩავთვლით, რომ აქ თანწყობაა, მაშინ ირღვევა თანწყობილი წინადადების აგების ძირითადი პრინციპი, რომ იგი შეიცავს „ერთი მეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას“ და „რომ „ისინი შეუცვლელად ცალ-ცალკეც შეიძლება ვიხმაროთ, როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულები“ (ლ.კვაჭაძე, 1966, გვ.320). ჩვენს შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ ეს წინადადებები (უფრო სწორად, წინადადების ნაწილები) თანასწორნი არ არიან: პირველი გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას, მეორე კი ხსნის ამ დამოკიდებულებას, განვრცობს. ვფიქრობთ, რადგან თანწყობილად მიჩნევის შემთხვევაში არ სრულდება უმთავრესი მოთხოვნა, ამდენად წევე კავშირიანი წინადადება თანწყობილად ვერ ჩაითვლება, მით უფრო, რომ წევე-ს მაერთებელ კავშირად ვერ მივიჩნევთ. იგი უფრო მაქვემდებარებელ კავშირთა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ, რამდენადაც ამ წინადადების ნაწილები თანასწორნი არ არიან. წევე კავშირიანი წინადადება თავისი შინაარსობრივი თავისებურებების გამო უახლოვდება ქვეწყობილ წინადადებათა იმ სახეს, რომელსაც ქართულ სინტაქსში სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებებს ვუწოდებთ (შედეგობითი, პირობითი, დათმობითი). ეს წინადადებები იმით არიან თავისებურნი, რომ „მთავარისადმი დაქვემდებარება სუსტად არის გამოხატული... ის მთავარ წინადადებას მიემართება მთლიანად და არა მის რომელიმე წევრს... დაუმთავრებლობას მხოლოდ მთავარის ინტონაცია გვაგებინებს“ (ლ.კვაჭაძე, 1966, გვ.402). მაგრამ ჩვენს მიერ განხილული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინადადება აზრობრივად არ გამოხატავს არც შედეგობითობას, არც პირობას და არც დათმობას. აქ ძირითადი დატვირთვა მოდის წინადადების პირველი ნაწილით გამოთქმული აზრის ახსნაზე, რაც წევე კავშირის მეშვეობით ხდება. ეს თავისებურება გარკვეულად ხსნის წევე კავშირიანი წინადადების ნაწილებს შორის მიმართებას, რამდენადაც აქ ხდება ამგვარი რამ: წინადადების ერთი ნაწილით გამოხატულ აზრს ასრულებს მეორე ნაწილი და მათი ცალ-ცალკე ხმარება ერთგვარ დაუსრულებლობის ელფერს შეიძენს. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ანუ წევე კავშირიანი ფრაზის ცალკე ხმარება მსმენელს არანაირ ინფორმაციას არ მისცემს. ამდენად, სახელდება პირობითად ამგვარად შეიძლება გავანაწილოთ: პირველ ნაწილს თავისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო მთავარი ვუწოდოთ, ხოლო წევე კავშირიანს - დამოკიდებული, რამდენადაც იგი ხსნის და ასრულებს პირველი წინადადებით გამოთქმულ აზრს, ხოლო მათ შორის არსებული სინტაქსური მიმართება კი გამოვხატოთ იმ ტერმინით, რაც უკვე ვიხმარეთ ზემოთ, როცა ამ წინადადების შინაარსობრივ მხარეს ვეხებოდით. ესაა ახსნითი ტიპის წინადადების სახე. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტიპი უცნობია სალიტერატურო ქართულისათვის, თუნდაც დიალექტში ამ კონსტრუქციის არსებობა გვიბიძგებს იქეთ, რომ დავახასიათოთ და ამის შემდგომ სახელწოდებაც მივცეთ მას.

დროთა თანმიმდევრობა ამ ტიპის წინადადებაში ნაირგვარია. მაგრამ სანამ ერთ თავისებურებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, ნიმუშთა დამოწმებით მოვიყვანთ ჩამონათვალს, რომელშიც ჩანს წინადადების ერთ ნაწილში გამოყენებული მწკრივი თუ რომელი მწკრივის ფორმას შე ხამებს (ხაზგასმული მწკრივი გვხვდება წევე კავშირთან):

მყოფადი - აწმყო:
„კ'არ დეიჯერეფს რამეს, წევე ჭკუიანია".

უწყვეტელი - უწყვეტელი:
„მაცდენდით მეც ტყულათე, წევე აკეთებდით რამეს".

წყვეტილი - აწმყოს კავშირებითი:
„გააბა ლაპარიკი, წევე არ მაგვიანდებოდეს".

აწმყო- აწმყოს კავშირებითი:
„უბედური შრომა უნდა ოტკის გამოხდას, წევე ქ[…]ლირდეს რამე (ფული)",

წყვეტილი - მყოფადი:
„მაი ცრუპენტელე, წევე ქე მეიტანს მერე, უნდა გაატანო და დაკარქო ფული".

წყვეტილი - აწმყო/მყოფადი:
„ტყულა დამათლოვია ცაშლი, წევე ქე ჭამს".

I ხოლმეობითი - I ხოლმეობითი
„მასე იცოდენ მაგენმა მიდლემჩი, იტყოდენ მოვალთი, მეებზადებოდი, გაყიდიებდა ყორიფელს და, წევე ქე მევიდოდენ მერე".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უწყვეტელი – წყვეტილი:
„ქე იწუნებდა ყოველ კაცს, წევე კაი იყო თეითან".

წყვეტილი – წყვეტილი:
„თელი დღეი უვადე იქინე წუმაში, წევე ქე მევიდენ".

I თურმეობითი – წყვეტილი:
„არ უნა წამეედო იმდონი ხილი, წევე ქე გაყიდა".

მყოფადი – II კავშირებითი:
„კ'არ დეიჯერეფს რამეს, წევე შკუიანი იყოს".

აწმყო – I თურმეობითი:
„მასე ერაბახი იყის მაგან, წევე ქე გოუკეთებია მიდღემჩი ჩვენჭა რამე".

მყოფადი – I თურმეობითი:
„ომ, რავა არ გასესხელო, იყის თქმაი და მერე ადერი. მერე იღრაბახეფს მაი, წევე მოუკია მიდღემჩი ერი კაპიკი".

თუ დავუკვირდებით ჩამონათვალს, დავინახავთ, რომ წევე ნაწილაკი თავისუფლად იხმარება მწკრივებთან. იგი ვერ დავადასტურეთ მხოლოდ რამდენიმე მწკრივის ფორმასთან. ესენია: მყოფადის კავშირებითი, II თურმეობითი და III კავშირებითი, თუმცა თეორიულად ამგვარ კონტექსტთა გამორიცხვა არ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ მაინც ნაწილაკიანი ფრაზა სრულად ვერ გადმოსცემს იმ აზრს, რასაც წევე კავშირიანი, ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ ამ წინადადებათა გარკვეულ აზრობრივ სიახლოვეზე, მწკრივთა ფორმების განაწილებამ გამოავლინა კიდევ ერთი საინტერესო რამ: წევე კავშირი თავისუფლად ახერხებს შეხამებას როგორც თხრობითი კილოს ზმნებთან, ასევე კავშირებითი კილოს ზმნებთანაც, როცა მაინც ნაწილაკის ხმარების არეალი ამგვარ კონტექსტებში შეზღუდულია[1]: შესაბამისი შინაარსის გადმოცემას იგი ახერხებს მხოლოდ კავშირებითი კილოს ზმნათა წყობით. ამდენად ნათელია, რომ გარდა იმ აზრობრივ-ნიუანსობრივი განსხვავებისა, წევე იმითაც უპირისპირდება მაინც ნაწილაკს, რომ წევე კავშირიანი კონსტრუქციის გამოყენების არეალი დიალექტში გაცილებით ფართოა. აზრობრივად ყველაზე მეტად ისინი ერთმანეთს ეახლოვდებიან მაშინ, როცა წევე კავშირებით კილოსთან გვხვდება, ხოლო შორდებიან, როცა ერთს შეუძლია თხრობით კილოსთან შეხამება, მეორეს კი – არა.

წევე კავშირზე მსჯელობა არ ჩანს კ. კუბლაშვილის წიგნში „ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი" (თბ., 1985). მისი აღუნუსხველობის მიზეზი,

---

[1] ჩვენ ხაზგასმით მივანიშნებთ, რომ მხოლოდ ამგვარ კონტექსტებშია შეზღუდული კილოს ხმარება, თორემ მაინც ნაწილაკი სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება და სხვა ფუნქციითაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბათ, უნდა იყოს ის, რომ გაბმულ თხრობაში იგი იშვიათად თუ დასტურდება და ძირითადად საუბარში იყენებენ, იგი მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტული მოვლენის განცდას და ამ მოვლენასთან მთქმელის დამოკიდებულებას. ამიტომაცაა, რომ ჩვენს მასალაშიც ეს კავშირი უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებსა და ყურმოკრულ საუბრებში აღინუსხა, ვიდრე სპეციალურად დიალექტოლოგიური დაკვირვების დროს ჩაწერილ ტექსტებში, როცა მთქმელი ძალაუნებურად დაშორებულია ბუნებრივ ყოფას და გააზრებულად მეტყველებს.

ქვემოიმერულში ეს კავშირი მკვიდრია, გარდა ამისა, დასტურდება ზემოიმერეთის იმ რაიონებში, რომელიც ქვემოიმერულს ესაზღვრება და ლეჩხუმში[2], თუმც შესაძლოა, რომ ორივეგან ქვემოიმერულის გავლენის შედეგად იყოს დამკვიდრებული.

რამდენადაც ქვემოიმერულისათვის საერთოდ დამახასიათებელია ზანურის სუბსტრატი, დავინტერესდით მეგრულის მონაცემებით, მაგრამ მსგავსი რამ არც იქ ჩანს. ადეკვატურ კონსტრუქციებში მაინც ნაწილაკის შესატყვისი „ვარა" გვევლინება, რომელიც კავშირებითი კილოს ფორმათა მეშვეობით გადმოგვცემს შესაბამის შინაარსს[3].

ამ კავშირის ეტიმოლოგია ჯერჯერობით ჩვენთვის ბუნდოვანია და მასზე მსჯელობისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ.

ჩვენ შეძლებისდაგვარად აღვნუსხეთ და დავახასიათეთ ქვემოიმერული დიალექტის ერთი საინტერესო ერთეული და მისით შექმნილი თავისებური კონსტრუქცია. ვფიქრობთ, რომ მისდამი ინტერესს ისიც განაპირობებს, რომ სალიტერატურო ქართულში მას ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დიალექტი ენის შესაძლებლობების ერთ-ერთი კარგი გამომვლენია, ხოლო ენის უმთავრეს ნიშანს კი წარმოადგენს ის, რომ რაც შეიძლება ლაკონურად და ამავე დროს ზუსტად გამოხატოს აზრი, მაშინ ზემოთგანხილული წინადადების ტიპი არა მხოლოდ დიალექტოლოგიური კვლევის კუთხითაა საინტერესო, არამედ ზოგადად ქართული ენის შესაძლებლობათა ღრმად შესწავლის თვალსაზრისითაც.

---

2 ლეჩხუმური დიალექტი სადისერტაციო ნაშრომში აქვს შესწავლილი კ.კაკიტაძე', მაგრამ წევე ერთეულზე მსჯელობა არც აქ ჩანს: კ.კაკიტაძე, ქართული ენის ლეჩხუმური დიალექტი (რაჭულთან და იმერულთან მიმართებით), ხელნაწერი, თბ., 1987.

3 მადლობას მოვახსენებთ თან. ქართული ენის კათედრის ასპირანტს მაია ლომიას, რომელიც თავისებურების გამოვლენის მიზნით ჩვენი წინადადებების მეგრულად თარგმანში დაგვეხმარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამოწმებული ლიტერატურის სია

„ივერია“, 1900 – პ.მირიანაშვილი, „ქართული სიტყვის მოყვარეთა მიმართ“, „ივერია“, 1900, №79-80.

ი.ჭყონია, 1910 – ი.ჭყონია, სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, სპბ., 1910.

ი.მეგრელიძე, 1971 – ი.მეგრელიძე, მოკლე (აჭარული) ლექსიკონი. წიგნში: ჯ.ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971, გვ.243-262.

ა.ღლონტი, 1984 – ა.ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

ა.შანიძე, 1980 – ა.შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ.III, თბ., 1980.

არნ.ჩიქობავა, 1952 – არნ.ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, 1988 – ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ლ.კვაჭაძე, 1966 – ლ.კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.

ბ.ჯორბენაძე, 1984 – ბ.ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობებისათვის ქართულში, ქსკს, ტ.6, თბ., 1984.

კ.კაკიტაძე, 1987 – კ.კაკიტაძე, ქართული ენის ლეჩხუმური დიალექტი (რაჭულთან და იმერულთან მიმართებით), ხელნაწერი, თბ., 1987.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII ტ., თბ., 1950-1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამანა მელიქიშვილი

შესიტყვების სინტაქსური მექანიზმის აღწერისათვის ქართულში

„მეტყველების მოვლენათა აღწერისას ტრანსცენდენტიზმი შეუძლებელია, იმანენტიზმი აუცილებელია. მოვლენას უნდა მოეძებნოს შინაგანი, მისთვის იმანენტური საზომი. იგი უნდა იქნეს აღწერილი მის შინაყოფაში“ – ენათმეცნიერების პირველ და მთავარ ამოცანად ეს დასახა არნოლდ ჩიქობავამ თავის ფუძემდებლურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ ჯერ კიდევ 1928 წელს (იხ. არნ.ჩიქობავა, 1968, გვ.107). ეს პრობლემა ქართული ზმნის ინდო-ევროპულისაგან სრულიად განსხვავებულმა სტრუქტურამ წარმოაჩინა და წამოჭრა. საქმე ისაა, რომ გრამატიკული ანალიზის პრინციპები ჩამოყალიბებული იყო იმ გრამატიკებში და იმ მეცნიერთა მიერ, რომელთაც საქმე ჰქონდათ მონოპერსონალური ზმნის შემცველი ენების მასალასთან, ხოლო ქართული შესიტყვების – ქართული პოლიპერსონალური ზმნისა და სახელების სინტაქსური დამოკიდებულების როგორც დიაქრონიულმა, ისე სინქრონიულმა ანალიზმა არნ.ჩიქობავა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტის გარჩევა სინტაქსური სუბიექტ-ობიექტისაგან აუცილებელია ყველა იმ ენაში, სადაც ზმნაში ორივე სახელის პირია წარმოდგენილი. ეს გარჩევა არ არის საჭირო იქ, სადაც ზმნა ერთი სახელის პირს აღნიშნავს. სხვანაირად: მორფოლოგიური უდრის სინტაქსურს, და მაშასადამე, საზოგადოდ – გრამატიკულს, სადაც ზმნა ერთპირიანია, მორფოლოგიური არ უდრის სინტაქსურს და არც შეიძლება იქნეს განზოგადებული, ვითარცა გრამატიკული, სადაც ზმნა ორპირიანია“ (არნ.ჩიქობავა, 1968, გვ.138). ეს კი, ბუნებრივია, მოითხოვდა როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული ცნებებისათვის ახალი ტერმინების გამომუშავებას. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, დაისვა კიდევაც უფრო ზოგად პლანში იმავე ავტორის მიერ 1937 წელს წაკითხულ მოხსენებაში, რომელიც გრამატიკის აგებულების ძირითად საკითხებს ეხებოდა: „სტრუქტურული და ფუნქციონალური ცნებების გარჩევა ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებით, ენათმეცნიერების დარგების დიფერენცირებით არის ნაკარნახევი“, – წერდა ამ მოხსენების საფუძველზე 1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში არნ.ჩიქობავა (არნ.ჩიქობავა, 1968, გვ.264). და , ამასთან, აღნიშნავდა, რომ სტრუქტურული ცნებებისათვის ახალი ტერმინების გამომუშავებას დიდი წინააღმდეგობის გზით სვლა მოუწევდა. მართალია ისიც, რომ ეს ღონისძიება მიზანს ვერ მიაღწევს, თუ მხოლოდ ერთი ენის შესწავლისას იქნა გამოყენებული, მაგრამ ისიც მართალია, რომ ცნებათა ახალ საფუძველზე აგებას ახალი ტერმინების დადგენა ესაჭიროება. აღწერითი გრამატიკა ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებას ვერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიჰყვება, ჩამორჩენას თავს ვერ დააღწევს მანამდის, სანამ სათანადო ცნებები არ გადახალისდება და ამ ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები არ იქნება შემოღებული" (არნ.ჩიქობავა, 1968, გვ.265). მართალია, მას შემდეგ, რაც ეს ითქვა და დაიბეჭდა, აღწერითი გრამატიკის მეთოდები ამერიკელ თუ ევროპელ დესკრიპტივისტთა ნაშრომებში განვითარდა და დაიხვეწა, მაგრამ, სამწუხაროდ, არნ.ჩიქობავას მიერ შემუშავებული სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ცნებითი აპარატი არა თუ სხვა ენათა სინტაქსური მექანიზმის აღწერისათვის არ გამოყენებულა, არამედ თვით ქართული ენის სინტაქსის სტრუქტურული ანალიზის დროსაც მხოლოდ ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთ საუნივერსიტეტო კურსში იყო ჩართული და ისიც, უფრო ხშირად - სტატიკურად, ფორმალურად: სინტაგმის წევრებს შორის სუბორდინაცია-კოორდინაციის და კოორდინაციის წევრების - ძირითადი, დიდი და მცირე კოორდინატების ცნებათა გარკვევით შემოიფარგლებოდა.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის სრული აღწერა სინტაქსურ სქემებში არნოლდ ჩიქობავას მიერ მეთოდოლოგიური იმანენტიზმის საფუძველზე შემუშავებული ცნებებისა და ტერმინების საშუალებით ქართული ზმნის ყველა სახეობისათვის ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ტრადიციულ აღწერით გრამატიკებში მიღებული მორფოლოგიურ-ლოგიკური ცნება-ტერმინების - სუბიექტ-ობიექტის გამოყენება. უფრო ზუსტად - გამოვიყენოთ ისინი მხოლოდ ფუნქციური დანიშნულების ინდექსებად.

<u>I სახეობა: აბსოლუტური აგებულების ზმნების შემცველი შესიტყვება.</u>
გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: I. აბსოლუტური აგებულების პასივები და მედიოპასივები (იმალება, იხატება, თეთრდება, თბება, ზის, დგას...), რომელთა მორფოლოგიური სუბიექტი სინტაქსური თვალსაზრისით დღეს ოდენ მმართველია და არ არის მართული ზმნისაგან (ე.ი. ზმნასა (V) და სახელს (N) შორის სუბორდინაციაა: დომინანტი ზმნაა, დეპენდენტი - სახელობითში (N_{nom}) დასმული სახელია): $N_{nom} \rightarrow V$

ამ სქემაში სახელი მორფოლოგიური სუბიექტია MS (იგივე რეალური სუბიექტი RS), სინტაქსურად დეპენდენტია.

მაგრამ აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ისტორიულად (დიაქრონიული თვალსაზრისით) პრეფიქსიანი ვნებითის N_{nom} მართული ზმნისაგან (ე.ი. კოორდინაციის წევრია), რადგანაც იგი შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნის ბრუნვაცვალებადი სახელია (ფუნქციურად პირდაპირი ობიექტი), კონვერსიის შედეგად ვნებითი გვარის ფორმებში ფორმაუცვლელ სახელად (ფუნქციურად MS_{nom}) ქცეული. ამგვარად, ისტორიულ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ და გარდაუვალი ვნებითის შესაბამისი გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნის და -ის ბრუნვაცვალებადობას, ზემით წარმოდგენილი სქემა საურთიერთო მართვის (კოორდინაციის) სახეს მიიღებს $N_{nom} \rightleftarrows$ (შესაბამისად - რელატიური ვნებითის შემთხვევაშიც: $N_{nom} \rightleftarrows V \rightleftarrows N_{dat}$).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. აბსოლუტური აგებულების მედიოაქტივები (მეფობს, ტირის, გორავს, ვახვახებს): $N_{nom.erg.} \rightleftarrows V$, სადაც სახელი (ფუნქციურად $MS=RS$) არის კოორდინაციის წევრი (დიდი კოორდინატი; ამ ტიპის ზმნათა სემანტიკიდან გამომდინარე, S_3 -ე თითქმის ყოველთვის პერსონალური პირია, და ამდენად – დიდი კოორდინატი).

<u>II სახეობა: რელატიურ-გარდაუვალი ზმნების შემცველი შესიტყვება.</u> აქ გამოიყოფა 4 ქვეჯგუფი:

I. ორპირიანი (ამავდროულად ორვალენტიანი) ცნებითები (ემალება, უთმება, უკეთდება...): $N_{nom.} \longrightarrow V \rightleftarrows N_{dat.}$, სადაც სახელი ნომინატივში – ფუნქციურად ($MS_{nom} = RS_{nom}$) დღეს სინტაქსურად დეპენდენტია (ისტორიულად – შესაბამისი აქტივის ბრუნვაცვალებადი ობიექტი $MO_{dat.nom}$), ხოლო დატივში დასმული სახელი კოორდინაციის წევრია: I პ. – დიდი, II პ. – პირობითად დიდი, III პ. – მცირე კოორდინატია.

2. ლაბილური ინვერსიის I ქვეჯგუფის რელატიური ცნებითები (ეკვეთება, ეკითხება; ე.წ. „მიჩნევისა“ და „შესაძლებლობის“ შინაარსის ზოგი ცნებითი: ეძნელება, ემწარება, ეჩვენება...) და სტაბილური ინვერსიის რელატიური მედიოპასივები (უყვარს, სძულს, უჭირს...): $N_{nom.} \longrightarrow V \rightleftarrows N_{dat}$ სადაც სახელი ნომინატივში ($MS_{nom.}=RS$) არის დეპენდენტი, ხოლო სახელი დატივში ($MO_{dat.}=RS$) – დიდი კოორდინატი.

3. ნაკლული კონსტრუქციის მედიოაქტივები, რომელთაც აკლიათ $MO_{dat.nom}$ (შეხედა, უყურა, უცქირა, უყვირა, უკივლა, ეაფცინა – მან მას). $N_{nom.erg.} \rightleftarrows V \rightleftarrows N_{dat.}$, სადაც ორივე წარმოდგენილ სახელთან კოორდინაციაა: $MS_{nom.erg.} = RS$ და სინტაქსურად დიდი კოორდინატია S_1 S_2 S_3; სინტაქსურად დიდი კოორდინატია O_1; პირობითად დიდი O_2, მცირე კოორდინატია O_3.

4. ცალკე უნდა გამოიყოს რელატიური აგებულების (ორი პირის ნიშნის შემცველი, მაგრამ ერთვალენტიანი „მედიუმები“) ძირითადად უგვარო სტატიკური ზმნები, სტატიკურ-ინვერსიული, როგორიცაა მცხელა, მცივა, მტკივა, მაცახცახებს, მაცემინებს, მამთქნარებს...), ასევე, ე.წ. „გუნების“ ცნებითები (მემღერება, მეტირება, ტიპისა), რომელთაც აკლიათ $N_{nom.}$ (ფუნქციურად $MS_{nom.}$), ხოლო სახელი დატივში $N_{dat.}$ – ფუნქციურად $MO_{dat}=RS$ სინტაქსურად დიდი კოორდინატია: $V \rightleftarrows N_{dat.}$

<u>III სახეობას ქმნის რელატიურ (ორვალენტიანი)-გარდამავალ ზმნიანი შესიტყვება,</u> რომელშიც გამოიყოფა 2 ქვეჯგუფი:

I. ნეიტრალური ვერსიის ზმნის შემცველი შესიტყვება (აკეთებს, აშენებს, ათბობს, ხატავს, წერს... ტიპისა): $N_{nom.erg.} \rightleftarrows V \rightleftarrows N_{dat.nom.}$ სადაც: $MS_{nom.erg.}=RS$ და სინტაქსურად დიდი კოორდინატია, ხოლო $MO_{dat.nom.} = RO$ სინტაქსურად დიდი კოორდინატია O_1; პირობითად დიდია O_2; მცირე კოორდინატია O_3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. სასუბიექტო ვერსიის ორვალენტიანი ზმნის შემცველი შესიტყვება (იკეთებს, იშენებს, ივსებს...), რომელსაც პირდაპირი ობიექტის მიხედვით ვლის უნარი არა აქვს (ანუ პირის გამოხატვის თვალსაზრისით ერთპირიანია): $N_{nom.erg.} \rightleftarrows V \longrightarrow N_{dat.nom.}$

ამ ქვეჯგუფში გამონაკლისს წარმოადგენენ ზმნები, რომელთაც პირდაპირი (ბრუნვაცვალებადი) ობიექტის მიხედვით ვლის უნარი აქვთ (მომიკითხა, მომიშორა, დამითხოვა, მომიტაცა, მომიყვანა, დამიბრუნა, ამიგდო... მან მე). ისინი წინა ქვეჯგუფის სინტაქსურ მექანიზმს ექვემდებარებიან, სადაც ორივე სახელთან საურთიერთო მართვაა.

<u>IV სახეობა: რელატიურ-სამვალენტიანი გარდამავალი ზმნის შემცველი შესიტყვებაა,</u> რომელშიც სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით 2 ქვეჯგუფი გამოიყოფა:

I. სამვალენტიანი ზმნების შემცველი საობიექტო ვერსიისა და მრავლობითი კონტაქტის (კაუზატიური) ფორმები, რომელთაც ერთდროულად მხოლოდ ორი პირის მიხედვით ვლის უნარი აქვთ და შესაბამისად, ორი პირის გამოხატვის შესაძლებლობა: $N_{nom.erg.} \rightleftarrows V \begin{smallmatrix} \nearrow N_{dat.} \\ \searrow N_{dat.nom.} \end{smallmatrix}$, სადაც ფუნქციით $MS_{nom.erg.} = RS$, რომელიც სინტაქსურად დიდი კოორდინატაა; $N_{dat.}$ ფუნქციურად $MO_{dat.} = RO$ სინტაქსურად O_1 დიდი კოორდინატია, O_2 პირობითად დიდია; O_3 – მცირე კოორდინატაა. რაც შეეხება $N_{dat.nom.}$-ს ფუნქციით პირდ.ობიექტს, იგი სინტაქსურად დეპენდენტია, იდენ მართულია.

2. მეორე ქვეჯგუფში შედის სამვალენტიანი ზმნები, რომლებსაც ერთდროულად მხოლოდ ორი პირის მიხედვით (ამჯერად MS და $MO_{dir.}$) ვლის უნარი აქვთ და, შესაბამისად, მათი გამოხატვის შესაძლებლობაც. ოღონდ ამჯერად $MO_{dat.nom.}$ მიხედვით (მიმალურსმა, მიმასხრისა, მიმაბარა, მიმაწერა, მიმათვალა, დამაწია, შემატოვა, მიმცა, მიმგვარა, მიმყიდა, მიმამსგავსა... მან მემას): $N_{nom.erg} \rightleftarrows V \begin{smallmatrix} \rightleftarrows N_{dat.} \\ \rightleftarrows N_{dat.nom.} \end{smallmatrix}$, სადაც $N_{nom.erg}$ ფუნქციით $MS_{nom.erg.} = RS$ სინტაქსურად დიდი კოორდინატაა; $N_{dat.} = MO_{ind}$, ფუნქციით ირ.ობ.) – დეპენდენტია, ხოლო $N_{dat.nom.} = MO_{dir}$ კოორდინატის წევრია: O_1 – დიდი კოორდინატია, O_2 – პირობითად დიდია, O_3 – მცირე კოორდინატაა.

ამგვარად, სამვალენტიან ზმნებთან კოორდინაცია ერთდროულად შესაძლებელია მხოლოდ ორ წევრთან: ერთ შემთხვევაში $N_{nom.erg.}(MS)$ და $N_{dat.}(MO_{ind})$-თან, მეორე შემთხვევაში კი $N_{nom.erg.}(MS)$ და $N_{dat.nom.}(MO_{dir})$-თან.

სინტაქსური ურთიერთობის სქემებში გამოხატვამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ქართულში მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურ სუბიექტ-ობიექტს, რაც ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის მექანიზმის ისტორიული ცვლილების შედეგია. ეს შესაძლებლობას იძლევა ქართული ზმნის პირთა გამოხატვის თანამედროვე სისტემის აღწერაში შევი-ტანოთ ცვლილებები. კერძოდ, სუბიექტურ პირთა გამოხატვის სისტემაში „ვინის" რიგის ნიშნების გვერდით დავსვათ „მანის" რიგის ნიშნები, რო-გორც სუბიექტურ პირთა მორფოლოგიურად შეპირობებული ვარიანტები და პირ-იქით, ობიექტურ პირთა გამოხატვის სისტემაში „მანის" რიგის ნიშანთა გვერდით – „ვინის" რიგის ნიშნები.

დამოწმებული ლიტერატურა

არნ. ჩიქობავა, 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იზა ჩანტლაძე

კავშირ-ენკლიტიკის, ნაწევართა და პროსოდიულ ხმოვანთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

მაერთებელი კავშირი ქართულ-ზანურ ენებში კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისითაა წარმოდგენილი (და – დო), ხოლო სვანური თითქოს განკალკევებით დგას, სადაც აღნიშნულ მორფემოიდს გამოხატავს -ი > -ə, რომელიც იმავდროულად მიმართებითი ნაწილაკისთვისაცაა გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ მეგრულ-ჭანურში სხვადასხვა კორელატი აღმოაჩნდა კავშირსა (დო „და") და ნაწილაკს (თი „ც"), ვფიქრობთ, სათანადო ზანური მასალის (როგორც ცოცხალი მეტყველების, ისე ხალხური სიმღერების ენის) გათვალისწინების საფუძველზე შესაძლოა მათი ერთმანეთთან დაკავშირება.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები რთული შედგენილობისაა ქართველურ ენებში. მეგრულ მიგიდა||მიდəგა||მიდგა „ვიღაც[ა], ვიცაღა", მუგიდა||მუდიგა||მუდəგა||მუდგა „რაღაც[ა], რაცაღა" და ნამუგიდა||ნამუდიგა „რომელიღაც[ა], როგორიღაც[ა]" ფორმებში უდავოდ გამოიყოფა -და/-დə/-დ ელემენტი, თი/თə („ც") ნაწილაკის გამჟღერებული ვარიანტი (ი.ყიფშიძე, 1914, გვ. 049-050; გ.როგავა, 1987, გვ. 45). ანალოგიური შედგენილობისაა მიმართებითი ნაცვალსახელიც ნამუდა||ნამəდა||ნამდა „რომელი, რაც", ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მაქვემდებარებელი კავშირის როლში რომ გვევლინება, თუმცა ერთ-ერთ კომპონენტად მაერთებელ -და ელემენტს შეიცავს. ი.ყიფშიძის მიხედვით, იმავე მნიშვნელობისაა -ნი > -ი კავშირი (что, чтобы), სადაც მიმართებითი ნაწილაკის ფუნქცია ეკისრება -ი ხმოვანს (გვ. 0122). მაშასადამე, როგორც -და, ისე -ი ერთსა და იმავე როლს ასრულებს. ეს უკანასკნელი „ცა" ნაწილაკის სახითაა თარგმნილი აგრეთვე ტ.გუდავას მიერ გამოცემულ მეგრულ ლექსებშიც (ჩა იშენი დობღურუქუ-მე მაინც მოვკვდები), თუმცა ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მეგრული წარმოთქმის ორი სტილი – სრული (უკვეცელი) და უსრული (კვეცილი), რაც არა მხოლოდ ხალხური სიმღერების ენისთვისაა დამახასიათებელი (ქართ.ხალხ.სიტყვიერება, 1975, გვ. 110, 356-375). ამის გათვალისწინებით -ი (ან მისი ბგერინაცვალი -ə/უ) შეიძლება დაერთოს ნებისმიერ თანხმოვანზე დამთავრებულ სიტყვას მისი გავრცობის მიზნით.

ძალზე საყურადღებოდ გვეჩვენება ხევსურულ და ფშაურ დიალექტებში დადასტურებული კომპოზიტები, რომლებიც ფუძის რედუპლიკაციითაა მიღებული (აქვე შევნიშნავთ, რომ ასეთი კომპოზიტები არც ერთმა ქართველურმა ენამ არ იცის, საკუთრივ ქართულის გარდა – ვ.თოფურია, 1979, გვ. 110, 196; დამაფიქრებელი ფაქტია! როგორც ჩანს, „და" ელემენტი საერთო-ქართველურ დონეზე არ არის პროდუქტული მორფემა სიტყვაწარმოების თვალსაზრისით);

ჯერ იომა ცხენ-დი-ცხენ (ხევს.პოეზ., I93I; I77,I8); გორ-დი-გორ ჩამოდიოდა (30,4); ფართ-ი-ფართ გააგდებია (546,I0); მიწ-ი-მიწ ხქონდა დარანი (54I,6); გორ-დი-გორ ჩაიარე (ხალხ.სიტყვიერება, ფშ., I953, გვ.89; გ.ცოცანიძე, I978, გვ.I0I) ‖ გორიგორ შასდევს ნაფრენი (ვაჟა, I96I, გვ.4I); ხევს. შიგიში < *შიგიშიგ (ა.ჭინჭარაული, I960, გვ.2I9), მდრ. თუშ. შიგაღაშიგ‖შიგვაშიგ (თ.უთურგაიძე, I960, გვ.I78).

მაშასადამე, ქართულშიც შესაძლებელი ყოფილა და/დი/ი ელემენტთა მონაცვლეობა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია სვანურ ანდაზებში, ძველი ხალხური სიმღერების ენასა და თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებულმა (და > დი პროცესის ამსახველმა) მონაცემებმა:

ბქ. ცადიქეყანა დის ესერ ხორტყვა-ცა და ქვეყანა არავის გადაუყლაპავსო (ა.დავითიანი, I973; I70,2), მდრ. ბზ. ცადაქვეყანა; ბქ. ცა და ქვეყანა ქონცხიპხ-ცა და ქვეყანა შემოიარეს (სვ.პრ.ტ., I957, 56,I6); ბქ. მიჩა თხვიმ მარა ცადაქვეყანად ესერ ხოცა – თავისი თავი კაცს ცასა და ქვეყანასა ურჩევნიაო (ა.დავითიანი, 96,430); ლშხ. გზერვალ წამდიუწუმ დეცს ხოსგდგდახ – მგზავრები წამდაუწუმ ცას შესცქეროდნენ.

როგორც ცნობილია, სვანური ხალხური სიმღერების ენაში არაერთი „უტყვი" ხმოვანი (ა.შანიძე, I98I, გვ.364) გვხვდება, მათ შორის ყველაზე ხშირია -ი. ზოგჯერ ნათელი არაა, რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა მას ოდინდელ სვანურში. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ აუცილებელია სალექსო სტრიქონის არქიტექტონიკის დაცვა, პროსოდიული სტრუქტურის მოწესრიგება, მუსიკალური ფრაზის რიტმიკის სტაბილიზება, გარკვეული სიმეტრიულობის შენარჩუნება, რაკიღა უძველესი ხალხური პოეზიის ნიმუშები სწორედ სიმღერათა ტექსტებს წარმოადგენენ. ქართველურ ენათა სინამდვილეში ამას, ჩვეულებრივ, შაირი განსაზღვრავდა.

როგორც ჩანს, პროსოდიულ მოთხოვნილებებს ემსახურებოდა არა ოდენ ხმოვნები, არამედ გარკვეული მარცვლებიც ამა თუ იმ რიტმული პერიოდის (მუხლი, ტაეპი, სტროფი...) ერთმანეთისაგან გასამიჯნავად თუ დასაკავშირებლად („მუმლი და მუხასა"-ს და ელემენტს მუსიკოს-მომღერლები პირობითად აკორდებს შორის „გადასასვლელ ხიდს" უწოდებენ). სწორედ ძველ სვანურ მისამღერებში, რეფრენებსა და თანამედროვე სვანისთვის სრულიად გაუგებარ ფორმებში შეიძლება დავადასტუროთ და კავშირ-ნაწილაკისა (შ.ძიძიგური, I966, გვ.45) თუ კავშირ-ენკლიტიკის (გ.ცოცანიძე, გვ. 5ს) არსებობის კვალი:

შგარი და ლაშგარი (სვ.პოეზია, I939; II8,4); იწსა და ხველა (II8,I); შილეშა და გვრეგილსი (I86,I); ლემჩილიავა და გივერგილა – დასაბერებელო გივერგილა (I84,I); ჟუბა ნარლვედი ლამგმბაუგნ დამ(?)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზისხიშვი – ხევი მღვრიე მომეჩვენა სისხლით (130,10–11); შდრ. ჯანას ხექვში დი ჰაბჯარი, მგშხას ხედი დი ჩექმარი, შიას ხედი ხეშნავარი, შდიქილდ ხეგნი მარგლიტიში, ფათულდ ხეგნი დი ყალყმიში – ტანზე ეცმევა აბჯარი, ფეხზე ეცმევა ჩექმები, ხელზე ეცმევა ბეგთარი, კბილი ედგმევა მარგალიტისა, თმა ექნება ხუჭუჭი (160,34–40); მოდ ჯაკუ? და შალი შარ-თქუმ – რა ვინდა? და შალის საბანი (358,4). უკანასკნელ შემთხვევაში სიმღერის ტექსტი ნარევია, ქართულ-სვანური სიტყვებისგან შემდგარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულიდან შესულ სიმღერებში „და“ კავშირს სვანი მთქმელი ხან უცვლელად ტოვებს, ხანაც ხმოვანს უცვლის ან ცვლის:

მეფე სვანეთსა და მობრძანდა (363,4); ამირან და დევი შეიბნენ (384,47); დევიჩოქე და ვისროლე (381,7)!!ვე (432,3); ტლილოდ-თლილოდ (352,1), შდრ. ქართ. ალილოსა – თალილოსა (თუ კნინობითის ფორმები არაა)

მაშასადამე, სვანურში, ისევე, როგორც ქართულ დიალექტებში, შეიძლება დაიძებნოს პროსოდიული ელემენტის და/დი/დე/დ ვარიანტები, რომლებიც, ალბათ, თავის დროზე მაერთებელი კავშირის როლსაც ასრულებდნენ არასასიმღერო ტექსტში. იმავე მორფემოიდის კვალი უნდა ჩანდეს ცნობილ ქართულ-სვანურ მისამღერებში: ჰეიდა... ჰოდა... საი-ჰოდი და, ჰარიდა, უობრილიდა; ჰოდ და ვოდდი ვო; ვოდ ი ვირუ დოელოსტ დი, ვო (318,3), ჰოდ და ლილე და... ვოდ-და ლილე, ჰო (314,17)...

ანალოგიური „და“ არა მარტო ხალხური პოეზიიდანაა (თუშური, ხევსურული, ფშაური, მესხური...) ცნობილი, არამედ ძველი ქართული საეკლესიო საგალობლებიდანაც, იამბიკოებიდან, პოეტთა (რუსთაველი, თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი, ვახტანგ მეექვსე, ვაჟა-ფშაველა...) შემოქმედებიდან.

„და“ ელემენტის გამოყენება ნაწილაკის ფუნქციით (ბიჭო-და, რა სანახავია ტყე!), როგორც ჩანს, უფრო ადრინდელი მოვლენაა (შ.ძიძიგური, 1959, გვ.301-302; ჰ.ფენრიხი, 1990, გვ.93), რაც აშკარად ეტყობა ძველი ქართული ძეგლების ენას, სადაც მას კავშირისთვის უჩვეულო სიხშირე ახასიათებს. ცოცხალ მეტყველებაში დღესაც შეიძლება გავიგონოთ ეს ნაწილაკი (გული კი გაგვიხეთქე-და...). დამახასიათებელია, რომ ა.შანიძე თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ პროსოდიულ ხმოვნებს „ნაწილაკებსვე მიათვლის“ (1980, გვ.612-613).

სპეციალურ ლიტერატურაში ეტიმოლოგიურად უკავშირდება ერთმანეთს როგორც და/-ვა, ერთი მხრივ, ისე ზან. -თ(ი)/ქართ. -ც(ა), მეორე მხრივ. თ/ც თანხმოვანთა მონაცვლეობა (როგორც თავად ქართულში, ისე ქართულ-ზანურს შორის: ციკანი/თიკანი, ზარმაცი/ზარმათი – არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.67) ამოსავალია მათი საერთო წარმომავლობისათვის. -თი/თე ქართული -ცა ნაწილაკის ტოლფარდია (გ.როგავა, გვ.45). თავად „და“ მორფემოიდიც შეიძლება შეგვხვდეს ნაწილაკის ფუნქციით მეგრულში, ზოგჯერ ჭანურში (გ.კლიმოვი, 1964, გვ.68).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.შანიძის აზრით, და წარმოშობით კავშირია, მაგრამ ნაწილაკადაა ქცეული, რომელიც განსაკუთრებით ხშირია ჩაკითხვის დროს (როგორ? როგორ-და...). საპირისპირო თვალსაზრისს ავგას შ.ძიძიგური, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ და იმთავითვე, ყველა ქართველურ ენაში, ისეთივე ნაწილაკ-კავშირი იყო, როგორიც -ი > -ä ძველი სვანური სიმღერების ენასა თუ ცოცხალ მეტყველებაში და გამოიყენებოდა პროსოდიული თუ ემფატიკური საჭიროებისათვის, უპირველეს ყოვლისა.

ა.შანიძის მიხედვით, -ც(ა) ნაწილაკს ძვ.ქართულში ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორიც ესე-ეგე-იგი ნაცვალსახელურ ნაწილაკებს, რაც გულისხმობს სახელთა დეტერმინაციას, განსაზღვრას. ამასთანავე იგივე ნაწილაკებია ამოსავალი ბრუნვათა როგორც გავრცობილი, ისე გაუვრცობელი ფორმებისათვის. ამიტომაც სვანურის -ი, როგორც სახელობითი ბრუნვის მორფემა, ერთი მხრივ, როგორც ემფატიკური ხმოვანი, მეორე მხრივ, და, როგორც მიმართებითი ნაწილაკი თუ ორი სიტყვის დამაკავშირებელი ელემენტი, მესამე მხრივ, შესაძლოა ამოსავალში ერთი, ნაცვალსახელური ძირი იყოს (შდრ. ძვ.ქ. რომელი-იგი||რომელი-ცა||რომელი-ცა-იგი; ვითარ-იგი||ვითარ-ცა||ვითარცა-იგი). ვფიქრობთ, ღია მარცვლიანი სტრუქტურების დახურულმარცვლიანებად ჩამოყალიბებისკენ სწრაფვამ და ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ერთი (-ი) ხმოვნის გამოყენებამ მოშალა ბრუნვის ფორმათა დაპირისპირება ნართაულობის მიხედვით სვანურში. იგი-ეგე-ესე ნაწილაკი ყველა შემთხვევაში ფუძის მადეტერმინებელი ელემენტია, განსაზღვრულობის ნაწევრული წარმოშობისაა (შ.ძიძიგური, 1969, გვ.414). ბუნებრივია, რომ იგი ავრცობს კიდეც ამა თუ იმ მორფემას და გვევლინება როგორც ბრუნვის მაწარმოებლის, ისე ემფატიკური ხმოვნისა თუ ნაწევარ-ნაწილაკის ფუნქციით ქართველურ ენებში, ოღონდ ერთი პრობლემატური საკითხი კვლავ მოითხოვს სერიოზულ კვლევას. აუსლაუტში მარცვლის დახურვის ტენდენცია ძალზე გავრცელებულია ქართული ენის მთის დიალექტებში, მაგრამ იქ ემფატიკური ხმოვნებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება, უფრო მეტიც - სხვათა სიტყვის -ო, -ვ ნაწილაკებიც კი ძალზე პროდუქტულად გამოიყენება ამ ფუნქციით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის, რაც ტ.გუდავამ ივარაუდა ზანური მეტყველების ორი (სრული და უსრული) სტილის შესახებ, შესაძლოა ქართული მთის დიალექტებზე და ნაწილობრივ თანამედროვე სვანურზეც გავავრცელოთ (ლენტეხური კილოს ჩაკითხვით ფორმებში ხშირად იხმარება ხოლმე -ა/-ჷ/-უ ნაწილაკები). ძველ სვანურ ხალხურ სიმღერებში დადასტურებული მი-ა-ä (მე-ც), სი-ა-ä (შენც) ფორმები თუშურ-ხევსურულ-ფშაურ მეაც, მეად ფორმათა ანალოგიურია. სპეციალისტებს უხერხულ ვითარებად წარმოუდგენიათ თანამედროვე თუშურ მეტყველებაში ძალზე (თუმცა ხალხურ ლექსებთან შედარებით მაინც ნაკლებად) გავრცელებული -ა/-ო ხმოვნებისთვის ტერმინ „პროსოდიულის“ გამოყენება (თ.უთურგაიძე, გვ.69). ალბათ ეს მართლაც ასეა; ფიქრობენ, რომ ცოცხალ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტყველებაში ანალოგიური ხმოვნები, უპირველეს ყოვლისა, თანხმოვანთგამყოფის ფუნქციით უნდა გაჩენილიყო სწორედ ნაწილაკთა წინ (იგულისხმება -და, -ვა, -ვ, -მე, -წ...). ჩვენ პირიქით ვიცყოდით - სწორედ ამ პოზიციაში შემოვჩრნენ ისინი. ქართულ-ზანურ-სვანური მეტყველების ორი სტილი დასაგამს პოულობს სიმღერის ტექსტისა და ცოცხალი ენის დაპირისპირებაში. იქ, სადაც დღესაც ხშირია ნართაული თუ მაერთებელი ხმოვნები, რომელთაც მორფემათა გაყრუობის ფუნქცია აკისრიათ მხოლოდ და იმავდროულად ერთი ენისა თუ დიალექტის ფარგლებში ღიამარცვლიანი სტრუქტურების დახურულმარცვლიან სტრუქტურებად გარდაქმნის აშკარა ტენდენცია ახასიათებს, ამოსავალია მუსიკალური რიტმისა და ცოცხალი მეტყველების დაპირისპირება.

სპეციალურ ლიტერატურაში (ა.ცაგარელი, 1880, გვ.11; გ.კლიმოვი, 1964, გვ.68; გ.კლიმოვი, 1966, გვ.19-25; ჰ.ფენრიხი, 1990, გვ.93) *და არქეტიპი აღდგენილია მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის. ეგების სვანური ენის კავშირ-ენკლიტიკას -ი იგივე გზა ჰქონდეს გავლილი, რაც ქართულში იმავე ფუნქციით გამოყენებულ და მორფემიდს (გორდაგორ > გორდიგორ > გორიგორ)? თუ ეს ძნელი წარმოსადგენია, მაშინ დეცეგიმ (< *დეც ჰე გიმ „ცა თუ მიწა") კომპოზიტის მსგავს მონაცემებში გამოყენებული დამაკავშირებელი ელემენტი იქნებ ნაწევარ-ნაცვალსახელთაგან (შდრ. ეჯა >. ე „ეს") მომდინარედ მივიჩნიოთ? შესაბამისად, ი < *იჯა „იმ" (შდრ. ი-მ-ნ-შმ).

ლიტერატურა

ა.დავითიანი, 1973 - ა.დავითიანი, სვანური ანდაზები, თბილისი, 1973.

ვ.თოფურია, 1979 - ვ.თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, შრომები, III, თბილისი, 1979.

გ.როგავა, 1987 - გ.როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, იკე, XXVI, თბილისი, 1987.

სვანური პოეზია, I, თბილისი, 1939.

სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი, 1957.

თ.უთურგაიძე, 1960 - თ.უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960.

ჰ.ფენრიხი, 1990 - ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990.

ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, III, თბილისი, 1961.

ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბილისი, 1975.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა.შანიძე, 1931 - ა.შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბილისი, 1931.
ა.შანიძე, 1980 - ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, III, თბილისი, 1980.
ა.შანიძე, 1981 - ა.შანიძე, უმლაუტი სვანურში, თხზულებანი, II, თბილისი, 1981.
არნ.ჩიქობავა, 1981 - არნ.ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
გ.ცოცანიძე, 1978 - გ.ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.
შ.ძიძიგური, 1959 - შ.ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან, თბილისი, 1959.
შ.ძიძიგური, 1966 - შ.ძიძიგური, რუსთაველის ენის საკითხები, თბილისი 1966.
შ.ძიძიგური, 1969 - შ.ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969.
ა.ჭინჭარაული, 1960 - ა.ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.
ხალხური სიტყვიერება, III, თბილისი, 1953.
ი.ყიფშიძე, 1914 - Кипшидзе И.А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-П., 1914.
გ.კლიმოვი, 1964 - Климов Г.А., Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.
გ.კლიმოვი, 1966 - Климов Г.А., Мачавариани Г.И., Рефлексы общекартвельского "а" в занском (мегрело-чанском) языке, Studia Caucasica, №2, The Hague, 1966.
ა.ცაგარელი, 1880 - Цагарели А., Мингрельские этюды, II, 1880.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ლომია

მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვში შეთანხმება მეგრულში

სამივე ქართველურ ენაში (ქართულში, სვანურსა და მეგრულში) ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მთავარი და დამოკიდებული კომპონენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია მიმართებითი ნაცვალსახელების, მიმართებითი ზმნიზედების ან მაქვემდებარებელი კავშირების საშუალებით. მათ შორის ფორმაცვალებადი მიმართებითი ნაცვალსახელებია. მიმართებითნაცვალსახელიანი დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაში სახელით გამოხატულ წევრს მიემართება და ხსნის მას. მთავარ წინადადებაში მოცემულ ამგვარ სახელს, ვარლამ თოფურიას ტერმინით, ასახსნელი წევრი ჰქვია (ვ.თოფურია, 1965, გვ.95-98), ხოლო კ.დონდუა მისამართ სიტყვას უწოდებს (კ.დონდუა, 1940, გვ.329-336); უფრო გავრცელებული კ.დონდუას დამკვიდრებული ტერმინია.

ცნობილია, რომ მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის სინტაქსური კავშირი მხოლოდ რიცხვის მიხედვით მყარდება: მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, ხოლო შეთანხმებული – მიმართებითი ნაცვალსახელი. შეთანხმება შეიძლება მოხდეს როგორც მხოლობითი, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმებს შორის (დ.ერთელიშვილი, 1957, გვ.238). ჩვენ გვაინტერესებს ამ ორი წევრის მრავლობით რიცხვში შეთანხმების საკითხი. შეთანხმება ხდება ფორმის მიხედვით (გრამატიკულად) ან აზრობრივად.

ფორმის მიხედვით შეთანხმების დროს მიმართებითი ნაცვალსახელი იღებს იმ რიცხვის ფორმას, რაც მისამართ სიტყვას აქვს (არნ.ჩიქობავა, 1952, გვ.283; არნ.ჩიქობავა, 1968, გვ.115). აზრობრივი შეთანხმებისას გადამწყვეტია მისამართი სიტყვის სემანტიკური მხარე, რადგან ამ შემთხვევაში მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართი სიტყვის შინაარსს უწევს ანგარიშს და ასეთ დროს მისამართ სიტყვად ჩვეულებრივ კრებითი სახელია გამოყენებული.

მეგრულში სახელთა მრავლობითს აწარმოებს -ეფ სუფიქსი, რომელიც ქართული -ებ-ის შესატყვისია და მომდინარეობს -აბ-ისაგან უმლაუტისა და ბ-ს დაყრუების გზით (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.161; ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990, გვ.112). -ეფ სუფიქსს აქვს პარალელური ფორმები -ენ, -ემ სუფიქსების სახით მოთხრობითსა და მიცემითში. -ეფ-ის პოზიციური ცვლა ენ/ემ-ად ქ და ს ბრუნვის ნიშნების წინ ხდება: ფქ, ფს არაკანონიკური მიმდევრობა იცვლება კანონიკურით. მიუხედავად იმისა, რომ -ენ ფორმანტის უპირატესობა თვალსაჩინოა (-ემ იშვიათად ენაცვლება)- -ეფ მორფემა ზოგჯერ მაინც იჩენს თავს მოთხრობითსა და მიცემითში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგრულის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დადასტურებულია შემდეგი მიმართებითი ნაცვალსახელები: ნამუთ (რომელიც), მით (ვინც), მუთ (რაც), მუზმათ‖მუსხი(თ)‖მუდა(თ) (რამდენიც), მუფერი(თ) (რანაირი, „რაფერი" (ც), მუნერი(თ) (რანაირი (ც), მუდანერი (თ)‖მუზმანერი (თ) (რამდენნაირი (ც), მუჭომი (თ) (როგორი (ც).

მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმება ფორმის მიხედვით რომ მოხდეს, ორივე სახელს უნდა შეეძლოს მრავლობითის მორფოლოგიურად გამოხატვა. მეგრულში მისამართი სიტყვის ფუნქციით გვხვდება არსებითი სახელი და ნაცვალსახელი. მიმართებით ნაცვალსახელთა გენეზისის საკითხი ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან და ამჯერად დაწვრილებით არ შევეხებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ყველა მიმართებითი ნაცვალსახელი მეგრულში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, კითხვითი ნაცვალსახელისაგანაა ნაწარმოები -თ(ი) ნაწილაკის დართვით, რომელი ძველი ქართული ესე, ეგე, იგი ნაწილაკებისა და ახალი ქართული -ც(ა) ნაწილაკის მორფოლოგიური ფარდია (ზ.სარჯველაძე, I97C, გვ.252).

მიმართებით ნაცვალსახელთა რიცხვის მიხედვით ფორმაცვალებაზე საუბრისას საჭიროა, ქართულისა და სვანურის მონაცემების გათვალისწინება, რადგან „სალიტერატურო ქართულში მრავალი საუკუნის მანძილზე მიმართებითმა ნაცვალსახელებმა შეიცვალეს არა მარტო ბგერითი სახე, არამედ რამდენადმე მორფოლოგიური მხარეც: ზოგიერთმა დაკარგა მრავლობითი რიცხვის წარმოების უნარი და ურიცხვო სახელებს მიეკედლა" (ლ.კვანტალიანი, I983, გვ.I8). ძველ ქართულში მიმართებით ნაცვალსახელთა ფორმაცვალებადობა რიცხვის მიხედვით ჩვეულებრივი მოვლენა იყო: რაჲ-რანი, ვინ-ვიეთნი, რაოდენი-რაოდენნი, რომელი-რომელნი და სხვა. ახალ ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია ფორმაუცვლელობისაკენ. "რაც" მიმართებით ნაცვალსახელს მხოლოდ ძველი მრავლობითის ფორმა აქვს, ისიც იშვიათად. ორივე რიცხვის ფორმა შერჩა მხოლოდ ძირითად მიმართებით ნაცვალსახელს - რომელიც. ხელოვნურია ვინ-ებ-ი ფორმაც, რომელიც ზოგჯერ დიალექტებში იჩენს თავს (აკ.შანიძე,I955, გვ.85; აკ.შანიძე, I973, გვ.IC3); თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულშივე ვიეთნი და ვიეთთა ფორმები იშვიათია და საშუალსა და ახალ ქართულში საერთოდ ქრება. მრავლობითობის აღმნიშვნელი ნ'არის დართვა კრებითობის -ეთ სუფიქსზე, ამ სუფიქსის ფუნქციის დაჩრდილვის მაჩვენებელია. ამასთან ვიეთნი ხშირად ძველ ქართულში განუსაზღვრელობის ფუნქციითაა გამოყენებული (ნ.მარი, I925, გვ.IC2; შ.ძიძიგური, 1969, გვ.259; ჯ.ერთელიშვილი, I962, გვ.69).

ამრიგად, რიცხვში ფორმაცვალება უფრო ძველია, ვიდრე ფორმაუცვლელობა. ქართულთან მიმართებით სვანურის მონაცემები ნეოლოგიზმია, რადგანაც მიმართებითი ნაცვალსახელები სვანურში მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ნ.აბესაძე, 1960, გვ.116). მეგრული ამ მხრივ ქართულს მიჰყვება.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში რიცხვის მიხედვით იცვლება მხოლოდ ნამუთ (რომელიც) მიმართებითი ნაცვალსახელი, რომლის მრავლობითი რიცხვის ფორმაა ნამუნეფით (რომლებიც). რაც შეეხება დანარჩენებს, პირობითად შეიძლება ორი ჯგუფი გამოვყოთ: ერთ ჯგუფში გაერთიანდებიან ის ნაცვალსახელები, რომლებიც საერთოდ არ იცვლიან რიცხვის მიხედვით ფორმას; ასეთებია: მუთ „რაც", მუზმათ‖მუსხი(თ)‖მუდა (თ) „რამდენიც", მუჭომი(თ) „როგორიც", მუფერი(თ) „რაფერი(ც), მეორე ჯგუფში კი ის ნაცვალსახელები გაერთიანდებიან, რომელთა ფორმაცვალება რიცხვის მიხედვით შეუძლებელი არ არის, მაგალითად, მით-მინეფით „ვინებიც", მუნერი(თ)-მუნერეფი(თ) „რანაირებიც", მუდანერი(თ)‖მუზმანერი(თ) – მუდანერეფი(თ)‖მუზმანერეფი(თ) „რამდენნაირები(ც)", მაგრამ მათი მრავლობითი რიცხვის ფორმას ენა აქტიურად არ იყენებს (თვით მარტივ წინადადებაშიც იშვიათია) და, აქედან გამომდინარე, ეს წევრ-კავშირები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მრავლობითი რიცხვის ფორმით არ დასტურდება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართებითი ნაცვალსახელები ერთნაირი სიხშირით არ გამოიყენება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. კერძოდ, ხშირი ხმარებით გამოირჩევა ნამუთ, მით, მუთ (რომელი, ვინც, რაც), ხოლო მუჭომი(თ) (როგორიც), მუნერი(თ) (რანაირი(ც), მუფერი თ) (რაფერი(ც), მუდანერი(თ)‖მუზმანერი(თ) (რამდენნაირი(ც) რამდენიმე მაგალითით დასტურდება მხოლოდ. შუალედურია მუზმა(თ)‖მუსხი(თ) მუდა(თ) (რამდენიც) მიმართებითი ნაცვალსახელების გამოყენების სიხშირე.

ურიცხვო მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის რიცხვში შეთანხმების საკითხი, ბუნებრივია, არ დგება. ასევე მოხსნილია ეს საკითხი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოუყენებელ წევრ-კავშირებსა და ასახსნელ სიტყვას შორის. ამ უკანასკნელი ტიპის ნაცვალსახელთაგან მით (ვინც) ხშირად გვხვდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, არა მრავლობითის ფორმით. ი.ყიფშიძის მიერ გამოცემულ მეგრულ ტექსტებში ერთი ასეთი კონსტრუქცია დასტურდება:

ენა სი ვარი, მინეფქ შიიტყუნი, თინეფს ვეშეუტყვებუდუკო ნეტევა (ყ.,75,I) (ეს შენ კი არა, ვინეებმა(ც) შეიტყო, იმათ არ შეეტყო ნეტავი).

ნ.აბესაძე ამგვარ შემთხვევას გამონაკლისად მიიჩნევს და აღნიშნავს: „მრავლობითი რიცხვის ფორმას ეს ნაცვალსახელი ჩვეულებრივ არ აწარმოებს". (ნ.აბესაძე, 1965, გვ.236). ამას თავისი მიზეზი აქვს. პირველ რიგში კი ის, რომ, როგორც ვნახეთ, „ვინ" ნაცვალსახელს თავად ძველ ქართულშიც უჭირს მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება, ხოლო ახალ ქართულში ურიცხვო სახელებს განეკუთვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული მინ (ვინ) ნაცვალსახელის მრავლობითობის გადმოსაცემად აღწერით გზას ირჩევს. მაგალითად:
მინ რე თე კათა? (ვინ არის ეს ხალხი?); მინ რენა(ნ) თენეფი? (ვინ არიან ესენი?).
ერთ შემთხვევაში კრებითი სახელი (კათა „ხალხი"), ხოლო მეორეგან მრავლობითი რიცხვის ფორმით მოცემული პირის ნაცვალსახელი თენეფი „ესენი" გამოხატავს შინაარსობრივად მინ (ვინ) კითხვითი ნაცვალსახელის მრავლობითობას. შდრ.: ქართულის მაგალითი: ვინ არიან შეცთომილნი (კიმ. II, 47,8) – (იხ. ფ.ერთელიშვილი, 1962, გვ.68).

ზოგჯერ მრავლობითობის უქონლობა მხოლობითი რიცხვის ფორმის გაორკეცებითაა ანაზღაურებული. მაგალითად: დო მი(ნ)
მი(ნ) დო მინ(ნ) რე? (ვინ და ვინ არის?); მი(ნ) რენა(ნ) მულირი? (ვინ და ვინ არიან მოსული?), მი(ქ) დო მიქ მორთუ წამალიშა? (ვინ და ვინ მოვიდა წამლისთვის?).

ამგვარი შემთხვევა ქართულშიც დასტურდება (აკ.შანიძე, 1973, გვ.103), ოღონდ მარტივ წინადადებაში, მაგალითად: იქით ვინ და ვინ იდგნენო: გორგიჯ. 55, 9-10; (ლ.კვანტალიანი, 1989, გვ.50). როგორც ზემოთ დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, მეგრულშიც მი(ნ) (ვინ) ნაცვალსახელის გაორკეცებული ფორმები მარტივ წინადადებაში გვხვდება. ზმნა ხან მხოლობით რიცხვში დგას, ხან – მრავლობითში, იმის მიხედვით, მთქმელი ფორმას უწევს ანგარიშს თუ შინაარსს.

მეგრულში ფორმის გაორკეცებით მუ (რა) ნაცვალსახელის მრავლობითობის შინაარსიც შეიძლება გადმოიცეს.
მუ დო მუ გოკო(ნ) ოჸიდეთ? (რა და რა გინდა საყიდლად?).

ძველსა და ახალ ქართულში მნიშვნელობის სიახლოვისგამო ვინ და რომელ ნაცვალსახელთა მონაცვლეობა ხშირად ხდება. იგი (მნიშვნელობა „ვინც") შეთავსებულია ძირითად მნიშვნელობასთან „რომელიც" და ამათი გათიშვა ხშირად არც ხერხდება. მაგ., ვინ არს უფროჲს: რომელი ინაჴით ზის ანუ რომელი ჰმსახურებს? ლკ.22,27; ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი არს მიცემად, არამედ ვიეთა (რომელთათჳს) განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა მთ.20,23) როდესაც მისამართი სიტყვა მრავლობითშია, ვინ-ს რომელი ენაცვლება (არ.მარტიროსოვი, 1964, გვ.109; ფ.ერთელიშვილი 1962, გვ.34;68). ქართულში დადასტურებულ ამგვარი შენაცვლების ხერხს მეგრულიც იყენებს. შდრ.: ლათაწკილა ორდესგ თი კათა, ნამუნეფქგთი შარასგ აუხვადესგნი (ქ.II, 268, 36-37). (დასთან იყვნენ ის ხალხი, რომლებიც („ვინ-ებ-იც") გზაზე შემოხვდათ).

რადგან მეგრულის სინტაქსურ კონსტრუქციაში მრავლობითი რიცხვის ფორმით მხოლოდ ნამუთ (რომელიც) მიმართებითი ნაცვალსახელი დასტურდება, მისა-

მართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვში შეთანხმებას ამ წევრ-კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების მაგალითზე განვიხილავთ.

ნამუთ (რომელიც) მეგრულში ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირია. „პროცენტულად მეტია შემთხვევები, როდესაც ნამუთ და მისი ვარიანტები განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება" (ნ.იმესაძე, 1965, გვ.231). მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როცა მისამართი სიტყვა არსებითი სახელია, ამიტომ მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვის მიხედვით ურთიერთობას ამ წევრ-კავშირით წარმოდგენილი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ანალიზის საფუძველზე ვარკვევთ.

ასახსნელი სიტყვის ადგილი დამოკიდებული წინადადების მიმართ ორგვარად შეიძლება დაფიქსირდეს:

1. მისამართი სიტყვა მთავარი წინადადების ბოლოს დგას და უშუალოდ ემეზობლება მიმართებით ნაცვალსახელს:
   ფერი ბორჯისჷ ქოძირესჷ ბირგულიში მაგინძა კირი, ნამუთი ყურდგილეფსჷ შურიმენდჷ (ქ.II, 268, 9-10) (ამ დროს დაინახეს მუხლის მუხლის სიგრძის კავი, რომელიც კურდღლებს მწყემსავდა).
2. მისამართი სიტყვა მთავარი წინადადების თავში დგას, ზოგჯერ შუაშიც და ასახსნელი სიტყვა წევრ-კავშირს ერთი ან რამდენიმე სიტყვით შორდება. შესაძლოა, მათ შორის მთელი წინადადებაც იყოს მოთავსებული. ე ჭუნჩაში უკახალე ეკოყუნს, ნამუქ საქმე გუმუნწყუ ოხვალონ (ხ, 202, 5-6) (ეს უფროსი უკან მიჰყვება, რომელმა(ც) დასახვრეტი საქმე გაუმზადა („გამოუწყო").
   ხენწჷფეს ჭიარა ულუნია ძალამი, ნამუქ ოკო ვეგუთუასიე ართი წანასჷ (ქ.II, 30, 35-36) (ხელმწიფეს ლხინი აქვსო დიდი, რომელიც ერთ წელიწადს არ უნდა გათავდესო).
   სუმი ჭირხინს გაათენს დო ქივევგონენს უჩა ნდი უჩა ზღვაში, ქიგედო ხოლუ უჩა რაშის დო მილუჩს მოხჩუპური, ნამუსჷთ თოდი გინაბუ ბუკიშ მაშხვა (ქ.II, 112, 25-27) (სამ ჭიხეინს გაათავებს და გაიგონებს შავი დევი შავი ზღვისა, მოაჯდება შავ რაშს და წამოვა სარჩუბრად, რომელსაც თოდი აქვს გადაკიდებული ბუკის სიმსხო).

მისამართი სიტყვის რამდენადმე თავისუფალი ადგილი წევრ-კავშირის მიმართ, რაც ძველი და ნაწილობრივ საშუალი ქართულისათვისაც იყო ნიშანდობლივი (შ.ძიძიგური, 1969, გვ.243; ან.კიზირია, 1969, გვ.82), ახალ სალიტერატურო ქართულში ასახსნელი სიტყვის მყარი პოზიციით შეიცვალა. მისამართი სიტყვის დასმა მიმართებითი ნაცვალსახელის წინ ახალი სალიტერატურო ენის ნორმად იქცა (ლ.კვანტალიანი, 1983, გვ.97).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგრულში მისამართი სიტყვის ადგილი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მკაცრად განსაზღვრული არ არის; ეს ბუნებრივიცაა, რადგან მეგრული არა-სამწერლობო ენაა, მაგრამ მეგრულშიც მისამართი სიტყვა მიისწრაფვის საკავშირებელი სიტყვის წინ მოექცეს, რაც სალიტერატურო ენის გავლენას უნდა მიეწეროს.

მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმებისთვის მნიშვნელობა აქვს მისამართი სიტყვის ფორმას; კერძოდ,

ა) მხოლობითი რიცხვის ფორმითაა თუ მრავლობითისა,

ბ) ცალობითია თუ კრებითი;

გ) ახლავს თუ არა მსაზღვრელად რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა,

დ) ერთია თუ რამდენიმე (როცა რამდენიმეა, თითოეული რომელ რიცხვში დგას).

I. მისამართი სიტყვა მრავლობითში დგას, მიმართებითი ნაცვალსახელიც

ა) მრავლობითშია:

გაკოშაყარუუ ნდემეფი, ნამუნეფითი თექჷ ოხორანდესჷნი (ტ.II, 30,27) (შეკრიბა დევები, რომლებიც იქ ესახლნენ);

ქააჩინებადუუ მუში მუულა ჟინ დემეფცჷ, ნამუნეფი ვაგაბედჷდესჷ თოკიში დუდიშიწკჷმაიანი ჩარეხასჷ (ტ.II, 34,II) (აცნობა თავისი მოსვლა ზევით დევებს, რომლებიც ვერ გაბედავდნენ თოკის თავთან მოშორებას).

ბ) მხოლობითშია:

[მუზარბიიქ] ოკო დააშქურინუუკო ნდემეფი, ნამუთი, გიანთხუდესჷ კათასჷ თე ხენწჷფეში ლუმალაშისჷ დო სოფუნდესჷ (ტ.II, 38, I) (მუზარბიის უნდა შეეშინებინა დევები, რომელიც დაესხმოდნენ ხოლმე ხალხს, ამ სახელმწიფოში მცხოვრებს, და გლეჯდნენ);

ოე კოჩქ ქოთხუუ აბრაგენს, დააშქურინუუკო ბაღანეფი, ნამუთი ყურძენს იხირდეს (ე.მენგელია) (ამ კაცმა სთხოვა ყაჩაღებს, შეეშინებინა ბავშვები, რომელიც ყურძენს იპარავდნენ).

დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი ანგარიშს უწევს მისამართი სიტყვის ფორმასა და შინაარსს, ამიტომაც მრავლობით რიცხვში დგას მაშინ, როცა წევრ-კავშირი მხოლობით რიცხვშია. შდრ.: სვანური: ათხე ანჴა̈ნ ეჯჲარ, ჲერე̈მჲ რაჭვს ჲერმეჲდახ (ჩ.ჯაფარიძე) (ახლა მოვიდნენ ისინი, ვინც კურდღელს იჭერდნენ) (სვანურის მაგალითი დამოწმებულია ნ.აბესაძის სტატიის მიხედვით, ნ.აბესაძე, 1960, გვ.116).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამგვარი მოვლენა დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისათვის (ამის შესახებ დაწვრ. იხ. ლ.კვანტალიანი, 1983).

II. კრებითი სახელი მისამართ სიტყვად

მეგრულის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მისამართ სიტყვად ვხვდებით შემდეგი კრებითი სახელები: კათა (ხალხი „გროვა“, შდრ. კათანს „აგროვებს“, კათუა „შეგროვება“), ბოში კათა (ახალგაზრდობა) და ქართულიდან ნასესხები „ჯარი“.

მიმართებითი ნაცვალსახელი ხან მხოლობითში დგას, ხან – მრავლობითში.

ბოში კათაქ, ნამუნელითი თი ჯიხაში ითხუუმა მეურჯიე, იკო გენწყასიე, ჯიხა მუსუთი უწოლენჯიე, თინა (ქ.II, 52, 3-4) (ახალგაზრდობამ, რომლებიც იმ ქალიშვილის სათხოვნელად მიდის, უნდა ახსნას რისაც ქალიშვილი ეჭყვის, ის);
მუნეფიში ოსურეფი ქიმიყონანი თი კათაქ, ნამუსგო ათენერი პატიოსანი ჩილი ყუნსგან (ხ, 16, 35-36) (თავიანთი ცოლები მოიყვანოს იმ ხალხმა, რომელსაც ასეთნაირი პატიოსანი ცოლი ჰყავს); შორიშე ვეძირებედუ ჯარი, ნამუთ იკმოქისუნდუ ქიანას (ნ.სხულუხია) (შორიდან არ ჩანდა ჯარი, რომელიც ქვეყანას ავამტვერებდა).

III. მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი

ამგვარ მსაზღვრელებად ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში გამოყენებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელი (ჟირი „ორი“, ხუთი „ხუთი“, ამშვი „ექვსი“ და ა.შ.) და განსაზღვრებითი ნაცვალსახელი – არძა „ყველა“, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ფორმა არ მოეპოვება მეგრულში (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.049). ასახსნელი სიტყვის როლში გვევლინება შემდეგი წყვილები: ამშვი კოჩქ (ექვსი კაცმა), სუმი ძღაბეფი (სამი გოგოები) საგანეფი... ოთხი, ხუთი (საგნები... ოთხი, ხუთი), ჟირ ბოშენქ (ორი ბიჭებმა), ოში კოჩენქ (ასი კაცებმა)- არძა დიდებულეფი (ყველა დიდებულები) და სხვა. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აზრობრივი შეთანხმებაა. ამ მხრივ უგამონაკლისოა ქართული „ყველას“ ფარდი მეგრული არძა, რომელთანაც საზღვრული ყოველთვის მრავლობითში დგას. ამგვარ მისამართ წყვილებთან მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება, დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი უმეტესად მრავლობითში დგას.

ქეშეხვადუ მუჭამბის ამშვი კოჩქ, ნამუთი მიდმაღალარი დო გვმარჩუალი რდესგანი (ქ.II, 108, 17-18) (შეხვდა მუჭამბის ექვსი კაცი, რომელიც წამგლეჯი და მძარცველი იყვნენ). თეური ქამაადი (რ) თუ ჟირ ბოშენქ, ნამუთე წყარიშ გინოჩურუას აპირენდეს (გრ.სხულუხია) (იქიდან მოადგა ორი ბიჭები, რომელიც ამ წყალსგადაცურვას აპირებდნენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ათე ოსურსქუალეფი ყოფუნა თი სუმი ძღაბეფი, ნამუთი თი ჟირ ჯიმალენქ იყონესინი (ხ. ჩ. I-2) (ეს ქალიშვილები ყოფილან ის სამი გოგოები, რომელიც ორმა ძმებმა წაიყვანეს). ამგვარ შემთხვევაში ძნელი სათქმელია, მისამართი სიტყვა განაპირობებს დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის მრავლობითი რიცხვის ფორმას, თუ თავად ამ წინადადების ქვემდებარე (ჟირ ჯიმალენქ „ორმა ძმებმა").

თაქი რდუ არძა დიდებულეფი, ნამუთი დიარაშა მიიშეს (ე.სხულუხია) (აქ იყო ყველა დიდებულები, რომელიც ქორწილში მიდიოდნენ).

ახირდ ხანს დო ქიმეჭანუ არძა დიდებულეფი, მუში სახანოს ნამჷთ ქორდჷნ (ტ.II, 95,23) (გაუწყრა ხანს და დაიბარა ყველა დიდებულები, თავის სახანოში რომელიც იყო).

IV. როცა მიმართებითი ნაცვალსახელი რამდენიმე მისამართ სიტყვას მიემართება, მაშინ მთავარი წინადადება, ჩვეულებრივ, შერწყმულია; ერთი მისამართი სიტყვათაგან ერთი მხოლობითშია, მეორე – მრავლობითში.

ქოჲის დოხვადუ ობანაში მინჯექ დო მუში ბოშენქ, ნამჷთ თეში მითოყუჯი რდესჷნი (74,25) (შემოუვიდნენ შიგნით აბანოს პატრონი და მისი ბიჭები, რომელიც ამის მოთვალყურე იყვნენ).

ერთგვარ წევრთაგან ერთ-ერთს, რომელიც უშუალოდ უსწრებს მიმართებით ნაცვალსახელს, ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი მსაზღვრელად.

თექ ცხოვრენდჷ კატან-დემი დო ეჩდოხუთი მუში სქუა, ნამჷთ ეჩდოხუთი სართულიან ქუდეს რენან (ტ.II, 206, 12-15) (იქ ცხოვრობს კატან-დევი და ოცდახუთი მისი შვილი, რომელიც ოცდახუთსართულიან სახლში არიან).

ამრიგად, მეგრულის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში რიცხვის მიხედვით ნამუთ (რომელიც) მიმართებითი ნაცვალსახელი იცვლება: ნამუნეფით (რომლებიც). დანარჩენები კი საერთოდ არ იცვლიან რიცხვის მიხედვით ფორმას, ან იშვიათად, მაგრამ ქვეწყობილ წინადადებაში მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ფორმით არიან წარმოდგენილი. მიმართებით ნაცვალსახელთა უცვლელობა რიცხვის მიხედვით მარტო მეგრულისთვის დამახასიათებელი მოვლენა არ არის, საერთო ქართველური მოვლენაა. ამას ადასტურებს სვანურისა და ქართულის მონაცემები.

მკაფიოდ არ ჩანს განსაზღვრული მისამართი სიტყვის ადგილი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, თუმცა კი აშკარაა ასახსნელი წევრისა და წევრ-კავშირის დაახლოების ტენდენცია. მეგრულში ნამუთ (რომელიც) მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყვას ითანხმებს როგორც ფორმობრივად, ასევე აზრობრივად. აზრობრივი შეთანხმება სჭარბობს ფორმობრივს, ხოლო შეთანხმებათა დარღვევა გაცილებით მეტია. მაგრამ შეთანხმებათა დარღვევისას იკვეთება ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია უმწერლობო ენებისთვის. მეგრულში, ისევე როგორც სვანურსა და ქართული ენის დიალექტებში, ძალზე ბუნებრივია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუთანხმებლობის ისეთი შემთხვევა, როცა მრავლობითში დასმული მისამარ-თი წევრი, თუ გამოკიდებულს ქვემდებარე [illegible] შეიძლება, მრავლობითშივე ითანხმებს დაქვემდებარებული წინადადების შემასმენელს. საყურადღებოა, რომ მეგრულში ამგვარი შემთხვევის დროს გამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები უმეტესად ერთპირიანი ზმნებია, რომლებიც ჩვეულებრივ მარ-ტივ წინადადებაში ქვემდებარესთან შეუთანხმებლობით გამოირჩევიან (ო.ჭრი-ღია). მსგავსი მოვლენა ქართულ სალიტერატურო ენაშიც შეინიშნება, მაგრამ „მხოლოდ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს" (ფ.ერთელიშვილი) მაშინ, როცა უმწერლობო ენებისთვის ბუნებრივია.

მეგრული, როგორც უმწერლობო ენა, მისამართ სიტყვისა და მიმარ-თებითი ნაცვალსახელის „შეთანხმების" თავისებურ მოდელს ქმნის, სალიტე-რატუროსაგან განსხვავებულს და ენის სავალდებულო ნორმებისგან თავისუფალს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ნ.აბესაძე, 1960 – ნ.აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, თსუ შრომები, ტ.93, 1960.

ნ.აბესაძე, 1965 – ნ.აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში, თსუ შრომები, ტ.114, 1965.

თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965 – თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ქ.დონდუა, 1940 – ქ.დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენიმკის მოამბე, V–VI, 1940.

ფ.ერთელიშვილი, 1957 – ფ.ერთელიშვილი, მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვეწყობა ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ.65, 1957.

ფ.ერთელიშვილი, 1962 – ფ.ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისა-თვის ქართულში, I, თბ., 1962.

ვ.თოფურია, 1988 – ვ.თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1988.

ან.კიზირია, 1969 – ან.კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969.

ლ.კვანტალიანი, 1983 – ლ.კვანტალიანი, მისამართი სიტყვისა და მიმართე-ბითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში, თბ., 1983.

არ.მარტიროსოვი, 1964 – არ.მარტიროსოვი, ნაცვალსახელები ქართველურ ენებში, თბ., 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ.სარჯველაძე, 1970 - ზ.სარჯველაძე, თი, თე, *თა ნაწილაკები ზანურში, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, მაცნე, 1970, №6.

ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990 - ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

აკ.შანიძე, 1955 - აკ.შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ.II, სინტაქსი, თბ., 1955.

აკ.შანიძე, 1973 - აკ.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

არნ.ჩიქობავა, 1952 - არნ.ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

არნ.ჩიქობავა, 1968 - არნ.ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.

შ.ძიძიგური, 1969 - შ.ძიძიგური, კავშირები ქარულ ენაში, თბ., 1969.

ი.ყიფშიძე, 1914 - И.Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПБ, 1914.

ნ.მარი, 1925 - Н.Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

შემოკლებანი

ხ - მ.ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

ყ - ი.ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка, с хрес томатиею и словарем. СПб., 1914.

ტ.II - ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ.II, თბ., 1991.

(დაუმოწმებელი მაგალითები ჩვენ მიერ არის ჩაწერილი ან ნ.აბესაძის დასახელებული სტატიებიდანაა აღებული და ასეთ შემთხვევაში მთქმელის გვარს ვუთითებთ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა გეგუჩაძე

ე.წ. ფრაზეოლოგიური შემასმენლის შესახებ ქართულში

ქართულ ენაში ტრადიციულად გამოყოფენ შემასმენლის ორ სახეობას: მარტივს (ანუ ზმნურს) და შედგენილს (სახელადი ნაწილითა და მეშველი ზმნით გადმოცემულს). ლ.კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში", რომელიც დღემდე რჩება ფაქტობრივად ერთადერთ სახელმძღვანელოდ გრამატიკის ამ დარგში, ცალკე პარაგრაფი ეთმობა ე.წ. პერიფრასტულ შემასმენელს (გიორგი დანიშნულ იქნა დირექტორად). საგანგებოდაა აღნიშნული, რომ პერიფრასტული შემასმენელი უნდა განვასხვაოთ შედგენილი შემასმენლისაგან [ლ.კვაჭაძე, 1966, გვ.59-60]. მსჯელობა ეფუძნება ა.შანიძის თვალსაზრისს აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითისა და შედგენილი შემასმენლის არაიდენტურობის შესახებ [ა.შანიძე, 1973, გვ.295-296]. იქვეა შენიშვნა: „შემასმენელი ზოგჯერ გადმოცემულია მყარ სიტყვათა შეკავშირებით, რომელიც მნიშვნელობით სინონიმურია ზმნის პირიანი ფორმისა: დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო (ჭავ). „თქვენი ჭირი წაიღო" მნიშვნელობით იგივეა, რაც მოკვდა [ლ.კვაჭაძე, 1966, გვ.60].

ზემოაღნიშნულისგათვალისწინებით გამოდის, რომ ქართულში გვქონია შემასმენლის არა ორი სახეობა („შემასმენელი ორგვარია: მარტივი და შედგენილი": ლ.კვაჭაძე, 1966, გვ.51), არამედ – ოთხი: მარტივი, შედგენილი, პერიფრასტული და მყარ სიტყვათა შეკავშირებით გადმოცემული. ამ უკანასკნელს ფრაზეოლოგიურ შემასმენლად მოვიხსენიებთ.

ამჯერად ჩვენ ყურადღებას შემასმენლის სახეობათა რაოდენობაზე არ ვამახვილებთ: კაცმა რომ თქვას, კარგა ხანია დგას შემასმენლის კიდევ ერთი სახეობის გამოყოფის საკითხი, იმ ორზმნიანი კონსტრუქციისა, რომლის მეორე კომპონენტი ინფინიტივის ტოლფასია და რომელსაც თავის დროზე „ინფინიტიური კონსტრუქცია" ვუწოდეთ (<u>გადაწყვიტა გაეკეთებინა</u> ტიპისა)[ლ.გეგუჩაძე, 1962]. სპეციალურ ლიტერატურაში იგი ე.წ. „ბივერბალურის" სახელითაცაა ცნობილი [ნ.კოტინოვი, 1984]. ეს ცალკე მსჯელობის თემაა. ახლა გვინდა ყურადღება ფრაზეოლოგიურ შემასმენელზე შევაჩეროთ.

თუ იმ თვალსაზრისს გავიზიარებთ, რომ ზემოაღნიშნულ წინადადებაში (დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო) იდიომი „თქვენი ჭირი წაიღო" ერთი წევრია – შემასმენელია, უნდა დადგეს მისი სინტაქსური ძალის საკითხი.

შემასმენელი, როგორც არნ.ჩიქობავა აღნიშნავდა, „მეკოორდინატე ზმნაა. კოორდინაციის ძაფები მასში იყრის თავს. ამდენადვე იგია კოორდინაციის ცენტრი, ძირითადი კოორდინატი... დანარჩენ სიტყვათა ხვედრი სინტაქსური წონა ზმნასთან ურთიერთობისა და კოორდინაციაში მონაწილეობა-როლის თვალსაზრისით უნდა გაირკვეს" [ა.ჩიქობავა, 1968, გვ.219].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ სინტაქსისათვის არსებითია სიტყვათა შორის არსებული კავშირის ანალიზი, რადგანაც ენაში სინტაქსური ბუნებისაა მხოლოდ და მხოლოდ წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესები [ფ.ერთელიშვილი, 1962, გვ.215].

სინტაქსური ანალიზისათვის სინტაგმათა გამოყოფაა საჭირო. რამდენი სინტაგმა უნდა გამოვყოთ საანალიზო წინადადებაში? ლოგიკის მიხედვით, ორი: დიდმა ბატონმა და ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო, რადგანაც, თუ იდიომს, სამი სიტყვისაგან შედგენილს, ერთ წევრად ჩავთვლით, წინადადებაში მხოლოდ სამი წევრი აღმოჩნდება, რომელმაც, ცნობილი წესის მიხედვით (წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც წევრია ერთის გამოკლებით), ორი სინტაგმა უნდა მოგვცეს, რაც აბსოლუტურად არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას, არადერს იძლევა სიტყვათა სინტაქსური ძალის (ან, როგორც ა.ჩიქობავა იტყოდა, მათი „ხვედრი სინტაქსური წონის") გასარკვევად. სინტაქსური ანალიზის ჩასატარებლად წინადადებაში უნდა გამოვყოთ იმდენი სინტაგმა, რამდენიც სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, ერთის გამოკლებით. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, სინტაგმები ასე უნდა გამოიყოს: ბატონმა წაიღო (წაიღო - ძირითადი კოორდინატი, ბატონმა - დიდი კოორდინატი), წაიღო ჭირი (წაიღო - ძირითადი, ჭირი - მცირე კოორდინატი), თქვენი ჭირი და დიდმა ბატონმა (სადაც „თქვენი" და „დიდმა" ატრიბუტული მსაზღვრელებია მცირე და დიდი კოორდინატი სახელებისა).

მაშ, რას გვაძლევს <u>ქართული სინტაქსის</u> თვალსაზრისით ფრაზეოლოგიური შემასმენლის გამოყოფა, თუკი შემასმენლად მიჩნეულ იდიომში შემავალი სიტყვები ისეთსავე ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან, როგორსაც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში დაამყარებდნენ, თუნდაც, მაგალითად, წინადადებას რომ ასეთი სახე ჰქონოდა: დიდმა ბატონმა თქვენი ქონება წაიღო?! გამოვყოფდით სინტაგმებს: ბატონმა წაიღო (წაიღო - ძირითადი, ბატონმა - დიდი კოორდინატი), წაიღო ქონება (წაიღო - ძირითადი, ქონება - მცირე კოორდინატი), დიდმა ბატონმა და თქვენი ქონება („დიდმა" და „თქვენი" შეთანხმებული მსაზღვრელები დიდი და მცირე კოორდინატი სახელებისა).

როგორც ვხედავთ, სინტაქსური ძალის თვალსაზრისით, „წაიღო" ზმნას, ფრაზეოლოგიური შემასმენლის შემადგენლობაში მყოფსა თუ მარტივი შემასმენლის ფუნქციით ნახმარს, - არავითარი სხვაობა არ მოუცია: ორსავე შემთხვევაში იგი „მეკოორდინატე ზმნაა", მასთან სინტაგმაში შემავალ სახელებთან საურთიერთო მართვით დაკავშირებული.

მყარ სიტყვათა შენაერთით ამა თუ იმ წევრის გადმოცემა არაა უცხო სხვა - მაგალითად , რუსული - ენისათვის. რუსულში გამოყოფენ შემასმენლის რვა სახეობასაც კი [ნ.ვალგინა, 1973, გვ.90-100]: 1. მარტივი ზმნური შემასმენელი (я <u>пишу</u> эти строки); 2. გართულებული ზმნური შემასმენელი

(Брать берёте, а на место не кладёте; Взяла да и... перестала говорить);3.შედგენილი ზმნური შემასმენელი(Хотел объехать);4.რთული(სამწევრა) ზმნური შემასმენელი(Он надеялся бросить курить);5. სახელური შემასმენელი, რომელიც ორ სახეობას ითვალისწინებს – შედგენილსა და რთულს; 6. სამწევრა სახელური შემასმენელი (Ты должен быть драматургом); 7. შერეული სამწევრა შემასმენელი (Я не стараюсь делаться лучше); 8. ზმნიზედითა და შორისდებულით გადმოცემული შემასმენელი (Дверь... стоит настежь; Ребята мигом на ноги – и айда!).

ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ფრაზეოლოგიური შემასმენელი მიჩნეულია გართულებული ზმნური შემასმენლის სახეობად:"К простым осложненным глагольным сказуемым относятся такие фразеологизированные глагольные сочетания в функции сказуемых, которым присуще единное значение: ... положить зубы на полку - голодать... Такие сочетания синтаксически нечленимы, т.е. выступают в роли одного члена предложения" [ნ.ვალგინა, 1973, გვ.92].

ვფიქრობთ, ნათელია, რომ ქართული ფრაზეოლოგიური შემასმენელიც საკითხისადმი ამგვარივე მიდგომის საფუძველზეა გამოყოფილი: მყარ სიტყვათა შენაერთით გადმოცემული შემასმენელი (თქვენი ჭირი წაიღო) მნიშვნელობით იგივეა, რაც მოკვდა [დ.კვაჭაძე, 1966, გვ.60]. მაგრამ აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას არ ექცევა ყურადღება: რუსს შეუძლია თქვას: он положил зубы на полку; он положет зубы на полку... ამით სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის არ ირღვევა: მართვა ცალმხრივი და სუბიექტის ფარდი სახელი – ბრუნვაუცვლელი. ქართულში იდიომის ეკვივალენტ პირიან ფორმას პირდაპირ ვერ ჩავსვამთ: მოკვდა ზმნის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში უნდა იდგეს, მაშინ როდესაც იდიომის შემადგენლობაში მყოფ „წაიღო"-ს მოთხრობით ბრუნვაში მდგარი კოორდინატი სახელი სჭირდება (ასევე შეიცვლის, ცხადია, კოორდინატი სახელი ბრუნვას, თუ იდიომის შემადგენელ ზმნას მწკრივს შევუცვლით: ბატონი თქვენს ჭირს წაიღებს; ბატონს თქვენი ჭირი წაუღია...).

ჩვენ ზემოთ ერთმანეთს შევუდარეთ ორი წინადადება: დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო და დიდმა ბატონმა თქვენი ქონება წაიღო. სხვაობა ამ ორ წინადადებას შორის, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ არა სინტაქსური, არამედ – სემანტიკური ხასიათისა. „თქვენი ჭირი წაიღო" ალბათ უფრო შემასმენლის ეკვივალენტია, ვიდრე – შემასმენელი. ფრაზეოლოგიზმის ერთ წევრად განხილვა ქართული ენის სინტაქსური ბუნების გაუთვალისწინებლობად გვესახება. მისი ადგილი, ვფიქრობთ, სემასიოლოგიაშია და არა სინტაქსში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

ლ.გეგუჩაძე, 1962 – ლ.გეგუჩაძე, „ინფინიტიური" კონსტრუქციის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, თსუ სტუდენტთა XXIV სამეცნიერო კონფერენცია, 1962 (თეზისები).

ფ.ერთელიშვილი, 1962 – ფ.ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1962.

ლ.კვაჭაძე, 1966 – ლ.კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966.

ნ.კოტინოვი, 1984 – ნ.კოტინოვი, ბივერბალური სინტაქსური კონსტრუქციის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში, კრებ. „ქართული ენა", თბილისი, 1974.

ა.შანიძე, 1973 – ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

ა.ჩიქობავა, 1969 – ა.ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968.

ნ.ვალგინა, 1973 – Н.С.Валгина, Синтаксис современного русского языка, Москва, 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკა ქირია

ქართ. ჭან-: ზან. ჭირკ || ჭვრკ ფუძეთა მიმართებისათვის

უნიშნო ვნებითები (RESP გარდაუვალი უგვარო დინამიკური ზმნები) უძველესი ზმნებია ქართველურ ენებში (ა. შანიძე, არნ.ჩიქობავა, ვ.თოფურია, ქ.ლომთათიძე, თ.გამყრელიძე...). „უნიშნო ვნებითი, - წერს ა.შანიძე, - უპროდუქციოა. მისი ხმარება განისაზღვრება რამდენიმე ფუძით, რომლებიც უხსოვარი დროიდან დღევანდლამდეა შემონახული" (ა.შანიძე, 198C, გვ.29C). უმეტეს შემთხვევაში ამ ტიპის ფუძეები ქართულისა და ზანურისათვის საერთოა (მ.სუხიშვილი, 1988, გვ.52).

ერთ-ერთი ასეთი ზმნაა ძვ.ქართული „ჭნების". ნიმუშები ძველი ქართული ტექსტებიდან:

მწუხრი დაჭნენ (ფს. 89,6)
სიკეთე მცირითა სალმობითა დაჭნეს და განირყუნეს
(ფლ კჯ., I4C,3)
დიდებაჲ სოფლისაჲ... ვითარცა მდელოჲ დაჭნების
(მამათა სწ., IC,I7)
ყუავილი ჩემი დააჭნო... (შუშ., I42,5)

ბუნებრივია, ეგევე ჭნ- ვარიანტი ფიგურირებს უპირო ფორმებშიც; მაგ.:

იქმნნეს, ვითარცა თივაჲ კმელი ზედა ბეღელსა და ვითარცა ბანჯარი შემჭნარი
(C, ეს, 37,27)
ბჳრგჳნი დავიდგვათ ვარდისა რტოთაჲ ვიდრე დაჭნობადმდე
(სიბრძნ. სოლ., 2,8)
ყუავილი არს მწუხრი დაჭნობადი
(მ. სწ., 258,34)
დაუჭნობელ არს სიბრძნე
(C, სიბრძნ.სოლ., 6,I3).

„გლოტალიზებულ აფრიკატსა და სონორს (უფრო იშვიათად მჟღერ ხშულს შორის) /კ/ და /ყ/-ს განვითარება ქართულისათვის ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს" (ი.მელიქიშვილი, 198C, გვ.52). ამ კანონზომიერების მიხედვით ჩნდება /ჭ/-სა და /ნ/-ს შორის /კ/ ბგერა: ჭნობა -> ჭკნობა (შდრ.: წნელი -> წკნელი...).

„ჭნების" ზმნის სემანტიკური ეკვივალენტია ზანური „ჭირკუ" ფორმა. „ჭირკუ", ამასთანავე, სახელური ფუძეცაა, ნიშნავს წვრილს, პატარას.

ზანური „ჭირკუ" („წვრილი", „პატარა") სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია ადიღეური ენებიდან შეთვისებულად; „მეგრული ჭირკუ, - წერს

ავტორი, -- ზედსართავი სახელია და ნიშნავს „წვრილს". იხმარება უმთავრესად „ვაშლისა" და „მსხლის" მიმართ: ჭ ი რ კ უ უ შ ქ უ რ ი „წვრილი ვაშლი", ჭ ი რ კ უ ს ხ უ ლ ი „წვრილი მსხალი"... „წვრილის" მნიშვნელობით მეგრულში უფრო გავრცელებულია ჭ ი დ ე, რომელსაც ჭანური მ ჭ ი დ ე-სა და ქართული წ ვ რ დ ე ლ-ის სახით კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა მოეპოვება (მითითებულია არნ.ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938 - ჭ.ქ.). მეგრული ჭირკუ ‖ ჭიკუ „წვრილი" სიტყვის შესატყვისი ფუძე ქართულსა და სვანურში არ ჩანს. ეს სიტყვა არც ჭანურ დიალექტებში გვხვდება. მეგრული ჭ ი რ კ უ-ს ეტიმოლოგიზაცია ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება. ჩვენი ყურადღება მიიქცია ადიღეურმა სიტყვამ ჭ ძ გ ჷ გ კ ი ძ „მიწავაშლა", რომლის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ყაბარდოულში არის ს̓ ძ ჷ გ კ ი ძ. ამ სიტყვაში წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობა ადიღ. ჭძ: ყაბ. ს̓ სხვაგანაც დასტურდება... ადიღეურ ჭძგჷჯკი ძ „მიწავაშლა" სიტყვას ასეთი ეტიმოლოგია აქვს: ჭძგჷგკძ ძ ზედმიწ: „მიწაში (მიწით) მავალი"... მეგრული ჭ ი რ კ უ „წვრილი" ჩვენ ადიღური ენებიდან შეთვისებულად მიგვაჩნია ან უშუალოდ, ან აფხაზურის მეშვეობით (შდრ. აფხ. აჭგჷკიი „მიწავაშლა", რომელიც ადიღური ენებიდან მოდის). სემანტიკური გადასვლა „მიწავაშლა" → „წვრილი ვაშლი" → „წვრილი", ვფიქრობთ, ადვილი შესაძლებელია. ჭიკუ ვარიანტი ჭ ი რ კ უ-სთან შედარებით მეორეული ჩანს: ჭიკუ <-- *ჭირკუ. მართალია, მეგრულისათვის დამახასიათებელია სონორის გაჩენა, მაგრამ არც დაკარგვაა უცხო (შდრ. ქართ. ჯირკი და მეგრ. ჯიკი, ქართ. ხორბალი და მეგრ. ქობალი...) (ვ.შენგელია, 1978, გვ.I55-I56).

ფენრიხ-სარჯველაძე ჭიკ- ვარიანტს მიიჩნევენ ამოსავლად (და არა ჭირკ- ფუძეს), ქართულში მის შესატყვისად ვარაუდობენ წიკ- ფუძეს, საერთო ქართველურის დონეზე რეკონსტრუირებულია *წ, იკ-:

„ქართ. წიკ- წიკ-ა-მაკ-ა (ქიზიყ.) „წვრილ-წვრილი ნივთები"; წიკ-ო - მაკ-ო (ქართლ.) „წვრილმანი, ქსოვილის წვრილი ნაჭრები";
წიკ-უ-ა (თუშ.) „სულ მცირე; ნამცეცა".
მეგრ. ჭიკ- ჭიკ-უ „პატარა".

ქართულ დიალექტებში გვხვდება წიკ- ძირი პატარის, სულ მცირის მნიშვნელობით. ქართ. წიკ- (<*წ,იკ-) ძირს შეესატყვისება მეგრ. ჭიკ-. მასალა შეაპირისპირა ჰ.ფენრიხმა" (ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე,1990, გვ. 465).

წარმოდგენილი მოსაზრებების მიხედვით, აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ სახელურ ჭირკუ ‖ ჭიკუ ვარიანტებზე, მხედველობაში არ მიიღება

ზმნური ფუძე – ჭირქჷ რომელიც, უკვე აღინიშნა, ქართ. ჭნ-ებ-ი-ს ზმნის სემანტიკური ეკვივალენტია.

ჩვენი დაკვირვებით, ჭირქჷ „ჭკნება" და ჭირქუ/ჭიქუ „პატარა, წვრილი" ეტიმოლოგიურად იდენტური მონაცემებია; ამ ფორმებს შორის წმინდა ტრანსფორმაციული ხასიათის მიმართება არ უნდა იწვევდეს ეჭვს. ამოსავალია და პირველადი ზმნური ვარიანტი, სწორედ ზმნური ფუძის გასუბსტანტიურების შედეგად მოხდა მცირეოდენი სემანტიკური გადაწევა.

ზმნური ფუძის გასუბსტანტიურების ანალოგიური მექანიზმი მოქმედებს ამ შემთხვევებშიც: ტიბჷ „თბება" → ტიბუ „თბილი", სქირჷ „შრება" → სქირუ „მშრალი", ღურჷ „კვდება" → ღურუ „სიკვდილი"... ამავე ტიპისაა: ჩუან=ს „ინახავს" → ჩუან=ი „ქვაბი" (ზედმიწ.: „შესანახი ჭურჭელი"; შდრ.: პირჩვანი: „მარხვა" – ზედმიწ. „პირის შენახვა"). ამგვარი წარმოება გვაქვს ქართულშიც (მაგ.: მრწამს → მრწამს=ი, არს → არს=ი...).

ასე რომ, ჭირქჷ „ჭკნება" და ჭირქუ/ჭიქუ „პატარა, წვრილი" ერთი და იგივე ფუძე ჩანს, უკანასკნელი ფორმა ნაზმნარი სახელის ფორმაა. მისაღებია ჭიქუ ვარიანტის მეორეულად მიჩნევა ჭირქუ-სთან შედარებით; სემანტიკური გადაწევა არ არის ძნელად ასახსნელი.

საგულისხმოა გავრცელება ზოგიერთ ქართულ დიალექტში დადასტურებული ფორმები; განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ჭ ნ ა ვ=ი (ქსნის ხეობ., მესხ., რაჭ., ლეჩხ., იმერ., გურ.)

მცენარე, რომელიც წვრილ-წვრილ ნაყოფს ისხამს (ვ.სომხიშვილი); პირველი. ნ.მწორო, წორო (ა.მაყ.) (ალ.ღლონტი, 1974, გვ.727).

ჭ ნ ა ვ ა=ლ (მესხ.) დამჭკნარ-დასუსტებულ ბავშვზე იტყვიან (ი.მაისურაძე (ალ.ღლონტი, 1974, გვ.727).

ჭ კ ნ ა ვ=ი – პირველი, ჭნავი. შემოდგომაზე ისხამს წითელ-წითელ მრგვალ ნაყოფს, რომელიც სამკურნალოდ გამოიყენება. „ამბობენ ჭკნავის კაკლებით შვიდნაირ ავადმყოფს მოარჩენენო". ჭ კ ნ ა ვ-ნ ა რ ი ადგილის სახელია ზემოაჭარაში (შდრ. მ ესხ., გურ., იმერ. ჭნავი) (შ.ნიჟარაძე, 1971, გვ.426).

წარმოდგენილი სახელური ფუძეების კავშირი ზმნურ ჭნება ‖ ჭკნება ფუძეებთან ბუნებრივი ჩანს. სემანტიკური გადაწევის პრინციპი და მექანიზმიც იგივეა, რაც მეგრულში.

დაისმის: რა მიმართება შეიძლება იყოს ქართ. ჭნ=ებ=ი=ს და მეგრ. ჭირქ=ჷ ფუძეებს შორის მატერიალური თვალსაზრისით (სემანტიკური ეკვივალენტობის თაობაზე უკვე ითქვა)?

ჩვენი აზრით, ზან. ჭირქ= ძირისათვის ამოსავალი უნდა იყოს გახმოვანების ნულსაფეხურიანი საერთო-ქართველური არქეტიპი – *ჭნ=. ამ ფორ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის შესატყვისად მეგრულში (resp ზანურში) მოსალოდნელი იყო *ჭკნ სამწევრიანი კომპლექსი, რომელიც არაკანონიკურია მეგრულისათვის ფონოტაქტიკის თვალსაზრისით, ხდება მისი სუპერაცია: *ჭკნ= -> *ჭნკ -> *ჭრკ -> ჭგრკ= || ჭირკ= ან *ჭკნ= -> *ჭკრ= -> *ჭრკ= -> ჭგრკ= || ჭირკ=. ამრიგად, გვექნება შესატყვისობა: ქართ. ჭ: ზან. ჭკ.

რაც შეეხება სონორებს: ქართ. ნ- : ზან. რ- ფარდობა რეგულარულად ვერ ჩაითვლება ქართულ-ზანური ფონემათშესატყვისობის თვალსაზრისით, მაგრამ ამგვარი მონაცვლეობის (საერთოდ, ნ -> რ ან რ -> ნ მონაცვლეობის) ნიმუშები საკმაოდ მოიპოვება ქართველურ ენებში. დენტალური ბგერის წინა პოზიციაში რ -> ნ ასიმილაციით იხსნება (ი.ყიფშიძე, 1914, გვ.22; ს.ჟღენტი, 1953, გვ.123-124) (მაგ. ბურდღა -> ბუნდღა, გირძე -> გინძე „გრძელი", რწინა -> ნწინა „გაქცევა", ონწე „აკვანი" შდრ. ქართ. რწევა, ღერწო -> ღენწო „ლოკოკინა"...), მაგრამ ყოველთვის არ არის ნათელი აღნიშნული მონაცვლეობის კომბინატორული ს აფუძველი (მაგ.: ანკესი || არკევი... მესხ. სანამდე -> სარამდი || სარამდინ || სირამდინ, მანამდე -> მარამდი || მარამდინ || მირამდინ... ეგევე საკითხი დაისმის ქართ. ხარ= - ხნ=ავ=ს ფორმათა ანალიზის დროს; შდრ. სვან. კჩნ „ხარი"). საინტერესოა ამ თვალსაზრისით ლაზ. „ვანა" და „ვარა" (თორემ) ფორმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ი.მელიქიშვილი, 1980 - ი.მელიქიშვილი, საერთო-ქართველური სიბილანტთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, თანამედროვე და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბ., 1980.

შ.ნიჟარაძე, 1971 - შ.ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ., 1971, გვ.426.

ს.ჟღენტი, 1953 - ს.ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

მ.სუხიშვილი, 1988 - მ.სუხიშვილი, ქართველური ლექსიკიდან, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1988.

ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990 - ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ალ.ღლონტი, 1974 - ალ.ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.

ა.შანიძე, 1980 - ა.შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

ნ.შენგელია, 1978 - ნ.შენგელია, მეგრული ჭ ი რ კ უ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.

ი.ყიფშიძე, 1914 - И.Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка. С.-Петербург, 1914.

ნინო დობორჯგინიძე

გრამატიკული ხასიათის განმარტებები „ფსალმუნთა თარგმანებიდან“

ძველი ქართული ეგზეგეტიკური ლიტერატურა ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ქრისტიანული ეგზეგეტიკის უმთავრესი მიზანი იდეური, ტადატანითი მნიშვნელობის მქონე ბიბლიური სახეების ახსნა-განმარტება იყო. სწორედ ამ ფუნქციით გამოიყენა მან ალექსანდრიელ ფილოლოგთა უზარმაზარი ტექსტოლოგიური გამოცდილება ანტიკური ხანის ბერძნული ტექსტების მეცნიერული გამოცემების მიმზადებისა და მათი ახსნა-განმარტების საქმეში. ამავე ფუნქციით შექმნეს ამ სკოლის ფილოლოგებმა I ბერძნული ნორმატული გრამატიკა დიონისე თრაკიელისა, რომელიც არის პრაქტიკული სახელმძღვანელო ძველი ტექსტების განმმარტებელ-გამომცემელთათვის. ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ ამ გრამატიკის ექსცივე შემადგენელი ნაწილი თავის თეოლოგიურ მიზნებს დაუკავშირა და ამგვარად გამოიყენა ბიბლიური ტექსტების სახისმეტყველებითი განმარტებისათვის. ქართულენოვან ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში სწორედ ამ პრაქტიკული თვალსაზრისით დაისმის გრამატიკის საკითხები. ძველ ქართულ სამყაროში ნამდვილად უნდა არსებულიყო რაღაც გრამატიკული სახელმძღვანელო, „ყოველ შემთხვევაში, გრამატიკულ კატეგორიების ზოგადი განსაზღვრებები, მეტყველების ნაწილთა სისტემა, გრამატიკული ტერმინოლოგია, მოძღვრება უღლებისა და ბრუნების შესახებ. ერთი სიტყვით, არსებობდა გრამატიკის ჩონჩხი“ (А.Цагарели, "О грамма тической литературе древнегрузинского языка". СПБ, 1873, ст.15). ანტონ პირველი და ძველი გრამატიკების სხვა ავტორებიც ხშირად მოიხსენიებენ „პირველთა ჩუენთა ღრამმატიკოსთა“, როგორც ზოგიერთი გრამატიკული ტერმინის შემქმნელებს: „ამისათჳს შეეღლევება უწოდებიესთ პირველთა ჩუენთა ღრამმატიკოსთა“... „ამისათჳს ზედ-წოდებულ არს პირველთაგან ღრამმატიკოსთა ნაცვალ-სახელი“ (იხ.: ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონის მიერ, ტფილისი, 1885 წ. § 258). ფსალუმენთა ეგზეგეტიკური კრებულების მიხედვით შესაძლებელია გრამატიკის ამ „ჩონჩხის“ აღდგენა. ესაა თეორიული ხასიათის მსჯელობები ბიზანტიური გრამატიკის ზედმიწევნითი ცოდნის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზე ქართველი განმმარტებლები ხსნიან ქართული ენისათვის დამახასიათებელ „თჳს“ (οἰκεῖον) მოვლენებს. ეგზეგეტიკურ კრებულებში სხვადასხვა ადგილას გაბნეული ეს განმარტებები არის სწორედ ძველი ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ყოველ შემთხვევაში, მისი ჩონჩხი, ცხადია, იმ გაგებით, როგორც ეს ბიზანტიური ეპოქის გრამატიკულ მოძღვრებას ესმოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფსალმუნთა ეგზეგეტიკური კრებულები (ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანება, XI ს. Q 37. 2. უცნობი ავტორის „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, XII ს. გელათის ხელნაწ. №29), რომელთა მასალასაც ვეყრდნობით, სახისმეტყველებითი კომენტარების კრებულებია. ამ განმარტებათა „ფორმულა“ შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ესაა ორნაწილიანი კომენტარი, რომლის პირველი, „თხრობისაებრი“ ნაწილი არის ინფორმაციული, ტექსტოლოგიური, ეტიმოლოგიური თუ გრამატიკული ხასიათის მსჯელობა ფსალმუნის ტექსტის კონკრეტული ადგილის, ცალკეული სიტყვების შესახებ. მეორე ნაწილი კი არის „სახისმეტყველებითი“ განმარტება. „თხრობისაებრი“ ნაწილი ხსნის იმას, „თუ რაჲ არს“, ხოლო „სახისმეტყუელებითი“ – „თუ რასა გულისჴმა-გჳყოფს“. ამ წყვილს – „თხრობისაებრ“, „სახისმეტყუელებით“ მთელი ტექსტის მანძილზე ვხვდებით. მაგ.: მისეს გალობათა განმარტება; „სამმდგომი მჴედარი“: სამთა ცხენთა ზედა აღმჴედრებულთა მჴედართა იტყჳან სამმდგომად და სამთა მიმართ ბრძოლის-ყოფად შემძლებელთა და განწყობილსა შინა მბრძოლთასა მესამისა ადგილისა დამპყრობელთა, რაჲთა, უკუეთუ შეემთხჳის პირველთა მათ დაკუეთებაჲ, ადგილსა მათსა შემოვიდეს სხუაჲ მესამე. ესე თხრობისაებრ, ხოლო სახისმეტყუელებისაებრ სამმდგომად ითქუმიან საყოველთაოდ უკუე სატანას მსახურნი და მჴედარნი მისნი ეშმაკნი... ხოლო თჳსაგან სამნაწილობა სულისა, სიტყჳერებითსა ვიტყჳ, და გულისთქუმითსა და გულისწყრომითსა.“ საერთოდ, კრებულებში შეტანილი ნებისმიერი განმარტება ერთადერთ მიზანს ემსახურება: ესაა ფსალმუნთა სახისმეტყველებითი ახსნა.

კომენტართა „თხრობისაებრი“ ნაწილი, როგორც ვთქვით, ჭრელია. აქ შემოდის ახსნა-განმარტებითი, ინფორმაციული, ფსალმუნთა დაყოფასთან დაკავშირებული კომენტარები, ებრაულ, ბერძნულ და ქართულ ფსალმუნთა ტექსტობრივი სხვაობების ახსნა, ეტიმოლოგიური და გრამატიკული ხასიათის განმარტებები. შევჩერდებით გრამატიკული ხასიათის ზოგიერთ კომენტარზე. ამ ტიპის განმარტებებს წმინდა ენობრივი ინტერესები სულაც არ უდევს საფუძვლად. მათი მიზანი, ისევე, როგორც სხვა ტიპის „თხრობისაებრი“ განმარტებისა, ფსალმუნის კონკრეტული ადგილის „სახისმეტყველებითი“ ახსნის გაადვილებაა. განსამარტავს, „ძნელოვან“ სიტყვას, იგავს უწოდებს ავტორი და ასე ხსნის მას: „ხოლო იგავსა აქუს ორი სახე: ერთი, მიდარჩულად მეტყუელებაჲ და მეორე – სახისმეტყუელებაჲ“.

I. „მრავალკეცობაჲ“, ანუ ხოლმეობითობა. ეს გრამატიკული კატეგორია განმმარტებლის აზრით, „თჳსობას“, „საკუთრებას“ (τὸ οἰκεῖον), არა ერთ, არამედ მრავალკეც განმეორებად, საგნისთვის დამახასიათებელ მოვლენას გამოხატავს. იგი ორნაირად შეიძლება გამოიხატოს, ერთი – სიტყვის მრავალჯერ განმეორებით და მეორე – გარკვეული გრამატიკული ფორმით. ფს.66,7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაპარაკია უფლის შიშზე, როგორც მორწმუნე ადამიანის „თვსი“, დამახასიათებელ მოვლენაზე, ამიტომაც ეს „თვსობა“ „მრავალკეცობის“, ხოლმეობითის ფორმითაა გადმოცემული: არა თქუა თუ: ეშინოდა, არამედ ეშინოდის. ამის ახლად გამოჩინებულისა ნაყოფისაგან კაცთა შორის და მრავალკეცობითა საკუთრებაჲ გამოაჩინა“.

2. ბრძანებითი კილოს ფორმები. ამ გრამატიკული კატეგორიის შინაარსზე სხვადასხვა ადგილას მსჯელობს განმმარტებელი. მას ეხამუშება, რომ ისეთი წინადადებები, რომლებიც ღმერთს მიემართება („აღდეგინ ღმერთი“, „იყავნ წყალობა შენი ჩუენ ზედა“...), ბრძანებითის ფორმითაა წარმოდგენილი და შეგვახსენებს, რომ სახე ამ ფორმებს, მართალია, ბრძანებითი აქვს, მაგრამ „ძალი ვედრებითი აქუს“. ვედრებითი, ალბათ, ნატვრითობის ფუნქციითაა ნახმარი. ფს.67,1: აღდეგინ ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი. დაღათუ ბრძანების სახედ გამოსახულ არს სიტყუაჲ, თუ: აღდეგინ და განიბნინედ, არამედ ვედრებითი ძალი აქუს. ფს.69,2: მართლიკუნ იქმნედ, სირცხჳლეულ იქმნედ, რომელნი განიზრახვიდეს ჩემთჳს ძჳრსა. რომელთა ბოროტთა ჩუენთა ზედა უხაროდისო, უკუნ იქმნედ მეოტნი სირცხჳლითა და მხედვიდენ კეთილსა შინა. უკუნ იქმნედ და სირცხჳლეულ იქმნედ – დაღათუ ბრძანებითი სახე აქუს, გარნა ძალსა ვედრებით განითჳსებს.

3. „დამართებითი“ და „კუმევითი“ სიტყუა. ტერმინები – „დამართებითი“ და „კუმევით“ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვას ნიშნავს. ფს.73,12: ხოლო ღმერთმან, მეუფემან ჩუენმან წინა საუკუნეთამან. წინა საუკუნეთამან არა არს დამართებით სიტყუაჲ, არამედ კუმევით, ნაცვლად ამისა, თუ: პირველითგან. ფს.102,4: ესე არა დამარტებით გულის კმა-იყოფების, არამედ კუმევითჳა.

4. „განკუთნვილი“ სახელი. ეს ტერმინი საკუთარი სახელის მნიშვნელობით იხმარება. იგი რამდენიმე ადგილას გვხვდება თარგმანების ტექსტში. ფს.137, ზ.წ: ფსალმუნი დავითისი, ზაქარიაჲსგან. ესე იგი არს, ვითარმედ წინაწარმეტყუელება ესე დავითისი ითქუა ქრისტესთჳს, რამეთუ ზაქარ კსენებად გამოითარგმანების, ხოლო იაო განკუთნვილ სახელ არს ღმრთისაჲ ენისა შინა ებრაელთასა. ფს.148, ზ.წ: ალილუია, ანგეაჲსი და ზაქარიაჲსი, ქება ესე ანგელოსთა არს თჳს და საკუთარ, რაჲთა ჰყოფდენ საკსენებელად იაოსსა, ესე იგი არს ღმრთისა.

5. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი კომენტარები, რომლებშიც ლაპარაკია ქართულ ენაში ბერძნულის გავლენით დამკვიდრებულ ფორმებზე. ამ ტიპის განმარტებებში ახსნილია, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის გამონათქვამი, ქართულისათვის მეტ-ნაკლებად უჩვეულო, სადაც გარკვეული სიტყვები „მეტად ძეს“ სწორედ ბერძნულის გავლენით. ფს.55,12: ჩემ თანა შემიძრწუნდა სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი. ჰგავს, თუ მეტად ძეს აქა სული ჩემი, პატივისათჳს ბერძენთაჲსა, ნაცვალად ამისა, თუ: მე. მოსეს გალობა, ვ: მოეც წყალობა ჴელთა ჩემთა, ესე იგი არს, მე. საერთოდ, „პატივისათვის ბერძენთაჲსა და ებრაელთაჲსა“ ქართულში დამკვიდრებულ ფორმები ბევრ სხვა ტექსტობრივ შესატყვისობასაც ხსნის. ეს კარგად გამოიკვეთა „ცხებულ“ სიტყვის განმარტებაში: ქრისტე ცხებულად გამოითარგმანების, ვითარ=იგი მრავალგზის გუასმიეს წმიდათა წერილთა შინა, ხოლო მიზეზი ამის პირისა რეცა საძიებელ არს, თუ. ვითარ ბერძულთა საფსალმუნეთა შინა მრავალგზის მოიჴსენების სახელი ქრისტესი, ხოლო ქართულთა შინა – არცა ერთგზის სადა. გარნა ესე ამიერ ისწავე, რამეთუ ვითარცა=იგი ბერძენნი პატივისათჳს ებრაელთაჲსა მრავალთა სიტყუათა იჴუმევენ ებრაულთა, ეგრეთვე ქართველთა მრავალი სიტყუაჲ აქუს საკმარად ებრაულისაგანცა და ბერძნულისაგანცა.. ვინაჲცა უმეცართა მიერ არა ადჳლად განირჩევიან უცხონი იგი სიტყუანი ბერძულნი ებრაულისაგან. ხოლო ჩუენ ებრაულისაგანცა მათვე სიტყუათა შემოვიხუამთ, რომელნი ბერძენთა შემოუხუმან. კუალად ბერძულისაგან სხუათა უმეტესთა სიტყუათა, რომელთაგანი ერთი არს სახელი ქრისტესი, ხოლო ებრაელთა თჳსსა ენასა სხუაჲ სახელი აქუს ცხებულისაჲ. ვინაჲცა ცხად არს, ვითარმედ პატივისათჳს ბერძენთაჲსა ვიტყჳთ ქრისტესა, ხოლო დავითთა შინა ცხებულსა ვიტყჳთ ნაცვალად ქრისტესა.

კომენტართა უმრავლესობას ქართველი ავტორები, ცხადია, ბერძნულიდან თარგმნიან. მაგრამ ის განმარტებები, რომლებიც საკუთრივ ქართულისათვის დამახასიათებელ „ოჳს“ მოვლენებს ეხება, რა თქმა უნდა, ქართველ განმმარტებლებს ეკუთვნით. ეს არამარტო გრამატიკული ხასიათის კომენტარებს ეხება, არამედ ებრაული და ქართული სიტყვების ეტიმოლოგიურ თუ ჩვეულებრივ სალექსიკონო განმარტებებსაც. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს: ა) ებრაული სიტყვები: ბელფეგორი: ბალ კერპი იყო ამანელთაჲ, ფეგორს აღმართებული, და ეწოდების ბელ ებრაულად, ხოლო ბაალ- ბერძულად, რომელი=ესე კრონოსსაცა ეწოდების ბერძულად. მოსე: ორსახელ ითქუმის სახელი მოსე და ორსახედვე გამოითარგმანების. რაჲამს თქუა, ვითარმედ: მოსე, ამაღლებულად წყლით გამოითარგმანების, ხოლო რაჟამს თქუა თუ: მოისი, გამოძიებად უფლისა, გინა ცხოვრები განად გამოითარგმანების. მალეთ-ხორო : მალეთ ხოროდ გამოითარგმანების, ხოლო ხორო მწყობრსა სახელ=ედების, მრგულიად მოწყობილსა, გინა მგალობელთა, ანუ მომღერალთასა. სიონი: სიონი გამოითარგმანების სამასლო, რომელ არს გუშაგი, გინა დეტი,... სიონი სამსტუროდ გამოითარგმანების,... ხოლო სიონი მჳნებად გამოითარგმანების,... კუალად იგი არს საებგურო სათნოებათა. ბ) ქართული სიტყვები. ყველი: მთაჲ შეყოფილი და მთაჲ პოხილი. მთა ღმრთისა ეწოდების მორწმუნეთა ეკლესიასა... პოხილ ეწოდების უხუებისათჳს და ჰაეროვნებისა მას შინა მყოფთა მჯულიერთა საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართა, და შეყოფილ და განყველებულ გონიერებისათჳს და სიმტკიცისა, რამეთუ ყველი შეყოფილ არს, შედგენილი და განმაგრებული. განმამრუდებელი: განმამრუდებელად ითქუმის მკურნალთა მიერ ოპისტონად სახელდებულისენი, რომელ=ესე, ვითარცა მშჳლდი გარდაკუმული მოდრკების ზურგსა ზედა და ყოვლითურთ უკუნ=აქცევს გუამსა. მაღნარი: მაღნარი არს მთათა შინა ვევნარი შანბი. ძეძჳ: ძეძჳ არს, ანუთუ გურწამლი, სახე ეკლისა დიდროანისა და არს მაგარი და ფიჩხელი. წერაქჳ: წერაქჳ ორღანოჲ არს ქვით ხუროთაჲ განპებისათჳს ქვისა. ჳუარი: ჳუარი არს პირველ მძაფრისა ჴმისა წურილად და განბნევით გარდამომავალი და არა ჴშირად. გალობა: გალობა არს თჳსისაებრ უკუე სიტყჳსა ჴმაჲ რაჲმე ყოვლისავე ჴმისა მიერ ჴმა=კეთილობით თქუმული და ყოველითავე ორღანოჲთა მუსიკებრითა. ნაპრალი: ნაპრალი არს დანახეთქი მთათაჲ.

ვფიქრობთ, ფსალმუნთა თარგმანების კომენტართა „თხრობისაებრი" ნაწილის ლინგვისტურ-სტრუქტურული ანალიზი ბევრ საინტერესო მასალას წარმოაჩენს როგორც კონკრეტული თხზულების შემდგენლის ენის, ასევე, საერთოდ, ქართული ენის „თჳსი" მოვლენების ასახნელად. თავად ეს ორნაწილიანი, მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურა ამ კომენტარებისა – "თხრობისაებრი" და „სახისმეტყველებითი" თუ: ა) რაჲ არს, ბ) რასა გულისჴმა=ჰყოფს, საკუთრივ ქართულია, ორიგინალურია და სწორედ მისი ლინგვისტურ-ტიპოლოგიური მოდელის შესწავლაში უნდა ვეძებოთ უპირველეს ყოვლისა ქართულენოვანი ეგზეგეტიკის ინდივიდუალურობა და ორიგინალობა, რაზეც აკად. კ.კეკელიძე მიუთითებდა: „შინაარსით, აზრებითა და, საზოგადოდ, მასალით ფსალმუნთა თარგმანება ორიგინალური თხზულება არაა, ხოლო გარეგანი კონსტრუქციით და გეგმით, რომელიც გამოიხატება მასალისა და წყაროების შერჩევასა და მათ დალაგებაში, იგი ორიგინალურ თხზულებად უნდა ჩაითვალოს" (იხ.: კ.კეკელიძე, საეკლესიო მწერლობა, №I, ტფილისი, 1920 წ., გვ.XXXVI).

ამ კომენტართა ლინგვისტური ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ავტორის პოეტური ენისა და სტილის შესწავლას გულისხმობს. „ფსალმუნთა გამოკრებულ თარგმანების" ავტორი უცნობია. ანონიმური ტექსტების ავტორობის დადგენა კი უცილობლად მოითხოვს კონკრეტული ძეგლის პოეტური სახეების, სახისმეტყველებით განმარტებათა ლინგვისტურ-ტიპოლოგიური მოდელების შესწავლას, რადგან სწორედ მათში დევს ის საიდუმლო, რომელიც „გასცემს", გაამჟღავნებს მის ანონიმურ ავტორს.

დამოწმებული ლიტერატურა

А.Цагарели, 1873 – А.Цагарели, О грамматической литературе древнегрузинского языка, СПБ, 1873.

კ.კეკელიძე, 1920 – კ.კეკელიძე, საეკლესიო მწერლობა, №I, ტფილისი, 1920.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯან თვალთვაძე

ნათარგმნი თხზულების კომენტირების ეფრემ მცირისეული პრინციპები

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ არსებით თავისებურებას ნათარგმნი თხზულებისათვის მრავალრიცხოვანი კომენტარების დართვა წარმოადგენს, რაც მისი მთარგმნელობითი თეორიის ძირითადი პრინციპით იყო განპირობებული. მისი მოთხოვნა, ერთი მხრივ, ისაა, რომ „დედასა არარაჲ ჩაჰრთოს“ და მეორე მხრივ, ის, რომ „თარგმანს ხატი და მოქცევი დედნისაჲვე აქუნდეს“, რაც მთარგმნელს სხვა გზას არ უტოვებს, გარდა შენიშვნების აშიებზე მოთავსებისა. მთარგმნელის ყველანაირ შენიშვნას, რომელიც სათარგმნი თხზულების ტექსტითაა გამოწვეული, მის რომელიმე კონკრეტულ ადგილს, პასაჟს ან ცალკეულ სიტყვას განმარტავს, ან მთლიანად თხზულების თარგმნასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ საკითხებს შეეხება, ეფრემი „მთარგმნელის მოზრახულს“ უწოდებს, რაც ჩვენ მთარგმნელის ნააზრევის, თარგმანისათვის წინასიტყვაობისა და ანდერძების სახით დართული შენიშვნებისა და „კიდეთა და პატიეთა ზედა“ მოთავსებული სქოლიო-კომენტარების აღმნიშვნელ მორგებულ ტერმინად გვესახება.

ეფრემის კომენტატორული საქმიანობა მის მთარგმნელობით მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. „მთარგმნელის მოზრახულს“ ეფრემი ურთავდა მხოლოდ თავის თარგმანებს, ხშირად „ქართული შემსგავსებული სიტყჳს“ ვერ პოვნის ან „სიტყჳს ძალის უკეთ განცხადების“ მიზეზით, ამით ის განსხვავდება ბიზანტიური მწერლობის იმ კომენტატორებისაგან, რომლებიც საგანგებოდ განმარტავდნენ რომელიმე ცნობილი მამის თხზულებას მათთვის საინტერესო კუთხით. ეფრემ მცირე არის ბიზანტიური მწერლობის მთარგმნელ-კომენტატორი და მისი კომენტატორული საქმიანობის სფეროს მის მიერ სათარგმნელად არჩეული თხზულება და თარგმნის პროცესში წამოჭრილი სიძნელეები განსაზღვრავენ

რა თქმა უნდა, ამგვარი კომენტარები ეფრემამდეც დაურთავთ თარგმანისათვის ქართველ მთარგმნელებს (ვგულისხმობთ ადრინდელ მთარგმნელთა ანდერძებს, ხელნაწერის კიდეებზე გაკეთებულ ცალკეულ შენიშვნებს), მაგრამ სისტემატური ხასიათი თარგმანის კომენტირებამ ეფრემის და ელინოფილური სკოლის სხვა წარმომადგენელთა თარგმანებში მიიღო. ეფრემის თარგმანების შემცველი ხელნაწერების აშიები, როგორც შენიშნავდა კ.კეკელიძე, „მოქარგულია ამგვარი შენიშვნებით“ (კ.კეკელიძე, 1960, გვ.254). ეფრემ მცირის თითქმის ყველა მნიშვნელოვან თარგმანს ახლავს მთარგმნელის ვრცელი კომენტარი წინასიტყვაობისა თუ ანდერძის სახით თხზულებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული საკითხების შესახებ.

თავითვე აღვნიშნავთ, რომ ბიზანტიური მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილი ეფრემ მცირე თარგმანის კომენტირების საკუთარი პრინციპების შემუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებისას, ისევე როგორც მრავალ სხვა საკითხში, ბიზანტიელ მწიგნობართა გამოცდილებას დაეყრდნო და კომენტირების მსგავსი წესები შეიმუშავა.

ეფრემის „მოზრახულისა“ და მისი თარგმანების შემცველი ხელნაწერების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა დაგვედგინა ის ძირითადი პრინციპები, რითაც ხელმძღვანელობდა ეფრემი თარგმანის კომენტირებისას.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციეთ, რომ იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში ეფრემი ერთმანეთს უპირისპირებს ხელნაწერის „პატივთა ზედა წარწერილ საჭიროჲსა სიტყჳს თარგმანს“ და „კიდეთა ზედა წარწერილ „შეისწავეს“, „განსაზღვრებას“, „განჩინებას“ და „სამეცნიეროს“. სვიმეონწმიდის წიგნთსაცავში დაცულ ბერძნულ წიგნებს „საჭიროჲსა სიტყჳსა თარგმანი პატივთა ზედა წიგნისათა უწერია, ხოლო „შეისწავენი“ და „განსაზღვრებაჲ“ „განჩინებითურთ“ და „სამეცნიეროჲ ესე“ არა თდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა“ (A 24,3r; იოანე დამასკელი, 1976, გვ.768). კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეფრემი აქ ტექსტის კომენტირების ორ ძირითად სახეს გამოყოფს: ერთია განმარტებითი, ანუ სიტყვიერი კომენტარი, ახსნა თხზულების რომელიმე კონკრეტული ადგილისა ან სიტყვისა, რომელიც „პატივთა ზედა“ ანუ აშიაზე იწერება (დაწვრილებით იხ. დ.თვალთვაძე, 1993). ამგვარი შენიშვნა შეიძლება ხელნაწერის ოთხივე მხარეს დაუწერელად დარჩენილ ადგილზე იყოს მოთავსებული და მეორე დამხმარე ანუ მისათითებელი, მიმანიშნებელი, ტექსტის ამა თუ იმ ადგილის ვიზუალურად გამოსაკვეთად, ხაზგასმისათვის გამიზნული შენიშვნა, რომელიც „კიდესა სტიქონისასა“ ანუ ნაწერის კიდეზე კეთდება. ამგვარი მისათითებელი შენიშვნები საგანგებო პირობითი ნიშნებით აღინიშნებოდა ბერძნულ ხელნაწერებში (ე.გრანსტრემი, 1960) და შესაბამისად მათ ქართულ თარგმანებშიც (ლ.ქაჯაია, 1969, გვ.32-50). ესაა ეფრემის მიერ ზემოთ დასახელებულ „განსაზღვრებაჲს“, „განჩინებაჲს“, „სამეცნიეროჲს და „შეისწავეს“ გარდა „შუენიერი“, „იხილე“, „ვარსკულავი“, „ასტერიკსო“, „მზისთუალი“, „ქანწილი“, „ღელვავრცელი“, „იოტი“, „განთესული“ და სხვა, რომლებიც გამოყოფენ ტექსტის კონკრეტულ ადგილს. კერძოდ, „განსაზღვრებაჲ“ (ბერძ. ὁρισμός) დაქარაგმებულად დაწერილი დაისმის ხელნაწერის კიდეზე იმ ადგილას, სადაც მოცემულია რომელიმე საგნის ან მოვლენის დეფინიცია, განმარტება. „განსაზღვრებაჲ არს სიტყუაჲ მოკლე საცნაურ მყოფელი ბუნებასა წინამდებარისა საქმისასა“ (იოანე დამასკელი, 1976, გვ.105). „განსაზღვრებაჲს“ მსგავსია „განჩინებაც“. (ბერძ. ὅρος) „განსაზღვრებასა და განჩინებასა იგივე და ერთი ძალი აქუს“ აღნიშნავს მთარგმნელი ერთგან (A 24,3). მათ მსგავსად ტექსტის ცალკეულ მონაკვეთს გამოყოფენ პალეოგრაფიული ნიშნები „იხილე“ და „სამეცნიეროჲ“, რომლებიც „კიდესა სტიქონისას“ სიგრძივ ჩამოიწერება სათანადო ადგილის თვალსაჩინოდ გამოსაყოფად. ნიშანი „შუენიერი“ დაქარაგმებული სახით „შნრი“ დაისმის იქ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც, ეფრემის სიტყვებით, „მეტყველება განშუენებულია". „ნიშანი ესე შუენიერისაჲ განწესებულ არს ადგილთა, რომელსა შინა მეტყუელებაჲ შეიმკუებოდის, ანუ გულისჴმისყოფელობაჲ აღყუავნებოდის, ანუ ორივე ზეშთა აღემატებოდის" (იერ. 43, 4r, თ.ბრეგაძე, 1988, გვ.150). ტერმინი თარგმანია ბერძნული ὡραῖον -ისა, რომელიც ბერძნულ მანუსკრიპტებში დაქარაგმებულად, მონოგრამის სახით დაისმოდა იქ, სადაც საქმე გვქონდა მხატვრული აზროვნების შემთხვევებთან.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ამ ბერძნულ სიტყვას ქართველი მწიგნობრები ყოველთვის არ თარგმნიდნენ, ზოგჯერ ის მონოგრამითვე გადმოჰქონდათ, რომელიც ორი ასომთავრული ასოს ო-ს და რ-საგან შედგება. ო-ს მუცელში ა რ ჩასმული. ამის შესახებ იხ. ლ.ქაჯაია, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებთან ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ.34-35.

„მზისთუალის სახე ნიშანი" (ბერძ. ἢ ἡλιακὸν σημεῖον) დასმულია იქ, სადაც საუბარია ღმერთზე, რადგან „მზედ სიმართლისა სახელ-ედების ღმერთსა წერილთა შინა" (იერ. 43, 4r); „ვარსკულავის სახე ნიშანი" (ბერძ. ἀστερικός) აღნიშნავს ისეთ ადგილებს, სადაც ლაპარაკია ძე ღმერთის ამქვეყნიურ საქმეებზე, უფლის განკაცებაზე, რადგანაც ქრისტეს ხორცშესხმა მოგვებს ვარსკვლავის გამოჩინებით ეუწყათ; „იოტა" ეფრემის თარგმანებში დასმულია იქ, სადაც „მცირედ ცვალებაჲ ჰნებებია სამოციქულოსა სიტყუასა" (იერ. 16, 2r, ნ.მარი, 1955, გვ. 56) ანუ გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი სამოციქულოს ტექსტში ეფრემის მიერ გასწორებული ადგილების აღსანიშნავად; „ღელვავრცელი" ციტატის აღმნიშვნელი პალეოგრაფიული ნიშანია და სხვ. კომენტარის შესაბამის ტექსტთან დასაკავშირებლად ე.წ. „მოთხვითად მოწერილ" ხელნაწერებში მრავალი პირობითი ნიშანი გამოიყენება (ისრები, ჯვრები, სხვადასხვა კონფიგურაციის გეომეტრიული ფიგურები, ასტროლოგიური სიმბოლოები) (ლ.ქაჯაია, 1969, გვ.32-50).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ერთ პალეოგრაფიულ ნიშანზე „შსწე" - „შეისწავე", რომელიც ბერძნული σημείωσαι -ის ფარდი ქართული ტერმინია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „აღნიშნე, დაიხსომე". „შეისწავე ესე დაწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა იპოვებოდის უცხოჲ რაჲმე სჯულისდებითი, ანუ მოთხრობითი, ანუ გამომეტყველებითი, რომლისაჲ უცმს შესწავებაჲ მკითხველსა" (იერ. 43,4).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტერმინით „შეისწავე“, ხშირად აღნიშნავენ მთარგმნელის ან გადამწერის სიტყვიერ კომენტარს, სქოლიოს, რომელიც როგორც წესი, აშიაზეა მოთავსებული, რაც გამოწვეულია იმით, რომ მთარგმნელის შენიშვნა ხშირად სწორედ ამ სიტყვით იწყება. მაგრამ, როგორც გაირკვა, „შეისწავე“ ამავე დროს პელეოგრაფიული ტერმინიცაა, აღნიშნავს პირობით ნიშანს „კიდესა სტიქონისასა“ მოთავსებულ საგანგებო მითითებას, რომელიც სხვა ზემოთ დასახელებულინიშნების მსგავსად იმისთვისაა განკუთვნილი, რომ მკითხველმა ადვილად იპოვოს ტექსტის ესა თუ ის ადგილი. „რამეთუ რაჟამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოვრებული ჟამი, ანუ ყოვლისავე გარდაკითხვაჲ (A 24,3r). ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ, უმჯობესია მთარგმნელის სიტყვიერი კომენტარის აღმნიშვნელ ტერმინად ეფრემისეული „კიდეთა წარწერილი თარგმანი“ ვიხმაროთ, ან უფრო გვიანდელ მწიგნობრებთან დადასტურებული „სქოლიო“. საბას განმარტებით, „სხოლიო არს წიგნთ თარგმანი გარეშემოწერილი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1993, გვ.126; იხ. არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონის“ 1771 წლის გადამწერის ანდერძი, ძ.სურგულაძე, 1978, გვ.69), რადგან ამ შენიშვნებს იგივე დანიშნულება აქვთ, რაც დღევანდელი გაგებით თხზულებას დართულ კომენტარებს გააჩნიათ, შესაძლებელია მათ აღსანიშნავად ტერმინი კომენტარი ან სქოლიო-კომენტარიც გამოვიყენოთ.

ამრიგად, თარგმანის კომენტირების ეფრემ მცირისეულ მეთოდში დანიშნულების თვალსაზრისით გამოიყოფა 1) მისათითებელი, მიმანიშნებელი კომენტარები, პირობითი ნიშნები და 2) სიტყვიერი, განმარტებითი კომენტარი ანუ მთარგმნელის სქოლიო.

მთარგმნების სიტყვიერი კომენტარიც არაა ერთგვაროვანი. როგორც აღვნიშნეთ, ეფრემი ამგვარ შენიშვნებს „მთარგმნელის მოზრახულს“ უწოდებს და გულისხმობს თარგმანს დართულ ყველანაირ სიტყვიერ კომენტარს: წინასიტყვაობას, ანდერძს და აშიაზე მოთავსებულ სქოლიოებს. „გასდამოჳემის“ წინასიტყვაობაში ეფრემი საგანგებოდ მსჯელობს ამის შესახებ და გადამწერებს თხოვნით მიმართავს: „უკუეთუ ამას დაიწერდეთ, ესე ილუაწენ, რაჲთა არარაჲ დააკლოს... არცა ჩემი ესე კადრებული და მოზრახული. არა ხოლო შესაცვალსა ამას ვიტყჳ, არამედ კიდესა წარწერილთა თარგმანთაცა, რომელთაგანნი რომელნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელნიმე დედისაგან“ (A 24,2v; იოანე დამასკელი, 1976, გვ.67). ასეთივე თხოვნაა პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების თარგმანზე დართულ ანდერძშიც: „მცირეთა ამათ სიტყჳათა ადგილ-აგილ მოზრახულთა ჩემ საწყალობლისა ეფრემ მცირისათა დაწერაჲ ნუ გეწყინების, რამეთუ ესრეთ მაქუნდა ბრძანებაჲ, რაჲთა შინა არარაჲ ჩავრთო, არამედ კ ი დ ე თ ა და თ ა ვ ი ს ა და ბ ო ლ ო ჲ ს ა ანდერძთა შინა მკადრო დაწერად“ (ათონ.18, გვ.238; დ.თვალთვაძე, 1988, გვ.221), ე.ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთარგმნელის სიტყვიერი კომენტარი ანუ „მოზრახული“ ეფრემის მიხედვით შეიძლება იყოს:

ა) „თავისა ანდერძი“, რაც უდრის წინასიტყვაობას, ეფრემი მას ზოგჯერ უწოდებს „წინაბჭეს“ ან „შესავალი წიგნისაჲ“.

ბ) „ბოლოჲსა ანდერძი“, ანუ ბოლოსიტყვაობა, კოლოფონი.

გ) „კიდეთა ზედა წარწერილი თარგმანი“, ანუ სქოლიო-კომენტარები. ეფრემი მოითხოვს მათი „შიგან გაურევლად“ დაწერას.

ეფრემის თარგმანებში „მთარგმნელის მოზრახულ“ სამივე სახის კომენტარს ვხვდებით. მის თითქმის ყველა მნიშვნელოვან თარგმანს ახლავს ვრცელი წინასიტყვაობა და ანდერძი, უფრო ხშირად ორივე ერთად, როგორც ჩანს, ეს ეფრემის კომენტატორული საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპი იყო – თავსა და ბოლოში „მთარგმნელის მოზრახულის“ დართვა, რითაც განსხვავდება სხვა მთარგმნელებისაგან, რომლებიც თარგმანს ან ანდერძს ურთავდნენ ან წინასიტყვაობას, მაგრამ „თავისა და ბოლოჲსა ანდერძი“, ანუ წინასიტყვაობა და კოლოფონი ერთად, ეფრემამდე არ გვხედება, აშიებზე მოთავსებულ სქოლიოებთან ერთად ეს იმ მეცნიერული აპარატის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად ჩანს, რომლითაც აღჭურვილია ეფრემის თარგმანები.

შენიშვნა: „თავისა და ბოლოჲსა ანდერძები“ დართული აქვს: დიონისე არეოპაგელის თხზულებების თარგმანს, რომელსაც უძღვის „წინაბჭე“ (A II0 Ir–2V) და ბოლოში ერთვის მთარგმნელის ანდერძ-ბოლოსიტყვაობა (98r); ფსალმუნთა თარგმანებას უძღვის შესავალი „უწყებაჲ მიზეზსა და ვითარებასა და თხრობაჲ წესსა და საკმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს „თარგმანებაჲ ფსალმუეთაჲ“ (Q 37, Ir–7V, იერ. I, I6) და ერთვის ანდერძი (Q 37, 3I6V; სამოციქულოს თარგმანებას იწყებს შესავალი მთარგმნელისა „განწესებაჲ თავთაჲ წმიდათა მოციქულთა საქმისაჲ“ (იერ. I6, Ir–2r) და ამთავრებს ანდერძ-ბოლოსიტყვაობა „უწყებაჲ მიზეზსა წიგნისა ამის მრავალთა წიგნთა ერთად შემოკრებულისასა (ათონ. I8, 235–238); იოანე დამასკელის „გარდამოცემას“ უძღვის მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობა (A 24, 2V–2r) და ერთვის მთარგმნელის მოკლე ანდერძი (I37V) თეოდორიტე კვირიელის „ფილოთეონ ისტორიას“ წინ უძღვის მთარგმნელის შესავალი (A 689, I87V) და ერთვის ანდერძი (277r–V); გრიგოლ ნაზიანზელის სადღესასწაულო ჰომილიების კრებულს წამძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული აქვს მთარგმნელის ეპისტოლე ბერი კჳრიკესადმი, რომელიც ამ კრებულის წინასიტყვაობის მაგივრობას სწევს (იერ. 43, 1r-4r) და ბოლოში დართული აქვს ანდერძი (იერ. 13,249r).

როგორც ყველა წინასიტყვაობა და ანდერძი არ შეიძლება იყოს ერთგვარი, ზოგი ვრცელია და თხზულების თარგმნასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს შეეხება, იმდენად რომ შეიძლება ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის გამოკვლევადაც კი მივიჩნიოთ, ზოგი მოკლეა და მხოლოდ ძუნწ ცნობებს გვაწვდის მთარგმნელის ვინაობაზე, ასევე განსხვავებულია სქოლიო-კომენტარებიც როგორც ფორმალურად ანუ კონსტრუქციულად (ე.ხინთიბიძე, 1982, გვ. 169-176) ისევე შინაარსით ანუ თემატურად (კ.კეკელიძე, 1960, გვ.268).

1) სქოლიოთა ერთი ნაწილი სხვებთან შედარებით ვრცელია და მასში მთარგმნელი ტექსტის თარგმნასთან ან კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებულ რომელიმე საკითხს ეხება. ამგვარ სქოლიოს ხშირა იწყებს სიტყვა „შეისწავე“, რასაც მოსდევს მთარგმნელის მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე.

2) აშიაზე გაკეთებულ შენიშვნათა მეორე ჯგუფი უცხოენოვანი სიტყვების თარგმანს წარმოადგენს. უფრო ხშირია ბერძნული და ებრაული სიტყვების თარგმნა, იშვიათად ლათინური ლექსიკური ერთეულებისა. ზოგჯერ მოცემულია სიტყვის ეტიმოლოგიური ან სახისმეტყველებითი (ალეგორიული) განმარტება. ამ სქოლიოებში ხშირად იხმარება კონსტრუქცია „რომელ გამოითარგმანების“, ან ბერძნული სიტყვა - „რომელ გამოითარგმანების“ - ქართული სიტყვა. ამიტომაც მათ „რომელ გამოითარგმანების“ ტიპის შენიშვნებს ვუწოდებთ. მთარგმნელის ამგვარ შენიშვნები ეფრემის მთარგმნელობითი თეორიის მიხედვით აშიაზე უნდა იყოს მოთავსებული, ხშირ შემთხვევაში ეს ასეცაა, მაგრამ მსგავსი კონსტრუქციის შენიშვნები ხშირად ტექსტშიც გვხვდება, რასაც ყოველთვის გადამწერთა თვითნებობით ვერ ავხსნით. საფიქრებელია, რომ ეფრემმა წინა მთარგმნელთა მსგავსად ზოგიერთი უცხოენოვანი სიტყვა ტექსტშივე განმარტა.

3) შენიშვნების მესამე ჯგუფში ერთი სიტყვა ახსნილია, განმარტებულია სხვა სიტყვით ან სიტყვებით. შესაძლოა ქართული ქართულადვე („წიგნური“ „სოფლურით“) ამ ტიპის შენიშვნებში ხშირია „ესე იგი არს“, „რომელ არს“, ან „რომელსა ეწოდების“ კონსტრუქციები. ჩვენ მათ პირობითად „ესე იგი არს“ ტიპის შენიშვნებს ვუწოდებთ. უნდა აღინიშნოს, რომ თარგმნითი ხასიათის შენიშვნების მსგავსად ამ ტიპის განმარტებითი შენიშვნებიც ხშირად ტექსტშია ჩართული. ტექსტში ჩართულ მთარგმნელის განმარტებებს ძველ მწიგნობართა ავალდაკვალ „სიმტყვადართულობებს“ ვუწოდებთ.

შინაარსის მიხედვით, ანუ თემატურად გვაქვს: 1) თეოლოგიურ-ფილოსოფიური, 2) ფილოლოგიური, სადაც ეფრემი ტექსტის დადგენის, რედაქტირებისა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედნების მოპოვების, მათი ერთმანეთთან შეჯერების შესახებ მსჯელობს. ხშირ შემთხვევაში ეს შენიშვნები ღრმა ტექსტოლოგიური კვლევის შედეგებს გვაცნობენ. 3) გრამატიკული, რომელთა დიდი ნაწილი შეეხება ქართული და ბერძნული ენის „რაბამობის“ გარკვევას. 4) ლექსიკოგრაფიულ კომენტარებში მოცემულია ქართული სიტყვების მნიშვნელობის ახსნა ან უცხოენოვანი სიტყვების თარგმანი. 5) ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის კომენტარებში გვაქვს ცნობები ქართული და ბიზანტიური მწერლობის მრავალ საკითხზე. 6) მითოლოგიური კომენტარები და 7) ტექნიკური ხასიათის მინაწერები.

ამ კომენტარების მიზანი ერთია: მკითხველს გაუადვილოს გაგება, დაეხმაროს თხზულების სწორად გააზრებაში, მიაწოდოს მას აუცილებელი განმარტება. ეფრემის ღრმა რწმენით, „ყოველსა თარგმანსა უჴმს შემატება, სიტყჳსა, რეცა განმაცხადებლად ძალისა“, რომელიც მთარგმნელმა ტექსტში კი არ უნდა ჩართოს, არამედ სქოლიოების სახით მიაწეროს აშიაზე.

ეფრემის სქოლიო-კომენტარები მთარგმნელის მოზრახულ წინასიტყვაობებთან და ანდერძებთან ერთად მრავალ საინტერესო ცნობებს შეიცავენ, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის, ზოგჯერ ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისათვის. მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ ისინი ქართული ენის ისტორიის, ლექსიკოგრაფიის, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის, ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შესასწავლად. ეფრემ მცირე როგორც მოაზროვნე, როგორც ფილოლოგი, ლინგვისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, ფართო განათლებისა და ერუდიციის ადამიანი ყველაზე კარგად სწორედ მის ორიგინალურ ნააზრევში, ნათარგმნ თხზულებას დართულ „მთარგმნელის მოზრახულში“ ჩანს.

ეფრემ მცირის მიერ შემუშავებული თარგმანის კომენტირების პრინციპები თითქმის თანამედროვე მეცნიერულ დონეზეა. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „თხზულებანი, რომელნიც მისი ხელიდან გამოდიოდნენ, დამუშავებულია სასტიკი და რთული ფილოლოგიური მეთოდებით. არაფერი აქ უგულვებელყოფილი არაა. არც დადგენა და კრიტიკა ტექსტისა, არც სისწორე და სინამდვილე თარგმანისა, არც შედარება სხვადასხვა სწავლული კომენტატორების აზრებისა. ამ მხრივ, როგორც შეგნებული მეცნიერი-მთარგმნელი, ეფრემი იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში“ (კ. კეკელიძე, 1960, გვ. 254). მართლაც, ეფრემ მცირის თარგმანები აღჭურვილია, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სამეცნიერო-საცნობარო აპარატით. თანამედროვე ტექსტოლოგიაში გაზიარებული განმარტების თანახმად „სამეცნიერო-საცნობარო აპარატი წარმოადგენს იმ ტექსტოლოგიური ხასიათის სამუშაოს ფიქსირებას, რასაც რედაქტორი (გამომცემელი) ეწევა ტექსტზე მუშაობის დროს – ტექსტის შეჯერება წყაროების მიხედვით, კანონიკური ტექსტის დადგენა და მისი მეცნიერული დასაბუთება, ვარიანტული სხვაობების ფიქსირება, დათარიღებისა და ატრიბუციისათვის ჩატარებული კვლ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვა, ტექსტის განმარტება როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ტექსტში არსებული ყველა საჭირო ფაქტობრივი მასალის ზუსტი კომენტირება - ყველაფერი ეს თავის ასახვას პოულობს სამეცნიერო-საცნობარო აპარატში" (ლ.გვარამაძე, 1970, გვ. 127-128).

ეფრემის „მოზრახულში", რომელიც დღევანდელი სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ტოლფარდ ძველ ქართულ ტერმინად შეიძლება ჩაითვალოს, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სახის კომენტარს ვხვდებით, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ის, რაც დღეს რედაქტორის ან გამომცემლის ფუნქციად ცხადდება, XI საუკუნეში მთარგმნელ კომენტატორს ევალებოდა, რადგან, გარკვეულწილად, ის იყო სწორედ ტექსტის გამომცემელიც და რედაქტორიც. ეფრემის სახით საქმე გვაქვს ბიზანტიური მწერლობის ძეგლების მეცნიერ მთარგმნელ-კომენტატორთან, რომელსაც თარგმანის კომენტირების საგანგებო პრინციპები ჰქონდა ჩამოყალიბებული.

დამოწმებული ლიტერატურა

თ.ბრეგაძე, 1988 - თ.ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988.

ლ.გვარამაძე, 1970 - ლ.გვარამაძე, კომენტარი აკადემიურ გამოცემაში, ტექსტოლოგიის საკითხები, I, თბ., 1970.

დ.თვალთვაძე, 1993 - დ.თვალთვაძე, ზოგიერთი პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის ეფრემ მცირის ანდერძებისა და კომენტარების მიხედვით (იბეჭდება თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომების 29-ე ტომში).

დ.თვალთვაძე, 1988 - დ.თვალთვაძე, ეფრემ მცირის ერთი უცნობი ანდერძი, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, 1988, გვ. 210-221.

იოანე დამასკელი, 1976 - იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976.

კ.კეკელიძე, 1961 - კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.

ნ.მარი, 1955 - ნ.მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, გამოსაცემად მოამზადა ე.მეტრეველმა, თბ., 1955.

სულხან-საბა ორბელიანი, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ.სურგულაძე, 1978 - მ.სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
ლ.ქაჯაია, 1969 - ლ.ქაჯაია, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ.32-50.
ე.ხინთიბიძე, 1982 - ე.ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982.
ე.გრანსტრემი, 1960 - Гранстрем Е.Э., О некоторых приемах оформления византийских рукописей, М., 1960.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინათინ ბოლქვაძე

შოთა რუსთაველის პოეტური თეორია და ეთოსის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის უმთავრესი ესთეტიკური შეხედულებანი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშია მოცემული. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მისი აზრი პოეტის ოსტატობის შესახებ. რუსთაველი ამ საკითხზე შაირობის რაობის გარკვევის შემდეგ მსჯელობს:

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა

13,I-2

ვარ.: საუბართა ტკბილთა ფრქვევა აბ[1], კაკ[2]

შენიშვნა: ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა იკითხება [D]EGUVW ხელნაწერებსა და ბრქ კარ ჭინ 57 წ. გამოცემებში. საუბართა ტკბილთა ფრქვევა-ს დამოწმებული გამოცემების (იუსტ.აბულაძისეული 1914 წლისა და ს.კაკაბაძისეული 1927 წლისა) გარდა უპირატესობა ენიჭება პოემის 1965 წელს ანშანიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტშიც, რომელსაც ჩვენ ვემყარებით (სტროფების სათვალავს, აგრეთვე ხელნაწერთა და სხვა გამოცემათა ჩვენებებსაც ამ წიგნში დათქმული ნიშნებისა და შემოკლებების მიხედვით ვიმოწმებთ), მაგრამ ამ იკითხვისს ვერ დავეთანხმებით. ასევე საკამათოდ მიგვაჩნია ამავე რედაქციაში მე-13 სტროფის ბოლოს მძიმის დასმა, რაც აჩვენებს, რომ გამომცემლებს მე-13 და მე-14 სტროფები ერთ სინტაქსურ მთელად წარმოუდგენიათ (ამ აზრისაა ვუკ.ბერიძეც. იხ. ბერიძე 1974: 31). თუ ეს ასეა, მაშინ საქმე გვქონია ანჟამბემანის იმ სახესთან, როცა მთელი სტროფის აზრობრივ-ფრაზეოლოგიური კომპოზიცია სრულდება მომდევნო სტროფის პირველ ტაეპში (ჭილაია 1984, გვ.53). ანჟამბემანი ანუ პოეტური გადატანა ქართულ კლასიკურ ლექსს არ ახასიათებს. იგი პირველად მხოლოდ ნ.ბარათაშვილთან გვხვდება. ხშირად იყენებდა მას გალაკტიონი.

მაშასადამე, როგორც ცხენი გამოიცდება გრძელ გზაზე, დიდი რბენით, როგორც მოედანი გამოსცდის მობურთალის (ბურთის) მართლად ცემასა და (ჩოგანის) მარჯვედ ქნევას, ასევე მელექსე გამოიცდება გრძელი ლექსის თქმით და „ხევით“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაზგასმული სიტყვის შესახებ რუსთველოლოგები სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ. იგი ძირითადად განიმარტება როგორც ა) უკან დახევა, შედგომა, შერჩენა (ბაგრატიონი 1960, გვ.10; მარი 1910; ინგოროყვა 1965; ბერიძე 1974, გვ.32, შ.ნუცუბიძე, ნ.ნათაძე). „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიაც იზიარებს მოსაზრებას, რომ ხევა ამ სალექსო სტრიქონში უკან დახევას, თავის დროზე შეკავებას ნიშნავს, ბ) დახევა, დაფხრეწა (იუსტ.აბულაძე 1920, გვ.II), გგ) ხვევა სიტყვის ინგილოურ ვარიანტი, რაც ქსოვას, დახვევას აღნიშნავს (ჯანაშვილი), დ) გალობის კილო (ბაგრატიონი 1860, გვ.10 (როგორც ვნახეთ თ.ბაგრატიონი ხევა-ს ორგვარად განმარტავს). ამავე აზრისაა ი.კიკნაძე. იხ.კიკნაძე 1994, გვ.123-125).

ძველ ქართულში ხევას „მოგლეჯა", „მოხევა", „მოჭრა"-ს გარდა სხვა მნიშვნელობა არა აქვს, მაგალითად:

1. მოილო და დახია ყოველი მჩუარი (ი.აბულაძე 1973, გვ.212,2) = „დაგლიჯა"
2. უკუეთუ... იყოს მოშავენიში შემდგომად განრყხისა მისისა, გამოჰხიოს იგი სამოსელისაგან, ანუ საგუალსლისა, ანუ ფესჳსა, ანუ ტყავისა (ლევ. 13,56 – ასევეა AKSB -შიც). ბერძნ. და რუს. ტექსტები აქ „გამოგლეჯა" მნიშვნელობას გვიჩვენებენ: ἀποφρέξει „გამოგლეჯა".
3. არა განჴხით ესე (ი. 19,24 DE-C განვაპოთ)
4. პოვა რაჲ ქარტაჲ იგი და აღმოიკითხა, განხია იგი (A-1105, 375)
5. ოდესმე ისარი მიემთხჳია ჯაჭუსა განხეულსა და განეწონის გუამთა (მამ. სწ. 279,28)
6. რაჟამს შეიხის თმაჲ თავისა თჳსისაჲ (II მეფ. 14,26 (C)) = „მოკვეცა", „მოჭრა"
7. შეიხია თმაჲ თჳსი (ილ.აბულაძე 1973, გვ.409)
8. დაიპო იგი ათორმეტად ნახევად (III მეფ. 11,30 (C)) = „ნაჭერი"
9. სახეველი = „დანა", „კალმის სათლელი დანა", „საჭრელი":
   და იყო, რაჟამს აღმოიკითხის ივდი სამი კეფი ანუ ოთხი, მოხიის მეფემან სახეველითა მით მწიგნობრისაჲთა და შთააგდის ვეჳხლსა (იერ. 36, 23 (C) = ბერძ. 43,23; G: მოჰკუეთის მათ საჭრელითა მწიგნველისაჲთა
10. პავლეს სახეველი აქუნდა და ტყავსა ხევდა (მამ.სწ. 87,4-5)
11. იხილა სახეველი და აქო იგი და არა უტევა ბერმან გამოსლვად, ვიდრემდის წარიღო სახეველი იგი (-1105, 378).

ე.ბასილაშვილი დააკვირდა, რა მნიშვნელობით იყენებს სიტყვა ხევა-ს თვით რუსთაველი და დაასკვნა, რომ ხევა პოემაში ყოველთვის ჭრას, კვეთას აღნიშნავს, მაგალითად:

დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია 712,2 = დანას შემაჭრა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფატმანის გული მას აქვთ ლახვართა შენახევია 1277,1 =
ლახვრით არის დანაჭერი

აქედან გამომდინარე, ე.ბასილაშვილის სწორი მითითებით, „ლექსთა ხევაც“ როგორც ლექსის, ისე სიტყვის ჭრას, კვეთას უნდა ნიშნავდეს. მისი ფიქრით, ეს უნდა იყოს ამოსავალი მნიშვნელობა ყველა დანარჩენი განმარტებისთვის (ბასილაშვილი 1994). ანგარიშგასაწევია ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხევა დღესაც ჭრას ნიშნავს. მაგალითად: ქალამნის საზანდის გამოჭრაზე იტყვიან: საზანდი მაქვს დასახევით.

პროფ. ზ.სარჯველაძემ ძველ ქართულ ტექსტებში გამოავლინა ხევა ზმნის სხვა მნიშვნელობა, რომელიც სავსებით მოესადაგება რუსთველისეულ ფრაზას. სინურ მრავალთავში ერთგან წარმოდგენილია სიტყვა ტყავისმხეველი, რომლის შემადგენლობაში შედის ხევა ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა (მ-ხევ-ელ-ი): რამეთუ სავდეყა, რომელ იგი ტაძარსა წინაშე ჯდა და ტყავისმხეველ იყო, იგიცა სდევნიდა მორწმუნეთა მისთა (იმნაიშვილი 1975, გვ.226). პავლე რომ ტყავის დამმუშავებელი იყო, ამის შესახებ პირდაპირი ცნობაა დაცული „მოციქულთა საქმეში“, სადაც იგი „ჭელოვნებით მ ე პ რ ა ტ ა კ ე დ“ იწოდება (საქმე მოციქულთა 1950, გვ.18,I–ს. Ye ꝗ.-23 ხელნაწერში მოცემულია მეპრატაკე სიტყვის ეფრემ მცირისეული განმარტება: მ ე პ რ ა ტ ა კ ე არს ტ ა რ ს ი კ ო ნ ი ს მ კ ე რ ვ ა ლ ი (370 V). ტარსიკონი კი, ოშკური ბიბლიის მიხედვით, ვერძის ტყავს აღნიშნავს (გამოსლვ. 25,5). მეპრატაკე ზოგ კონტექსტში ბერძნულ βυρσεύς შეესატყვისება. ეს სიტყვა ბერძნულში ტყავის უბრალო დამმუშავებელს კი არ ნიშნავს, არამედ ბეწვის ფაქიზად მომკაზმავს. ზ.სარჯველაძის სწორი დასკვნით, ტყავისმხეველი, რომლის მეორე ნაწილი დამმუშავებელს, მკაზმავს აღნიშნავდა, უკვე ძველ ქართულშივე ივვალა მეპრატაკე სიტყვით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ მცირის ნათარგმნ „ასკეტიკონში“ ტყავისმხეველის სინონიმია დადასტურებული, კერძოდ, ღუდისმხეველი: თ. ჯამეწამულსა სთხზავა? მოკვენებდ ღუდის მხეველთა (A-115 223 ნ). ზ.სარჯველაძის აზრით, XI–XII საუკუნეთა სამხრეთ საქართველოს მეტყველებაში მხეველი ჯერ კიდევ იხმარებოდა მკაზმავის მნიშვნელობით. სწორედ კაზმვის, გამშვენიერების შინაარსით გამოიყენა ეს სიტყვა რუსთაველმა (სარჯველაძე 1990).

ჩვენ მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია ის, რომ პოეტმა ტყავის გაწყობის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი იხმარა ნაწარმოების გამშვენიერების გადმოსაცემად. ეს ფაქტი საინტერესო ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს ძველინდურ პოეტურ ტერმინოლოგიასთან. როგორც ვ.ივანოვი წერს: ინდოევროპულ სიძველეთა შემსწავლელი მეცნიერების ძირითადი (და, ერთი შეხედვით, პარადოქსულობამდე მოულოდნელი) აღმოჩენა ისაა, რომ იმ პერიოდში, რომელიც უსწრებდა ინდო-არიულს, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულამდე, ამ ტრადიციის მქონე ხალხს ჰქონდა განვითარებული სიტყვიერი ხელოვნება და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასთან დაკავშირებული სპეციალური ტერმინოლოგია, რომელიც საკმაოდ კარგადაა შემონახული თვით „რიგვედის" ჰიმნებამდეც კი. ძველინდური პოეტური თეორიის მახასიათებელი შტრიხი ისაა, რომ მხატვრული ნაწარმოების შექმნა აღიწერებოდა ტექნიკური ტერმინებით, რომლებიც ისეთ ხელობებს ეკუთვნოდა, როგორიცაა ხუროობა, დურგლობა, ფეიქრობა, ქსოვა და წვნა. ვ.ივანოვის აზრით, ეს საყურადღებოა არა მხოლოდ იმ ჰიპოთეზის გამო, რომლითაც ტექნიკა პირველადია ხელოვნებასთან შედარებით, არამედ გ.შემპერის სკოლის მიერ სტილის ტექნიკური გაგების თვალსაზრისითაც (ივანოვი 1978, გვ.7). ალბათ, ისეთ გაგებას ასახავს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულშიც მწერლობას ხშირად უწოდებენ სიტყვაკაზმულს. ასევე საინტერესოა თხზულება („ნაწარმოები") სიტყვის ამოსავალი თხზვა, რაც მნიშვნელობით წვნისა და ქსოვის ფარდია. მაგალითად, გელათურ ბიბლიაში „დალალა... ნათხზენი – დაწნულ დალალს, კოწოლს ნიშნავს. იოანე პეტრიწმა ნათხზი („ნაწნავი") და ნაქუსი („ნაქსოვი") ტერმინები შეარჩია პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის ძირითადი ცნების σειρά -ს შესატყვისებად (მელიქიშვილი 1993, გვ.2C4). აქედან კარგად ჩანს, რომ თხზვა, რომლისგანაც იწარმოება თხზულება, წვნისა და ქსოვის სინონიმია. ქართულში კიდევ შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებთან და სტილთან დაკავშირებული ბევრი ისეთი ტერმინის მოძებნა, რომელიც თავისი პირვანდელი მნიშვნელობით ტექნიკურია. სხვათა შორის, იოანე პეტრიწთან ვხვდებით ტერმინ დაკაზმვასაც, რომელიც ხატოვნად გადმოსცემს სილოგიზმის აგების, დასაბუთებისთვის საჭირო ელემენტების შეწყობა-აგების სემანტიკას („დაკაზმვით საჯმართა აღმოჩენისათა") (მელიქიშვილი 1993, გვ.2C4).

შ.რუსთაველი „ლექსთა ლევასა" და „სიტყვა-მჭირობას" პოეტის ნაკლად თვლის. მისი აზრით, მოშაირეს „ლექსმან ძვირობა" არ უნდა დაუწყოს. პირიქით, დიდი გმირობის გამოჩენა მართებს, რომ „ქართული" არ შეამოკლოს. შ.ნუცუბიძის სწორი შენიშვნით, ქართული აქ უნდა ნიშნავდეს მეტყველებას, სტილს, გამოთქმის ხერხს საერთოდ. შდრ. ტკბილ-ქართული შემდეგ ტაეპში: ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი 712 (71C),I (ნუცუბიძე 1967, გვ.378-379).

შოთა რუსთაველის პოეტური თეორიის მიხედვით, „ხევა" თან სდევს „ლექსთა გრძელთა თქმას", რაც, ჩვენი ფიქრით, ვ ა რ ი რ ე ბ ა ს ანუ ინფორმაციის გაშლას უნდა ნიშნავდეს. რუსთაველის აზრით, მხოლოდ ეპიკოსია ნამდვილი მელექსე: მიშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა დ გრძელად 17,4. აქედან გამომდინარე, ვარირება და კაზმვა სწორედ ეპიკური ჟა რის ნაწარმოებთა შემოქმედის აუცილებელი უნარია. ეს ღირსება არ ახასიათებს სხვა მოშაირეებს. ვარირებითა და კაზმვით მიიღწევა „სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა" (16,2), ანუ მხატვრული ეფექტი, რომლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხდენა მხოლოდ ეპიკოსს ძალუძს. როგორც არისტოტელე ამბობდა: არ კმარა იმის ცოდნა, რა თქვა, არამედ აუცილებელია იმის ცოდნაც, როგორ თქვა. რადგან იმაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რა შთაბეჭდილებას ტოვებს ორატორი მსმენელებზე (არისტოტელე 1981, გვ.165). ეგევე ითქმის მხატვრულ ნაწარმოებზეც იმის მიუხედავად, პროზას ეკუთვნის იგი, თუ პოეზიას. ლიტერატურული ფენომენის სირთულეს განაპირობებს სწორედ ის, რომ ეფექტისა და მნიშვნელობის ცნებები მასში მთავარ როლს ასრულებენ და ეს გარემოება, როგორც ვნახეთ, რუსთაველის პოეტურ თეორიაშიც აისახა.

თანამედროვე ესთეტიკაში მხატვრული ეფექტის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი ე თ ო ს ი (éthos). ეთოსი მკითხველის აფექტური (ძლიერი განცდითი) მდგომარეობაა, რომელიც გამოწვეულია მასზე რაიმე ცნობის (ინფორმაციის) მოქმედების შედეგად. მკითხველი არ ჯერდება ხელშეუხებელი ესთეტიკური მონაცემის მიღებას, იგი რეაგირებს გარკვეულ სტიმულზე. ეს რეაგირება შეფასებასაც შეიცავს. მაშასადამე, ტექსტის აღქმის ეფექტი დამოკიდებულია როგორც სტიმულზე, ისე მიმღებზე (ჯაუსი M 1966, გვ.264).

მკითხველზე დიდ მხატვრულ ეფექტს ახდენს „ვეფხისტყაოსნის" ტროპიკა, ავტორის სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების თავისებურებანი, პოემაში განვითარებული ფილოსოფიური აზრი საერთოდ. მაგრამ პოეტიკის ამოცანაა არა შინაარსის კვლევა, რომელიც უცვლელია, არამედ გამოხატვის კვლევა, რომ გაიგოთ, რა განსხვავებაა ერთი და იმავე შინაარსის პოეტურ და არაპოეტურ ნაწარმოებს შორის (ტომენ 1966, გვ.38-39). ამჯერად დავაკვირდებით ვარირებასა და კაზმვას „ვეფხისტყაოსანში" და მისგან გამომდინარე მხატვრულ ეფექტს. ვნახავთ, რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებანი როგორაა ხორცშესხმული თავად პოემაში. ჩვენი ფიქრით, პოეტიკის იმ ნაწილის შესწავლა, რომელიც ენას უკავშირდება, სწორედ ლინგვისტურ მიდგომას მოითხოვს და, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს სხვა მეთოდების გამოყენებასაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ლექსთა გრძელთა თქმა" ინფორმაციის გაშლას უნდა ნიშნავდეს, რაც ეპიკური ნაწარმოების უმთავრესი მახასიათებელია. ინფორმაციის გაშლა ეკვივალენტობის პრინციპს ეფუძნება. პარალელიზმთან ერთად ეს პრინციპი რ.იაკობსონს ესთეტიკური ღირებულების შემცველი ყოველგვარი გამონათქვამის „იმანენტური სტრუქტურული კანონზომიერების" დონეზე აჰყავს (მ.ნათაძე 1979). იქნებ ვინმემ თქვას, - წერდა იაკობსონი - რომ მეტყველებაც იყენებს ეკვივალენტურ ერთეულებს თანმიმდევრობის შესაქმნელად, როცა სინონიმური გამონათქვამები კომბინირდება წინადადებაში, რომელიც ამტკიცებს ტოლფასოვნებას: A = A (кобыль - эта самка лошади). პოეზია და მეტყველება დიამეტრალურად უპირისპირდებიან ერთმანეთს: მეტყველებაში თანმიმდევრობა გამოიყენება ტოლობის ასაგებად მაშინ, როცა პ ო ე ზ ი ა შ ი ტ ო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ო ბ ა გ ა მ ო ი ყ ე ნ ე ბ ა თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი ს ა ს ა გ ე ბ ა დ (იაკობსონი 1975, გვ. 204). ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ სტროფის შემადგენელი ყველა წინადადება რეალობის ერთსა და იმავე ფაქტს მიემართება. ეს პრინციპი გატარებულია არა მხოლოდ სტროფის, არამედ უფრო ნაკლები დისტანციის – ერთი ან ორი ტაეპის მანძილზე.

„ვეფხისტყაოსანში“ ძალუმად იგრძნობა აღმოსავლური მეტაფორების ნაკადი. მაგალითად:

ტარიელ შეკრთა, შეინძრა რაზმი ინდოთა ტომისა,
თვალნი აახვნა, მიევა ძალი ზე წამოჯდომისა 1346.

გულწასული ტარიელის თვალების ახელა (წამწამთა შერხევა) ინდოელთა რაზმის შენძრევასთან არის შედარებული. მხატვრულ ეფექტს ანუ ეთოსს აქ განაპირობებს სემანტიკური „გადაწევა“ – ინდოთა ტომი წამწამთა ფერს აღნიშნავს, ხოლო რაზმი – მათ სიხშირეს (სიმრავლეს) და მიჯრით წყობას. რადგან ასეთი მეტაფორები პოემაში უხვადაა, მკითხველის განცდა იკლებს და იგი მხოლოდ ჩვეულებრივ პოეტურ სამკაულად აღიქმება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მიმღები რეაგირებს რა ესთეტიკურ მონაცემებზე, აფასებს კიდეც მას. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ არსებობს შეფასებათა სკალა, რომლის სიდიდეების დადგენა, როგორც ამაზე ლეუვეს უნივერსიტეტის პროფესორები მართებულად უთითებენ, ვერანაირი ზუსტი გამოთვლით ვერ ხერხდება (ჯაუდი M 1986, გვ. 278). თუმცა შეფასებითი რეაქციის შესწავლა არც არის ჩვენი საქმე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინფორმაციის გაშლა ეკვივალენტობის პრინციპით ერთი ტაეპის ფარგლებში, რაც მიიღწევა მსგავს ელემენტთა შეჯგუფებით. მსგავს ელემენტთა შეჯგუფება, თავის მხრივ, წინ – წ ა მ ო წ ე ვ ი ს ერთ-ერთი პრინციპია. პოეზიისთვის ეს ცნება რ. ლევინმა შემოიტანა. შეჯგუფება (coupling) ვგულისხმობს იმ ელემენტთა მსგავსებას, რომლებიც იკავებენ ერთ პოზიციას და ვლინდებიან ენის ყველა დონეზე (ლევინი 1964). სემანტიკის დონეზე მსგავსად ჩაითვლება ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან მნიშვნელობათა ერთობის გამო, რასაც მათი ცნებობრივი თანაფარდობა განაპირობებს. ასეთია სემანტიკური ველის, სინონიმური რიგისა და თემატური ჯგუფის შემადგენელი სიტყვები (ჩხეიძე 1993, გვ. 12). მათი შეჯგუფება ერთი ტაეპის ფარგლებში ინფორმაციის გაშლას ემსახურება და თითოეული ცალ-ცალკე ქმნის სხვადასხვა პოეტურ ხერხს, რომლებიც, თავის მხრივ, ასახავენ სემანტიკური ველის, სინონიმური რიგისა და თემატური ჯგუფის დიფერენციალურ ნიშნებს.

I) ერთი სემანტიკური ველის სიტყვათა თავმოყრა იძლევა პ ო ე ტ უ რ გ რ ა დ ა ც ი ა ს. იგი განპირობებულია იმით, რომ სიტყვათველის შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა სემანტიკური „მანძილით“ არიან ერთმანეთს დაშორებულნი. რუსთაველი აქ შემდეგ კანონზომიერებას იცავს: პირველად ბით-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვულ ან ძირითად სიტყვას იყენებს, შემდეგ კი პერიფერიულს. პერიფერიული სიტყვები ენის პოტენციაა და მწერლის მიერ მათი გამოყენება ამ სიტყვებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. პერიფერიული სიტყვების ამავე მნიშვნელობის ბირთვული ან ძირითადი ელემენტების შემდეგ ხმარება ნათელს ხდის მათ შორის „სემანტიკური მანძილის" არსებობას, ანუ ააშკარავებს მათი შინაარსების იერარქიულობას, რაც განაპირობებს პოეტური გრადაციის ეთოსს. აღნიშნული კანონზომიერება თანაბრად ვლინდება:

ა) ერთი სემანტიკური ველის სიტყვათა მიჯრით გამოყენებისას:

მაგრა მოსრული თქვენს წინა ვარ შემომხვეწლად, მქენებლად
1519

ამას იდენ მოვახსენებ მუდარით და შეპოვნებით 1489 (1490),1
ვითა შვილი დამადუმა, შემუდარა, შემეპოვა 633 (630),3

ბ) ერთი მხატვრული აზრის ორად გაშლისას:

გემუდარები, ამისთვის ვარ თქვენი შემომხვეწელი 168 (167),3
სხვას არას ვიაჯ ღმთრისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები
650 (656),4

როგორც ვ. ბოედერი იტყოდა, აქაც მჟღავნდება კლიმაქსისკენ მიდრეკილება.

2) ტაეპში სინონიმთა თავმოყრა გვაძლევს პ ო ე ტ უ რ გ ა მ ე ო რ ე ბ ა ს. იგი ასახავს სინონიმური რიგის ლინეარულობას. როცა ნაწარმოები ძველი ეპოქისაა, მოსალოდნელია ორი სახის შეცდომა: თანამედროვე მკითხველმა შეიძლება რაღაც „წაუმატოს" – არქაიზმად მიიჩნიოს ის, რაც ნაწარმოების დაწერის დროს არ იყო არქაიზმი, ან მას შეიძლება რამე „გამორჩეს", რადგან ავტორისეული ნეოლოგიზმი დღეს უკვე ჩვეულებრივ, ხშირი ხმარების სიტყვადაა ქცეული (რეფატერი 1959, გვ. 157–174).

ვაჲ, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს 718 (716),4

აქ შეცდომა მკითხველის მხრიდან გამორიცხულია, რადგან ეს რუსთველისეული ნეოლოგიზმები ჯერაც უცხოა ჩვენი ყოველდღიური მეტყველებისათვის. მათ მოცემული შინაარსის თვალსაზრისით თანაბარი ძალა აქვთ. სიტყვათა შერჩევისას შ. რუსთაველი იმ პრინციპს მისდევს, რომელსაც არისტოტელე ხაზგასმით აღნიშნავდა რიტორიკაში: „ადამიანები რასაც განიცდიან თანამოქალაქეებისა და უცხოელების მიმართ, იმასვე განიცდიან სტილშიაც, რადგან გაკვირვებას იწვევს უცხოური, ხოლო საკვირველი სასიამოვნოა" (არისტოტელე 1981; გვ. 168).

3) ერთი ტაეპის მანძილზე ინფორმაციის გაშლას (ვარირებას) ეკვივალენტობის პრინციპით ემსახურება საერთო თემატური ჯგუფის ლექსიკურ ერთეულთა თავმოყრაც; იგი პ ო ე ტ უ რ ჩ ა მ ო თ ვ ლ ა ს იძლევა:

მოეშორდი ლხინსა ყოველსა: ჩანგსა, ბარბითსა და ნასა
180 (179),4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულსა მეცა, გამიკუდდეს სიჩაუქე-სიალღენი,
ხელმან შენნი გავიკადენ სინატიფე-სიტურფენი 5С6 (5С5), 2-3

4) „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპში თანმიმდევრობის ასაგებად გამოყენებულია აგრეთვე ფრაზეოლოგიური გავრცობა. პარალელიზმის ამ სახეს ფრაზეოლოგიზმის სემანტიკური დაუშლელობა და დასახელებული საგნისა თუ მოვლენის ექსპრესიული ნიშნით დახასიათების უნარი განაპირობებს, მაგალითად:

ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა 375 (374), 4
ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე, შემიბრალე,
დამხსენ ჩემსა საწუთროსა, ღმერთსა შენსა მიავალე 574 (57I), 3-4

თავსა გარდავჰკარ, მო-ვა-ვკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა 9II (9IС), 4

თავსა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა 285 (283), 4

დამოწმებულ ტაეპებში ფრაზეოლოგიზმები - ხორცისა და სულის გაყრა, საწუთროს დახსნა, სოფლის თმობას დახსნა, მზის ბნელით ქმნა - ავრცობენ მათ წინ ნახმარი „სიცოცხლის შეწყვეტის“ გამომხატველი ზმნების შინაარსს.

5) თანმიმდევრობის აგებას ემსახურება კონკრეტული პარალელიზმი, რომლის მოდელირება ხდება არ უარყოფითი ნაწილაკით: ა) იგი ანტონიმებიდან სინონიმებს ქმნის:

გამჟღავნებასა მექადა არმოყვარულად, მტერულად I2С6, 3
სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არახალია, ძველია II75, 4
ყმამან ცხენი შეუტევა, გაამაყდა, არ შეშინდა 98С, 2

მტერი-მოყვარე, ახალი-ძველი, ამაყი-მშიშარა ანტონიმებია, მაგრამ ერთ-ერთზე არ ნაწილაკის დართვა ხსნის მათ შორის სემანტიკურ დაპირისპირებას; ბ) ტაეპის ერთ ნაწილში დადებითი ფორმით გამოთქმული აზრი მეორე ნაწილში უარყოფითად გადმოიცემა:

ამით უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მიაქიმდა 522 (5I9), 4
მაგრა გარჯილ ხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა 298 (296), 3
იგი სახლი გაანათლეს, არ ნათელი შეადამეს I549 (I54I)

კ. დონდუა მართებულად შენიშნავდა, რომ დადებითი ფორმულა უარყოფითს კი არ უპირისპირდება, არამედ დადებითი და უარყოფითი ფორმულები ერთად უწყობენ ხელს რომელიმე აზრის ან სახის ნათლად გადმოცემას (დონდუა, I975, 276).

6) ტოლობა თანმიმდევრობის ასაგებად გამოიყენება როგორც ტაეპში, ისე მთლიანად სტროფში. მაგალითად:

ამას მოსთქვამს, ცრემლსა აბნევს, ათრთოლებს და აწანწარებს,
გულ-ამოსკვნით, ოხვრა-სულთქმით მიხრის ტანსა, მიაწარებს,
საყვარლისა სიახლისა მოშორება გაამწარებს,
ვაი, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს! 7I8 (7I6).

პირველ ტაეპში გამოყენებულია ფრაზეოლოგიური გაერთობა, მეორე ტაეპში ერთი თემატური ჯგუფის კომპოზიტთა თანმიყრით იქმნება პოეტური ჩამოთვლა, იგივე ხერხი მიიღება ერთი თემატური ჯგუფის ზმნებით. მესამე ტაეპში პირველში გადმოცემული აზრია გაშლილი, ხოლო მეოთხე – პოეტური გნომაა და თან მასში გამეორებას სინონიმური ზმნები იძლევა. აშკარაა, რომ აქ ეკვივალენტობის პრინციპი ყველა დონეზეა გატარებული. პოეტური პარალელიზმის ასეთ ნათელ მაგალითს მიიჩნევდა ალ.სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსნის" ყალბ ადგილებად (სარაჯიშვილი, 1897, გვ.7-10).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხევა ანუ კაზმვა „ლექსთა გრძელთა თქმის" თანმხლებია. კაზმვაში უპირველესად რუსთველისეულ სიტყვაწარმოებას ვგულისხმობთ. ასეთი კაზმვის მაგალითია ჩვენს მიერ დამოწმებული შემო-ხვეწ-ა, შე-მუდარ-ებ-ა, სადაც მნიშვნელობის თვალსაზრისით ერთნაირი ძალის მქონე სიტყვებში ზმნისწინთა დართვას დამატებითი სემა შემოაქვს და მეტ ექსპრესიულობასაც ანიჭებს მათ. კაზმვაა აგრეთვე არ ნაწილაკის ზემოთ დასახელებულის გარდა, მრავალი სხვა ურჩეული ფუნქციით გამოყენება, მაგალითად: მისი ხმარება უქონლობის უ-პრეფიქსის, უ – ო, უ- ურ კონფიქსებისა და უკუთქმითი მიმღეობის მაწარმოებელი უ – ელ-ის რელატიურ ფარდად, ღმერთის კატაფატიკურ-აპოფატიკური მეთოდებით დახასიათებისას, ასევე კონტრადიქტორული და კონტრარული ცნებების მისაღებად. არ უარყოფითი ნაწილაკის აღნიშნულ ფუნქციებზე „ვეფხისტყაოსანში" ამჯამად ყურადღებას არ შევაჩერებთ.

ჩვენ შევეცადეთ ზოგად ხაზებში მაინც გვეჩვენებინა, რას გულისხმობდა რუსთაველი, როცა მოშაირის ღირსებად ლექსთა გრძელთა თქმასა და ხევას ასახელებდა და თავად როგორ ახორციელებდა მას.

დამოწმებული ლიტერატურის სია:

აბულაძე ი. 1973 – ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.,1973.

აბულაძე იუსტ. 1920 – იუსტ.აბულაძე, ვახტანგ მე-VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსანი"-ს რედაქციით, ტფ., 1920.

არისტოტელე 1981 – არისტოტელე, რიტორიკა, თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თ.კუკავამ, თბ., 1981.

ბაგრატიონი 1960 – თ.ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960.

ბასილაშვილი 1994 – ე.ბასილაშვილი, ხევა სიტყვის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის" მე-13 სტროფში, მოხსენება წაკითხულია თსუ-ში ჯავახიშვილის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 10.II.94.

ბერიძე 1974 – ვუკ.ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის" კომენტარი, თბ., 1974.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დონდუა 1975 - К.Дондуа, Язык Руставели, Статьи по общему и кавказскому языкознанию, Л., 1075.

იაკობსონი 1975 - Р.Якобсон, Лингвистика и поэтика, Структурализм "за" и "против", М., 1975.

ივანოვი 1979 - В.В.Иванов, Эстетическое наследие древней и средневековой Индии, Литература и культура древней и средневековой Индии, М., 1979.

ინგოროყვა 1963 - პ.ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ.I, თბ., 1963.

იმნაიშვილი 1975 - ი.იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975.

კიკნაძე 1992 - ი.კიკნაძე, ხევ/ხივ ფუძის ერთი მნიშვნელობისა და „მესახიენის" დაზუსტებისათვის, საქ.მეცნ.აკად. „მაცნე" (ე/ლ), №3, თბ., 1992.

მარი 1910 - Н.Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава, С-Пб., 1910.

მელიქიშვილი 1993 - დ.მელიქიშვილი, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ზოგიერთი პრინციპი და ფილოსოფიურ ტერმინთა სისტემატიზაცია გელათის სკოლაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეათე, თბ., 1993.

ნათაძე 1979 - მ.ნათაძე, პოეტიკა და ლინგვოსტილისტიკა, საქ.სსრ.მეცნ.აკად. „მაცნე" (ე/ლ), №2, თბ., 1979.

ნუცუბიძე 1967 - Ш.Нуцубидзе, Руставели и восточный ренесанс, Тб., 1967.

რიფატერი 1959 -

სარაჯიშვილი 1897 - ალ.სარაჯიშვილი, „ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები, ჟურნ. „მოამბე", №V, 1897.

სარჯველაძე 1990 - ზ.სარჯველაძე, ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, მოხსენება წაკითხულია თსუ-ში ა.შანიძის 103-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1990 წელს, თბის. მოხსენებათა პროგრამა.

საქმე მოციქულთა 1950 - საქმე მოციქულთა - ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი.აბულაძემ, თბ., 1950.

ქოპენ 1966 -

ჩხეიძე 1993 - მ.ჩხეიძე, ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა, თბ., 1993.

ჭილაია 1984 - ს.ჭილაია, რ.ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984.

ჯგუფი 1986 - Ж.Дюбуа, Ф.Эделин, Ж.-М.Клинкенберг, Ф.Мэнге, Ф.Пир. А.Тринон, Общая риторика, М., 1986.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიტა კობალაძე

სტილისტიკური დაკვირვებები
(სულხან-საბა ორბელიანის ენა)

„ჟანრი მჭიდროდ არის დაკავშირებული ენასთან“ (ვ.შკლოვსკი, 1936, გვ.138). ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილია სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის, რომელიც სტილზე დაკვირვებისა და განზოგადების შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. მისი სამი თხზულება: „სწავლანი“, „სიბრძნე სიცრუისა“ და „ევროპაში მოგზაურობა“ სხვადასხვა ჟანრს განეკუთვნება. „სწავლანი“ ჰომილეტიკის ნიმუშია, „სიბრძნე სიცრუისა“ იგავარაკული ჟანრის თხზულებაა, ხოლო „ევროპაში მოგზაურობა“ დღიურია. ამ თხზულებათა ენობრივი (გრამატიკული) ანალიზით ირკვევა, რომ მათ საერთო ენობრივი ფონი აქვთ. სამივესათვის დამახასიათებელია გრამატიკულ მოვლენათა პარალელიზმი, ანუ ძველი, ახალი და სასაუბრო ქართულის ელემენტების ერთდროულად ხმარება (მ.კობალაძე, 1971, გვ.226). სამივე თხზულებაში არის არქაიზმები. ამ მხრივ „სწავლანსა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ შეხების წერტილები საკმაოდ აქვთ. თუმცა არის ძველი ქართულის მთელი რიგი გრამატიკული თავისებურებებისა, რომლებიც მხოლოდ „სწავლანისათვის“ არის დამახასიათებელი (მ.კობალაძე, 1972, გვ.102), არც იცის გარდამავალი პერიოდის ქართულმა და არც „სიბრძნე სიცრუისაში“ გვხედება. მათი მეშვეობით, ცხადია, სხვა თავისებურებებთან ერთად ქმნის სულხან-საბა ორბელიანი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ილუზიას, თუმცა არც ერთ თავისებურებას არ იცავს ბოლომდე. არ იცავს, რადგანაც მას მხოლოდ შთაბეჭდილების შექმნა სჭირდება და არა ძველი ქართულის აღდგენა, რაც, ცხადია, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე შეუძლებელი იყო (ივ.გიგინეიშვილი, 1959, გვ.36). ასე რომ გრამატიკულ მოვლენათა არქაიზაცია „სწავლანში“ უნდა განვიხილოთ როგორც სტილური ხერხი, როგორც სათქმელისა და შერჩეული ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლობა.

არქაიზაციისადმი მიდრეკილებას ავლენს საბა „სიბრძნე სიცრუისაშიც“. მაგრამ აქ მისი მიზანი სრულიად სხვაა. თუ „სწავლანში“ არქაიზაციით ძველი ქართული სამწერლობო ენის (resp. სასულიერო მწერლობის სტილის) იმიტაციას ახდენს, „სიბრძნე სიცრუისაში“ მისი მეშვეობით სალიტერატურო ენას სასაუბრო მეტყველებისაგან განასხვავებს და მოძალებულ პარალელურ ფორმათაგან მის გაწმენდას ისახავს მიზნად (ივ.გიგინეიშვილი, 1959, გვ.38). აქედან გამომდინარე, გრამატიკულ მოვლენათა არქაიზაცია „სიბრძნე სიცრუისაში“ საბას ენობრივი პოლიტიკის შედეგია და არა სტილური ხერხი.

რაც შეეხება „ევროპაში მოგზაურობას“, მისთვის არ არის დამახასიათებელი არქაული ენობრივი მოვლენები. ის, რაც დღევანდელი გადასახედიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქაულად მოჩანს, ბუნებრივი და ორდინარული იყო საბას დროინდელი ქართულისათვის. მის ამ თხზულებაში იშვიათად თუ გამოკრთება სპეციფიკური ძველქართული ფორმები. როგორც ჩანს, კლასიკურ სასულიერო და საერო მწერლობაზე აღზრდილი მწერალი ვერ ღალატობდა ჩვეულებას და დროდადრო გამოურევდა მათ. ამიტომ არის, რომ მოთხრობით ბრუნვაში – მან ფორმანტი რამდენიმე ფუძით არის შეზღუდული. ესენია: ეპისკოპოსმან (მოგზ. 238), განდგომილმან (მოგზ. 156), ღმერთმან (მოგზ. 241). სამივე სიტყვა საეკლესიო ცხოვრებას უკავშირდება და მათი ძველი ქართულისებურად გაფორმება ალბათ ამით არის გამოწვეული. ერთადერთი გამონაკლისია დედაკაცმან (მოგზ. 195). აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვათაგან ორი პარალელური ფორმები არის წარმოდგენილი: ეპისკოპოსმა (მოგზ. 197) და ღმერთმა (მოგზ.174).

სტატიკური ვნებითები, როგორც წესი, ახალ დაბოლოებას მისდევენ. ერთადერთია უპყრიეს (მოგზ. 162), რაც საერთო სურათზე, რა თქმა უნდა, ზეგავლენას ვერ მოახდენს.

სამაგიეროდ ძირითადად გაუფორმებელია პირის სახელთა სახელობით-მოთხრობითი. მაგალითად: ეს ალიბეგ ხვალ კონსტანტინეპოლეს მივა (მოგზ. 244); მერმე მეფე ბაქარ დაჯდა მეფედ (მოგზ. 145); მარიამ სად ძე მიაწვინა ბაგაში (მოგზ. 173); დილაზე ალიბეგ ცხენები გვიქირავა (მოგზ. 244).

საკმაოდ ხშირია I და II ხოლმეობითის ფორმები. მაგალითად: რიგით გამოვიდიან და მსახურებდიან (მოგზ. 219); ვისი გაწუწვა უნდოდის, გაწუწის (მოგზ. 213). იქნებ იმიტომ, რომ ამ მოვლენებს საბას დროს სასაუბრო ენაში ჰქონდათ საფუძველი.

ეს არის და ქ. სხვა მხრივ „ევროპაში მოგზაურობა" წარმოაჩენს საბასდროინდელ სასაუბრო ქართულს, სრულიად შეულამაზებელს, შეიძლება „მდაბიურს", მაგრამ უაღრესად საინტერესოსა და საყურადღებოს.

ამრიგად, გრამატიკულ მოვლენათა არქაიზაცია, როგორც სტილური ხერხი, მხოლოდ „სწავლანისათვის" არის დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ ქადაგებათა ენის არქაიზაციისას საბა მხოლოდ გრამატიკული მოვლენებით როდი იფარგლება. აქ არქაულია აზრის გაფორმების მანერა და თხზულების სინტაქსური სტრუქტურა, რადგანაც სტილის თავისებურების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სწორედ სინტაქსია. იგულისხმება სინტაქსურ კონსტრუქციათა შერჩევა და განლაგება. საბა სწორედ სინტაქსით ქმნის სასულიერო მწერლობის სტილისათვის დამახასიათებელ განწყობილებას. იგი ქადაგებისას უმთავრესად რთულსა და ზერთულ კონსტრუქციებს მიმართავს, ამასთან, ფართოდ იყენებს კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების ძველქართულ მარაგს. იხ. ორიოდე ტიპური კონტექსტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეგრეთვე თავი შენი იხილე წინაშე ღმრთისა მდგომარე, რამეთუ სათხოვარი გაქვს ღმერთსა თანა, რათა ამა წუთისა სოფელსა მშვიდობით, სიმრთელით და სიმდიდრით წარვლო და ცხოვრება საუკუნო დაიმარხო და მას თანა სუფევდე. ხოლო შენ ესე სათხოველი უგულებელსგიყოფიეს და რაოდენსა ზრახავ და იწვრთი“ (სწ., 32).

„მოვრწყოთ კალონი იგი, სადა განილეწებიან გუამნი ჩვენნი ცრემლითა, რათა ხვავი იგი ხვარბალთა არა შეიმწიკვლოს, და განვანიავნეთ ბზენი იგი ქარითა სულთქმისაჲთა, რათა დასაწველი რაჲმე არა მიჰყვეს თანა, ოდეს მივიხმევთ იფქლთა ჩვენთა საუნჯეთა შინა ქრისტესთა, რათა არა სირცხვილეულნი გვიხილნეს ზედა მდგომარეთა მათ ჩვენთა, რომლისაგან დაგვეთესა იფქლნი იგი წმიდათა ქადაგებათა მისთანი, რათა სიხარულითა აღვსებულნი მიგვიყვანნეს სამსჯავროსა მას საშინელსა და ჩვენ, მადლითა მისითა სავსენი, უშიშრად მოველოდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და დაუსრულებელსა ნეტარებასა უკუნითი უკუნისამდე“ (სწ., 187).

„სწავლანში“ მწერალი ვირტუოზულად მოიხმარს ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ ფიგურებსაც (ა.კობალაძე, 1971, გვ. 279), რომლებიც ექსპრესიულობით გამოირჩევიან და მსმენელზე (resp. მკითხველზე) ზემოქმედების დიდი ძალა აქვთ, რაც ქადაგებისათვის აუცილებელია. „სწავლანის“ სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე რიტმულობა და ფიქსირებული ფორმის გამეორება, რასაც საბა ბრწყინვალედ ფლობს როგორც ბგერწერის, ისე ნებისმიერ სხვა დონეზე. იხ. ნიმუშები:

„მოვითმინნეთ ჟამნი მოსათმენელნი, რათა არა ძნელსა მას და უთმინოთა მოსათმენელისა მოთმენად შევიქმნეთ“ (სწ., 113).

„ეს ქრისტე, უცხოდ დამდაბლებული, უცხოდ შობილი, უცხოდ მკვდარი, უცხოდ აღდგომილი, უცხოდ ამაღლებული, უცხოდაც მოვალს მეორედ მოსლვასა მას დიდსა დღესა განკითხვისასა“ (სწ., 99).

„გინება აღაშფოთებს გონებას კაცთასა; გინება მიუღებს საცნობელსა ბრძენთასა; გინება მოამზადებს ცემად ჴელთა ყვრიმალთათჳს და შეჰკრავს მჯიღთა ქედთა და ღაწვთათვის; გინება მიმუხვავს ტრჩხილთა და თითთა მოფხვრად თმათა და მოგლეჯად წვერთა; გინება განმართებს მკლავთა და მოჰმზადებს დაკვრად კვერთხთა; გინება განლესს ჴრმალთა და წამახვავს ლახვართა; გინება დასთხევს სისხლთა და იქმს კაცთა წყლვასა და სიკვდილსა“ (სწ., 122).

მკვეთრად გამოვლენილი სტილური თავისებურებებით გამოირჩევა სულხან-საბა ორბელიანის შედევრი „სიბრძნე-სიცრუისა“, რომელიც ე.წ. „ჩარჩოს“ პრინციპით არის აგებული. მწერალი „ჩარჩოს“ მეშვეობით კრავს თემითა და იდეით, აგრეთვე წარმომავლობით სრულიად განსხვავებულ მასალას: იგავ-არაკებს, ზღაპრებს, ამბებს, გამოცანებსა თუ ანეკდოტებს და ქმნის მაღალი ხელოვნებით გამორჩეულ თხზულებას. ეს მასალა სტილურ თავისებურებათა მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყებით ხასიათდება (დ.გეწაძე, 1974, გვ.123-127). სპეციფიკურია „ჩარჩოს“ სტილიც (მ.კობალაძე, 1976, გვ.85-85). მაგრამ „ჩარჩოსა“ და იგავ-არაკების სტილს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ზმნურ ფორმათა მრავალფეროვნება, რაც თხრობის სილაღესა და დინამიკურობას განაპირობებს, „სიბრძნე სიცრუისას“ სტილისათვის საზოგადოდ არის ნიშანდობლივი. იხ. ნიმუშები.

„ჩარჩო“:

არა, ჯერეთ მოწყალებისა ქარითა მრისხანებისა ღველფი განაბნივე და სიტკბოსა წყლითა მისი ალი დაშრიტე და მერმე მეტყოდე (სიბრძ., 29); კაცის გული ვიწრო და განაყოფი განაყოფის ქიშპი იქმნების და ცხადად სიკეთეს არ უჩამს. მერმე სასახელო საქმე მალვითა სჯობს და ღმერთიცა უფროსად შეუწირავს. კაცმან შენზე სამსახური ქმნას, იკვეხდეს და ზვაობდეს - გეწყინება (სიბრძ., 53); შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე. ჩემი ვერა შეგასმინე რა (სიბრძ., 136).

იგავ-არაკები:

დიაცს იამა, სწრაფით მივიდა, ილოცა, გამობრუნდა, ალაპი და სუდარა გაუმზადა და თქმას დაუწყინდა (სიბრძ., 131); ქუდი თავს დაირქვა, სასანთლე უბესა ჩაიდვა, მაშია ჩაიცვა, ფერხი მიწასა ჰკრა (სიბრძ., 100); შემიპყრეს, დამაბეს. ორთავ ას-ასი არგანი მკრეს (სიბრძ., 93); მალვით წავიდა, ერთი ბაროსანი კაცი თან წაიტანა, საფლავი მოიხარა, კაცი ამოიღო (სიბრძ., 90); კარგა დამხედნენ. გამათბეს, მალხინეს, გამაბედნიერეს (სიბრძ., 94).

ზოგი იგავ-არაკი მთლიანად ან მისი ცალკეული პასაჟი თავისი აგებულებით პერიოდს მოგვაგონებს. იგი ერთგვაროვანი კონსტრუქციებით იგება და რიტორიკული შეკითხვით, სხარტი სენტენციით ან შემაჯამებელი ფრაზით სრულდება, რაც „ჩარჩოს“ სინტაქსური სტრუქტურისთვისაც არის დამახასიათებელი.

იგავ-არაკები:

ნალბანდი მგელი

ერთი მგელი მოუხდა ვირსა. შეჭმას ლამობდა. ვირმა უთხრა: ვიცი, შემჭამ. ეს ანდერძი ამისრულე: ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამომიღეო. მგელმან პირი მიჰყო, უნდა ამოელო. ვირმა წიხლი ჰკრა. კბილები ჩაამტვრია მგელსა. ვირი ველარ შეჭამა. მგელმან თქვა: მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო (სიბრძ., 46).

უგუნური მცურავი

მცურავი ერთი მიჰქონდა წყალსა. თქვა: ღმერთო, მიშველეო! მერე ამხანაგმა უთხრა: ხელი გააქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნახოთ და ვპოვოთ (სიბრძ., I4).

ცხრა დღე განუსვენა. დღე ყოველ უმჯობესსა სახლსა დასმიდის. მჯობი და უძვირფასესი ჭურჭელი მოიღის. უმხიარულე ნადიმი დაუდვის და ყოველივე უძღვნის.

უკვირდა მეფესა დიდება და უხვობა მის კაცისა (სიბრძ., 9).

აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე რიტორიკული შეკითხვით – აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე! – სრულდება იგავთა ციკლი „უნაღვლოთა მძებნელი" (სიბრძ., 36-38), რაც პერიოდსაც აჯამებს და იგავებში ფიქსირებული ფორმის გამეორების ტენდენციასაც ავლენს.

„ჩარჩო":

ოდეს ცნეს ჭაბუკთა ნადირობად გასვლა მეფისა, ეგოდენი ჯარი შეიყარა, მიწასაემძიმებოდა და მოხუცებულნი ყრმათაებრ ხლდებოდენ: გვემცალირსათ სიახლესა მეფისასა სლვა. და ყრმანი ხანდაზმულებრ იქცეოდნენ: თუცა მეფისა ბრძანება გვეწიოსო. ესრეთ შეფრფინვა იყო (სიბრძ., I6).

და ჰყვა ვაზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილ იყო; ჭკუითა ხმელთა სიგრძე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო, ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის დიცართა გამოეწერა; ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნებდის. და იყო სახელი ვაზირისა მის სედრაქ (სიბრძ., 7).

„ჩარჩოს" სტილისათვის დამახასიათებელია რიტმულობა და ფიქსირებული ფორმის გამეორება. ასეთ ეფექტს იძლევა ერთი ტიპის ფრაზეზისა და წინადადებების გამეორება და ზოგჯერ მარცვალთა რაოდენობის შეთანაზომიერებაც კი, რაც პროზაულ ტექსტს ლექსთან აახლოებს (გ.კიკნაძე, 1957, გვ.559). იხ. ნიმუშები:

მისი შიშიდა ზარი ესრეთ განფენილიყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხისა ტეხისა უსაზარლესად მიაჩნდათ. მისი სიტკბო და ალერსი ესრეთ შეეტკბოთ, ჩჩვილთა წულთაებრ სძისა და ძუძუთა უსაყვარლესად მიაჩნდათ (სიბრძ., 7); სამნი ესეთნი მგოსანნი ქალნი უძღვნნა, ვერც თვალი უკეკლუცესსა ნახევდა და ვერც ყური უამესსა ისმენდა (სიბრძ., 9); ქარი ხელითა არ დაიჭირვის და თვალსა ზარმაცი ვერ მიეწევის (სიბრძ., I2); მამამან შვილი შვას ესეთი და მზრდელმან აღზარდოს მსგავსი ამისი: სიმდაბლით თხოვილი, წყალობით შოვილი და ჩვენებით ნახული, სიბრძნით დასახული ლეონ (სიბრძ., 66); არაკად თქმულა: პატრონსა შენსჲა უყვარდეს გველი, შენგან ბესა ჩასმასა ველი (სიბრძ., 59).

რიტმულობა და ფიქსირებული ფორმის გამეორება იგავ-არაკებისთვისაც არის დამახასიათებელი. რიტმის შეგრძნებას იწვევს, მაგალითად, თხრობაში დაახლოებით თანაბარმარცვლიანი ზმნური ფორმების ჩართვა და მოქმედების ტემპის დაჩქარება. მაგალითად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურე წესი იყო კაცისა მის: სადაცა ვის უცხოსა ნახევდის, თვისსა მოიყვანის, აბანის, შემოსის, გაასვენის, საზოძვარი მისცის და განუტევის (სიბრძ., 8); აქიმმან რა ყველაყა შეიგნა, დედ-მამას აღარ აჩვენა, საგებელი გამოაცალა, მცირე ჩალა დაუფინა, მიწაზე დააწვინა, წამალი აღარ უყო (სიბრძ., 9C).

რიტმულია სხვადასხვა სახის ელიპტირებული კონსტრუქციებიც. აქაც საგრძნობია ფრაზების შეთანაზომიერების ტენდენცია:

გაჰხადა ერთი – კაცი ჯდა, მეორე გაჰხადა – მეორე ჯდა (სიბრძ., I04); მან თავისი ქილისა უთხრა და მან – მისი ჯორის ამბავი (სიბრძ., I2C); წლის მოსავლისა მკითხა, ბატისა ვუთხარ (სიბრძ., ICI); დერხი მიწასა ჰკრა: ინდოეთს მივიდეო (სიბრძ., ICC); ცოლმა დამიშალა: მაგ ვირს ნუ წაიყვანო (სიბრძ., 98).

ფიქსირებული ფორმის გამეორების ტენდენციის გამოხატულებად გვესახება იგავების ერთი და იმავე, ან მიმსგავსებული ფრაზებით (წინადადებებით) დაწყება: იყო მეფე ერთი... (სიბრძ., I4I); იყო მაგისტროსი ერთი... (სიბრძ., I2C); იყო ბურსას დიდებული ერთი... (სიბრძ., I45); იყო ერთი მეფე, მოსამართლე, მოწყალე და მდიდარი ურიცხვი (სიბრძ., I47); იყო ერთი მეფე, სახელოვანი, მოწყალე და ძლიერი (სიბრძ., I49); ერთი კაცი იყო საბრალო და მართალი (სიბრძ., I3C)... და სხვ. იგავ-არაკისა თუ სხვა მასალის ასე დაწყება ზღაპრის ასოციაციას იწვევს, ერთგვარად ამზადებს მკითხველს და მას სასურველ განწყობილებას უქმნის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ სტილისტიკური ანალიზი, ამა თუ იმ სტილური ხერხის დახასიათება არ უნდა იქცეს თვითმიზნად, იგი არ უნდა დასცილდეს საბას გენიალურ ქმნილებას როგორც ერთ მთლიანს (ეს ეხება ყველა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის მქონე მწერლის შემოქმედებას). ნებისმიერი სტილური ხერხი (იგულისხმება ენის ნებისმიერი დონე: ფონეტიკური მოვლენები, გრამატიკული თავისებურებები, მეტყველების სინტაქსური ორგანიზაცია, დიალექტიზმები, ლექსიკა თავისი ამოუწურავი შესაძლებლობებით) თავისთავად არაფერია, „მოუხმარებელი სიმდიდრეა“. მისი ამოქმედება ხდება იმ ამოცანის შესაბამისად, რომელიც მწერლის წინაშე დგას, გამომდინარე სათქმელისა და მისი რეალიზებისათვის შერჩეული ჟანრის სპეციფიკიდან. ეს კარგად ჩანს "სიბრძნე სიცრუისაში": მწერლის ამოცანა განსხვავებულია ე.წ. „ჩარჩოსა“ და იგავ-არაკებში. „ჩარჩოში“ თხრობის (მეტყველების) ორგანიზაცია ხდება გარემოსა და სიტუაციის შესაბამისად: სამეფო კარი, ხელმწიფე, ვეზირები, უფლისწული და მისი აღმზრდელი, რომელთაც თავისი პოზიციისა და შეხედულებების დასაბუთება უხდებათ. აქედან მომდინარეობს, ერთი მხრით, ვრცელი, ხატოვანი, სინტაქსურად რთული პასაჟები, მაგალითად:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამბადებელიმცა შენი დიდებულ არს, სვემცა შენი ბედითურთ ამაღლებულ არს, სახელიმცა შენი ნუ დაილევის! შენის სიმაღლით მდაბლის გულითგან ჰბრძანებ, თვარა მე შენსა პირისპირ ჭვრეტასაც არა ღირს ვარ, არა თუ ეგეთსა წყალობასა. მე თუკა შენი მოწყალე ბრძანება მესმიან, ყოველთა დიდებათა უდიდესად მიჩანს (სიბრძ., 7I).

ავის კაცისაგან წახდენაც სირცხვილია კაცისა და გაკეთებაცა, თვარამ კარგის კაცისაგან კარგი სჭირს თუ ავი, ორივ სახელია, ამად რომე, თუ ავი არა ხარ, ავს კაცს რად მოირევ, და თუ უარესი არა ხარ, რად შეეხვეწები. ეგრევე, თუ კარგი ხარ, კარგს გიზამს. კარგისაგან კარგი გამოვა და მას იქმს და თუ ავს გიზამს, სიკეთე, ჭკუა და ძალი – სამივ შენზე მეტი ექმნება და მოირევა (სიბრძ., 72).

და, მეორე მხრით, კონკრეტული, დაწურული დარიგებებისა თუ შეგონებების წყება. მაგალითად:

სედრაქი – საჭურისსა სამნი საქმენი მართებან. პირველად: მხევლებრივ მორცხვობა; მეორედ: ავთა ენათა შენახვა; მესამედ: პატრონის ხვაშიადის დაკრძალვა (სიბრძ., IC); ჯუმბერი – ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირიან. პირველად: კარგის ნერგის ხილი ვარ; მეორედ: ხელოვანის მებაღის შეწვრთილი; მესამედ: ღრთხილის შემნახავის ზარებული (სიბრძ., 58); ლეონი – მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა; მეფეთაგან სამს დაიმაღლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა; მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა... (სიბრძ., 4I); რუქა – ძეო მეფისაო! ესე არაკი ამად მოგახსენე: მას ვეფხუით მრჩევლებს ნუ წაარჩობ, უგვანს ნუ დაენდობი, გაუსინჯავად საქმეს ნუ იქმ, თვარა ბოლოს დაინანებ (სიბრძ., 63).

იგავ-არაკებსა და სხვა მასალაში კი მწერალი სხვა ამოცანის წინაშე დგას. ჟანრის სპეციფიკა სხარტ, დინამიკურ თხრობას მოითხოვს და საბა კვლავ თავის სიმაღლეზე დგას: ზმნა-შემასმენლების სიმრავლე, როგორც რთული, ასევე მარტივი, მაგრამ წევრებით მინიმალურად დატვირთული წინადადებები, მოკლე კითხვა-მიგებანი დიალოგებში მას ჩინებულ მთხრობელად წარმოაჩენენ. იხ. ორიოდე ნიმუში:

პურის პურით ჭამა

ოთხნი ძმანი ვიყავით ცოლიანები. შემომწადგა ცოლი ჩემი და ეგრე მეწყოდა: თუკა შენ ძმათა გაეყრები, ესეთი დიაცი ვარ, პურს პურით გაჭმეო. დღე და ღამე არ მომასვენა. რა ძმას გავეყარე, ვუთხარ: პურით პურის ჭამა რა არს, მაჭამე – მეთქი. შექმნა კორკოტი, წინ დამიდგა, პურიც ხელთ მომცა: აჰა, პური პურით ჭამეო. ჯალაბნი მომძულდენ და გავეყარე (ს.ს.86).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრმა ავაზი

ავაზი მყვა, მამისაგან დანარჩომი, რომე ნადირი ვერ გარდაეხვეწის. სენიანობით თვალები დაუბრმავდა. დავღონდი და ვეღარა ვუწამლე რა. მიმძიმდა მისი წახდენა. მისთანა აღარ იშოებოდა. ერთმან კაცმან მითხრა: მაგას თავსა ზედა კატა დააკარ და ნადირს ადევნე. კატა ნახავს და ავაზა შეიპყრობს. ეგრე ვქმენ და ვეღარას ღონით ნადირი ვეღარ გარდაეხვეწა. (სიბრძ., 96).

რაც შეეხება „ევროპაში მოგზაურობას", ამ შემთხვევაში ძნელია ვირაიმე ვისაუბროთ სტილური ხერხების წინასწარ შერჩევაზე, თუმცა სათქმელი აქაც განსაზღვრავს თხრობის სპეციფიკას (მ.კობალაძე, 1977, გვ.34).

საბა საფრანგეთიდან იტალიაში გადავიდა. იგი თითქმის ყოველდღე ინიშნავს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. მისი ჩანაწერები მოგვაგონებს იგავ-არაკების სწრაფსა და დინამიკურ სტილს, თუმცა იგი აშკარად დაუმუშავებელია. იხ. ნიმუში:

უ დეკემბერს წამოვედით მალთადამ. გრამასტროს დიდი კატარღა ებოძა ჩვენის ხომალდის გასატანად, ამისთვის რომ, ნავსაყუდლიდამ თუ ხომალდს ასე არ გასწიეს და ზღვამდი არ შეიტანეს, თუ ქარი არა სცემს, ვერ გავა. ქარი სრულობით თავათ ჩვენი არ იყო. მერმე ნავსაყუდელით არ გაისვლებოდა. ორასი კაცი იქნებოდა ნიჩბის მწეველი. გაგვიყვანეს. გავედით, ვიარეთ და ვერ ვიარეთ. იმ ღამეს სრულებით დავრჩით ცუდად (მოგზ., 239).

საბას იტალიაში ყოფნისას მოუხდა ქალაქების, მონასტრებისა და სასახლეების, ბაღებისა და პარკების დათვალიერება. იგი სკურპულოზურად აღწერს ნახულს და დინამიკური თხრობა აქ სტატიკური სურათით იცვლება. მცირდება ზმნური ფორმები. იზრდება ერთგვარი ქვემდებარეებისა და ერთგვარი დამატებების რაოდენობა. ჩნდება სახელდებითი წინადადებები. მრავლდება განკერძოებანი. იხ. რამდენიმე ნიმუში:

ვნახე: სკივრები, ფერადი იამანები და თვალები, ხილის მსგავსად დათლილი, სხალი, ვაშლი, ყურძენი, გაპობილი ბროწეული, ქლიავი, ბალი თავეთის ფოთლით, შტოდ შეწყობილი (მოგზ., 217);

სნეულებს ისინი მსახურებდენ და სასწავლოსაც ასწავლიდენ: წიგნსა, ფილოსოფოსობასა, აქიმობასა, ჯარაობასა, სიმ[illegible]ბლესა, სნეულთ მოვლასა, წამლის კეთებასა, მზარეულობასა და მის რიგებსა, რაც იქ სამსახური. თორმეტი კაფუჩინი, ექვს-ექვსი, უძილოდ გაუკრელად [illegible], ზიარება, ნუგეშინის ცემა, მოთმინება. ამას ასწავლიდენ და უქადაგებდენ (მოგზ., 219).

ორი გზა ერთად შეიყრება. შუაზე ორი ეკლესიაა. ორივ ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ შიგნით, გარეთ უცხოდ და საკვირველად აშენებული. წინ გრძელი მინდორი. მთელი ქვისა მაღალი პირამიდი და კაი შადრევნები. დიდი უცხუსაყრელი ადგილია ქალაქის კარზე (მოგზ., 184).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის სამი თხზულების სტილზე დაკვირვება ერთხელ კიდევ ნათელყოფს სტილის უშუალო კავშირს ჟანრთან, თხრობის მანერის მომდინარეობას სათქმელის სპეციფიკიდან. ამასთან, აშკარა ხდება, რომ მწერალი გასაოცრად გრძნობდა „სიტყვის მადლს, სხვებისაგან დაფარულ მის სიღრმისეულ ფეთქვას, პირველყოფილ სურნელს“ (ბ.ჯორბენაძე, 1987, გვ.235). სწორედ ენისა და სტილის გასაოცარ გრძნობასა და ალღოს უნდა უმადლოდეს ქართული მწერლობა სულხან-საბა ორბელიანის სამი დიდებული თხზულების: „სწავლანის“, „სიბრძნე სიცრუისას“ და „ევროპაში მოგზაურობის“ არსებობას.

დამოწმებული ლიტერატურა

დ.გეწაძე, 1974 – დ.გეწაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ და „ევროპაში მოგზაურობის“ ზოგიერთი სტილური ნიშანი, თსუ შრომები, 6-7 (151-152), 1974.

ივ.გიგინეიშვილი, 1959 – ივ.გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, 1959.

გ.კიკნაძე, 1957 – გ.კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957

მ.კობალაძე, 1971 – სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის საკითხები, I, საკანდიდატო დისერტაცია, 1971.

მ.კობალაძე, 1972 – მ.კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ ენისათვის, თსუ შრომები, 142, 1972.

მ.კობალაძე, 1972 – მ.კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ სტილის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, №1.

მ.კობალაძე, 1976 – მ.კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ სტილის შესწავლისათვის, თსუ შრომები, 1974, 1976.

მ.კობალაძე, 1977 – მ.კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის თხრობის მანერის თავისებურებათა შესახებ.

ვ.შკლოვსკი, 1936 – Шкловский В., Материал и стиль в романе Льва Толстого "Война и Мир", изд. Федерация, 1936.

ბ.ჯორბენაძე, 1987 – ბ.ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბილისი, 1987.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოკლებანი

სწ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ.3, სწავლანი, 1963.
სიბრძ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ.I, სიბრძნე სიცრუისა, 1959.
მოგზ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ.I, მოგზაურობა ევროპაში, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე კოშორიძე

გამეორება გიორგი ლეონიძის პროზაში

ერთ-ერთი პირველი ნარკვევი, რომელიც მიეძღვნა გიორგი ლეონიძის პროზის იდეურ-მხატვრულსა და ენობრივ-სტილისტიკურ დახასიათებას, დაიბეჭდა სათაურით „პოეტური მოთხრობა" (ზ.ჭუმბურიძე, 1962). ეს სათაური სხარტად და ზედმიწევნით გამოხატავს ამ მოთხრობის („დაგვიანებული სადღეგრძელო", იგივე „ღვინჯუა"), და არა მარტო ამ მოთხრობის, გიორგი ლეონიძის პროზის მთავარ თვისებას – მის პოეტურობას: გიორგი ლეონიძე პროზაშიც პოეტად დარჩა. იგი „პოეტური ხედვის შემოქმედი იყო", შინაგანი ალღოთი გრძნობდა „სიტყვის მადლს, სხვებისგან დაფარულ მის სიღრმისეულ ფეთქვას, პირველყოფილ სურნელს" (ბ.ჯორბენაძე, 1987, გვ.235); ამიტომაცაა ასე „მძლავრი" და „მაძღარი" მისი სიტყვა (გ.ლეონიძე,1990, გვ.9-10).

გ.ლეონიძის მხატვრული პროზის ძირითადი ნიშანია მეტაფორულობაა, სახეებით აზროვნება, აგრეთვე – პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლიზება და პერსონიფიცირება, კონტრასტები და გამეორების ხერხი, რიტმი და რითმაც კი.

ამჯერად მხოლოდ გ.ლეონიძის პროზის ერთ სტილისტიკურ ხერხს – გამეორებას შევეხებით.

• • •

გამეორება მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაა (მ.მორენი, ნ.ტეტერევნიკოვა, 1960, გვ.277). მხატვრულ ლიტერატურაში მას ექსპრესიულობის გასაძლიერებლად მიმართავენ. გრიგოლ კიკნაძე ამ ხერხს „ფიქსირებული ფორმის გამეორებას" უწოდებს. მისი აზრით, ერთხელ უკვე აღებული ფორმა ამა თუ იმ სახით მეორდება, ანდა განაგრძობს არსებობას მომდევნო სიტყვიერ ფორმაში და ეს „შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ფიქსირებული ფორმის გამეორება" (გ.კიკნაძე, 1957, გვ.40). იგი ენის ბუნებრივ ტენდენციადაა მიჩნეული, აღნიშნულია ისიც, რომ პოეტები მას საგანგებოდ ამძაფრებენ, რათა გარკვეულ მიზანს უკეთ მიაღწიონ, ე.ი. ამ ტენდენციას აკისრებენ მხატვრული ხერხის ფუნქციას.

გ.ლეონიძის ენაში ენობრივი გამეორების თითქმის ყველა შემთხვევა დასტურდება: ბგერითი (ალიტერაცია, ასონანსი, რითმა), მორფოლოგიური (მორფემების გამეორება), ლექსიკური (ანაფორა, ეპიფორა, ანადიპლოზისი...) და სინტაქსური (სინტაქსური პარალელიზმი) (ა.ჭილაია, რ.ჭილაია, 1994, გვ.54).

ძნელად მოიძებნება ფრაზა, რომლის შინაგან რიტმსაც არ არეგულირებდეს ალიტერაცია ან ასონანსი. ხშირია ამგვარი ნიმუშები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უქნელი საქმე ქნა გარსიამ...I83,I2; წვიმის წვეთები ცრემლებივით ცვიოდა...I97,3; ტკბილად, ნეტარყურობით მიეძინებოდა...I52,32; იორი იყო ჩემი ემბაზი და ასპარეზი – საბანაო, სათევზაო...I7,36.

მსგავს ბგერათა გამეორების შედეგად ფრაზები რიტმულია და კეთილხმოვანი, ზოგჯერ – გარითმულიც:

უყვარდა ჭმეულობა, სმეულობა...240,26; მახსოვს სიონობა ჩვენს სოფელში – დღეობა და ღრეობა...I9I,2I; ათასფერი კაბა ბრიალებდა, ფრიალებდა...8,I3; გუგუნებდა სუფრა, ღუღუნებდა ბუხარი...III,9.

ტენდენცია ფიქსირებული ფორმისა არაიშვიათია დიალოგებშიც. ბიჭები ეკამათებიან ერთმანეთს:

–ეგ იყო შენი ნაბჭობი, თავძერავ!

– აი, სად მოგვიყვანა შენმა სიბრძნემ, თავქარავ!

– ნუმცარავ!

– წინამასწარავ!.. 245,I4 და ა.შ.

გამეორებული მარცვლები უმეტესად მორფოლოგიური ელემენტებია: პრეფიქსები, სუფიქსები ან აფიქსებია. ამას უწოდებენ სწორედ მორფოლოგიურ გამეორებას.

გამეორებულია -იან სუფიქსიანი (ქონების) სახელები:

რიყიანი და ხმიანი იორი მასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას...5,30; ვერცხლულა იორი მიმღეროდა ამ სიტყვებს: ვენახებიანი, ხილნარიანი, ბარდნარ-ჭალებიანი, ჯალ[illegible]იან-შამბნარიანი...5,23.

ბოლო მაგალითის შინაგან რიტმს, მის ექსპრესიულობას ისიც აძლიერებს, რომ -იან სუფიქსი კრებითობის -ნარ მაწარმოებლით წარმოქმნილ სიტყვებს დაერთვის, ან -ებ-იან მრავლობითში დასმულ სახელებს. -ნარ მაწარმოებელი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ შემთხვევაში სინარნარის გამო (ნ, რ).

ექსპრესიულობა ძლიერდება, როდესაც რამდენიმე მაწარმოებელი მეორდება.

მსგავსი ნიმუშები სხვაც ბევრია. მაგალითად:

ჩვენს შარაზე მიდი-მოდიან წარსულის აჩრდილები: ჩითისკაბიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭიანები, ქალამნებიანი...9,32; უიმედონი, უსასონი ერთმანეთს შევსცქეროდით...235,30.

გამოერებულია უ- პრეფიქსითა და უ–ო აფიქსით ნაწარმოები სიტყვები – უქონლობის სახელები და უარყოფითი მიმღეობები, შესაბამისად – მიმღეობათა მაწარმოებლებიც:

აი, შე უტოლო, უებრო...248,4; უმამულო, უსარჩო ელიოზი...I2,36; მარიტასავით უყოლელი, უქონელი, უმამულო...I90,33; უყოლელი, უქონელი, უპოვარი, უბარაქო გლეხები...I00,7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხშირადაა გამეორებული წინა ვითარების ნა-ევ, ნა-არ (ნა-ალ) აფიქსებით ნაწარმოები სახელები და ნა- პრეფიქსიანი მიმღეობები:

რა უნდა წამოსცდენოდაახეტსა და ოლოლოს, თუ არა ნადარბაზევი, ნაპალატევი, ნაქალაქარი, ნაკოშკარი, ნა[illegible]ჯები, ნალეწები... 211,18; ნათბილარი, ნალვინარი სად შეამჩნევდა? 125,34; მეცოდება ჩემი სამშობლო – საქართველო ნაქარალი, ნაქორალი... 204,19.

ერთმანეთის მიყოლებით გამეორებულია:

ა) -ობა/-ება მაწარმოებლიანი აბსტრაქტული სახელები.

მოკლე სადღეგრძელოები იცოდა: მშვიდობა, მზეგრძელობა, კარგად ყოფნა, შვილიანობა, ვაჟით ვაჟიანობა, პურიანობა, ღვინიანობა, საქონლის გამრავლება, ხეხილის მსხმოიარობა...162,14.

ბ) მსგავსი წარმოების მიმღეობები

მუდამ მჩქროლავი მთრთოლავი ტოროლას მხრებივით...6,33; მიდიოდა პურუშმელი, დაბეგვილი, მოთუთქული, დაქოლვილი, ნაწამები...37,4; ...მწარედ ცოდვილო, გაქსუებულო, საქართველოს დამშლელო, დამაქცეველო...215,4.

უკანასკნელ მაგალითში ექსპრესიულობა გაძლიერებულია იმითაც, რომ ყველა მიმღეობა გაფორმებულია წოდებითის -ო ნიშნით, როგორც მიმართვის ფორმა.

შეიძლება გამეორდეს სხვა აფიქსებიც, მაგალითად: ბრუნვის ნიშანი, რიცხვის ნიშანი, თანდებული და ა.შ.

ისევ იპენტებიან ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ყვავილები...9,30; შემოდიოდა სველ-სველი ხელადები, ჩარექები, საღვინე გოზაურები. ივსებოდა ღიცლიცით ჯამები, ჯიხვები... 113,29; ეს სიტყვები იმ ლურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაჩოგარეულ ჯეჯილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბოებითა და იდუმალებით...5,19.

უფრო რიტმული და მუსიკალურია ფრაზა, როდესაც მეორდება ზმნისწინები, რამდენადაც ისინი, როგორც თავკიდური ელემენტები, მახვილიან მარცვლებს წარმოადგენენ.

მიმღეობებში ზმნისწინთა გამეორებას ერწყმის მაწარმოებელი სუფიქსების გამეორებაც:

დაბრუნდა შინ ჩორეხი: მოტეხილი, მობერებული, მომჩვარული... 216,28; ფრიალოზე ჩამოკიდებული, ჩამოხავსებული ციხე...98,8.

კიდევ უფრო სახიერია ზმნისწინთა გამეორება პირიან ზმნებში:

იმ ზვირთმა დიდი ხანია ჩაიქროლა, ჩაიგრიალა...7,5; ნაკვერჩხალმა მოსუსხა, მოსწვა, მოთუთქა პატარძლის მზეტანი...111,25;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქორიცით შემოცარლა, შემობრაკუნდა დაუპატიჟებელი ქათათა... 11,27; ...დაამხე, დაწვი, დაანარცხე ჩემი მტერი...34,24; გაგვძარცვა, გაგვლოკა, გაგვატიალა...150,15.

უკანასკნელ მაგალითში ალიტერაციას აძლიერებს ობიექტური პირის გვ-პრეფიქსის გამეორება. სხვაგან გამეორებულია სუფიქსები; მესამე სუბიექტური პირისა და მწკრივის ნიშნები. ამასთან თითქმის ყველა ზმნა აქტიურია, ლექსიკურად წონადი, ე.ი. ექსპრესიულია თავისი სემანტიკითაც.

ზოგჯერ მეორდება გვარისა და ქცევის მაწარმოებლები. მაგალითად:

მდინარეს ესართებიან, ქაფშეტყორცნით ეკვესებიან...149,33; თვითოეული წვეთი მე გულს მიღარავს, გულს მიტეხს...212,5.

წმინდა მორფოლოგიურ გამეორებასთან ერთად, ყურადღებას იქცევს ლექსიკურ-მორფოლოგიური გამეორება, კერძოდ, იდენტურ ან მსგავსფუძიან სიტყვათა გამეორება ერთმანეთის გვერდით. მაგალითად:

შესამჩნევი ბიჭი იყო... რჩეულებში ამორჩეული...190,33; ვარჩიე, ამოგარჩიე, მირონს ნუ დამიშერო...89,8; სკოკრლობდეს პირტკბილი და პურტკბილი...249,5.

ასეთივე წარმოებისაა – თავძერა და თავქარა...245,14.

სწორედ ვარდს ეგავდი – ალქალას, ოქროქალას...29,34.

ზოგჯერ ერთმანეთის გვერდითაა დახვავებული მსგავსი წარმოების კომპოზიტები:

... რამდენი ენაც კი არსებობს ქვეყანაზე სულ აქ იყო შენაჯგუფარი: ენამძლე, ენაგესლი, ენაქლარჩი, ენამორბედი, ენამუხლადი, ენამწარე, ენაწყალნაყია, ენაქუხილი, ენამახვილი, ორენა... 27,24; ენატლეკია, ენაშრიშინა...27,29.

ლექსიკური გამეორების ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ქართულიდან ცნობილი პარონომაზიული სიტყვათშეხამებანი, საღაც რიტმის საფუძველი სიტყვის ფუძის ან ძირის გამეორება-მსგავსებაა. მაგალითად:

გზნებით აღივზნებოდა...207,11; ღრმა ძილით სძინავს...219,12; გაუგონარი სიძულვილით სძულდა...154,22.

გათიშული პარონომაზიული გამოთქმა უფრო ექსპრესიულია მსგავსად გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულისა (შ.აფრიდონიძე, 1988, 94):

მოჰყივის ველური ყივილით...149,24; ეს დღე მიყვარდა ბუნების დიდი სიყვარულით...8,1.

კიდევ უფრო ხშირია არა ცალ-ცალკე ძირისა და ფუძის, არამედ მთელი სიტყვის გამეორება. ივარაუდება ასეთი შემთხვევები:

პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე...14,30; ჩემო სპეტაკო შროშანავ, ჩემო ბამბისქულავ! რად გინდა მზითევი, შენი მზითევი შენი აბრეშუმივით...თმებია! შენი მზითევი შენი იისფერი თვალებია! 189,9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმეორებული სიტყვა ან მოსდევს მის შემცველ სიტყვათშეხამებას, ან წინ უსწრებს მას. მისი მიზანია ლოგიკურად მნიშვნელოვანი სიტყვის წარმოჩენა, რომელიც, ჩვეულებრივ, შემასმენლის წინ დგას.

გ.ლეონიძესთან გამეორებული სიტყვა უმეტესად მოსდევს მის შემცველ სიტყვათშეხამებას. მაგალითად:

> მალე გაიგონებთ მომავლის ხმას, მალე...205,9; რად დაჩუმებულა საქართველოს წიაღი, რად? 205,14; სამახარობლოდ მოდი, სამახარობლოდ...78,7; ჭამპურას გაუმარჯოს, ჭამპურას...249,10; თაყამ იცოდა ვინ მოჰყავდა თამადად, იცოდა...91,5.

განსაკუთრებით საინტერესოა ზედსართავ სახელთა პოსტპოზიციური გამეორება:

> დიდი ოღლადაღვრილი, დიდი...206,5; მდიდარი იყო, მდიდარი, სიმდიდრეშეუზომელი, შეუწონელი...31,36.

ამ მაგალითებში ზედსართავი სახელი გამეორებით უფროობითი ხარისხის შინაარსს იძენს, ხოლო ბოლო მაგალითში ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ზედსართაული ძირის შემცველი კომპოზიტის დართვა, რომლის მნიშვნელობაც დაზუსტებულია სინონიმით (სიმდიდრეშეუზომელი, შეუწონელი).

ცალკე უნდა აღინიშნოს ზმნის გამეორება, რამდენადაც დინამიკურობა და რიტმი უმეტესად მასთანაა დაკავშირებული:

> ჭამე, ჭამე, ვჭამოთ, ჭიანჭველაც კი თავის მუცლისთვის იბრძვის...40,34; მოვალ, მოვალ, ხელადას ძირს არ დავცემ... 241,35.

ერთი სიტყვით გათიშულ გამეორებულ სიტყვებს შორის ყველაზე ხშირად მიმართვა გვხვდება. ეს ბუნებრივი ტენდენციაა: „ლოგიკური მახვილის მქონე სიტყვებს შორის საჭიროა მინიმუმ ერთი სიტყვა მაინც, როგორც პაუზა“ (შ.აფრიდონიძე, 1986, გვ.96).

> ყოჩაღ, ძმაო ლევინჯო, ყოჩაღ! 127,19; ეგრე ვეფხვო, ეგრე იბობოქრე...150,20.

ამგვარ შემთხვევებში გამეორებული სიტყვები ძირითადად ზმნებია:

> დაიცათ, ვაქებო, დაიცათ...246,21; გაიცინე, ვენაცვალე, გაიცინე 132,8; გამარჯობათ, მეგობრებო, მეზობლებო, გამარჯობათ! 8,36.

ხშირად პირველი წინადადების პირველი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი ანაფორულად მეორდება. უმეტესად გამეორებულია ზმნები:

> იცოდა, რომ ურცხვად იყო დატარუქრებული! იცოდა, ათასებდა, უფრთხილდებოდა...186,4; ავარდა სიყვარულის ალი! ავარდა და აგიზგიზდა! 193,31; მიყვარს ცეცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმდინარა ალნაკადი, მიყვარს მისი გულის ავსებულობა! 184,8

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იშვიათად მსგავს პოზიციაში შეიძლება გამეორდეს სხვა მეტყველების ნაწილიც:

ქვეყანა უპატრონო ნუ გგონიათ, ქვეყანას ვიღაცა პატრონობს ...178,22; დიდება კეთილსურნელოვანსა ქინძსა შენსა... დიდება დანაყილსა ნიგოზსა შენსა...237,31.

სხვა შემთხვევაში მეორდება ბოლოკიდური შემასმენელი და ლოგიკური მახვილიც მას მოუდის:

თუ ზაფხულის სიცხეში ტვინი არ აგვიდუღეთ, ისე ზამთარში ქვაბი არ აგვიდუღდებაო...22,16; ამ ნაჩუქარ დიდებულ განძს თავისი ზნეობითაც უვლიდა, ნაზად და სათუთად უვლიდა...186,3; ვინ იცის, ახლა ვიდან ხედავს ჩემს წანწალს და გული სტკივა. ვიცი, რომ ულმერთოდ სტკივა...25,32.

ამგვარი ეპიფორული გამეორება ამკვეთრებს შემასმენლის მნიშვნელობას, რომელიც ხშირად დაზუსტებულია ზმნისართული სემანტიკის მქონე სიტყვებით (აქ: ნაზად, სათუთად, ულმერთოდ).

ზოგჯერ მომდევნო წინადადება იწყება იმ სიტყვით ან შესიტყვებით, რომლითაც მთავრდება წინამავალი წინადადება. ასეთი პაუზიანი გამეორება თითქოს თხრობის უწყვეტ ხაზს ქმნის, კრავს ამბავს, ჯაჭვურად გადაებმება ერთმანეთს სიტყვები და ზოგჯერ შესიტყვებებიც, რომლებიც უფრო რეალიზებულია ლოგიკური სენტენციების სახით მოწოდებულ თხრობაში (შ.აფრიდონიძე, 1989, გვ.63).

ემუდარებოდა თაყა თამადას... თამადას კი გული მოსდიოდა ...116,21; თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვი[illegible]. შემოვიდა და შემოეფინა...186,32; შესჩიოდა მეზობელი გლეხი ალტაცებულ იორამს. იორამს კი თვ ლი ვერ მოეშორებინა აზვირთებული მდინარისათვის...150,15.

ამგვარი გამეორება – ანადიპლოზისი – გ.ლეონიძის მეტყველებას ქართული ზღაპრის სტილთან აახლოებს (თ.უთურგაიძე, დ.ჩხუბიანიშვილი, ჯ.გიუნაშვილი, 1979, გვ.91,18).

ქართულ ლიტერატურაში ამგვარი სტილი დამახასიათებელია ილიასთვის (შ.აფრიდონიძე, 1989) და მ.ჯავახიშვილის პროზისათვის (ზ.ჭუმბურიძე, 1962, გვ.92), ხოლო თანამედროვეთაგან – რ.ინანიშვილისა (ე.კოშორიძე, 1981) და თ.ბიბილურისათვის (ე.კოშორიძე, 1991).

მსგავსი შემთხვევაა, როდესაც შერწყმული წინადადების შუაში მდგარი შემასმენლის პაუზიანი გამეორება გვაქვს:

მარიტას მშვენების სამზერად საგანგებოდ მოდიოდნენ მეზობელ სოფლებიდან, მოდიოდნენ და უყურებდნენ...185,18; დიდხანს ელოდა დიდი მოლოდინით დეიდა მაიკო თავის შვილს, ელოდა და დარდით დანაღვლიანებული, შავსახადშეყრილი ვახტანგს ზედ გადაჰყვა...144,26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ წინადადება შემასმენლით ბოლოვდება. მომდევნო წინადადება კი, როგორც წესი, იწყება შემასმენლის წინ მდგომი სიტყვით, რომელიც აქტიურდება, რადგანაც ლოგიკური მახვილი მოუდის. ამიტომ ლოგიკურ-ინტონაციური თვალსაზრისით მის გამეორებას მეტი ძალა ენიჭება (ს.გორგაძე, 1915, გვ.37). მაგალითად:

ძაბა თეკენას წაავდექით თავზე, ბექობზე გამოვსულიყავით. ბექობზე კი გზა შეგვიწყდა...232,7; შემთხვევითი მუშტი მოხვდა გოგრაში. მუშტმა მთლად გამოაფხიზლა...121,28; ნახევარი გამოსცალა და თაყას მიაწოდა. თაყამ ჭურჭელს ძირი მოუშრალა...118,1.

გამეორებულ შემასმენლებს ხშირად და კავშირი აერთიანებს, ამგვარი კონსტრუქციები უფრო ექსპრესიულია, როცა წინადადების თავში გვხვდება, მაგრამ გ.ლეონიძის ენაში მათი ადგილი თავისუფალია: გვხვდება წინადადების თავშიც, ბოლოშიც, შუაშიც:

მოსთქვამდა და მოსთქვამდა...204,23; და მოვყევით და მოვყევით ამბები ჭამპურას მადის შესახებ...238,12,

მაგრამ:

თოვლმა განა ჩამოიკლო, ბარდნიდა და ბარდნიდა, თუმცა ქარი ჰაერში ატრიალებდა...126,22; მოხრეკილს, მტვრიან ეზოში მიწიდან სცემდა და სცემდა ტფეთქებული შადრევნები...229,20

ან კიდევ:

გახარებულმა ქარიშხალმა სამპირად წამოუშინა და წამოუშინა ...128,10.

ზმნა-შემასმენლების ამგვარ გამეორებას მრავალგზისობის შინაარსი შემოაქვს და ხელს უწყობს თხრობის დინამიკურობას. ამასთან, ამგვარი კონსტრუქციები ქართული ზღაპრის მკვიდრ ასოციაციებს ქმნიან, როგორც საუბრო მეტყველების წიაღიდან შემოსული სინტაქსური კონსტრუქციები (ე.კოშორიძე, 1981, გვ.33; დ.ჩხუბიანიშვილი, 1991, გვ.119).

გამეორების მხატვრულ დატვირთვას, მის ექსპრესიულობას კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს სინტაქსური გამეორება.

სინტაქსურ გამეორებათა ერთ-ერთი შემთხვევაა განკერძოებულ სიტყვათა გამეორება. გ.ლეონიძის სტილისათვის დამახასიათებელია მიმართვის გამეორება:

ვაი, მამულო, ნაჭირნახულევო, სისხლით შეღებილო, აკლებულო, დამწვარო, ტყექმნილო, იავარქმნილო, ვაი-ბნელბედო, ვაი, მამულო, ...მდებულო! 204,23; ღმერთო, შენი მაქვს იმედი! ფეხზე ააყენე ჩვენი მამული, ჩვენი შემაძრწუნებელი ისტორია, მოგვეც განახლების ძალთა ღონიერება! ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი მტერი ქართველთმყლაპია! 204,35.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრაზები, სადაც მიმართვა მეორდება, მოდალურად ერთგვარია, რამეთუ თავისი წვლილი შეაქვს მსგავსი წარმოების ზედსართავებსა და მიმღეობებს, და ეს მოდალური ერთგვარობა ამ ფრაზათა სინონიმურ ერთიანობას განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მაგალითის ბოლო წინადადება წინამავლის მიმართ აზრობრივად კონტრასტულია, არ ეთიშება ამ ერთიანობას მოდალური ერთგვარობის გამო. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს კომპოზიციურ პარალელიზმთან (ა.ჭილაია, რ.ჭილაია, 1986, გვ.18).

გ.ლეონიძესთან სინტაქსური პარალელიზმი სხვა ენობრივი ხერხებითაცაა გამოხატული. კერძოდ, შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრებია დაწყვილებული, რაც ექსპრესიას კიდევ უფრო აძლიერებს, ვინაიდან ექსპრესიულობა თვით შერწყმული წინადადების ბუნებაშია. ვგულისხმობთ შემდეგ ნიმუშებს:

> რა უნანებლად დასტოვეთ აკვანი და ჯარა, ბოსტანი და თონე, ვენახი და მინდორი! 9,23
>
> ან კიდევ:
>
> ეტყობოდა სციოდა და სტკიოდა, სცხელოდა და იგმირებოდა... 197,23.

საკმაოდ ხშირად ერთი ან მეტი წინადადების შემდეგ ფრაზა მეორდება. გამეორების ამ ხერხს პოეზიაში სტროფულ პარალელიზმს უწოდებენ (ა.ჭილაია, რ.ჭილაია, 1984, გვ.233). ამგვარად გამეორებული ფრაზები განწყობილების სტაბილიზაციას ემსახურება. მაგალითად:

> უცხადებულესად ვხედავდით ყოველივეს. ლუკმა დაგვემოვნდა პირში. მაინც არ გვჯეროდა. ვფატრავდით, ვგლეჯდით დედალს, პირს ვიტენიდით, მაინც არ გვჯეროდა: ღვინით გულს ვიგრილებდით. მაინც არ გვჯეროდა. 146,26; მე ხომ ის პატარა ბიჭი ვარ, იისფერთვალება, ყვითელქოჩორა, ლოყატკრეცილი, თქვენს შორის რომ დავრბოდი! მე ისა ვარ, თქვენს კერაზე რომ ვიჯექი, თქვენი გუთნის საყვარის უღელზე... მე ისა ვარ წიგნებს რომ გიკითხავდით, თქვენგან რომ ვიწერდი შაირებს, გამოცანებს, სიმღერებს: 9,1.

განწყობილების სტაბილურობას ემსახურება ერთმანეთის მიმსგავსებული სინტაქსური კონსტრუქციების გამეორებაც, მაგრამ ზოგჯერ არა ერთმანეთის მიყოლებით, არამედ საკმაოდ დაცილებით – აბზაცებში. ამგვარი კონსტრუქციები სინტაქსურ პარალელიზმს ქმნიან ვრცელ პასაჟებში, რითაც განამტკიცებენ სათქმელის აზრობრივ მთლიანობას.

მაგალითად:

> – ამოდით, ამოდით ჩემსას, აივანზე. ნუ გერიდებათ! ამოდით აჩრდილებო, თამამად და თქვენი მძლავრი სიტყვით მომიყევით ყველაფერი...9,9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

–ამოდით, ამოდით, მეზობლებო, მეგობრებო! ვიცი აღარ ხართ, მაგრამ როდი წარეცხილხართ ჩემი გულიდან, ისევ მეცნაურებით ...9,15

– ამოდით, ამოდით, ჩემთან, აივანზე, მეგობრებო, მომაგონეთ, შთამაგონეთ! 9,35.

ეს სტილისტიკური ხერხია გამოყენებული „ჩორესშიც“, სადაც სამჯერ მეორდება ერთგვარი განწყობილების გამომხატველი წინადადება (რომ არ ევალა ზირაქ მღვდელს გორგასლის ქვისათვის). წინადადებათა გამეორება ადასტურებს, ამკვეთრებს იმ ობიექტურ რეალობას, რომ:

„სოფლის ამაოებაში გართული ზირაქ მღვდელი მეტად მიწიერი ადამიანი იყო, თუმცა სულის მხედრობას ეკუთვნოდა. მას წირვა-ლოცვისთვის არ ევალა, ერთგულად მუშაობდა თავის საოჯახო საქმეებზე და სხვასაც ამუშავებდა თავის გასამდიდრებლად.

სად ევალა გორგასლის ქვისათვის? – ჰყავდა მოჯამაგირეები, მწყემსები, მეღორეები, ჰქონდა საკუთარი წისქვილი, ჰ ავდა ცხვრისა და ღორის ფარები, ვაჭრობდა ტყით, ჯონჯოლით, თაფლით, სანთლით, პურით, ღვინით, სინდისით... ფულს ასესხებდა დიდი სარგებლით, ჰყავდა საყვარლები და ჩუმჩუმადვე კიდეც მაჭანკლობდა.

აბა, ასეთ მრუკლედ კაცს სად ევალა გორგასლის ქვაზე საოცნებოდ? გვ.215

და მესამედაც, საკმაოდ მოზრდილი პასაჟის შემდეგ, მეორდება:

აბა მითხარით, სად ევალა ზირაქ მღვდელს გორგასლის ქვისათვის ...248,20 – რითაც მწერალი ერთხელ კიდევ განამტკიცებს სათქმელის აზრობრივ მთლიანობას.

ასეთი მიმსგავსებული კონსტრუქციები, სინტაქსური პარალელიზმის ნიმუშები, ხშირად გვხვდება დიალოგებში. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „თაღრია“:

ცოლი მიმართავს ქმარს:

–ადე, კაცო, ადე! გეყოფა, ძილუავ, არ გამოცხვი ძილითა? 213,35

წევს თაღრია და თან ფიქრობს თვალდახუჭული:

– ავდგე, თორემ ვაზით დაგრაგნილი ზვარი არ მელოდეს...22,4

– ავდგე, თორემ გამართული გუთანი არ მიცდიდეს, შებმული ურემი, ცხვრის ფარა...22,8

– ავდგე, თორემ მამა-პაპის ზედაშე არ მელოდეს..22,11.

წარმოდგენილ დიალოგში მოპაექრის შეტევაც სინტაქსური პარალელიზმის ხერხით აგებული წინადადებებია, თუმცა თვით თაღრიას პასუხებში შემდეგ უკვე დარღვეულია ტენდენცია ფიქსირებული ფორმისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ადე, თავხმელო, ყისკარი გადავიდა!

– ადე, მთელი ქვეყანა სარჩოთი აივსო, – არა ცხრებოდა ყოლი, თუმცა ჯერ მხოლოდ ყისკრის ყიალი კრთოდა ცაზე.

– შე ძუძუნაწყვეტო, რას მისძარ-მოსწარი ხმელეთი? დედამიწა შეიზნიქა შენი წყვირილით.

– ადექი, შე დავერხანა, მარტო ამ ჩვენი დერეფნის მერცხლისა მრცხვენია, რას იტყვის ჩვენს სიდარიბეზე.

– ადე, საცაა მზე ამოვიდა!

მაშინ კი იფეთქებდა თაღრია, თითქოს კლდემ გახუვლაო.

– დედაკაცო მე ვინ ვგდივარ, მზეს ავუსწრო! ჯერ მზე უნდა ამობრძანდეს, მერე მე ავეთრიო.

ეტყობა ამ ყოველის შემძლე დასაბუთებას ვეღარ უძლებდა თოთოლა და ისიც მცირე ხნით თავს მიანებებდა ქმარს, რომელიც ახლა საამო ნეტარყუჩობაში წავიდოდა.

მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისევ დაიწყებოდა:

– ადე, შე გასაცივებელო! გვ.22.

ძალიან ხშირად წინადადებები ორი-სამი გვერდის შემდეგაც კი მეორდება, რომელთა ფუნქცია მხოლოდ განწყობილების სტაბილიზაციით არ ამოიწურება. მათ სხვა მხატვრული დატვირთვაც გააჩნიათ. კერძოდ, გამეორებული პასაჟების გამთიშველი ნაწილი გამეორებული ფრაზების მიმართ აზრობრივად კონტრასტულია.

მაგალითად, მოთხრობა „სოფლის შარაზე“, რომლის თხრობის ქსოვილი სინტაქსური პარალელიზმის მხატვრულ ხერხს ეფუძნება, ასე იწყება:

შუადღის სიცხე ანთია სოფელში. სიჩუმეს მხოლოდ ჭრიჭინობელას დამღლელი ჭრიჭინი არღვევს... გზას სძინავს...146

და ამ სიჩუმეში, როცა „გზას სძინავს“, იორამის სიტყვით, „მიწის ქვეშიდან ხმა ისმის!“ „მოდის გუგუნით, ჭექით, ძლიერებით მოდის...“. ისმის „გაცოფებული მღელვარება, დღუმა, ნიაღვრის როხი, ჰაერშიც თოფის წამლის სუნი ტრიალებს“ 148,35; 149, 6-10.

სწორედ ამ სიტყვების შემდეგ მეორდება მოთხრობის დასაწყისში ოდნავი ცვლილებებით:

შუადის სიცხე ანთია სოფელში და სიჩუმეს მხოლოდ ჭრიჭინობელას დამღლელი ჭრიჭინი არღვევს...149,11.

ამგვარი გამეორებით ავტორი კონტრასტის ხერხს მიმართავს. მარჯვედ უპირისპირებს ერთმანეთს ობიექტურ რეალობას (ირგვლივ სიჩუმეა!) და პერსონაჟის მიერ აღქმულ სამყაროს (ირგვლივ გაცოფებული მღელვარება, დღუმა და ნიაღვრის როხია!) და პერსონაჟის სულიერი დაძაბულობა მკითხველს ბუნებრივად გადაეცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე რომ, გამეორებული წინადადების მხატვრული ფუნქცია სწორედ პერსონაჟის დრამატული განწყობილების ჩვენებაა.

როგორც ჩანს, მწერლებს აქვთ გარკვეული საკვანძო ფრაზები, რომელთა საშუალებითაც პერსონაჟის ხასიათს თუ განწყობილებას გამოკვეთენ (ე.კოშორიძე, 1981, გვ.35). ამ მხრივ განსაკუთრებით სანიმუშოა დასახელებული მოთხრობის ერთი ადგილი:

> შემდგომის წვიმა სცრის ერთფეროვანი დაჟინებით... წინ არაფრის სიხარული, არავითარი სიახლის მოლოდინი. ირგვლივ გუბე და მდორე ცხოვრება. ჩამპალი ჭაობი: დაგუბებული ჰაერი! რა გააღვიძებს, თუ არა ყუმბარა ამ უჩქეფო - უხალისო, უსიცოცხლო ყოფას?
> წვიმა კი სცრის...სცრის...სცრის...
> იორამი მზად არის გარეთ გავარდეს და თმაში ხელშეტაცებულმა იყვიროს:
> - მიშველეთ, მიშველეთ!
> და... აქეთ იორამი, იქით - ნისლივით უმოძრაო და უქმი ცხოვრება. არც ერთი თანამგრძნობელი! ერთადერთი ღვიძლი ძმა, ისიც მისი აზრების მოწინააღმდეგე!
> განა ყუმბარა ცოტა არ არის ასეთი დაგუბებული აზრებისათვის?
> -ო, რა საზიზღარია სილარიბე...ჭაობი...მიბრეცილი ქოხები... მობრეცილი ტვინი...რამ გააჩინა ასეთი ცხოვრება?
> ... მოთმინებიდან გამოსული იორამი... ულონოდ მიესვენებოდა დუქნის შელაქავებულ კედელს, მზად იყო თმაში ხელი ეტაცნა და ეყვირა:
> - მიშველეთ!
> - მიშველეთ!
> გარეთ ისევ ჟინჟღლავდა, ჟინჟღლავდა უიმედოდ, გულისგამაწვრილებლად - ღამის წვიმასა და ღრუბელს ქვეყანა გადაებნელებინა...155-156.

პერსონაჟის დრამატული განწყობილების გამოსაკვეთად აქ საინტერესოა პერიოდულად გამეორებული ფრაზები. ერთი მხრივ:

> იორამი მზად არის გარეთ გავარდეს და თმაში ხელშეტაცებულმა იყვიროს:
> - მიშველეთ, მიშველეთ!

და, მეორე მხრივ:

> რა გააღვიძებს, თუ არა ყუმბარა ამ უჩქეფო-უხალისო, უსიცოცხლო ყოფას?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ამ ფრაზათა გამეორება კიდევ უფრო ნათლად უჩვენებს, რომ იორამის „სულის მწყობრი დაირღვა".

პერსონაჟის სულიერ დაძაბულობას ამძაფრებს ცხოვრების ერთფეროვნება, გაყინულობა, ჭაობი და სიღატაკე. ა, რაც მთავარია, უიმედობა:

წინ არაფრის სიხარული, არავითარი სიახლის მოლოდინი,
სიყვარულიც დაემსხვრა და ქვეყანა მისთვის ჯოჯოხეთად
იქცა... გვ.I54.

ერთფეროვანი სინამდვილის განცდას ძალზე პოეტურად, მეტაფორულად, სინტაქსური პარალელიზმის მომარჯვებით ამკვეთრებს მწერალი პერიოდულად გამეორებული წინადადებით. კერძოდ:

შემოდგომის წვიმა სცრის ერთფეროვანი დაჟინებით...
წვიმა კი სცრის...სცრის...სცრის...

ერთი გვერდის შემდეგ ირღვევა ტენდენცია ფიქსირებული ფორმისა, იცვლება რიტმიც (შდრ.: სცრის...სცრის...სცრის... და ჟინჟღლავდა, ჟინჟღლავდა) და კიდევ უფრო მძიმდება განწყობილება, არ უჩანს პირი გამოდარებას, იმედს, სიკეთეს...

ეს იგრძნობა რიტმითაც და სიტყვითაც:

გარეთ ისევ ჟინჟღლავდა, ჟინჟღლავდა უიმედოდ, გულისგამაწვრილებლად, გასაწყალებლად – ღამის წვიმასა და ღრუბელს ქვეყანა გადაებნელებინა, გვ.I56,2I.

ფიქსირებული ფორმის ამგვარ დარღვევასაც თავისი სტილისტური დანიშნულება აქვს. იგი, უწინარეს ყოვლისა, ანელებს ერთფეროვნებას, შთაბეჭდილებას, რაც შეიძლება გამოიწვიოს ერთნაირი სიტყვების, შესიტყვებათა და წინადადებათა გამეორებამ.

გ.ლეონიძის პროზის ენაში ამგვარ გამეორებათა ფაქტი იმას მოწმობს, რომ პროზაულ ნაწარმოებთა შინაგან სტილისტიკურ ფაქტორსაც – მსგავსად პოეზიის ენისა (გ.კიკნაძე, I957, გვ.269-3I2) – შეადგენს სწორედ ანაფორულობა, რომლის „შინაარსი ნაწარმოებთა სტილისტური ანალიზისას მხოლოდ ზედაპირზე მოტივტივე საწყის სიტყვათა თუ გამოთქმათა უბრალო განმეორებით არ შეიძლება იქნეს შემოფარგლული" (გ.კიკნაძე, I957, გვ.284).

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ამ მხატვრული ხერხის – გამეორების – ფუნქციათა ჩვენებაა. ჩვენ შევეცადეთ ეს ფუნქციები გზადაგზა წარმოგვეჩინა.

ამრიგად, გამეორება გ.ლეონიძის ენაში სხვადასხვა ენობრივ დონეზე რეალიზდება: მეორდება ბგერები, მარცვლები, მორფემები, ძირები, ფუძეები, სიტყვები, წინადადებები და პერიოდები. ამგვარ გამეორებათა შედეგია, რომ ფრაზის მუსიკალობა და რიტმის დინამიკურობა არსებითი ნიშანია გ.ლეონიძის პოეტური მეტყველებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, გამეორება არეგულირებს განწყობილების სტაბილურობას, აძლიერებს შთაბეჭდილებას, განამტკიცებს სათქმელის აზრობრივ მთლიანობას და სხვადასხვა მხატვრული ხერხების მომარჯვებით - მაგალითად, ინვერსიებით - ზოგჯერ პერსონაჟის დრამატული განწყობილების გამოვლენასაც ემსახურება.

ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ „გ.ლეონიძის შემოქმედებაში ჭარბად იგრძნობა ხალხური ინტონაციები" (ბ.ჯორბენაძე, 1987, გვ.248).

დამოწმებული ლიტერატურა

შ.აფრიდონიძე, 1986 - შ.აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი, 1986.

შ.აფრიდონიძე, 1989 - შ.აფრიდონიძე, ილია ჭავჭავაძის სტილისათვის, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IX, 1989.

ს.გორგაძე, 1915 - ს.გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა, თბილისი, 1915.

გ.კიკნაძე, 1981 - გ.კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957.

ე.კოშორიძე, 1981 - ე.კოშორიძე, რ.ინანიშვილის ენის ზოგიერთი თავისებურება, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები", IV, 1981.

ე.კოშორიძე, 1991 - ე.კოშორიძე, თამაზ ბიბილურის „წელიწადის დრონი" (ენობრივი სტილისტიკური ანალიზი, წაკითხულია მოხსენებად 1991 წელს 21 ივნისს აკად. ვ.თოფურიას 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე).

გ.ლეონიძე, 1990 - გ.ლეონიძე, „ნატვრის ხე", თბილისი, 1990.

მ.მორენი, ნ.ტეტერნიკოვა, 1960 - Морен М.К., Тетерникова Н.Н., "Стилистика французского языка", М., 1960.

თ.უთურგაიძე, 1979 - თ.უთურგაიძე, დ.ჩხუბიანიშვილი, ჯ.გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXI, 1979.

დ.ჩხუბიანიშვილი, 1991 - დ.ჩხუბიანიშვილი, გამეორება დიალექტურ მეტყველებაში, „დიალექტოლოგიური კრებული", თბილისი, 1991.

ა.ჭილაია, 1984 - ა.ჭილაია, რ.ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბილისი, 1984.

ზ.ჭუმბურიძე, 1961 - ზ.ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბილისი, 1962.

ბ.ჯორბენაძე, 1987 - ბ.ჯორბენაძე, მუხლადი სიტყვა გიორგი ლეონიძისა, ბალავარი მწერლობისა, თბილისი, 1987.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენადი ბურჭულაძე

იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკიდან*

12. „ტვინის“ აღმნიშვნელი ზოგი ლექსემის თაობაზე ქართველურ, ნახურსა და დაღესტნურ ენებში

ქართველურ ენებში „ტვინის“ აღმნიშვნელი შემდეგი ლექსემები დასტურდება (ა. ჩიქობავა, 1938, გვ. 45; ლ. გელენიძე, 1974, გვ. 23):

ქართ. ტჳინ

ზან. ტვინ-||ტვენ- (მეგრ. დ.)

სვან. თჳელ-

ტჳნ- (ტჳინ-) ძველი ქართულის ძეგლებშია; იქვეა:

ტჳნ- > განტჳნვა „დაქოლვა, ჩაქოლვა“:

„გ ა ნ ტ ჳ ნ ა იგი ყოველმან ისრაელმან“ M; „დ ა ქ ო ლ ვ ა იგი ქვებითა ყოველმან ისრაელმან“ ჱ (ი. აბულაძე, 1973, გვ. 70).

ტჳნ- > ტჳნ-ოან-ი „ტვინიანი“:

„საკუერთხები ტ ჳ ნ ო ა ნ ი შევწირო შენდა“ (ი. აბულაძე, 1973, გვ. 414).

ზანურის მეგრულ დიალექტში ტვინ-||ტვენ- ფორმათაგან ნაწარმოებია უ-ტვინ-ე (დოც. ვ. ახალაიას ზეპირი ცნობით), უ-ტვენ-ე (ლ. გელენიძე, 1974, გვ. 23) „უტვინო“.

---

* ამ თემაზე გამოქვეყნებულია: 1. ერთი ჩვენებითი ნაცვალსახელის შესახებ ხუნძურში (სმამ, ტ. 101, №3, თბ., 1981, გვ. 733-736 - რეზიუმე რუს. და ინგლ. ენებზე); 2. „კვერცხის“ აღმნიშვნელი საერთო ფუძეები იბერიულ-კავკასიურ ენებში (სმამ, ტ. 104, №1, თბ., 1981, გვ. 225-228 - რეზიუმე რუს. და ინგლ. ენებზე); 3. ცი („რა“) კითხვითი ნაცვალსახელის შესახებ ლაკურში (სმამ, ტ. 106, №1, თბ., 1982, გვ. 173-176 - რეზიუმე რუს. და ინგლ ენებზე); 4. О древнем названии "дуба" в лакском языке, იკეწ, XIV, თბ., 1987, გვ. 294-304 - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენებზე); 5. „ღრძილ-“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის ქართულში (სმამ, ტ. 137, №3, თბ., 1990, გვ. 633-656 - რეზიუმე რუს. და ინგლ. ენებზე); 6. „კბილისა“ და „ერთის“ აღმნიშვნელ ფუძეთა თაობაზე დაღესტნურ ენებში (იკე, XXVII, თბ., 1988, გვ. 240-254 - რეზიუმე რუს. ენაზე); 7. О лексемах, обозначающих "сон", "сновидение" в дагестанских и нахских языках (იკეწ, XV, თბ., 1988, გვ. 350-357 - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენებზე); 8. Общие лексемы, обозначающие "палец" в дагестанских и нахских языках (იკეწ, XVI, თბ., 1989, გვ. 198-204 - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენებზე); 9. Лексемы, обозначающие "свинья" в дагестанских языках (იკეწ, XVIII-XIX, თბ., 1992, გვ. 308-317 - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენებზე); 10. პიდრონიმ ლეწურა-ს წარმომავლობისათვის. - ეტიმოლოგიური ძიებანი, 1991 (თბ., 1991, გვ. 21-26); 11. კუამლ- ფუძის წარმომავლობისათვის ქართულში (იკეწ, XX-XXI, თბ., 1993-1994, გვ. 252-257 - რეზიუმე რუს. და ინგლ. ენებზე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვანურში „ტვინის" მნიშვნელობითაა თჷელ-: ლეხჟიგ მიჩა ალხნიკარს ლოხჟჷჲე ჲავა თჷელ... „დახოცილ თავის ამხანაგებს წაუსვა ღევის ტვინი" (ლ.გეღენიძე, 1974, გვ.23).

სვანურში, ჩანს, თ < ტ: თჷელ < *ტ̂ჷელ. ამ აღდგენას მხარს უმაგრებს მეგრული თვინგალი, თჷენგერე, თვენგერია „მოსულელო", სადაც თვინ-||თვენ- ფუძეთათვის ტვინ-||ტვენ- ვარიანტებია ამოსავალი, -გა (-გე < -გა) კი უქონლობის სუფიქსია (გ.როგავა, 1942, გვ.626; ლ.გეღენიძე, 1974, გვ.23). მართლაც, დოც. ვ.ახალაიას ზეპირი ცნობით, თვენგერე ფორმის გვერდით გვაქვს ტვენგერე ვარიანტიც.

თუ ეს ასეა, ტ̂ჷ- ძირეულმორფემიანი ფუძე აღსადგენია საერთო ქართველურ ენათა დონისათვის და არა მხოლოდ ქართულ-ზანურის ერთობის ხანისათვის, როგორც ამას ვარაუდობენ (გ.კლიმოვი, 1964, გვ.I8I; ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990, გვ.295).

ტ̂ჷ- ძირეულმორფემიანი ფუძე „ტვინის" აღმნიშვნელად ქართველურ ენათაგან, ჩანს, მხოლოდ ზანურის ჭანურ დიალექტს დაუკარგავს. აქ „ტვინის" მნიშვნელობით ქუნი||ქონი ფუძეები დასტურდება, რომელთა ქონ- ფუძესთან კავშირი უდავოა. ის, რომ „ტვინის" აღსანიშნავად გამოყენებულია „ქონის" აღმნიშვნელი ფუძე, უცხო არაა ჩვენი ენებისათვის: მაგალითად, ხუნძურ ენაში მაჰალ ნახ „ტვინი" ზედმიწევნით აღნიშნავს „თავის ქონს". ჩანს, „ტვინისა" და „ქონის" აღმნიშვნელი ლექსემები ერთ „სემანტიკურ ველშია" გაერთიანებული.

ქართ. ტ̂ჷ-ინ-, ზან. ტვ-ინ-||ტვ-ენ- (მეგრ.), სვან. თჷ-ელ < *ტ̂ჷ-ელ ფუძეებში ტ̂ჷ- ძირეული მორფემაა, ხოლო -ინ, -ენ, -ელ - ფუძის დეტერმინანტი-სუფიქსები.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ტ̂ჷინ- ფუძის სათანადო პარალელებზე: ჩაჩნ., ბაცბ. ტუმ „ძვლის ტვინი, კაკლის, ნიგვზის გული" (გ.კლიმოვი, 1964, გვ.I8I).

მართლაც, ტ̂ჷ-||>თჷ-, ტ-||თ-, დ- ძირეული მორფემები დასტურდება ამავე მნიშვნელობის მქონე ნახურსა და დაღესტნურ ენათა შემდეგ სიტყვებში:

ნ ა ხ უ რ ენებში (ი.ალიროევი, 1975, გვ.I42):

ჩაჩნ. ტუმ (მრ.რ.: ტამ-არშ) „ძვლის ტვინი"
ინგ. ტუმ (მრ.რ.: ტომ-არშ) "
ბაცბ. ტუმ "
ჩანს, ტუმ < *ტ-ომ < *ტამ-...

დ ა ღ ე ს ტ ნ უ რ ენათაგან:

ახვახ. ჰანდე, კარ. ჰანი, ტინდ. ჰანი, ჭამ. ჰამ, ჰანი, ბაგვ. ჰან, ღოდ. ჰანი, ანდ. ჰანუ... დიდ. ათა, ხვარშ. ანთა, ჰინ. ათა, ჰუნზ. ადა, ანდა, ბეჟ. ადა... არჩ. ინთიმ-მაჲ, რუთ. ჰუადჲხ, ჭუდუ (წახ.), ჰჷთ (ბოთლ.)... „ტვინი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახვახ. ჰანდე < *ანდე (ჰ აქ და ამ რიგის შემთხვევებში ხმოვნის წინაა განვითარებული) < *ნადე... ხვარშ: ანთა < *ნა-თა, ჰუნზ. ანდა < *ან-და < *ნა-და... რიგის ნიმუშებში დ-, თ- ძირეული მორფემებია, თავკიდური ნV- – წარმოშობით გრ. კლასის ნიშანი: ნა-დე, ნა-თა...

სავარაუდოა, რომ ახვახ. ჰანდე < *ანდე < *ნადე... რიგის სიტყვებს ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის მომდევნოდ დეტერმინანტ-სუფიქსისეული თანხმოვნითი ელემენტი აკლდეს: *ნა-დე < *ნა-დენ... თავკიდური *ნა- < *და-/*რა- კი გრ. კლასის ნიშნები უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, ეს ლექსემები დღეს IV, V გრ.კლასს განეკუთვნებიან, მაგალითად: ჰუნზ. ანდა < *ნა-და... რ გრ. კლასისაა, დიდ. ათა < *ნა-თა... აგრეთვე რ კლასისა (ე.ბოკარევი, 1959, გვ.27,181).

ანდიურ ენათაგან ძირისეული თანხმოვნითი ელემენტი ახვახურშია დაცული: ჰანდე < ანდე < ნა-დ-ე... სხვა ენებში ყველგან გრ. კლასნიშნისეული თანხმოვანია დარჩენილი (მაგ., კარ. ჰანი „ტვინი") – არა ჩანს ძირისეული მორფემა.

ლეზგიურ ენათაგან არჩიბულის იˤნთიმ-მაჲ „ტვინი" ფუძის იˤნთიმ < *ნიˤ-თიმ... სადაც ნიˤ- < ნი- გრ. კლასის გაქვავებული ნიშანი ჩანს, თ- – ძირეული მორფემა, ხოლო -იმ – დეტერმინანტი-სუფიქსი. იˤნთიმ-მაჲ „ტვინი" ფუძეში მაჲ „ტვინია", ოღონდ არადაღესტნური წარმომავლობისა (დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული ლექსიკა, 1971, გვ.118). მაშასადამე, იˤნთიმმაჲ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ტვინი-ტვინი" (იქვე)[1].

რუთულურშიც წარმოდგენილია დ და თ ძირეული მორფემები (აქ უკვე გრ. კლასნიშნის კვალიც არა ჩანს, ის გამქრალა), ერთგან დეტერმინანტ-სუფიქსის რეფლექსი ჩანს გ-ს სახით (ჰგ-დ-გ), მეორე თქმაში კი მხოლოდ ძირისეული თანხმოვანია შემორჩენილი (ჰრ-თ).

ზემოთ დამოწმებულ დაღესტნურ ენათა მასალაში ძირეულ მორფემებად მართლაც შეიძლება დ-სა და თ-ს გამოყოფა... ერთგან მათ წინ ძველი გრ. კლასის გაქვავებული ნიშანი, იქვეა ძირეული მორფემა და მისი მომდევნო დეტერმინანტ-სუფიქსი ან მისი კვალი... ზოგან კიდევ ფუძისეული ელემენტია დაკარგული და სხვ.[2]

---

1 მართალია, ვარაუდობენ, რომ იˤნთიმმაჲ ზედმ. „თავის ქონია" (ს.ხაიდაყოვი, 1973, გვ.38), მაგრამ იˤნთიმ და არჩ. ოˤნთ „თავი" სიტყვა სხვადასხვა წარმომავლობისა უნდა იყოს (შდრ. ამ უკანასკნელს ხუნძ. ნოდო „შუბლი" და მისთანანი).

2 იქ, სადაც დაღესტნურ ენებში „ტვინის" აღმნიშვნელ დაღესტნური წარმომავლობის ამ რიგის ფუძეებში „ცარიელი უჯრაა", იგი შევსებულია სხვა წარმომავლობის ფუძეებით, როგორიცაა, მაგალითად, დარგ. მაჟჟა, ლაკ. მჲ... თაბ. მაჲ, უდ. მაჲ... „ტვინი"; შდრ. თურქული წარმომავლობის სათანადო ფუძეები: ალტ. მეე, უზბ. მიჲა, იაკუტ. მეჲი (დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული ლექსიკა, 1971; გვ.117-118).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ შევაჯამებთ თქმულს, მაშინ, ჩანს:
იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ წყებაში „ღვინის“ აღმნიშვნელ ფუძეებში ღ, თ || თუ, ტ || ტუ რიგის რომელიმე წევრია ძირეულ მორფემად წარმოდგენილი. ამ ვარიანტთაგან რომელია ამოსავალი, თუ ისინი აღნიშნულ ენებში ურთიერთმონაცვლე ფორმებს წარმოადგენენ, მომავალი კვლევის საგანია.

დამოწმებული ლიტერატურა

ი.აბულაძე, 1973 - ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ი.ალიროევი, 1975 - И.Ю.Алироев, Сравнительно-сопостaвительный словарь отраслевой лексики чеченс го и ингушского языков и диалектов, Махачкала, 1975.

ე.ბოკარევი, 1959 - Е.А.Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана, Москва, 1959.

დ.გელენიძე, 1974 - ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი, 1974.

დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული ლექსიკა, 1971 - Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, Москва, 1971.

გ.კლიმოვი, 1964 - Г.А.Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

გ.როგავა, 1942 - Г.В.Рогава, Абхазско-убыхско-адыгейский суффикс *privativum* в менгрельском.- სმამ, ტ.III, თბ.,1942.

ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990 - ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990.

ს.ხაიდაკოვი, 1973 - С.М.Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, Москва, 1973.

ა.ჩიქობავა, 1938 - ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იამზე გაგუა

ლათინური ენის ფორმირება და კლასიკური ხანის რომაული მწერლობა

ლათინური დამწერლობა და რომაული ლიტერატურის წარმოშობა მჭიდროდ უკავშირდება ბერძნულ ენასა და ბერძნულ მწერლობას. რომაული ლიტერატურა ძვ.წ. III საუკუნიდან იწყებს არსებობას, ხოლო ლათინური სალიტერატურო ენის ფორმირების ნიშნები ძირითადად ძვ.წ. II საუკუნიდან შეიმჩნევა. ეს არის „არქაულიდან" „კლასიკურ ლათინურზე" გადასვლის პერიოდი.

III-IV სს. რომაული ლიტერატურა არსებითად ლათინურად გადამუშავებული ბერძნული დრამებია. ამ დროის მწერლები უმეტესწილად იტალიკები, არარომაელი მოქალაქენი არიან. ძვ.წ. II საუკუნიდან სამწერლო ასპარეზზე გამოდიან რომის მკვიდრნი, რომელთა ყურადღება არა მარტო პოეზიისაკენ არის მიმართული, არამედ პოლიტიკისკენაც. რომაულ მწერლობაში თანდათანობით იჭრება მჭევრმეტყველება, ისტორიოგრაფია, პუბლიცისტიკა. ლათინური ენის ფორმი..ებაში დიდია როლი ე.წ. „ urbanitas "-ი, ქალაქ რომის მკვიდრთა მეტყველებისა, რომელსაც უპირატესობა ენიჭება „სოფლურ" "rusticas'' და „უცხოურ" "peregrinitas" მეტყველებასთან შედარებით. ლათინური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ არა მხოლოდ გრამატიკოსები და მწერლები, არამედ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. უძველესი რომაელი მწერლები: აპიუს კლავდიუსი, ენიუსი, ლუცილიუსი, აკციუსი, ნევიუსი - ლათინური ენის რეფორმატორები და პირველი გრამატიკოსები არიან.

რომის მიერ საბერძნეთის ექსპანსიის შემდგომ ბერძნული ენა ძლიერად შეიჭრა რომაელთა ყოფაში. საჭირო იყო ლათინური ენის გაწმენდა მოზღვავებული გრეციზმებისაგან, ისევე როგორც რომაული ლიტერატურის გათავისუფლება ბერძნულ-ელინისტური მწერლობის ძლიერი გავლენისაგან და თვისობრივად ახალი, განსხვავებული, მდიდარი ლიტერატურის შექმნა ლათინურ ენაზე. ამის აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ „კლასიკური პერიოდის" რომაელი მწერლები.

ლათინურ ენაზე სამეცნიერო-ფილოსოფიური ტერმინების უქონლობამ ძვ.წ. I ს. პოეტი ლუკრეციუსი სირთულის წინაშე დააყენა: როგორ განემარტა ლათინურ ენაზე ბერძნული ფილოსოფიური ტერმინები. თავის პოემაში „საგანთა ბუნებისათვის" იგი ასე წერს:

„თავს არ ვიტყუებ, ბერძენთ ბნელი სწავლა-მოძღვრების
ძნელი იქნება გადმოტანა ლათინურ ლექსით,
რადგან მოაცარია, მომიხდება სიტყვათა ძებნა
და ღარიბ ენით გადმოვცემ ახალ მოვლენათა"

I,136-139

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ანაქსაგორას განვიხილოთ „ჰომეომერ",
ვით ბერძნეთ ენით გამოითქმის, სირთულის გამო,
ჩვენს ღარიბ ენას ვერ ძალედვა სახელისდებად,
ხოლო მის არსის გადმოცემა არ არის ძნელი"

I,830-833

(ლუკრეციუსი, 1958)

ლუკრეციუსი ნაირგვარ ხერხს მიმართავს ამ პრობლემის გადასაჭრელად: იყენებს არქაიზმებს, ნეოლოგიზმებს, სიტყვათშეთანხმებებს. მარტო ერთი ტერმინის „ატომის" გადმოსაცემად იგი ორმოცდაათამდე სიტყვასა და სიტყვათშეთანხმებას მიმართავს. ლუკრეციუსის მიერ შექმნილმა ნეოლოგიზმებმა გაამდიდრა ლათინური ენის ლექსიკური ფონდი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავის პოემაში იგი თანაბრად იყენებს როგორც მაღალფარდოვან სიტყვებს, ასევე ხალხურ სამეტყველო ენასაც, არ ცდილობს დაიცვას უნიფიკაცია, რითაც იწვევს ენობრივ სიჭრელეს.

არქაიზმების უხვად გამოყენება დამახასიათებელია ძვ.წ. I ს. მწერლის სალუსტიუსისთვის. იგი ცდილობს მიბაძოს ისტორიკოს კატონ უფროსს, აღადგინოს კატონისეული ბევრი მოძველებული სიტყვა, დააკანონოს ურჩეული გრამატიკული ფორმები, რათა მეტი ექსპრესიულობა მიანიჭოს სიტყვას და შეიმუშავოს ორიგინალური სტილი.

ლათინური ენის მორფოლოგიის, რთული სინტაქსური კონსტრუქციების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მწერლებს: გაიუს იულიუს კეისარსა და მარკუს ტულიუს ციცერონს.

იულიუს კეისრის თხზულებების ენაზე დაკვირვება ცხადლივ გვიჩვენებს, თუ რა ცვლილებები განიცადა „არქაულ ლათინურთან" შედარებით მორფოლოგიამ, როგორ გაიზარდა მიმღეობებისა და კონიუნქტივის ფუნქციები, როგორ განვითარდა რთული სინტაქსური კონსტრუქციები. გაიუს იულიუს კეისარს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სტილის საკითხებზე ტრაქტატში „მარკუს ტულიუს ციცერონს ანალოგიის შესახებ". ამ ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი შინაარსი სხვა ავტორთა მონათხრობით არის ჩვენთვის ცნობილი. კეისარი წინააღმდეგია ენაში „უჩვეულო", „იშვიათი" სიტყვების დანერგვისა. იგი მოითხოვს ენის „გაწმენდას" ამგვარი სიახლეებისაგან. კეისარი დიდ ყურადღებას უთმობს სიტყვათა შერჩევას. ნიშანდობლივია, რომ იგი სავსებით უგულვებელყოფს ბერძნულ ნასესხობებსა და სინონიმებს. მაგალითად, სიტყვა „მდინარის" აღსანიშნად მხოლოდ "flumen" -ს ხმარობს და არ უნაცვლებს მას არც "fluvius"-ს და არც "amnis"-ს (ტრონსკი, 1953, გვ.221).

რამდენადმე განსხვავებულია ციცერონის პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც იგი მკაფიოდ გამოხატავს ტრაქტატებში: „ორატორი" და „ორატორის შესახებ". კეისრისაგან განსხვავებით იგი მომხრეა სინო-

ნიმების გამოყენებისა, მაგრამ საოცარი სიფაქიზით არჩევს მათ, პოეტური შეფერილობის და ჟღერადობის სიტყვებს ორატორისათვის შეუფერებლად მიიჩნევს. ციცერონი დასაშვებად თვლის არქაიზმების, ნეოლოგიზმების ენაში შემოტანას, მაგრამ სათანადო ზომიერების დაცვით. ბერძნულ ნასესხობებს იგი გაურბის, გარდა ენაში ადრე დამკვიდრებული ისეთი სიტყვებისა, როგორებიცაა: ფილოსოფია, მათემატიკა და სხვ.

სხვაგვარი აზრი აქვს ამის თაობაზე „ოქროს ხანის“ გამორჩენილ პოეტს ჰორაციუსს. იგი დამწყებ პოეტებს ურჩევს ახალი სიტყვების შექმნისას ბერძნულ წყაროს დაეყრდნონ. მისი აზრით, თუ ძველმა მწერლებმა გაამდიდრეს ენა ბერძნიზმებით, დაამკვიდრეს ბერძნული საზომები, არც თანამედროვე პოეტებისთვისაც არ უნდა იყოს ეს საშუალება დასაძრახი. „ახლადშექმნილი სიტყვა მეტ ნდობას მოიპოვებს, თუ ბერძნულ წყაროს ეყრდნობა და სიფრთხილითაა იქიდან გადმოღებული და მართლაც, რატომ აღუკვეთს რომაელი მოქალაქე ვერგილიუსსა და ვარიუსს იმის უფლებას, რომელსაც ცეცილიუსსა და პლავტუსს უყოყმანოდ უბოძებს? თუ ამ საქმეში მცირეოდენი წვლილის გაღება მეც ძამიძს, ამისთვის რატომ უნდა შემრისხონ? კატონისა და ენიუსის ენა ახალ სახელთა შემოტანით განა არ ამდიდრებდა ჩვენს მშობლიურ მეტყველებას? ყოველთვის იყო და კვლავაც ნებადართული იქნება სიტყვის გამოკვეთა აწმყოს დამღით“ (ჰორაციუსი, 1981, 50-60).

ლექსიკის გამდიდრება, ჰორაციუსის აზრით, ძველი სიტყვების გაცოცხლებითაც შეიძლება, თუ მოხერხებულად იქნება შეხამებული სხვა სიტყვასთან. „თუ საყოველთაოდ ცნობილ სიტყვას მარჯვე შეხამება ახალ ელფერს აძლევს, ნათქვამი ჩინებული და სხარტი გამოვა“... „ბევრი გარდასული სიტყვა-თქმანი, ახლა რომ ღირსება-პატივშია, დაივიწყებას მიეცემა, თუ ეს მოისურვა ჩვეულებამ, რომლის ხელთაა ძალა, სამართალი და მეტყველების წესი“ (ჰორაციუსი, 1981, 47-48).

ავგუსტუსის ეპოქა, „ოქროს ხანად“ წოდებული, ლიტერატურისა და ხელოვნების აღზევების, ლათინური ენის სრულყოფის ხანაა. მიუხედავად იმისა, რომ ავგუსტუსი გარკვეულ მიმართულებას აძლევდა თავის თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედებას, აიძულებდა მათ გაეზიარებინათ ოფიციალური იდეოლოგია, რომაული ლიტერატურა აღმავლობის გზით წავიდა.

თავად ავგუსტუსი, სვეტონიუსის ცნობით, პოეზიითაც ყოფილა გატაცებული და სალიტერატურო ენის, პოეტური მეტყველების, სტილის საკითხებისადმიც ჰქონია თავისი გამოკვეთილი პოზიცია. „საუბრის დროს ის იცავდა მხატვრულობასა და უბრალოებას, გაურბოდა უშინაარსო და ბრწყინვალე ფრაზებს და „მოძველებულ გამოთქმათა“, როგორც ის ამბობდა ხოლმე, „საძაგელ სუნს“. განსაკუთრებით ცდილობდა იგი, რაც შეიძლება ცხადად გამოეთქვა თავისი აზრები... მაღალფარდოვანი, ძველის მიმბაძველი სტილის მქონეთ ის კიცხავდა სხვადასხვა ნაკლის გამო, ზოგჯერ კიდევაც ტუქსავდა მათ, გან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკუთრებით თავის მეგობარს მეცენატს, „ნელსაცხებლიან კულულებსაც", როგორც ის ამბობს, მუდამ სდევნის და დასცინის... არ ინდობდა ის აგრეთვე ტიბერიუსსაც, რომელსაც უყვარდა ზოგჯერ ხმარებიდან გამოსული და დავიწყებული გამოთქმები, ხოლო მარკუს ანტონიუსს იგი ჰკიცხავს... „შენთვის უმჯობესია ჩვენს ენაში შემოიტანო უაზრო, ფუქსავატი ენაწყლიანობა აზიელი ორატორებისა?" (სვეტონიუსი, 1958, 86).

როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ავგუსტუსი არქაიზმებით გატაცებას უსაყვედურებს თავის გერს ტიბერიუსს, რომელიც განგებ აბუნდოვნებდა სტილს, ამ უკანასკნელის მიერ ექსპრომტად წარმოთქმული სიტყვები გაცილებით უკეთესი ყოფილა, ვიდრე წინასწარ მომზადებული (სვეტონიუსი, 1958, 70).

ბერძნული ენისა და ლიტერატურის ჩინებული მცოდნე ტიბერიუსი საჭიროდ თვლიდა შეზღუდულიყო ბერძნულ ენაზე მეტყველება, ხოლო ბერძნიზმები აუცილებლად შეცვლილიყო სათანადო ლათინური ცნებებით. „თუმცა ის (ტიბერიუსი) საერთოდ კარგად და თავისუფლად ლაპარაკობდა ბერძნულად, მაგრამ მაინც ამ ენას იგი ყველგან და ყოველთვის როდი იყენებდა და განსაკუთრებით თავს იკავებდა მისი ხმარებისაგან სენატში. ამ მხრივ ის იქამდე მივიდა, რომ ერთხელ, როდესაც მას უნდა ეთქვა „მონოპოლია", წინასწარ ბოდიში მოიხადა იმაზე, რომ მოუხდება იხმაროს უცხო სიტყვა, ხოლო როდესაც სენატის ერთ დეკრეტში შეხვდა მას ბერძნული სიტყვა „ემბლემა", მან განაცხადა, რომ ეს სიტყვა უნდა შეიცვალოს და უცხო სიტყვის მაგიერ მოიძებნოს საკუთარი, ხოლო თუ ასეთი ვერ მოიძებნება, მაშინ ეს ცნება გადმოეცეთ აღწერილობით და თუნდაც მრავალსიტყვაობით. სწორედ ასევე, ერთ ჯარისკაცს, რომელსაც სასამართლოში სთხოვეს ჩვენება მიეცა ბერძნულ ენაზე, მან უბრძანა, მხოლოდ ლათინურ ენაზე ელაპარაკნა (სვეტონიუსი, 1958, 71).

ამრიგად, კლასიკური პერიოდის მწერლების ნაწილი (ლუკრეციუსი, სალუსტიუსი) არ გაურბის არქაიზმებს, ბერძნული ნასესხობებით ამდიდრებს ენას, ამასთანავე ნაკლებ ყურადღებას უთმობს გრამატიკული ნორმების დაცვას, ხელს უწყობს ყოველდღიური მეტყველების " rusticas " დამკვიდრებას ენაში, მეორე ნაწილი (კეისარი, ელეგიკოსი ტიბულუსი) უკიდურეს პურისტად გვევლინება, ამ ორი განსხვავებული თვალსაზრისის მწერალთა მოთხოვნები ერთგვარად განზავებულია ციცერონის შეხედულებებში ენისა და სტილის საკითხებზე.

ბერძნულ ლიტერატურასთან, ხელოვნებასთან და ფილოსოფიასთან ზიარებამ რომი ელინისტური კულტურის ტყვეობის ქვეშ მოაქცია. არაორაზროვნად შენიშნავს ამის თაობაზე ჰორაციუსი „ეპისტოლეებში" II, I, 156-157

„ტყვე საბერძნეთმა დაიმონა ველური რომი,
უბირ ლაციუმს ხელოვნება ასწავლა თვისი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომის თანდათანობით გაძლიერებასთან ერთად რომაელის შეგნებაში იღვიძებს გრძნობა პატივმოყვარეობისა; ძლევამოსილი მეომარი ხალხი ძნელად ეგუება იმ აზრს, იყოს მონა თუნდაც უმაღლესი ცივილიზაციისა, რომელმაც ასაზრდოვა რომაული მწერლობა და ხელოვნება. თუ ლუკრეციუსისათვის ლათინური ენა ღარიბია, თუ ჰორაციუსი აშკარად ლაპარაკობს, თუ რა ძლიერია ბერძნული კულტურის გავლენა რომაულზე, და თავის უდიდეს დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ ელინური სალექსო საზომები გადმოიღო ლათინურად („ოდები", III, 30); კეისარი და ციცერონი ამ მხრივ თავშეკავებას იჩენენ. ისინი პრაქტიკულად ცდილობენ იმ ხარვეზის დაძლევას, რაც ლათინურ ენას იმხანად გააჩნდა; ენის გამდიდრების ერთ-ერთ გზას ბერძნული ნასესხობების განდევნაში ხედავენ. რომაული მწერლობა თანდათან ცდილობს გაეჯიბროს ელინურ სამყაროს, რომ თავისი უპირატესობა დაამტკიცოს არა როგორც მეომარმა ხალხმა, არამედ როგორც კულტურულმაც. მაინც რითი უნდა მოიწონოს მან თავი ბერძნების წინაშე? ეს არის რომაული სამართალი, რომაული კანონები, რის შესახებაც არაერთგზის ლაპარაკობს ციცერონი თავის თხზულებებში.

მაღალმა მოქალაქეობრივმა პათოსმა, ლიტერატურაში ეროვნული მოტივების გაძლიერებამ, ეპიგონობის ნაცვლად ახალი შემოქმედებითი გზების ძიებამ და ბოლოს, ავგუსტუსის პიროვნებამაც (სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად) განაპირობა, უთუოდ, რომაული მწერლობის წინსვლა და ლათინური ენის შემდგომი განვითარება.

დამოწმებული ლიტერატურა:

ლუკრეციუსი, 1958 - ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, ლათინურიდან თარგმნა პ.ბერაძემ, თბ., 1958.

სვეტონიუსი, 1958 - სვეტონიუსი, ღვთაებრივი ავგუსტუსი, წიგნიდან გ.გოზალიშვილი, ძველი ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1958.

ტრონსკი, 1953 - И.М.Тронский, Очерки из истории латинского языка, М.-Л. 1953

ჰორაციუსი, 1981 - ჰორაციუსი, პოეტური ხელოვნებისათვის, ლათინურიდან თარგმნა აკ.ურუშაძემ, თბ., 1981.

ჰორაციუსი, 1959 - Horatius, Opera, Lipsiae, 1959.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინათინ გიორგობიანი

ბერძნული ენის ისტორიიდან

ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე წერდა: ფინიკიელებმა, რომლებიც კადმოსთან ერთად მოვიდნენ და საბერძნეთში ცხოვრობდნენ, ბევრი მოძღვრება შემოიტანეს ელინებში და მათ შორის ანბანიც; ფინიკიელებმა დაამკვიდრეს ანბანი ელადაში და მართლაც, ბერძნული ასოები არა მარტო იმეორებენ ფინიკიურ ასოთა რიგს, არამედ სახელწოდებებიც იქიდან აქვთ ნასესხები. შეადარეთ: ბერძნული ἄλφα, βῆτα, γάμμα, δέλτα ... და ებრაული - ალეფ, ბეტ, გიმელ, დალეთ - შესაბამისად: ა - ალეფ - ხარი; ბ - ბეტ - სახლი; გ - გიმელ - აქლემი, დ - დალეტ - კარი... (ივ.ჯავახიშვილი, 1949, გვ.7).

თავდაპირველად ბერძენთა ანბანი სემიანთა ანბანივით 22 ასოსაგან შედგებოდა, მაგრამ ბერძნების მიერ შეთვისებული ანბანი ბერძნული ენის ბგერათა გამოსახატავად საკმარისი არ იყო. სახელდობრ, არ იყო ხმოვნების გამომხატველი ნიშნები და საჭირო იყო შეექმნათ ისინი. ეს პროცესი ბუნებრივად უნდა მომხდარიყო, თანდათანობით; უკვე V საუკუნიდანვე (ძვ.წ.) ჩნდება ხმოვნების აღმნიშვნელი ასოები; დიონისე ჰალიკარნასელი (ძვ.წ. I ს) განსაკუთრებით კეთილხმოვან ბგერებად მიიჩნევდა გრძელ ხმოვნებს α, η და ω -ს - ასევე დიფთონგებს (ნ.მახარაძე, 1965, გვ.42).

υ ერთ-ერთი პირველი ბგერაა, რომელიც ბერძნებმა ფინიკიელებისაგან ანბანის შემოღების შემდეგ თავიანთი საჭიროებისათვის დაუმატეს. ბგერას, რომლის გამოხატვაც υ-ს დაეკისრა, თავდაპირველად ბერძნები O-თი გადმოსცემდნენ, რომელიც Oυ-დ იქცა, ანუ: κούνες ნაცვლად κύνες -ისა, οὔδωρ - ნაცვლად ὕδωρ -ისა, θούν - ნაცვლად θύν -ისა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამავე დროს Oυ-მ მთლიანად ვერ დაიკავა -ს ადგილი და წარწერებში ჩანს ამ ორი ნიშნის ურთიერთმონაცვლეობა და მერყეობა თითოეულის ხმარებაში. ბეოტიურში O პირველად გამოჩნდა ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისში.

ცნობილია, რომ ყველაზე გვიან მოკლე და გრძელი ო-სთვის იყო საგანგებო ნიშნები შემოღებული. ეს ომეგა (ω) (ო) ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში უნდა ყოფილიყო შეთვისებული, რამდენადაც მილეტის რიცხვით ანბანში ის უკვე ფიგურირებდა.

თუ რა დროს ჩნდება პირველად ბერძნული ანბანური დამწერლობა, - ამის შესახებ მეცნიერთა შორის სრული უთანხმოებაა. ზოგი, მაგალითად, ლარფელდი, XIV-XI საუკუნეებს ვარაუდობს, გარდჰაუზენს კი XI საუკუნეზე უწინარეს ბერძნული ანბანთდამწერლობის არსებობისათვის არავითარი სანდო საბუთი არ მოეპოვება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ბერძნული ანბანური დამწერლობა უნდა შექმნილიყო სწორედ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში (შვიკერი, 1939, გვ.141) ბერძნულმა ანბანმა თავისი განვითარების გზაზე გაიარა რამდენიმე საფეხური. 403/2 წელს, ევკლიდეს არქონტობის დროს, ათენმა მიიღო 24 ასოს შემცველი იონიური ანბანი.

ბერძნული ენა ἡ Ἑλληνικὴ γλῶσσα ელადაში მოსახლე ხალხის – ელინების ენაა; რომაელები მათ გრეკებს ეძახდნენ ბეოტიის უძველესი ქალაქის გრაიას სახელიდან (ἡ Γραῖα), – აქედან Γραικοί ანუ ბერძნები ანუ ელინები Ἕλληνες (ა.ურუშაძე, 1980, გვ.192).

ძველ ბერძნულ წარწერებში დაცულია სემიტურთან მსგავსება: ასოები იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. ბერძნებმა გარდამავალი მიმართულება გამოიმუშავეს: პირველი სტრიქონი მიდიოდა მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე სტრიქონი – მარცხნიდან მარჯვნივ, მესამე – ისევ მარჯვნიდან მარცხნივ და ა.შ.; წერის ამგვარ მიმართულებას ეწოდებოდა „ბუსტროფედონი" – ხარის მობრუნება (βουστροφηδόν), ე.ი. წერა, რომელიც მსგავსია კვალში ჩამდგარი მხვნელი ხარის სვლისა. ეს დამახასიათებელი იყო არქაული ხანისათვის.

ბერძნული ანბანური დამწერლობის უძველეს ნიმუშს წინ უსწრებს B – ხაზოვანი დამწერლობა (რ.გორდეზიანი, 1985, გვ.33), რომლითაც შესრულებულია ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის მთელი რიგი წარწერები კრეტა-მიკენში და რომელიც ეგეოსური ანუ წინაბერძნული მოსახლეობისაგან შეითვისეს ბერძნულმა ტომებმა.

მიკენური კულტურის დაცემის შემდეგ ეს დამწერლობა, რომელიც ბერძნული ენისათვის შეუსაბამო იყო, ელინურმა ტომებმა უკუაგდეს და შექმნეს საკუთარი ანბანური დამწერლობა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ფინიკიური ანბანი დაედო საფუძვლად. ფინიკიური ანბანი წერის კონსონანტურ ტიპს წარმოადგენდა. ბერძნებმა საკუთარი ენის სტრუქტურის შესაბამისად გადაამუშავეს იგი და ფონოგრაფიული წერის ყველაზე სრულყოფილი სახე შექმნეს. მათ ასოებით გამოხატეს არა მარტო კონსონანტები, არამედ ხმოვნებიც.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მაკედონიის იმპერია დაიშალა; წარმოიშვა ცალკე სამეფოები, ე.წ. ელინისტური სამეფოები. II-I საუკუნეებში ეს სამეფოები თანდათან დაიპყრო რომმა. ამგვარად, ბერძნულმა კულტურამ შეიცვალა თავისი განვითარების გზები. გაჩნდა კულტურის ახალი ცენტრები. ათენის ადგილი დაიჭირა ალექსანდრიამ – ეგვიპტეში, პერგამონმა - მცირე აზიაში, ანტიოქიამ – სირიაში. ასე რომ, თუ ელინურ პერიოდში ლიტერატურული ნაწარმოებები იწერებოდა ეოლიურ, იონიურ და დორიულ დიალექტებზე, რამეთუ საერთო სალიტერატურო ენა ბერძნებს მაშინ არ გააჩნდათ, – უკვე ელინისტურ პერიოდში ეს დიალექტები ქრება, მუშავდება საერთო ბერძნული ენა ანუ: კოინე (κοινὴ διάλεκτος) – საერთო დიალექტი. იგი ჩამოყალიბდა იონიური განშტოების, ატიკური დიალექტის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატიკურ დიალექტს ერთგვარი უპირატესობა უკვე ჰქონდა მოპოვებული IV საუკუნიდან ალექსანდრე მაკედონელის წყალობით; კოინე მაღალი წრეების და ელიტარული საზოგადოების ლიტერატურულ ენად იქცა. ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ ბერძნული გამოიყენებოდა. ამის დამადასტურებელია არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები და ასევე მცხეთა-სამთავროს ბერძნული წარწერა (ს.ყაუხჩიშვილი, 1949, გვ.243), ვინაიდან ელინისტური კულტურის რკალში იყო იმდროინდელი საქართველოც, გასაკვირი არ არის, რომ რომაელი კეისრის ვესპასიანეს წარწერაც საქართველოში ბერძნულად არის ამოჭრილი, თუმცაღა, რომის იმპერიის სახელმწიფო ენა ლათინური იყო.

ბერძნული ენის განვითარების ეტაპები ემთხვევა ბერძნული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს. ბერძნული ენა წარმოადგენს ინდოევროპული ენების ოჯახის სრულიად დამოუკიდებელ წევრს. უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოებულმა არქეოლოგიურმა და სანეათმეცნიერო კვლევა-ძიებამ დაადასტურა ორი წინაბერძნული ფენის არსებობა: მცირეაზიული ფენა არაინდოევროპული წარმოშობისა და შუაევროპული ფენა ინდოევროპული წარმოშობისა ანუ პროტოინდოევროპული ფენა (გ.მელიქიშვილი, 1965, გვ.2I9).

იონიური დიალექტი ორი სახისა იყო: ძველი იონიური (ἡ ἀρχαία Ἰάς) და ახალი იონიური (ἡ νέα Ἰάς). ეოლიური დიალექტი გავრცელებული იყო კუნძულ ლესბოსზე და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროზე. დორიული დიალექტი იყო პელოპონესში, ეგეოსის ზღვის სამხრეთ კუნძულებზე (კრეტა, როდოსი) და იტალიის სამხრეთში (ი.ტრონსკი, 1969 წ.).

ამ უკანასკნელ ხანებში ეჭვის ქვეშ დააყენეს საგუნდო ლირიკის ბაზად დორიული დიალექტის აღიარება. ნ.გრინბაუმი ავითარებს აზრს, რომ საგუნდო ლირიკას უშუალო კავშირი აქვს კრეტა-მიკენის პერიოდის არქაული, წინადორიულ ენობრივ არეალთან (ნ.გრინბაუმი, 1973).

ატიკური დიალექტი V საუკუნიდან დამკვიდრდა ატიკაში. იგი მომდინარეობს იონიური დიალექტიდან. მასზეა შეთხზული საისტორიო, ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის უბრწყინვალესი ნიმუშები, ბერძენ დრამატურგთა თხზულებები; განარჩევენ ძველ და ახალ ატიკურს.

არკადიული და კვიპროსული დიალექტები შემონახულია პილოსის, მიკენისა და კნოსოსის წარწერებში, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვით I400-,200 წლებით თარიღდება. ე.წ. ელინური კოინე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე გრძელდება. კოინეზე წერდნენ: პლუტარქე (46-I20 ახ.წ.), არიანე (95-I75 ახ.წ.), დიონისე ჰალიკარნასელი (I ს.), ლუკიანე (I20-I80 წ.), სტრაბონი (64 წ. - I9 ახ.წ.), იოსებ ფლავიოსი (37-I00 ახ.წ.).

კოინეში მომხდარმა ცვლილებებმა საფუძველი დაუდო ახალი პერიოდების წარმოქმნას. ესენია: ბიზანტიური ბერძნულისა და ახალი ბერძნულისა. ძველი ბერძნულის პერიოდი დასაბამიდან 330 წლამდე, კონსტანტინეპოლის დაარსებამდე; IV საუკუნიდან I453 წლამდე - ბიზანტიური ბერძნული; XV საუკუნიდან დღემდე - ახალი ბერძნული ენაა. ეს პერიოდიზაცია ლინგვისტური თვალსაზრისით უფრო პირობითია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოწმებული ლიტერატურა

ნ.გრინბაუმი, 1975 – Гринбаум Н., Язык древнегреческой хоровой лирики (Пиндар), Кишинев, 1973.

რ.გორდეზიანი, 1985 – რ.გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.

ნ.მახარაძე, 1965 – ნ.მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1965.

გ.მელიქიშვილი, 1965 – გ.მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

ი.ტრონსკი, 1969 – Тронский И.М., О диалектной структуре греческого языка в раннем античном обществе. "Вопросы социальной лингвистики", Ленинград, 1969.

ა.ურუშაძე, 1980 – ა.ურუშაძე, ბერძნული ენის ისტორიის ზოგი საკითხი, საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი, ნაწილი I, 1980.

ე.შვეიცერი, 1939 – Eduard Schwyzer. Griechische Grammatik. I Band. München. 1939.

ს.ყაუხჩიშვილი, 1949 – ს.ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949.

ი.ჯავახიშვილი, 1949 – ი.ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა პაიჭაძე

ტექსტის ლინგვისტური ინტერპრეტაციის ზოგიერთი საკითხისათვის ფრანც კაფკას ორი ნოველის მიხედვით

ნებისმიერი ტექსტის ინტერპრეტაცია, და მეტადრე ლიტერატურული ტექსტისა, ტრადიციულად გულისხმობს მოცემული ტექსტის განმარტებას, ახსნას, თარგმნას. ინტერპრეტაციის პროცესში ჩართულია შემდეგი კომპონენტები -I. ტექსტი, როგორც საინტერპრეტაციო მასალა ანუ ინტერპრეტანტი; 2. ინტერპრეტატორი და 3. ადრესატი. ამასთან ადრესატს შეიძლება ორგვარი ფუნქცია ჰქონდეს: ა) როგორც კონკრეტული ტექსტის ადრესატი და ბ) როგორც კონკრეტული ტექსტის ინტერპრეტაციის ადრესატი.

ისტორიულად ტექსტის ინტერპრეტაციამ რამდენიმე ეტაპი განვლო:

- ტექსტის რთული ან ძნელად გასაგები სიტყვების ჩანაცვლების ეტაპი უფრო ადვილად გასაგები სიტყვებით (ანუ სიტყვათა აზრის დადგენა);
- ალეგორიული ინტერპრეტაციის ეტაპი ანუ ტექსტის დადგენა;
- ტექსტის არისტოტელესეული გრამატიკული ინტერპრეტაცია-ზე აქცენტის გაძლიერებით;
- სხვადასხვა ჰერმენევტული კონცეფციები, მათ შორის ფ.ასტისა და ფ.დ. შლაიერმახერისა („ავტორის გაგება“, „გაგების ხელოვნება“), რომლებზეც დაყრდნობით ჩამოყალიბდა ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიები (ვ.დილთაი, I980, ტ.5).

ინტერპრეტაციის კომპონენტთაგან პირველი და მთავარი - ინტერპრეტანტი - ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს. ჩვენთვის ინტერპრეტანტი ანუ ტექსტი ის სემიოზისია, ე.ი. ის მაკრონიშანი, რომელშიც უნდა დადგინდეს: I) ტექსტის ლექსიკურ-გრამატიკული ინფორმაცია; 2) ის პროექციული წესები (ან კანონზომიერებანი), რომელთა საფუძველზეც ლექსიკური მნიშვნელობები მათი სინტაქსური მიმართებების გათვალისწინებით ფრაზულ ერთეულებად იქცევიან და 3) ენობრივ-სპეციფიკური ნიშან-თვისებების აღწერის ინვენტარი (მეცლერის ენათმეცნიერული ლექსიკონი, I993, გვ.277).

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეხებით ტექსტის ლინგვისტური ინტერპრეტაციის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს ფრანც კაფკას ორ ნოველა-პარაბოლაში „სიმართლე სანჩო პანსაზე“ და „პრომეთე“. ეს საკითხებია:

- ადრესატის საკითხი;
- სათაურის სიმბოლურ-სიგნალურ-სიმპტომატური ხასიათი და
- ნოველა-პარაბოლების პრედიკაციული არქიტექტონიკა.

ადრესატის საკითხი მეტად საგულისხმო პრობლემას წარმოადგენს ფრანც კაფკას ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან კავშირში. კაფკას ანდერძის თანახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მად მისი ყველა ნაწარმოები უნდა დამწვარიყო: „საყვარელო მაქს, ყველაფერი, რასაც ჩემს დანატოვარ ნაწერებში ნახავ, დღიურები, ხელნაწერები, წერილები... გთხოვ, რომ უნაშთოდ და წაუკითხავად დაწვა"... (ფრ.კაფკა მაქს ბროდისადმი მიწერილ წერილში 1922 წ.) (ფრ.კაფკა, 1981, გვ.281-282). მაქს ბროდმა არ შეასრულა კაფკას ანდერძი. 1925 წ. ანუ კაფკას გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მ.ბროდმა გამოაქვეყნა მისი რომანი „პროცესი", 1926 წელს – „სასახლე", 1927 წ. – „ამერიკა", ხოლო 1931 წ. მ.ბროდმაგამოსცა კაფკას კრებული „ჩინეთის კედლის მშენებლობისას", რომელშიც შესულია კაფკას მიერ 1918-1919 წლებში დაწერილი ნოველები და პარაბოლები. მათ შორის ის ორი ნოველა-პარაბოლაც, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ – „სიმართლე სანჩო პანსაზე" და „პრომეთე" (ფრ.კაფკა, 1982, გვ.25-28). ამდენად, ფორმალურად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კაფკა თვითონვე „სპობდა" ანდერძის თანახმად თავისი ნაწარმოებების ადრესატს იმით, რომ თვით ნაწარმოებს სპობდა.

რაც არ უნდა შემოვიფარგლოთ წმინდა ლინგვისტური ინტერპრეტაციის ასპექტით, ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტს გვერდს მაინც ვერავუვლით. ლიტერატურათმცოდნე დ.ზატონსკი უოპტიმალურეს შემაჯამებელ შეფასებას აძლევს კაფკას ენასა და სტილს: „კაფკას ენა – ეს არის კანცელარიის ენა: ზუსტი, მკაცრი და ღაუნდობელი. მისი მთავარი ძალა უპიროვნობაშია, უფრო მეტიც, იმ უპიროვნობაში, რომლის მიღმაც ჩვეულებრივი ადამიანური შიში იმალება. კონტრასტი უპიროვნობასა და შიშს შორის – აი ეს გახლავთ კაფკას სტილის ფორმულა" (დ.ზატონსკი, 1991, გვ.5).

კაფკას ნოველა-პარაბოლებში თემას უკვე სათაური შეიცავს. ამ სათაურებში იმპლიციტურად მოცემულია ის სიმპტომები, სიგნალები და სიმბოლოები, რომლებიც მისი პარაბოლების სიუჟეტურ დენოტატს ასახავს. გარდა ამისა ამ ნოველებში სხვა დენოტატიც მოიძებნება – ეს გახლავთ თავად მათი „მოქმედი გმირები"[1] – სანჩო პანსა და პრომეთე – ორივე ექსტრალინგვისტური დენოტატია, რომელთა პირველწყაროსეული ლოკალიზაცია სერვანტესის რომანთან და ძველბერძნულ მითთან მიგვაგზავნის. ამდენად, მოცემული ნოველა-პარაბოლები თვითონვე წარმოადგენენ კაფკასეულ ინტერპრეტაციას ამ ორი გმირის სახისა და იმ ვითარებათა მოტივაციისა, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება.

ნოველა-პარაბოლა „სიმართლე სანჩო პანსაზე" შედგება სამი პრედიკაციული სტრუქტურისაგან (სათაურის ჩათვლით). ამათგან მეორე პრედიკაციული

---

1 „მოქმედი გმირი" კაფკას სანჩო პანსასთან და პრომეთესთან მიმართებაში არ არის აგენტური პერსონაჟი; ამ გმირებს (განსაკუთრებით პრომეთეს) პაციენსური დატვირთვა აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურა თავის მხრივ იყოფა სამ სრულ პრედიკაციულ და სამ არასრულ პრედიკაციულ – პარენთეტულ სტრუქტურად. მესამე პრედიკაციული სტრუქტურა იშლება ორ სრულ პრედიკაციულ სტრუქტურად. ჯამში გვაქვს თერთმეტი პრედიკაციული სტრუქტურა (რვა სრული და სამი არასრული პარენთეტული).

ყველა მოდალური ელემენტი – ლექსიკურიც და გრამატიკულიც – გატანილია არასრულ – პარენთეტულ პრედიკაციულ სტრუქტურაში (Übrigens, eben, hätte sein sollen, vielleicht). ამიტომ ამ პარენთეტულ სტრუქტურებს მოდალურ-პარენთეტულ პრედიკაციულ სტრუქტურებს ვუწოდებთ.

ნოველა-პარაბოლა „პრომეთე“ შედგება შვიდი პრედიკაციული სტრუქტურისაგან (სათაურის ჩათვლით). ამათგან მესამე სტრუქტურა იშლება ორ სრულ პრედიკაციულ სტრუქტურად და ერთ არასრულ პარენთეტულ პრედიკაციულ სტრუქტურად. მეექვსე შედგება ორი სრული პრედიკაციული სტრუქტურისაგან, ხოლო მეშვიდე იშლება სამ სრულ პრედიკაციულ სტრუქტურად. ჯამში გვაქვს თორმეტი პრედიკაციული სტრუქტურა, ამათგან თერთმეტი სრული სტრუქტურაა და ერთი არასრული პარენთეტული პრედიკაციული სტრუქტურა.

ნოველა-პარაბოლა „პრომეთე“ არ შეიცავს არც ერთ მოდალურ ელემენტს – ყველა პრედიკაციული სტრუქტურა კატეგორიულ, თითქოსდა დოკუმენტურად[I] დამოწმებულ ლოგიკურ-გრამატიკულ ერთეულს წარმოადგენს.

ამასთან საგულისხმოა, რომ ნოველის ერთადერთი პარენთეტული პრედიკაციული სტრუქტურა – Weil er die Gütter an Menschen verraten hatta – რომელიც მესამე სრულ პრედიკაციულ სტრუქტურაში გვხვდება, კაუზალობის სემას შეიცავს ისევე, როგორც ტექსტის ბოლო პრედიკაციული სტრუქტურა – Da sie aus einem Wahrheitegrund kommt, miß sie wieder in Unerklärlichen enden.

ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნოველა-პარაბოლაში „პრომეთე“ კაუზალური პრედიკაციული სტრუქტურა ქმნის ტექსტის ორგანიზაციის ჩარჩოს და განსაზღვრავს მთელი ტექსტის ლექსიკურ-გრამატიკულ დატვირთვას, რის სიგნალს, სიმპტომსა და სიმბოლოს პირველი პრედიკაციული სტრუქტურა – „პრომეთე“ – „ Prometheus “ წარმოადგენს.

ფრანც კაფკას ლოგიკაში შემთხვევითი არაფერია და ამ არაშემთხვევითობის გამოხატულებაა სწორედ მისი ტექსტების პრედიკაციული სტრუქტურები.

I იხ. მეორე პრედიკაციული სტრუქტურის ბირთვი – „ berichten “.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამოწმებული ლიტერატურის სია

ვ.დილთაი, 1980 - W.Dilthey, Gesammelte Schriften, Bde.5 u. 14. Stuttgart, 1980.

დ.ზატონსკი, 1991 - Д.Затонский. Предисловие к русск.изд.: Фр.Кафка, Замок. Новеллы и притчи. Письмо отцу. Письма Милене. М., 1991.

ფრ.კაფკა, 1981 - Pr.Kafka. Erzählungen. Verlag Ph.Reclam Leipzig 1981.

ფრ.კაფკა, 1882 - Pr.Kafka. Bein Bau der Chinesischen Mauer. Gustav Kiepenheuer Verlag, Leipzig und Weimar, 1982.

მეცლერი, 1993 - Metzler Lexikon Sprache. Hrag. v.H.Glück. Verlag J.B.Metzler. Stuttgart und Weimar, 1993.

მანანა რუსეიშვილი

ენის ფრაზეოლოგიური ფონდის სემანტური მოდელების კვლევის კრიტერიუმების თაობაზე („სიღარიბის" სემანტური მოდელის მასალაზე ქართულსა და ინგლისურ ენებში)

ბოლო წლებში ფრაზეოლოგთა ყურადღება მიიპყრო ფრაზეოლოგიური ფონდის მოდელირებულმა ბუნებამ. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს (ფე) იკვლევენ სტრუქტურული და სტრუქტურულ-სემანტური მოდელირების თვალსაზრისით (ა.ალეხინა, 1986). კვლევის შედარებით ახალ ასპექტად გვევლინება ფრაზეოლოგიური ფონდის სემანტური მოდელირება, რომლის შესწავლის ერთ-ერთი გზაა ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში არსებული სემანტური მოდელების დადგენა და მათი შესწავლა (ი.სვინიუკი, 1985).

ჩვენი ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ჩვენს მიერ მიღებული კრიტერიუმებისა და კონკრეტული რაკურსების წარმოდგენა ერთ-ერთი სემანტური მოდელის „სიღარიბე" მაგალითზე ქართული და ინგლისური ენების მასალაზე. ამ მიზნის მისაღწევად ამ ორი ენის ფრაზეოლოგიურ ფონდებში გამოვყავით შესაბამისი ერთეულები. კვლევის პირველ ეტაპზე ფე შერჩევა წარმოებდა ფე სემანტურ სტრუქტურაში თემატური ინვარიანტის „სიღარიბე" არსებობა/არარსებობის კრიტერიუმზე დაყრდნობით (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფე სემანტურ სტრუქტურაში თემატური ინვარიანტი შეიძლება არსებობდეს როგორც იმპლიციტურად, ისე ექსპლიციტურად, კერძოდ, თემატური ინდიკატორის სახით (ი.სვინიუკი, 1985, გვ.15).

კვლევის შემდგომ ეტაპზე ჩვენს მიერ გამოყოფილი ფე დავაჯგუფეთ და გავაანალიზეთ შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

I კრიტერიუმი: თემატური ინვარიანტის ექსპლიციტურობა/იმპლიციტურობის კრიტერიუმი.

ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით გამოვყავით ფე 2 ჯგუფი: ა) ფე, რომელთა სემანტურ სტრუქტურაში იმპლიციტურად აისახება თემატური ინვარიანტი და ბ) ფე, რომელთა სემანტურ სტრუქტურაში ექსპლიციტურად არსებობს თემატური ინდიკატორი, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია თემატურ ინვარიანტთან. თემატურ ინვარიანტებად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვები: ჯიბე (ჯიბეში არაფერი უყრია), pocket (be low in pocket) გროში (გახვრეტილი გროში არ აბადია), penny (not to have a penny to bless oneself with).

II კრიტერიუმი: ფე სემანტიკური გადააზრების ხარისხის კრიტერიუმი.

ამ კვლევამ ცხადყო, რომ ორივე ენაში სემანტური მოდელის „სიღარიბე" თვალსაზრისით ერთეულების დიდ უმრავლესობას წარმოადგენს იდიომები, ანუ სემანტურად მთლიანად გადააზრებული ერთეულები.

III კრიტერიუმი: ფე სემანტური სტრუქტურის უნივერსალური ელემენტის - ფრაზეოლოგიური ტროპის ტიპის კრიტერიუმი.

I) კვლევა ტროპის პლანებს შორის კავშირის ხასიათის მიხედვით (მ.რუსიეშვილი, 1990):

ა) ანტროპოცენტრული ფე: ქამრის შემოჭერა, tighten one's belt.

ბ) შექცევადი ფე: be on the beach ნულზე ზის.

არც ერთ საკვლევ ენაში არ აღმოჩნდა სინესთეზური, ანტროპომორფული და პარადოქსული ერთეულები.

2) ფე კვლევა ტროპის ორ პლანს შორის მიმართების ობიექტურობის ხარისხის მიხედვით (მ.ნათაძე, 1978, გვ.165).

ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით კვლევამ გვიჩვენა, რომ სემანტურ მოდელში „სიღარიბე" შემავალი ფე უდიდესი ნაწილი ორივე ენაში რეალურ ტროპებს მიეკუთვნება.

IV კრიტერიუმი: თემატური ინვარიანტის „რაკურსის" კრიტერიუმი (ანუ რა კუთხით ასახავს კონკრეტული ფე სიღარიბეს).

ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით გამოიყო თემატური ინვარიანტის ასახვის შემდეგი რაკურსები:

ა) „გარეგნული იერი": შარვალზე ნაოჭები აქვს ასხმული, be out at eibows;

ბ) რაკურსი „შიმშილი, სარჩოს უქონლობა": კუჭი უხმება, live close to one's belly;

გ) რაკურსი „მათხოვრობა": ხიდის თავში ზის, live on the alms-basket

დ) რაკურსი „უფულობა": ჯიბეში კაპიკი (გროში) არ უჭყავის, be at an ebb;

ე) რაკურსი „ფულის დაკარგვა": be in the red, take the knock.

ქართულ ფრაზეოლოგიაში ამ რაკურსის ერთეულები არ შეგვხვედრია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ინგლისური და ქართული ყოფის სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებიდან მომდინარეობს. დღეს შესაძლებელია ასეთი ერთეულების წარმოქმნა ქართულ ფრაზეოლოგიაშიც.

V კრიტერიუმი: ფე ტროპის I მნიშვნელობის ანუ ხატის შინაარსის კრიტერიუმი.

ამ მიმართებით წარმოებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ორივე ენაში სიღარიბე ხშირად უკავშირდება ცარიელ ჯიბეს (უფულობას). გარდა ზემოთქმულისა, ინგლისელისათვის უფულობა დაკავშირებულია ბევრ სხვა ნეგატიური განცდის აღმძვრელ მოვლენასთან, მაგალითად, შავი დღის დადგომასთან (have dark/evil days) დაბლა დაშვებასთან (be at fall), გამკრავ ქართან (feel the draught), მარწუხის მოჭერასთან (feel the pinch), გემის მეჩეჩზე შეგდებასთან (be on the beach).

სიღარიბის „ეტალონად" ინგლისელს ეკლესიის (და არა ბეღლის - მ.რ.) თაგვი მიაჩნია, be as poor as a chuech mouse, არის ბიბლიური ერთეულიც: as poor as Tob, ორივე ენაში არის ჰიპერბოლური ერთეულები: not to have a bean თითზე გადასახვევი ძაფიც არ გააჩნია და ა.შ.

VI ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით კვლევის შედეგების დამუშავება სტატისტიკურ კრიტერიუმზე დაყრდნობით.

ჩვენი აზრით, ასეთი ტიპის კვლევას გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც ერთი ენის ფრაზეოლოგიური დონის თვალსაზრისით, ისე ენათა შეპირისპირების პლანში. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ფრაზეოლოგიური სემანტური მოდელების დადგენა და მათი სისტემური კვლევა ხელს უწყობს ენაში ასახული სამყაროს მოდელის სპეციფიკის დადგენას.

დამოწმებული ლიტერატურა

ა.ალეხინა, 1986 - Алехина А.И., Исследования системной организации фразеологии и современного английского языка (Проблемы фразеологических отношений и фразеологических структур, АДД, Л., 1986.

მ.ნათაძე, 1978 - მ.ნათაძე, ტროპისა და ტროპულობის შესახებ; კრიტიკა, 1978.

მ.რუსეიშვილი, 1990 - Русеишвили М.Р., Идиома в английском, грузинском, русском языках, АКД, Тбилиси, 1990.

ი.სვინიცკი, 1985 - Свиницкий И.А., Фразеологические средства субъективной оценки личности в современном английском языке, АКД, Киев, 1985.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუგებრობა თუ...

მან 638 გვერდიან მონოგრაფიაში მე – თედო უთურგაიძესა და ელენე ბაბუნაშვილს ბრალი დაგვდო მეცნიერულ არაკეთილსინდისიერებაში. იგი წერს: „ჩემი ნაშრომები წინ დაიდეს და ყველა, ვიმეორებ, ყველა ძირითადი დებულება პირწმინდად გადაწერეს“ (ალ.ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, 1995, გვ.630). ამ განცხადების შემდეგ მას განსაქიქებელი ეპითეტები აღარ დაუშურებია ჩვენთვის. „ნათქვამის დასასაბუთებლად, – განაგრძობს იგი, – საჭირო იქნებოდა წიგნების თითქმის გვერდგვერდ შედარება (იქვე, გვ.630). ეს ალბათ ვერ გამოვა: მისი ნაშრომი (ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, 1979) 374 გვერდიანია და ფორმატითაც გაცილებით დიდი ჩვენს 88 გვერდიან წიგნაკზე. ეს ხუმრობით – ალექსანდრე ფოცხიშვილის ნამეტანი მგრძნობელობის დასამშვიდებლად. ჩვენს უკეთურებაში დასარწმუნებლად ალ.ფოცხიშვილი მკითხველს, მისი აზრით, ორ უტყუარ ფაქტს სთავაზობს, აი ისინი: I) მას ჩვენზე ადრე უთქვამს, რომ ანტონის მძიმე ენას ხელი არ შეუშლია მომდევნო გრამატიკოსებისათვის, აეღოთ მისგან ყველაფერი, რაც ქართული ენის სისტემას ახასიათებდა. მასვე უთქვამს, რომ მძიმე ენა – ეს ანტონის პიროვნული მანკი იყოო; ჩვენ კი ასე გვითქვამს: უნდა განვასხვაოთ ერთიმეორისგან ანტონის ნაშრომთა ავტორისეული სტილი მისი „გრამმატიკის“ მეცნიერულ დებულებათა მოთხოვნებისგან.

ანტონი რომ მძიმე სტილით წერდა და ამის გამო ძნელდებოდა და ძნელდება მისი გაგება, რამდენგზის თქმულა რ.ერისთავიდან მოყოლებული ი.ჯავახიშვილამდე, ა.შანიძემდე და არნ.ჩიქობავამდე. ეს ფაქტია და ამის თქმა ვინმეს მეცნიერულ საკუთრებად ვერ იქცევა. სხვა მხრივ ჩვენსა და ალ.ფოცხიშვილის ნათქვამებში განსხვავებული თვალსაზრისებია ჩადებული: ა) ალ.ფოცხიშვილი მიუთითებს იმაზე, რომ, მიუხედავად მძიმე სტილისა, მომდევნო მეცნიერნი ყველაფერს იღებენ მისგან, რაც საჭიროა; ბ) ჩვენ კი იმის სურვილს გამოვთქვამთ, რომ „ქართული გრამმატიკა“ შეფასდეს მასში წარმოდგენილი დებულებების მეცნიერული ღირებულების მიხედვით. ჩვენ ხომ მომდევნო გრამატიკოსთა დამოკიდებულებას არ ვიკვლევთ ანტონის გრამატიკულ ნააზრევთან, ჩვენ თვით ეს ნააზრევი გვიანტერესებს, მისი წარმომავლობა და სათავეები; თანაც ვცადეთ გაგვერკვია, რას წარმოადგენს ანტონის სტილი, საიდან იღებს სათავეს და, სხვათა შორის, მანკიერად არ ჩაგვითვლია, მსგავსად ალ.ფოცხიშვილისა.

ერთი რამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ალ.ფოცხიშვილმა ამ კამათში: თუ ჩვენს წიგნს იხილავს, მის დებულებებს უნდა არჩევდეს, რადგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორთა თვალსაზრისი ამ დებულებებში დევს და არა წინა ნაშრომებში, რომლებიც ელენე ბაბუნაშვილს ადრე გამოუქვეყნებია. მისთვის ჯერ არავის წაურთმევია აზრთა დახვეწისა და შეცვლის უფლება. 1979 წ. ალ.ფოცხიშვილი ასე წერდა თავის მონოგრაფიაში: „უთუოდ სწორია ე.ბაბუნაშვილის განცხადება, რომ „ქართული გრამატიკული აზროვნების საწყისებთან დგას ანტონ პირველის, პირველი ქართული გრამატიკის ავტორის, მონუმენტური ფიგურა" (იხ. გვ.43). ამ „მონუმენტურ ფიგურას" ვერ ეყოდა ერთჯერად შესწავლა, ამიტომ ცვლილებები დებულებებსა და თვალსაზრისებში მოსალოდნელია მომავალშიც.

2) საქმე ეხება „სამი სტილის თეორიას". ალ.ფოცხიშვილს უთქვამს: „ცისკრის" მოკამათეთ და არც ერთ მხარეს არც ერთხელ არ უხსენებიათ „სამი სტილის თეორია" და ანტონი"; ჩვენ გვითქვამს: „ანტონ პირველის „სამი სტილის თეორია" არავის უხსენებია „შვილთა და მამათა დავაში". აქაც მითითებაა ფაქტზე – მოკამათენი არ ახსენებენ ანტონს სამი სტილის თეორიაზე მსჯელობისას. ამ ფაქტის კონსტატაცია შეუძლია ყველას, ვინც ამ რამდენიმე წერილს გაეცნობა, რისთვისაც ერთი დღეც კმარა.

ჩვენ წიგნი დავწერეთ იმიტომ, რომ არსებული ლიტერატურის მიხედვით უკმარისობის გრძნობა გვქონდა. მე გახლდით ალ.ფოცხიშვილის მონოგრაფიის (ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, 1979) რედაქტორი, ბუნებრივია, ვიცნობდი ყველა მის დებულებას.

ახლა ცოტას მაინც შევუტევ ალ.ფოცხიშვილს, რომ გავამართლო ზემოთ ნახსენები ჩვენი „უკმარისობის გრძნობა", რის გამოც წიგნი დავწერეთ. ალ.ფოცხიშვილი წერს: „მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ამ ორი სტრიქონისათვის ამოდენა ამბის ატეხვა (ასეა – თ.უ.) ღირდაო? უნდა განვმარტო: ამ ორი სტრიქონის დაწერას წინ არც თუ მცირე სამუშაო უძღოდა. როგორც ცნობილია (სამწუხაროდ, ამაზე სასკოლო სახელმძღვანელოებშიც მიუთითებდნენ ხოლმე), ანტონსა და მისთვის მიწერილ „სამ. სტილის თეორიას" ბრალად სდებდნენ ქართული ენის განვითარების შეჩერებას" და სხვ. და სხვ. (ალ. ფოცხიშვილი, 1995, გვ.630). მართლაც არ ღირდა, თუ ფაქტის კონსტატაციასთან გვექნებოდა საქმე – ანტონის თვალსაზრისს ებრძვიან „შვილები" თუ სხვა თვალსაზრისს, ეს ხომ მათ წერილებშია დაბეჭდილი. გასარკვევი იყო, ვინ შეუქმნა ანტონს სალიტერატურო ენის განვითარების შემფერხებლის რეპუტაცია და რა მიზეზით? ეს კი დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვდა გრამატიკული აზროვნების ისტორიკოსისაგან: ანტონის ოპონენტთა საბუთები რამდენად არის სარწმუნო ლინგვისტური თვალსაზრისით, ეს იყო გასარკვევი.

629-ე გვერდზე (ალ.ფოცხიშვილი, 1995 წ.) ალ.ფოცხიშვილი გვისაყვედურებს: ამ თვალსაზრისით დ.მელიქიშვილის, ა.შანიძის, არ.მარტიროსოვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომებს იხილავენ, ჩემსას კი არ ახსენებენო. ამასთან დაკავშირებით ვიტყვი შემდეგს: თვით ალ.ფოცხიშვილს ჩვენ მიერ განხილული საკითხების შესახებ არა უთქვამს რა თავის 1979 წლის მონოგრაფიაში, რომლის რედაქტორი მე ვიყავი. მაშასადამე, გასაგებია, ჩვენი უკმარისობის გრძნობაც. გავარჩიოთ ხსენებულ ავტორთა როლი ანტონის სალიტერატურო ქართული ენის ბუნებრივი განვითარების შემფერხებლის რეპუტაციის შექმნაში. ბ-ნმა ა.შანიძემ ძველი ქართული ენის კათედრის შრომების მე-9 ტომში თითქმის ასგვერდიანი ნაშრომი უძღვნა ამას. იგი წერს: „ვინც ძველი ქართული იცის, ადვილად მიხვდება, რომ ანტონის საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ ენაზე, რომელზედაც იგი წერდა და ასეთი ცოდნის პატრონი კანონებს აწესებდა სალიტერატურო ენისთვის და თავის მცდარ თეორიულ შეხედულებებს ფართოდ ავრცელებდა მოწაფეების საშუალებით" (გვ.77). ნაშრომის ბოლოს კი ვკითხულობთ: „საერთოდ, ანტონის გავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე უარყოფითია (ხაზი ავტორისაა), ბევრად აჯობებდა, რომ ქართული მწერლობის ენის ბუნებრივ განვითარებას და თანდათანობით დაახლოებას სასაუბრო მეტყველებასთან, რაც აგრე გვახარებს არჩილისა, სულხანისა და დავითის ნაწერებში, გზაზე არ გადაეღობებოდა წარსულის ფიქრით შეპყრობილი და არასწორად მოაზროვნე გონება მეტად აქტიური კაცისა, რომელსაც მდგომარეობა ნებას აძლევდა, ადვილად მოეხვია თავზე სხვებისთვის თავისი მცდარი თეორიული შეხედულებანი..." (გვ.77). ესეც არ აკმარა ბ-ნმა აკაკიმ „არასწორად მოაზროვნე" ანტონს, მისი ცუდი გავლენა ი.გოგებაშვილამდე მიიტანა, რომელმაც თურმე სწორედ ანტონის გავლენით არასწორი ჰქმნა ფორმა („იავნანამ რა ჰქმნა") იხმარა ჩვენს დროში; რომანტიკოსებისა და მათი მომდევნო რეალისტების ენობრივი ცოდვები ხომ ანტონის ბრალი იყო და იყოო...

არც ერთი ამ ბრალდებათაგან არ არის სწორი, თვით ჰქმნა ფორმაც ბუნებრივია ქართულისთვის, ისევე, როგორც რომანტიკოსთა ბ-ნი აკაკის მიერ ანტონის გავლენით მიჩნეული და დაწუნებული ფორმები. ალ.ფოცხიშვილს კრინტიც არ დაუძრავს მათ შესახებ. ამ დებულებებს ბ-ნი აკაკი აქვეყნებს 1964 წელს და 1979 წელს ალ.ფოცხიშვილს უკვირს 1969 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში რატომ მიიჩნევენ ანტონს სალიტერატურო ქართული ენის განვითარების შემფერხებლად. სწორედ ასეთ ვითარებას მოერგება ქართული ანდაზა: „დათვსა ხელავდნენ, კვალს ეძებდნენო". ალ.ფოცხიშვილი მისდგომია ორიოდ ამორჩემებულ ენათმეცნიერს და, ვინ იცის, მერამდენედ ერთსა და იმავეს იმეორებს წერილიდან წერილში და კვლავ იმავეს წიგნიდან წიგნში. სწორედ ამიტომ არ არის გულწრფელი მისი განცხადება, რომ „განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ იმ მკვლევარებს (ასეა – ტ.უ.), რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონის „ქართული გრამატიკის“ შეფასების საქმეში ცოდავდნენ“ (ალ.ფოცხიშვილი, 1995, გვ.627). თავად განსაჯეთ, რაც ზემოთ ითქვა, ნუთუ ეს უცოდველობაა ქართულ ენათმეცნიერებაში ანტონის დადებითი როლის რეაბილიტაციისათვის მებრძოლი მკვლევრისათვის? მაგრამ, საკითხავია, ჰქონდა კი მას წინ აღდგომის ძალა? თუ ჰქონდა, რატომ შეიკავა თავი?

ახლა, ვფიქრობ, სრულიად გასაგებია, რატომ განვიხილეთ ა.შანიძის მიერ წამოყენებული ბრალდებანი ჳ-ს, ორი თანხმოვნის (გრამმატიკა, ეკკლესია...), ჶ-სა და ჰ-ს, ს-, ჰს- პრეფიქსთა მართლწერასთან დაკავშირებით.

ახლა ვნახოთ მეორე: ბ-ნმა არამ მარტიროსოვმა ანტონის გრამატიკაში -ჳ სუფიქსის ვნებითი გვარის ნიშნად მიჩნევის წყაროდ სომხური გამოაცხადა, ამით მიგვანიშნა იმაზე, რომ ანტონმა ეს მხითარის სომხური ენის გრამატიკიდან გადმოიტანა ქართულ ენაში („ასეთი გაუგებრობის წყარო შეიძლება იყოს სომხური“). ეს მან ელ.ბაბუნაშვილსაც შენიშნა დისერტაციის დაცვის დროს (შემდეგ დაიბეჭდა კიდეც „მაცნეში“) და თვით ალ.ფოცხიშვილსაც აგრეთვე სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს. ანტონისთვის დამამცირებელ ბრალდებას პასუხი ვერ გაეცა ვერც დაცვის დროს და ვერც მის მონოგრაფიაში 1979 წ. ჩვენ ვცადეთ, მოგვეძებნა -ჳ სუფიქსის პასივის ნიშნად მიჩნევის საფუძველი ქართულ ნიადაგზე და ამიტომ, ბუნებრივია, კიდეც განვიხილეთ ეს საკითხი ჩვენს წიგნში. დ.მელიქიშვილთანაც ანტონის იმ „ნაკლზე“ გვაქვს დავა, რაც ალ.ფოცხიშვილს არ განუხილავს, მაშასადამე, ესეც საჭირო იყო.

ახლა თვით ალ.ფოცხიშვილის შესახებ. ჩვენს წიგნში მასთან არანაირი დიალოგი არ გაგვიმართავს იმიტომ, რომ ჩვენთვის არსებითი იყო „ქართული გრამმატიკის“ საშუალებით გაგვერკვია ანტონის ადგილი სალიტერატურო ქართული ენის განვითარების საქმეში, რაც გამოვხატეთ შემდეგი თეზისით: „ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გრძელ გზაზე სამი დიდი სახელია აღმართული: იოანე პეტრიწი, ანტონ კათალიკოსი და ილია ჭავჭავაძე. თითოეული მათგანი წარმოადგენს დაგვირგვინებას განსაზღვრული დროის თაობათა თავდადებული მოღვაწეობისა ქართული სალიტერატურო ენის შექმნისათვის ბრძოლაში“ (ე.ბაბუნაშვილი, თ.უთურგაიძე, ანტონ პირველის „ქართული გრამმატიკა და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, 1991, გვ.5). ვფიქრობ, ეს ტრიადა ჯერ არავის წარმოუდგენია ამ ასპექტში. მათ აერთიანებდა სალიტერატურო ენის განვითარების საზიარო პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბდა XI-XII სს. ბიზანტიაში, XIII-XVI სს. იტალიაში და უფრო მოგვიანებით დასავლეთ ევროპასა და რუსეთში: ი.პეტრიწი ბიზანტიაში შემუშავებული, ხოლო ანტონი და ილია იტალიურ-ფრანგულ-რუსულ სამყაროში შემუშავებული პრინციპებით (რომლებიც თავისი არსით იდენტური იყვნენ) ახდენდნენ სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას. ყოველივე ამასთან კავშირი არა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ.ღოღობერიძის/ალ.ფოცხიშვილის ყველა დროის ნაღვაწს და, ბუნებრივია არც მისი ხსენება იყო საჭირო. ეს საკითხები მის სულსა და გულს რომ არ ეკარება, იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენი ამ რიგის ძიება უაზრობაა თუ არა, უსარგებლოდ მაინც მიიჩნია: „... უნდა აღვნიშნოთ, სარეცენზიო წიგნში რამდენიმე ახალი საკითხიცაა განხილული, კერძოდ, უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული „სამი სტილის თეორიასთან“ დაკავშირებული რუსული საენათმეცნიერო ლიტერატურა; გადაწყვიდნენ (ასეა – თ.უ.) ევროპასაც, ოღონდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ „მჩხრეკელობას“ საკითხის გადაწყვეტის ძველ ვითარებაში არავითარი კორექტივი არ შეუტანია (ალ.ფოცხიშვილი, 1995, გვ.631). ვერ გეტყვით, რა მნიშვნელობით ხმარობს „მჩხრეკელობას“ ალ.ფოცხიშვილი ჩვენი საქმიანობის აღსანიშნავად, ვერც იმას, რატომ სვამს ბრჭყალებში, მაგრამ ის კი უთუოა, რომ უსარგებლოდ ჩაუთვლია ჩვენი გარჯა („საკითხის გადაწყვეტის ძველ ვითარებაში არავითარი კორექტივი არ შეუტანია“).

როდესაც ალ.ფოცხიშვილი ახდენდა იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ „სამი სტილის თეორიასთან“ „კისკრის“ მოკამათენი ანტონს არ ვარაუდობდნენ, მაშინ მას არც უკდია, ერჩევნებინა „კისკრის“ მოკამათეთა გაგება ამ „სამი სტილის თეორიისა“, ჩვენ კი სწორედ ამის წარმოჩენა ვცადეთ, რადგან ქართულ სინამდვილესთან ჰქონდა უდავო კავშირი; ამ ფონზე ვაჩვენეთ დემოკრატიზმის პრინციპების შემოტანა სალიტერატურო ქართულში ანტონისა და „სამოციანელების“ მიერ. ამით ისიც მინდა ვთქვა, რომ ფაქტის კონსტატაციის – „სამი სტილის თეორიასთან“ ანტონს არ ახსენებენ“ – შემდეგ ჩვენი გზები იყრება: რასაც ჩვენ ვამბობთ, მისთვის უსარგებლოა, ჩვენ კი ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ XVIII–XIX სს. ენობრივი პოლიტიკის წარმართვის საქმეში.

რატომ დაწვა ჩვენი ურთიერთობის ხიდები ალ.ფოცხიშვილმა (კაცი რომ ქურდს გიწოდებს, ის მოკვლაზე უარესი გზით სიკვდილს გიქადის), თანაც კამათში რატომ გამიმარტოვა და თითის ქნევით მაძლევს გაფრთხილებას: „სასურველი და აუცილებელიცაა, თ.უთურგაიძემ მომავალში მაინც გაითვალისწინოს ჩვენი შენიშვნებიო“. ალ.ფოცხიშვილმა ჩვენს „მეცნიერულ არაკეთილსინდისიერებაზე“ მსჯელობის ბოლო ორი გვერდი საკუთრად ჩემს წვრთნას დაუთმო. მან იცის, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტში მე ვხელმძღვანელობ ქართული ენის შესწავლის ისტორიის ტომზე მომუშავე ჯგუფს; შეიძლება ეს აწუხებს, ანდა, არც ესაა გამორიცხული – ბუნებითია მისი წუხილი... რაც შეეხება ალ.ფოცხიშვილის გაფრთხილებას, მას ასე ვუპასუხებ: რადგან, ალექსი ჭინჭარაულის ზმისა არ იყოს, „საშა რია, საშარია!“ ალ.ფოცხიშვილის ნააზრევს, კარგია ის ფუ კუდი, ბუნებრივია, სათანადო შეფასებას მივცემ ჩემს მომავალ მონოგრაფიაში ანტონის გრამატიკის შესახებ, თუ რა თქმა უნდა, განსახილველ საკითხებთან მას რაიმე კავშირი ექნება, რათა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომავალში ალ.ფოცხიშვილს საშარო არა ჰქონდეს რა, თუმცა ეს ნაშრომს მოცულობით გაზრდის.

განსახილველი დაგვრჩა ორიოდ საკითხი: I) ზურაბ შანშოვანის გრამატიკას მეტად მკაცრად აფასებს ალ.ფოცხიშვილი. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, ყოველმხრივ ამცირებს მას: „შანშოვანმა კი არ დაწერა ქართული ენის გრამატიკა, მან თარგმნა სომხური გრამატიკა ქართულად და ამ გრამატიკის ქართული ენის გრამატიკად ჩათვლა ისევე არ შეიძლება, როგორც, ვთქვათ, ქართულიდან თარგმნილი სომხეთის გეოგრაფია არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს გეოგრაფიად“ (ალ.ფოცხიშვილი, 1979, გვ.59).

ეს რაღაც აფექტური გაუგებრობაა. ზ.შანშოვანის გრამატიკის დამცირება გაუმართლებელია ყველა თვალსაზრისით. იგი უნდა შეფასდეს ისე, როგორც ეკუთვნის მეცნიერული ღირებულების მიხედვით. ეს კომპილაციური ნაშრომია, რაც ჩვეულებრივი იყო იმ დროისთვის. გამოუყენებია არა მარტო ს.ჯულაევის, არამედ პ.ჯულაევისა და უშუალოდ დიონისე თრაკიელის გრამატიკები და სულხან-საბას ლექსიკონის მონაცემებიც და გრამატიკულად საყურადღებო დებულებებიც აქვს და ფორმებიც თავისი დროის სამეტყველო ქართული ენისა (იხ. ე.ბაბუნაშვილი, თ.უთურგაიძე, ზ.შანშოვანის „მოკლე გრამმატიკა ქართული ენისა“, იკეწ, XVIII-XIX, თბ., 1992).

ეს გრამატიკა უცნობი იყო ანტონისთვისაც და, საერთოდ, ქართული საზოგადოებისთვისაც 144 წლის განმავლობაში, როგორც მისი გამომქვეყნებელი, ალ.ცაგარელი წერს (დაიწერა 1737 წ., იპოვეს 1878 წ., გამოსცა ალ.ცაგარელმა 1881 წ.), ამდენად ანტონის გრამატიკას ვერც ვერას შემატებს და ვერც ვერას დააკლებს. ამათ თავ-თავისი ბედი აქვთ. ძველი დროის მოღვაწეთა შეფასებაში სიფრთხილე აუცილებელია, მით უფრო, თუ ეს მოღვაწე უცხოტომის წარმომადგენელია და ჩვენი საქმისთვის გარჯილა. ამ თვალსაზრისით ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ არის მის ნაშრომებში განხილული ფრ.მ.მაჯოს ქართული გრამატიკა (1643) და სხვა ტრაქტატებიც ქართული ენის შესახებ, რომლებიც გაბნეულია ორენოვან ლექსიკონებში. ეს ნაშრომები ხომ გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ქართველ გრამატიკოსებსა და ლექსიკოგრაფებზე.

2) რაზედაც ახლა უნდა მოგახსენოთ, მას არაფერი აქვს საერთო სადისკუსიო თემასთანვე ალ.ფოცხიშვილმა ეს წიგნში იმიტომ შეიტანა, რომ აჩვენოს ჩემი. არაკოლეგიალური დამოკიდებულება მის კეთილ ნაღვაწთან. საქმე ეხება „მარცვალთდიაობის ა-ზე“ ალ.ფოცხიშვილის თვალსაზრისს, რომელიც, მისი თქმით, ყველას „ახალ თეორიად“ უღიარებია, მე კი არად ვაგდებ თურმე. იგი წერს: „თ.უთურგაიძე სხვაგვარ პოზიციებზე დგას, მაგრამ მკითხველს არ ეძლევა შესაძლებლობა ჩვენი პოზიციების შედარებისა, რადგან იგი არსად ჩვენს შრომებს არ ასახელებს ან იშვიათად ასახელებს“ (ალ.ფოცხიშვილი, 1995, გვ.632).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდა მოვახსენო მას, რომ „მაცნეში“ 1985 წ. (№2) დაბეჭდილ ჩემს წერილში, რომელიც სპეციალურად ემფატიკურ ა-ს ეძღვნა, სალიტერატურო ენასა და დიალექტებში „მარცვალთლიაობასთან“ დაკავშირებით თავისი სახელის ხსენება უთუოდ დამაკმაყოფილებლად მეჩვენება, რადგან წერილს იმდენი გვერდი არა აქვს, რამდენჯერაც ალ. ფოცხიშვილზეა მითითება მის წერილში წარმოდგენილ დებულებებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ალ. ფოცხიშვილის თვალსაზრისი მარცვალთლიაობის ა-ს შესახებ მე უსაფუძვლოდ მეჩვენება და ამიტომ, გასაგებია, რაიმე „ახალ თეორიაზე“ მსჯელობაც არ მქონია. მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ „ოლონდ მიმღერე...“ სიმღერისა არ იყოს, ალ. ფოცხიშვილიც გამუდმებით თავის ხსენებას მთხოვს, რაც აღმაშფოთებელ სახეს იღებს უკვე. ვფიქრობ, კერძო საფასით გამომცემელსაც და რედაქტორ-რეცენზენტებსაც ყურადღება მართებდათ ამ თვალსაზრისით: უპასუხისმგებლო განცხადებები ხვალ ნორმად იქცევა და მეცნიერულ თემებზე დაწერილ ნაშრომებში მეცნიერული მსჯელობის ადგილს ლანძღვა-გინება დაიჭერს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3

ზაალ კიკვიძე, De Linguistica Facultativa 4

თამარ მახარობლიძე, ვექტორიალობის თეორიისა და ლინგვისტური
ვექტორის შესახებ 9

ნათელა იმნაძე, წაკვეთილ სონორთა აღქმისათვის
სალიტერატურო ქართულში 13

ლია გულედანი, ვ ფონემის დისტრიბუციისათვის სვანურში
(ანდაზების ენისა და თანამედროვე ცოცხალი
მეტყველების მიხედვით) 17

ნინო ჭუმბურიძე, უქონლობის სახელები ქართულში 21

მაია კობიაშვილი, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოებასთან
დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ქართული
ენის მთის დიალექტებში 27

მანანა კობაიძე, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში 33

მაია მელიქიძე, მიცემით ბრუნვაში მდგარი ობიექტის
მრავლობითობის გამოხატვა საშუალ ქართულში 37

რამაზ ქურდაძე, -ევ/-ივ, -ენ/-ინ სუფიქსები ხმოვანმონაცვლე
ზმნებსა და კაუზატივში 45

ელენე ბაბუნაშვილი, II თურმეობითის სემანტიკასთან
დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის
ქართულში 52

ნანა ლოლაძე, მდგომარეობის ზმნათა ჩამოყალიბებისათვის
ქართულში 59

შუქია აფრიდონიძე, ბრძანებითი როგორც მიმართვის ზმნური ფორმა ... 63

ნინო შარაშენიძე, წევე კავშირიანი ერთი თავისებური სახის
წინადადებისათვის ქვემოიმერულში 67

დამანა მელიქიშვილი, შესიტყვების სინტაქსური მექანიზმის
აღწერისათვის ქართულში 76

იზა ჩანტლაძე, კავშირ-ენკლიტიკის, ნაწევართა და პროსოდიულ
ხმოვანთა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ
ენებში 8I

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ლომია, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი
ნაცვალსახელის რიცხვში შეთანხმება მეგრულში 87

ლეილა გეგუჩაძე, ე.წ. ფრაზეოლოგიური შემასმენლის
შესახებ ქართულში 97

ჭაბუკა ქირია, ქართ. ჭან-ი, ზან. ჭირკ ‖ ჭგრკ ფუძეთა
მიმართებისათვის ICI

ნინო დობორჯგინიძე, გრამატიკული ხასიათის განმარტებები
„ფსალმუნთა თარგმანებიდან" IC5

დარეჯან თვალთვაძე, ნათარგმნი თხზულების კომენტირების
ეფრემ მცირისეული პრინციპები IIC

თინათინ ბოლქვაძე, შოთა რუსთაველის პოეტური თეორია და
ეთოსის საკითხი „ვეფხისტყაოსანში" II9

მელიტა კობალაძე, სტილისტიკური დაკვირვებები
(სულხან-საბა ორბელიანის ენა) I29

ელენე კოშორიძე, გამეორება გიორგი ლეონიძის პროზაში I39

გენადი ბურჭულაძე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკიდან
I2. „ტვინის" აღმნიშვნელი ზოგი ლექსემის
თაობაზე ქართველურ, ნახურსა და
დაღესტნურ ენებში I52

იამზე გაგუა, ლათინური ენის ფორმირება და კლასიკური ხანის
რომაული მწერლობა I56

თინათინ გიორგობიანი, ბერძნული ენის ისტორიიდან I6I

მანანა პაიჭაძე, ტექსტის ლინგვისტური ინტერპრეტაციის
ზოგიერთი საკითხისათვის ფრანც კაფკას ორი
ნოველის მიხედვით I65

მანანა რუსეიშვილი, ენის ფრაზეოლოგიური ფონდის სემანტური
მოდელების კვლევის კრიტერიუმების თაობაზე
(„სიდარიბის" სემანტიკური მოდელის
მასალაზე ქართულსა და ინგლისურ ენებში)..... I69

თედო უთურგაიძე, გაუგებრობა თუ... .... I72

შეკვეთა 580

ტირაჟი 150

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება "მეცნიერება" თბილისი 380060, გამრეკელის ქ. N19

ი 4/3

ეროვნული ბიბლიოთეკა